# კვირის ქრონიკა

~~2 ლ 20 თ~~

1 ლ 80 თ

N49/725/ 7-13 დეკემბერი 2015 წ. PRESS ფასი 1 ლ 80 თ

ორშაბათი ქრონიკა | სამშაბათი ალია | ოთხშაბათი ალია | ხუთშაბათი ალია | პარასკევი ალია

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA.GE
გამოდის 2003 წლიდან


## ქვეყნის მაოხრებელი პროკურორები

სკანდალური სია ახალ მთავარ პროკურორს!



16

## „ირაკლი ღარიბაშვილმა 60 500 პედაგოგი მოატყუა!“

რა მოგვატყუეს პრემიერმა და მინისტრმა და რატომ დუმან პედაგოგები მაშინ, როცა პირველი პირები უსინდისოდ ცრუობენ?



29

## პატრიარქს თუ შეწყალების უფლება ექნება, მაშინ პრეზიდენტს მიანიჭონ ზიარების უფლება საუფლო დღესასწაულებზე მაინც და გასწორდება კართაგენი!

მაშინ ავასრულოთ პატრიარქის ოცნება და დავანგრიოთ ციხეები, რაღა საჭიროა ციხე, თუკი პატრიარქი ისედაც ყველა დამნაშავეს, განსხვავებით დანაშაულის სიმძიმისა, ისედაც იწყალებს და ცოდვებს პატიობს?!



10

## არც ერთი მძღოლის ხმა „ქართულ ოცნებას“!

26

შს მინისტრი „ოცნებას“ უჩალიჩებს და ხალხს — მინიმუმ 300 ათას მძღოლს უმხედრებს „დედა პარტიას“?



ჰოდა, რა ახარებს პრემიერ-მინისტრს, ხალხი რომ გამწარებულია და დანა პირს არ უხსნის?

4

## ნუთუ, „ოცნებას“ ორი თავი აქვს?

თუმცა არა, თუ ეს ინიციატივა დაკანონდა, საბოლოოდ დავრწმუნდებით, რომ ამჟამინდელ ხელისუფლებას ორი თავი კი არა, ტვინის ნატამალიც კი არ გააჩნია!!!

3

„ბოზის შვილი ვიყო, თუ სახე არ ავაძრო, ვინც მაგას იტყვის — სამი სასიკვდილო ჭრილობა მივიღე 2008 წლის ომში და რაღაც სასწაულით გადავრჩი. ახლა ეს სირობა მოიფიქრეს! ომის ვეტერანი ვტაქსაობ და ამის საშუალებაც უნდა მომისპონ?!“

„საბრალო გოგოს ჩუტყავილა ჰქონდა... ექიმები ვერ მიხვდნენ, რა სჭირდა და ამ მკითხაობაში 4 წლის ბავშვი დაიღუპა!“

„ყელი უნდა გამოგჭრა და შენი სისხლით იაშვილის ეზო მოგირწყაააა!“



„ვიღაცა გამწარდება და ააფეთქებს იაშვილის კლინიკას!

12

## ვინ არის ბექან ხურციძე — პოლიტიკოსი, სპორტსმენი თუ კრიმინალი? ვინ და რატომ დაჭრა ცეცხლსასროლი იარაღით?



რას გვიყვება ბექან ხურციძის მიერ დაცხრილული დეპუტატი? რა საერთო აქვს ხურციძეს ივანიშვილთან და როგორ გამოიყენა მისი სახელი ფედერაციის პრეზიდენტად არჩევის დროს? სპორტის სამინისტრო ნიჩბოსნობის ფედერაციის პრეზიდენტის საქმიანობით დაინტერესდა!

6

## ვინ იყო 34 წლის პაციენტი, რომელიც „ღუდუშაურის“ მე-4 სართულიდან გადმოხტა?



31

ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲛᲔᲓᲘᲐ-ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲛᲔᲓᲘᲐ-ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲛᲔᲓᲘᲐ-ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

## აი, ვინ იმსახურებს პრემიებს!



სამხედრო პოლიციის დასავლეთ ბატალიონის თანამშრომლებმა ოთხი ადამიანის სიცოცხლე იხსნეს. თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ქუთაისში, თვალჭრელიძის ქუჩა №5-ში ბუნებრივმა აირმა გაჟონა. სამხედრო პოლიციის თანამშრომლებმა უსწრაფესად იმოქმედეს და უგონოდ მყოფი ორი მცირეწლოვანი და ორი ქალი მახლობელ საავადმყოფოში საკუთარი ავტომობილებით გადაიყვანეს. უწყების ინფორმაციით, დაზარალებულების ჯანმრთელობის მდგომარეობა ამჟამად სტაბილურია, ისინი მკურნალობის კურსს სახლში აგრძელებენ.

– ოთხი ადამიანის სიცოცხლის გადარჩენაში სამხედრო პოლიციის 16 თანამშრომელი მონაწილეობდა. მომხდარის შესახებ სასწრაფო სამედიცინო სამსახურს, საპატრულო პოლიციასა და გაზმომარაგების კომპანიასაც მათვე აცნობეს, – ნათქვამია განცხადებაში.

სამხედრო პოლიციის ხელმძღვანელობამ 16-ვე თანამშრომელი წაახალისა და მადლობა გამოუცხადა. (ინტერპრესნიუსი)

**რით წაახალისეს სამხედროები, სამწუხაროდ, არ ზუსტდება და ჰო, სიკეთეს ფულის სანაცვლოდ არ აკეთებს ადამიანი, მაგრამ ჩვენ თუ ვინმე გვკითხავს, აი, ასეთი ხალხი იმსახურებს პრემიებსა და დანამატებს და არა მუქთახორა ჩინოვნიკები!..**

## მოზარდებმა „მარშრუტკის“ მძღოლს ასაფეთქებლით თვალი დააკარგვინეს



№192 ნომერი სამარშრუტო ტაქსი უცნობმა პირებმა გააჩერეს და მძღოლს ე.წ. საახალწლო ასაფეთქებელი მანქანაში შეუგდეს. მძღოლმა თ. საჯაიამ შემთხვევის შედეგად სახის არეში დაზიანება მიიღო, მან ცალი თვალი დაკარგა. გავრცელებული ინფორმაციით, ექვმიტანილები არასრულწლოვნები არიან. როგორც კომპანია „თბილისის მიკროავტობუსის“ პრესცენტრში აცხადებენ, მძღოლი საავადმყოფოშია მოთავსებული, მას მკურნალობა საყოველთაო დაზღვევის ფარგლებში უტარდება, თუმცა კომპანია მძღოლსა და მის ოჯახს გვერდში უდგას. (ნიუპოსტი)

## აი, რის წინააღმდეგ უნდა მუშაობდეს შსს და არა იმაზე ფიქრობდეს, რომელ მხარეს აქვს ავტომობილს საჭე!!!



თბილისში, ზაარბრიუკენის მოედანზე (ყოფილი ვორონცოვი) შუახნის მამაკაცი სახის არეში დაჭრეს.

არსებული ინფორმაციით, მამაკაცს უცნობი პირი ფულს სძალავდა. წინააღმდეგობის გაწევის მომენტში თავდამსხმელმა მას სახეზე დანით ჭრილობა მიაყენა. მამაკაცი ადგილობრივი მცხოვრებია, მას პირველადი დახმარება იქვე აღმოუჩინეს.

გარდა ამისა, შაბათ საღამოს სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე რამდენიმე ავტომობილი გაქურდეს. წაღებულია ძვირადღირებული ტექნიკა და მანქანაში არსებული ნივთები. არსებული ინფორმაციით, გაქურდულია 4 ავტომობილი. მფლობელები ამბობენ, ერთ-ერთი ავტომობილიდან ტექნიკასთან ერთად წაღებულია საცვლებიც. (ნიუპოსტი)

## 1 გარდაცვლილი და 30 დაკარგული — აზერბაიჯანში გლოვა გამოცხადდა



კასპიის ზღვაში კომპანია „სოკარის“ კუთვნილ ნავთობპლატფორმაზე ხანძრის შედეგად დაღუპულთა ხსოვნის პატივსაცემად აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ქვეყანაში გლოვა გამოაცხადა. გიუნეშლის ნავთობსაბადოზე მომხდარ ტრაგედიას ოფიციალური მონაცემებით, ერთი ადამიანი ემსხვერპლა, 30 კი დაკარგულად მიიჩნევა. კიდევ 32 პირი მაშველებმა გადაარჩინეს. გამოძიების ვერსიით, ნავთობპლატფორმაზე ხანძრის გაჩენის მიზეზი შტორმის დროს გაზის მილის დაზიანება გახდა. (პირველი რადიო)

# ᲞᲐᲢᲘᲛᲠᲔᲑᲘᲪ ᲗᲣ ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲛᲐ ᲨᲔᲘᲬᲧᲐᲚᲐ, ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲠᲐᲦᲐᲨᲘ ᲒᲕᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ, ᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡᲚᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲕᲪᲔᲗ ᲮᲔᲚᲤᲐᲡᲘ?!



უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ რუსთაველის თეატრში, მას შემდეგ, რაც მსჯავრდადებულების დადგმული სპექტაკლი – „ჩემი მძევალი ანგელოზები“ ნახა, მსჯავრდადებულები დააჯილდოვა და განცხადება გააკეთა.

– ვფიქრობ, რომ პატრიარქს უნდა ჰქონდეს უფლება, შეიწყალოს პატიმრები და ბრალდებულები. ამაზე ვისაუბრეთ პრემიერ-მინისტრთან და ალბათ, პრემიერი დააყენებს ამ საკითხს, – ბრძანა უწმინდესმა. (რეპორტიორი)

არა, რაღა უნდა აკეთოს ამ ჩვენმა პრეზიდენტმა, თუ პატიმრების შეწყალებასაც პატრიარქს გადაულოცავენ, ძალიან გვაინტერესებს? საზღვარგარეთ მის გაშვებაზე ერთი გამიშვი-გაგიშვია ხოლმე, ოფიციალურ დოკუმენტებზე ხელი პრემიერმა უნდა მოაწეროსო. მარტო უცხოელი სტუმრების დასახვედრად თუ გინდათ პრეზიდენტი მთელი თავისი ადმინისტრაციითა და მრჩეველ-დამრიგებლებით, არ გეცოდებათ ბიუჯეტი, არ გეცოდებათ ის ხალხი, ვისი წყალობითაც ბიუჯეტი ივსება? თუ გინდათ, რომ ყველანაირი ფუნქცია ჩამოერთვას პრეზიდენტს, ადექით, საბოლოოდ გააუქმეთ ეს ინსტიტუტი, შექმენით სტუმარმასპინძლობის სამინისტრო ერთადერთი თანამშრომლით – მინისტრით, რომელიც უცხოელ სტუმრებს ხელსაც ჩამოართმევს და არც ღიმილს დააყვედრის. წარმოგიდგენიათ, რამდენი ათასი ლარის დაზოგვა მოხერხდება ამის ხარჯზე?

**ისე, ცოტა არ იყოს, უცნაური კია, რატომ გაუჩნდა უწმინდესს ასეთი ინიციატივა — შეწყალების კომისიაში ხომ ისედაც შედის სასულიერო პირი? ისედაც ხომ უწევს ხოლმე პატრიარქი რეკომენდაციას მსჯავრდადებულებს? ვითომ უკმაყოფილოა იმით, რომ მარგველაშვილი მის თხოვნებს არ ითვალისწინებს ხოლმე?**

**ასეა თუ ისე, პატრიარქის ეს ინიციატივა გაჟღერდა და წამოვიდა ფამილარობის კასკადი — პრემიერმა პრეზიდენტსა და პარლამენტს მიმართა, საკითხის შესწავლა დაიწყეთო.**

– სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე ქართველი ერის სულიერი წინამძღვარია და მისი რჩევა ყველა ადამიანისთვის მნიშვნელოვანი და ღირებულია, – აცხადებს ირაკლი ღარიბაშვილი.

კი, ბატონო, სულიერი წინამძღვარი ნამდვილად არის პატრიარქი და მისი ყველა რჩევა ღირებულია, მაგრამ ჩინოვნიკებმა რაღა უნდა აკეთოთ, რისთვის გიხდით ამხელა ხელფასებს ხალხი, გვიპასუხებთ?!

**ან ვთქვათ, თუ პრეზიდენტმა შეცდომა დაუშვა და რომელიმე ისეთი პატიმარი გაათავისუფლა, რომელიც არ იმსახურებდა შეწყალებას, პასუხს უმკაცრესად მოსთხოვს საზოგადოება და ვაიდა პატრიარქის შეწყალებულმა მსჯავრდადებულმა არ გაამართლა, მერე რა ხდება, უწმინდესს უნდა დაუპირისპიროთ ათასი ჯურის ჩასაფრებული?!**

**ილია მეორე იმდენად კეთილი და შემწყნარებელია, რომ შეეძლოს, ალბათ, ყველა ციხის კარს გახსნიდა და ყველას შეუნდობდა დანაშაულს, მაგრამ სახელმწიფო ასე არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოიქცეს!**

**ინიციატივას გამოეხმაურა სასჯელაღსრულების მინისტრი ᲙᲐᲮᲐ ᲙᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ:**

– მეც მიმაჩნია, რომ პატრიარქს უნდა ჰქონდეს ეს უფლება. ერის წინამძღვარია. მასზე ბრძენი ადამიანი არ ვიცი, ვინ არის, ამიტომ ნამდვილად უნდა ჰქონდეს მას შეწყალების უფლება, – განაცხადა კახა კახიშვილმა.

თბილისის მერი დავით ნარმანია კი მიიჩნევს, რომ ილია მეორეს ინიციატივა შეწყალების უფლების პატრიარქისთვის მინიჭების თაობაზე, ყურადსაღებია. დედაქალაქის მერი ამბობს, რომ ის აუცილებლად უნდა დაექვემდებაროს შემდეგ განხილვებს ხელისუფლებაში და ამის საფუძველზე უნდა იყოს გადაწყვეტილება მიღებული.

ერთადერთი, ვინც ამ ეტაპზე პატრიარქის ინიციატივა არ მოიწონა, „რესპუბლიკური პარტიაა“. „ნეტგაზეთთან“ საუბრისას **ᲚᲔᲕᲐᲜ ᲑᲔᲠᲫᲔᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ** აცხადებს, რომ პატრიარქის სურვილი, ჰქონდეს პატიმრის შეწყალების უფლება, ბუნებრივია, მაგრამ სამართლებრივი თვალსაზრისით სრულიად გაუმართლებელი.

– მე, რა თქმა უნდა, მხარს არ დავუჭერდი, რადგან საქართველო არის რესპუბლიკა, სეკულარული სახელმწიფო და აქ პატრიარქის, მუფტის თუ დალაი ლამას ავტორიტეტი არაფერ შუაშია. პოლიტიკოსი, რომელიც ასეთ წინადადებას მხარს დაუჭერს, ან საერთოდ არ ფლობს ინფორმაციას სახელმწიფო მოწყობის შესახებ, ან აპირებს, თეოდიცეური გადატრიალება მოახდინოს, ფაქტობრივად, ურწმუნო და ფარისევლური მოტივებით, – აცხადებს ბერძენიშვილი.

**რა ვქნათ, ვეთანხმებით ლევან ბერძენიშვილს, რომ მხარდაჭერა ამ ინიციატივას სწორედ ფარისევლური მოტივებით გამოუცხადეს, რადგან პატრიარქის სიტყვა ასობით ათასი მორწმუნისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, ეს ასობით ათასი მორწმუნე კი პოტენციური ამომრჩეველია...**

ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲛᲔᲓᲘᲐ-ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲛᲔᲓᲘᲐ-ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲛᲔᲓᲘᲐ-ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

## ბახტრიონზე აღმოჩენილ ასაფეთქებელ მოწყობილობას ექსპერტიზა უტარდება




ბახტრიონის ქუჩაზე აღმოჩენილ ასაფეთქებელ მოწყობილობას ექსპერტიზა უტარდება. ექსპერტიზის პასუხი, სავარაუდოდ, უახლოეს დღეებში გახდება ცნობილი.

ავტომობილზე მიმაგრებული ასაფეთქებელი მოწყობილობა შაბათს, 5 დეკემბერს, აღმოაჩინეს, რის შემდეგაც ტერიტორიაზე რამდენიმე საათის განმავლობაში შს სამინისტროს წარმომადგენლები მუშაობდნენ. გავრცელებული ინფორმაციით, ავტომობილი, რომელზეც ასაფეთქებელი მოწყობილობა იყო დამაგრებული, ერთ-ერთ ადგილობრივ მცხოვრებს ეკუთვნოდა. (ნიუპოსტი)

# ნუთუ, „ოცნებას“ ორი თავი აქვს?

## თუმცა არა, თუ ეს ინიციატივა დაკანონდა, საბოლოოდ დავრწმუნდებით, რომ ამჟამინდელ ხელისუფლებას ორი თავი კი არა, ტვინის ნატამალიც კი არ გააჩნია!!!

მიხეილ სახვაძე
599 93-28-03

*ახლა ვფიქრობ, წერა ნიშნის მოგებით დავიწყო, რომელიც „ნაცმოძრაობისკენ“ იქნება მიმართული, თუ „ოცნებას“ მივუთითო კიდევ ერთხელ, რომ ხალხის მოთმინებაზე თამაში უგუნურებაა და შეიძლება ცუდად დამთავრდეს? პრინციპში, ორივე შემთხვევაში მართალი გამოვდივარ — პოლიტიკურად გაკოტრებულმა და ნულად ქცეულმა „ნაცმოძრაობამ“ აქციაზე, რომელსაც თვეების მანძილზე გეგმავდა, ამდენი ხალხის გამოყვანა, უბრალოდ, ვერ მოახერხა. რაც შეეხება პოლიტიკური გაკოტრების გზაზე მდგარ „ქართულ ოცნებას“, მან ერთ-ერთი პირველი სერიოზული პროტესტი იწვნია და რაც მთავარია, ეს აქცია სულ ორ დღეში დაიგეგმა, თანაც — სპონტანურად, მხოლოდ სოციალური ქსელის მეშვეობით.*

*დარწმუნებული ვარ, გამოხტება მინიმუმ ერთი ადამიანი მაინც, წაიგრძელებს ენას და იტყვის — ეს ამდენი ხალხი ცხინვალში წასულიყო ომში და იქ ეომა, თუ მაგრები არიანო. თქვენ წარმოიდგინეთ, ეს ჩემი მოსაზრება აქციის მონაწილეებთან „წამომცდა“ და შესაბამისი პასუხიც მივიღე: ერთმა მაღალმა, აშკარად კარგად ნავარჯიშებმა, არც ისე ასაკიანმა მამაკაცმა სვიტრი აიწია და გამწარებულმა შემომყვირა: „ბოზის შვილი ვიყო, თუ სახე არ ავაძრო, ვინც მაგას იტყვის — სამი სასიკვდილო ჭრილობა მივიღე 2008 წლის ომში და რაღაც სასწაულით გადავრჩი. ახლა ეს სირობა მოიფიქრეს! ომის ვეტერანი ვტაქსაობ და ამის საშუალებაც უნდა მომისპონ?!“*

არა, მეგობარო, მე ტყუილად გამიბრაზდი და არც ტაქსაობის საშუალება მოგესპობა. ნუ, ყოველ შემთხვევაში, სანამ ეგ მარჯვენასაჭიანი გაგიძლებს, იტაქსავებ, მაგრამ ცოტა ხანში უკვე მოგიწევს ჯიბეში ხელის ჩაყოფა და სხვა, ბევრად უფრო ძვირიანი მანქანის შეძენა...

სხვადასხვა მონაცემით, 6 დეკემბერს მხოლოდ თბილისში გამართულ და ვიმეორებ – სპონტანურად ორგანიზებულ საპროტესტო აქციაში დაახლოებით 500-600 ავტომობილის მძღოლი მონაწილეობდა. ავტომობილები ერთ ზოლში იუსტიციის სახლიდან თამარ მეფის ხიდამდე იყო ჩამწკრივებული და კიდევ ბევრი მანქანა ვერ დაეტია ორგანიზებულ მწკრივში. ასევე, აქცია გაიმართა ქუთაისშიც. მართალია, შედარებით ნაკლებად მასშტაბური, მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისი და პირველი მცდელობა იყო...

ენის ფხანას შეჩვეულები იმასაც იტყვიან, ალბათ, ამდენი საშინელება ხდება ქვეყანაში და სანამ პირადად არ შეეხო ხალხს პრობლემები, მანამდე ყურები არ გამოიჩიჩქნესო. რას ვიზამთ, შესაძლოა, ზოგჯერ არასათანადოდ აქტიურები ვართ ხოლმე, მაგრამ თავისი დრო აქვს ყველაფერს, ჩემო – სჯობს გვიან, ვიდრე არასდროსო, ხომ გაგიგიათ, არა?!.

ისე, თავადაც მარჯვენასაჭიანი ავტომობილი მყავს – იაპონური მინივენი, რომელიც მე და ჩემს ოჯახს ერთგულად გვემსახურება – უმცროსი შვილის ეტლიც ეტევა, უფროსი შვილის სათამაშოებიც, ტანსაცმელიც და მოკლედ, ძალიან კომფორტულად ვგრძნობთ თავს. მარჯვენასაჭიანი მინივენი შარშან ზაფხულში ვიყიდე და თავიდან, ცოტა არ იყოს, ვშიშობდი, რომ გამიჭირდებოდა მისი მართვა. საბედნიეროდ, შევცდი – არანაირი სხვაობა არ აქვს, რომელ მხარეს ექნება მანქანას საჭე, მთავარია, გიჟივით არ ატარო, ავარიული სიტუაციები არ შექმნა და ასე შემდეგ. ჰო, ვაღიარებ, ძალიან მინდოდა მარცხენასაჭიანი ავტომობილის ყიდვა, მაგრამ ვერ გავქაჩე, მიზეზი ყველასთვის ნაცნობია – თანხა არ მეყო.

მოკლედ, საპროტესტო აქციის მონაწილეები უსაზღვროდ უკმაყოფილოები არიან შს სამინისტროს ე.წ. საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების პროგრამით, რაც უნდა თუ არ უნდა, „ქართულმა ოცნებამ“ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, არჩევნები მოგვდგომია კარს და ესეც რომ არ იყოს, თვით მიხეილ სააკაშვილიც კი ერიდებოდა სოციალურ აფეთქებას და ნუთუ, „ოცნებას“ ორი თავი აქვს? თუმცა არა, თუ ეს ინიციატივა დაკანონდა, საბოლოოდ დავრწმუნდებით, რომ ამჟამინდელ ხელისუფლებას ორი თავი კი არა, ტვინის ნატამალიც კი არ გააჩნია!!!

საინტერესოა, რომ 6 დეკემბრის აქციაში მხოლოდ მარჯვენასაჭიანი ავტომობილების მძღოლები არ მონაწილეობდნენ – მრავლად იყვნენ „მემარცხენეებიც“, რომლებიც „შენიღბული პატრულის“ შესახებ გახმაურებულ ინიციატივას აპროტესტებდნენ.

**„კვირის ქრონიკა“ აქციის ერთ-ერთ ორგანიზატორს, საინიციატივო ჯგუფის წევრ გურამ ზურაბაშვილს სამომავლო გეგმების შესახებ ესაუბრა:**

– ვნახოთ, დაველოდებით, რა რეაქცია ექნებათ, რას იტყვიან ოფიციალური პირები და იმის მიხედვით ვიმოქმედებთ. თუ არ გაითვალისწინეს ჩვენი მოთხოვნები, გაცილებით მასშტაბურ აქციებს გავმართავთ.

**— შს მინისტრის მოადგილე უკვე გამოეხმაურა აქციას და ჭკუა დაგარიგათ — არავინ არაფერს გართმევთ, ტყუილად ნერვიულობთო.**

– როგორც ვიცი, ეს მან „ფეისბუკით“ განაცხადა. მაინც იმედი გვაქვს, რომ ოფიციალური განცხადება განსხვავებული იქნება. თუ არა, თბილისშიც და სხვა ქალაქებშიც მასშტაბური აქციები დაიწყება.

**— გურამ, რა მოთხოვნები გაქვთ სიახლის ავტორებთან?**

— ჩვენს საინიციატივო ჯგუფში შედის უამრავი სპეციალისტი, არაერთი ავტოკლუბი, რომელთაც კომპეტენტური აზრი აქვთ ამ სიტუაციასთან დაკავშირებით. ჩვენ ვითხოვთ, საკითხზე მუშაობა დიალოგის რეჟიმში წარიმართოს, თუმცა კატეგორიული მოთხოვნაა, მარტიდან მარჯვენასაჭიანი ავტომობილების რეგისტრაცია არ აიკრძალოს.

**მოკლედ, ვნახოთ, დაველოდოთ, რას იზამს ხელისუფლება, რას განაცხადებს, თუმცა მე პირადად, სამწუხაროდ, დიდი ეჭვი მაქვს, რომ, როგორც ხდება ხოლმე, ხალხის აზრს ფეხებზე დაიკიდებს. ჰოდა, რა მოჰყვება ამას, დრო გვაჩვენებს...**

6 დეკემბრის აქციაზე მამაკაცები კი სჭარბობდნენ, მაგრამ არც ქალი მძღოლების ნაკლებობა იყო. გარდა ამისა, ბევრი აქციაზე შვილებთან ერთად იყო მისული – იმის ხაზგასასმელად, რომ ავტომობილი არა იმდენად ფუფუნების საგანია, არამედ ოჯახის წევრებისთვის ელემენტარული პირობების შექმნის საშუალება.

**სამწუხაროდ, აქცია ფეხებზე დაიკიდეს „ფეისებმა“ — ეტყობა, მაგათ ყველას მარცხენასაჭიანები ჰყავთ. ერთადერთი, ვინც ცნობილი სახეებიდან აქციაში მიიღო მონაწილეობა, იუმორისტი ნიკა ქავთარაძე გახლდათ, რომელსაც შს სამინისტროს სიახლეზე საკმაოდ საინტერესო მოსაზრება აქვს:**

– მთავრობა საუბრობს სამ პრობლემაზე – რომ არის საცობები, ეკოლოგიური პრობლემები და ზოგადად, მოძრაობის უსაფრთხოება. და ამ სამი პრობლემის მოგვარებას იწყებენ მარჯვენასაჭიანების აკრძალვით. ადამიანებს აბნევენ და ეუბნებიან, რომ ვინც არის, იმას კი არ ვუშლით, არამედ ახლების რეგისტრაცია აღარ იქნებაო. ჯერ ერთი, იმ სამ პრობლემას პირდაპირი კავშირი საერთოდ არ აქვს მარჯვენასაჭიანებთან. მაგ ლოგიკით შეიძლება სხვა ტიპის მანქანების აკრძალვა დაიწყონ, მაგრამ ეს გამოიწვევს ძალიან დიდ სოციალურ პროტესტს, რადგან ხალხს უჭირს და როცა ხალხს უჭირს და რაღაც შეზღუდვებს უწესებ, მინიმუმ არასწორია. მეორე საკითხი – ეკოლოგიისთვის მარჯვენასაჭიანი იაპონური მანქანები ბევრად უფრო ნაკლებად მავნეა, ვიდრე ევროპული მანქანები ძალიან დიდი გარბენით და მესამე – საფრთხის თემა.

**წარმოიდგინეთ, რას ამბობენ: ვისაც ჰყავს მარჯვენასაჭიანი ავტომობილი და ასეთი შეიძლება ასეულობით ათასი ადამიანია, ამათზე ამბობენ, ესენი ჯანდაბასო, დაიმტვრნენო, მაგრამ სამაგიეროდ ახლებს გადავარჩენთო.**

მოკლედ, იმდენად აზრზე არ არიან, პრობლემები როგორ გვარდება, რომ ასე უაზროდ იწყებენ მოქმედებას. საერთოდაც, ძალიან მიკვირს, რატომ არ შექმნეს კომისია, რომელიც ამ ყველაფერს შეისწავლიდა და მერე მიიღებდა ზომებს.

სხვა მხრივ, ჩვენ ვართ ჭკვიანი, ადეკვატური მძღოლები, რომლებსაც გვაწუხებს საცობებიც, ეკოლოგიაც, ავარიებიც, მაგრამ სტატისტიკის წარმოება არ ხდება, რა საფრთხეებს უქმნის მოძრაობას გარემოს მარჯვენასაჭიანი ავტომობილი. აქედან გამომდინარე, მგონია, რომ ეს არის უტვინო გადაწყვეტილება, რომელიც დაარტყამს საშუალო ფენას, რომელსაც ყოველ შემთხვევაში, აქამდე ნამდვილად ჰქონდა კარგი, გამართული ავტომობილის ყიდვის საშუალება და იძულებულს გახდიან ამ ხალხს, უფრო ცუდი მანქანები იყიდონ.

**— ვფიქრობ, შსს-ს ინიციატივაში დასაგმობი და მიუღებელი მხოლოდ მარჯვენასაჭიანების აკრძალვა არ არის. მეორე კატეგორიულად მიუღებელი სიახლეა „შენიღბული პატრული“...**

– საერთოდ, ნებისმიერი ტიპის ასოციაციები, რაც ადამიანებს უჩნდებათ „გაისთან“ მიმართებაში, ყველაფერი არის ცუდი და სწორედ ასეთია ფარული პატრულირება. მახსოვს, ადრე, კომუნისტების დროს როცა რაღაცას არღვევდი მართვის მოწმობას გიხვრეტდნენ. მაშინ ჯარიმა რაღა საჭიროა, ხო? ვინმე თუ არღვევს, ის ჯარიმდება რაღაც ოდენობით. შეიძლება ჯარიმების ოდენობა განმეორების შემთხვევაში გაიზარდოს, არ ვიცი, მაგრამ ესეც მოსაფიქრებელია. მთავარი პრობლემა არის ის, რომ ქვეყანას, დედაქალაქს არ ჰყავს ხელმძღვანელობა, რომელიც მოძრაობაზე, მის განტვირთვაზე იფიქრებს, იზრუნებს, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტი გამართული იყოს.

ვინ ქმნის დღეს საცობებს? ვინ და „მარშრუტკები“, რომლებიც ზოლებში დახტიან, სადაც უნდათ, იქ აჩერებენ. საცობებს ქმნიან ავტობუსები, რომლებიც აქეთ-იქით რიგში დადიან და ერთმანეთს ასწრებენ — შეიძლება ავტობუსები ერთმანეთს „ეგონკაონ“?! კიდევ ერთი — ეკოლოგიურ საფრთხეებსაც, დიახ, ავტობუსები ქმნიან. ამას მიხედონ, გზებს მიხედონ, ინფრასტრუქტურას მიხედონ, იპოვონ მოძრაობის განტვირთვის სხვა გზები და ნელ-ნელა, როცა ეკონომიკა ფეხზე დადგება, მერე დაიწყონ ავტომობილების შეზღუდვა საჭის მხრივ იქნება ეს, თუ გამონაბოლქვის!..

**როგორც გითხარით, აქციაზე ქალი მძღოლების ნაკლებობაც არ იყო. ერთ-ერთი ქალბატონი ნანა გახლავთ, რომელიც „კვირის ქრონიკასთან“ საუბარში აცხადებს:**

– ვფიქრობ, რაღაცა ყურით მოთრეული პრობლემაა, საბაბია, უბრალოდ, რა.

მე პირადად მძღოლობის 16-წლიანი გამოცდილება მაქვს, ყველანაირი მანქანა მყოლია — „სავეცკით“ დაწყებული, და მერე ევროპულები. რამდენიმე წლის წინათ „გოლფი“ რომ ძალიან მაგარ მანქანად ითვლებოდა, ყოველ მესამე-მეოთხე დღეს, კვირაში ერთხელ მაინც, პროფილაქტიკაში მისვლა მიწევდა. ახლა შედარებით იაფად ვყიდულობთ! რა, არ გვინდა, რომ მარცხენასაჭიანი მანქანები გვყავდეს? მაგრამ შედარებით იაფად ვყიდულობთ, „ეტა რაზ“ და მეორე — იაპონური ბრენდები, რომელთა რეგისტრაცია საქართველოში აღარ მოხდება, „გადაშენდება“, ხო? მერე რით გინდა გაფუჭებულ მანქანას დაეხმარო? მესამე — გაძვირდება აუცილებლად და მოგვიწევს ისევ 1997, 1998 წლებში გამოშვებული დაჟანგებული მანქანების ყიდვა, რომელიც მერე ტექდათვალიერებას ვერ გაივლის, ჯარიმების გადახდა მოგვიწევს და ეს ყველაფერი ბიუჯეტის შევსებისთვის! უსაფრთხოებას რაც შეეხება, ვფიქრობ, მარჯვენასაჭიანის მძღოლები გაცილებით დიდი ყურადღებით დავდივართ ქალაქში, ვიდრე სხვა დანარჩენები. ჰო, ყველაზე მთავარი. ეს რა მოიფიქრეს — შენიღბული პატრული?! ეგ არის ყველაზე დიდი კოშმარი — „გაიშნიკებივით“ ჩასაფრებული რეიდები ხის ქვეშ, მერე ჯარიმები და რაღაცა საშინელებები. კი, თანახმა ვარ, წესების დამრღვევი დაჯარიმდეს, ოღონდ ჩასაფრების გარეშე, აბა, სხვას რას გვიკეთებს პატრული, რა მოვალეობა აქვს?!

**ზურაბ საამიშვილი მარცხენასაჭიანი ავტომობილის მფლობელია, თუმცა ამბობს, რომ საჭის მდებარეობას სულაც არ აქვს მნიშვნელობა, თუ მძღოლი გაწონასწორებული და კანონმორჩილია:**

– ამ ეტაპზე მარცხენასაჭიანი მანქანა მყავს, მაგრამ არაერთი მარჯვენასაჭიანი მყოლია და ძალიან კარგად ვიცი, რომ არანაირ საფრთხეს მარჯვენასაჭიანი ავტომობილი არ ქმნის არც ქალაქში და არც ქალაქგარეთ.

**გადასატან რადარებსა და თვალთვალს რაც შეეხება, ჩემი აზრით, ეს ისედაც იყო და ხდებოდა, უბრალოდ, ახლა ველარ მალავენ და გაოფიციალურება უნდათ...**

**და კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც საკმაოდ ბევრი ადამიანის ოჯახს დაარტყამს — იაპონური მანქანებით მოვაჭრე დილერები. „კვირის ქრონიკას“ ამ თემაზე თბილისელი დათო ძიძიგური ესაუბრა:**

– რამდენიმე წელია, რაც ავტომობილების ბიზნესში ვარ და სრული პასუხისმგებლობით შემიძლია გითხრათ, რომ ბევრად გამართულია იაპონური მანქანები, თუნდაც ამერიკულთან შედარებით, დახვეწილია, კატალიზატორიც ყველას აქვს, იაფიანია, ხარისხიანი და ასე შემდეგ. თან რა ხდება, იცით? ამდენი ხალხი „ჩალიჩობს“, ბიზნესმენობს და ამბავი. ისედაც აღარ იყიდება მანქანა და მხოლოდ ძვირად ღირებული მანქანების შემოყვანა თუ მოგვიწია, მერე ოჯახები რით უნდა ვარჩინოთ, ამაზე არ უფიქრიათ ამ დეგენერატობის მომგონებს?!












**„ბოზის შვილი ვიყო, თუ სახე არ ავაძრო, ვინც მაგას იტყვის — სამი სასიკვდილო ჭრილობა მივიღე 2008 წლის ომში და რაღაც სასწაულით გადავრჩი. ახლა ეს სირობა მოიფიქრეს! ომის ვეტერანი ვტაქსაობ და ამის საშუალებაც უნდა მომისპონ?!“**

მიხეილ სახვაძე
599 93-28-03



შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი მღებრიშვილი საქართველოს მთავრობის წევრებს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების კამპანიაში იწვევს. შს მინისტრი ვიდეომიმართვას ავრცელებს, რომლითაც მთავრობის წევრებს საკუთარი შვილებისა და მომავალი თაობის უსაფრთხოების დაცვისკენ მოუწოდებს.

***— ჩვენი მომავლისთვის, შვილებისთვის, მოსახლეობის უსაფრთხოებისთვის, შინაგან საქმეთა სამინისტრო იწყებს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების პროგრამას, რომელიც ვერ იქნება შედეგიანი და ნაყოფიერი, თუკი მას არ ექნა თითოეული თქვენგანის მხარდაჭერა.***

***სწორედ ამიტომ მე კამპანიაში მონაწილეობის მისაღებად ვიწვევ საქართველოს მთავრობის თითოეულ წევრს, — აცხადებს შს მინისტრი ვიდეომიმართვაში.***

სასტიკად მტკივნეულ და საფრთხილო თემას კი ეპოტინებით, ბატონო მინისტრო, ათობით ათასი ადამიანისთვის მტკივნეულ თემას, რაც მინიმუმ – თქვენ, მაქსიმუმ კი მთელ „ქართულ ოცნებას" ძალიან ძვირად დაუჯდება და ახლავე პუნქტ-პუნქტ ჩამოგიყრით, რატომ:

1. თუ მართლა გინდათ საგზაო მოძრაობა უსაფრთხო იყოს, გიორგი ბატონო, „ხელთუქმნელი" და „ყველგანმყოფი" „შკოდების" მძღოლებს მიხედეთ – ძალოვანი უწყებების იმ თანამშრომლებს, რომლებიც საიდან გამოხტებიან, საიდან აგიქცევენ გვერდს და თავზე გადაგივლიან, თვით ნოსტრადამუსიც კი ვერასოდეს მიხვდებოდა.

აი, ამ „შკოდელებს" სულ ფეხებზე ჰკიდიათ ღვედიც, ღერძულა ხაზიც, წითელიც და „ვაფშე" ყველაფერიც! ფიქრობენ, რომ მათ ყველაფრის უფლება აქვთ და პრინციპში, ასეცაა – აბსოლუტურად ყველა წესსა და კანონს არღვევენ! ვერ დაგვაჯერებთ, გიორგი ბატონო ვერც თქვენ და ვერც ვერავინ, რომ ისინი ყოველთვის ოპერატიულ დავალებაზე გარბიან და ამიტომ ქმნიან უკიდურესად საშიშ ავარიულ სიტუაციებს.

2. „შუსუსუში" თქვენ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროდან გადახვედით, გადასარევად გვახსოვს, ანუ „ციხის მინისტრი იყავით". ჰოდა, ციხის მინისტრს, ბუნებრივია, ევალება, ამაში უხდის ხალხი ფულს, რომ მაქსიმალურად აკონტროლოს ყველა პატიმარი – ერთმანეთი რომ არ გალახონ, დაასახიჩრონ, გაქცევა ვერ შეძლონ.

და რა გგონიათ, ახლა რომ შს მინისტრი ბრძანდებით, პატიმრებივით უნდა გვაკონტროლოთ და გვითვალთვალოთ?! მაშ, ეს შენიღბული პოლიციელი და რადარი რა ბედენაა, რატომ გინდათ, ყველა ნაბიჯი გვიკონტროლოთ, რაც მთავარია – რა უფლებით?!

ბარემ გამოდით და პირდაპირ გვითხარით – თქვენ ხართ მონები და როგორი დილიხორიც გვექნება, ისე მოგექცევით, რაც მოგვეხუშტურება, იმას გიზამთ, ხმის ამოღება არ გაბედოთ არავინო!..

ჰო, ისა, პატივცემულო მინისტრო, გაითვალისწინეთ, ჩვენ პატიმრები არ ვართ, ჩვენ ვართ მოქალაქეები, ჩვენზე დგას ქვეყანა, ჩვენ გიხდით თქვენ ფულს, ჩვენ ვართ სახელმწიფოს ხერხემალი და თუ მის გადატეხას შეეცდებით, კარგი ეს არავისთვის იქნება. ხერხემლის დაზიანება რომ მთელ ორგანიზმს უუნაროს ხდის, თუ თავად არ იცით, დავით სერგეენკოს ჰკითხეთ, ის აგიხსნით!..

3. ვიდეომიმართვაში ფერიასავით ლამაზი ბავშვი გიკავიათ ხელში, გიორგი ბატონო, რომელიც იმედია, ისეთ საქართველოში იცხოვრებს, სადაც არ იქნება ტოტალური თვალთვალი, იცხოვრებს ისეთ საქართველოში, რომელსაც არ ეყოლება მთავრობა, რომელიც ყველაფერს თავისი ხუშტურების მიხედვით აკეთებს და ხალხის აზრი ფეხებზე ჰკიდია.

და იცით, თქვენ რამდენი ასეთი ანგელოზი ელოდება ხოლმე იმ მამებს, რომლებიც დღე და ღამეს ასწორებენ ტაქსაობით, რომ შვილებს ელემენტარული პირობები შეუქმნან? რამდენი ანგელოზი პატარას მამა ყიდულობს მარჯვენასაჭიან ავტომობილს იმ მიზეზით, რომ იაფია ასეთი მანქანები და ოჯახის რჩენისთვის მხოლოდ ეს გზაღა აქვს დარჩენილი? და ასეთი პატარა ანგელოზების მამებს გინდათ, რომ ტაქსაობის საშუალებაც კი მოუსპოთ და სიცოცხლე გაუმწაროთ?! იცით, თქვენ, გიორგი ბატონო, რა მძიმე მოსასმენია, როცა შვილი ცარიელი თვალებით შემოგხედავს და გეტყვის: „მშია, მამიკო" და შენ ამ დროს ერთი თეთრი არ გიდევს ჯიბეში?! მერე შეშფოთებულები აცეცებთ ხოლმე თვალებს მთავრობის წევრები, წნუ, წნუ, წნუ ამდენი თვითმკვლელობა რატომ ხდებაო?!.

4. იმ ფონზე, როცა დაპირებული სამუშაო ადგილები ვერ შექმნა „ქართულმა ოცნებამ", ზოგიერთი რაღაცას მაინც ფაფხურობს, ახერხებს და ელემენტარულ პირობებს იქმნის მარჯვენასაჭიანი იაპონური ავტომობილის შეძენით, რომელიც, მოგეხსენებათ, იაფია. თუმცა თქვენ რა გგონიათ, არ აქვს ამ ხალხს გემოვნება და ვერ იყიდდა უახლესი თაობის ევროპულ ან ამერიკულ „გასისინებულ ტაოტიან" მანქანებს? აი, ისეთს, ხალხის ფულებით რომ ყიდულობს მთელი მთავრობა, პარლამენტი, საკრებულო, მერია და ბენზინსაც ხალხის ფულებით რომ ასხამს?

5. პრემიერი აღფრთოვანდა „შუსუსუს" ამ ინიციატივით, ის პრემიერი, რომელიც ქართველი ხალხის წყალობითაა თბილ სავარძელში მოკალათებული. ნუ, შეიძლება უფრო ბიძინა ივანიშვილის წყალობით, მაგრამ ივანიშვილმა ხომ ნამდვილად ხალხის გვერდში დგომით მოიპოვა 2012 წელს გამარჯვება, არა?

ჰოდა, რა ახარებს პრემიერ-მინისტრს, ხალხი რომ გამწარებულია და დანა პირს არ უხსნის? რა, კაცო, მხოლოდ ის არის მისთვის მთავარი, რომ ოღონდ ბიუჯეტის შევსების ხერხები გამონახოს მთავრობამ და ხალხი რას იტყვის, რა ეტკინება, რა ეწყინება, ფეხებზე ჰკიდია?! იმაზე რატომ არ ფიქრობს ბატონი პრემიერი, რომ 2016 წელსაცაა არჩევნები?! რა, ჰგონია, ისევე ადვილად გაიმარჯვებს „ქართული ოცნება", როგორც 2012 წელს?! თუ ასეა, ცდება, მაგრად ცდება და ვნახოთ – წიწილებს შემოდგომაზე ითვლიან ხოლმე, ბატონო ირაკლი, ბატონო გიორგი და რაღა თქმა უნდა, ბატონო ბიძინა!!!

## ჰოდა, რა ახარებს პრემიერ-მინისტრს, ხალხი რომ გამწარებულია და დანა პირს არ უხსნის?

**კი ჩაებმებიან მთავრობის წევრები მარჯვენასაჭიანი ავტომობილების აკრძალვის კამპანიაში, რატომაც არა?! მაგათ რა ენაღვლებათ, ხალხის ფულებით ნაყიდი უახლესი თაობის ჯიპებით დაშხუილობენ!!!**







**რამდენი ანგელოზი პატარას მამა ყიდულობს მარჯვენასაჭიან ავტომობილს იმ მიზეზით, რომ იაფია ასეთი მანქანები და ოჯახის რჩენისთვის მხოლოდ ეს გზაღა აქვს დარჩენილი? და ასეთი პატარა ანგელოზების მამებს გინდათ, რომ ტაქსაობის საშუალებაც კი მოუსპოთ და სიცოცხლე გაუმწაროთ?!**



# ჰიპერმარკეტ „გორგიაში" საახალწლო ფასდაკლებები დაიწყო

ჰიპერმარკეტ „გორგიაში" 3 დეკემბრიდან ასეულობით პროდუქტზე საახალწლო ფასები ამოქმედდა.

**– ყოველთვის ვცდილობთ, ჩვენი მომხმარებელი სხვადასხვა აქციებითა და ფასდაკლებებით გავანებივროთ. საახალწლოდ კი გადავწყვიტეთ ჩვენს ერთგულ მომხმარებელს გრანდიოზული ფასდაკლებები შევთავაზოთ.**

**ჩვენთან საძინებლის კომპლექტის შეძენა მხოლოდ 1318 ლარადაა შესაძლებელი და მისი შეძენის შემთხვევაში მომხმარებელი საჩუქრად მიიღებს გასაშლელ დივანს, რომელსაც საკმაოდ დიდი სათავსი აქვს და ამასთანვე, დივნის ორი ბალიში მოჰყვება. გარდა ამისა, ჰიპერმარკეტ გორგიაში შიდა კარის შეძენა 117 ლარიდანაა შესაძლებელი. ჩვენთან ასეულობით პროდუქტზე ფასდაკლებები დაიწყო, რომელიც მთელი თვის განმავლობაში გაგრძელდება და სხვადასხვა პროდუქტის შეძენა ყველაზე იაფადაა შესაძლებელი,** – აცხადებენ ჰიპერმარკეტ „გორგიაში".




ჰიპერმარკეტი „გორგია" სპეციალურად მათ, ვისაც საახალწლოდ თბილი კერა ჯერ არ მოუწყვია, ცენტრალური გათბობის სისტემას ყველაზე დაბალ ფასად სთავაზობს. „გორგიაში" კვადრატული მეტრის გათბობა 25 ლარიდანაა შესაძლებელი და რაც უფრო დიდია გასათბობი სივრცე, ფასი უფრო დაბლა იწევს. ამასთანავე, 50-მდე სახეობის გაზის გამათბობლის შეძენა 389 ლარიდანაა შესაძლებელი.

ლამინატის ფასი 11 ლარი და 40 თეთრიდან იწყება, ხოლო მათთვის, ვინც ახალ წელს ცვლილებებით ხვდება, შეუძლია, თეთრეულის კომპლექტი 11 ლარი და 50 თეთრიდან შეიძინოს, ხოლო საბნები – 15 ლარიდან.

**ეს იმ სააქციო პროდუქციის მოკლე ჩამონათვალია, რომელიც „გორგიაში" ყველაზე დაბალ ფასად შეგვიძლია შევიძინოთ.**

**აღნიშნული აქცია „გორგიას" სამივე ფილიალში თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში მთელი თვის განმავლობაში იმოქმედებს.**

მიხეილ სახვაძე
599 93-28-03



# „ვირს პიტნა არ უყვარდა და ცხვირში ტენიდნენო"... თუ საკუთარი მოქალაქეები ვირებად წარმოგიდგენიათ, პატივცემულო არჩილ, მაშინ იცოდეთ, რომ ვირმა წიხლი იცის!!! არჩევნებზე კი განსაკუთრებით...

**საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე არჩილ თალაკვაძე მარჯვენასაჭიანი ავტომობილების მფლობელების პროტესტს ეხმაურება:**

– მინდა მივმართო მემარჯვენე (საჭიანი) პროტესტის მონაწილეებს: ჩემო ძვირფასო თანამოქალაქეებო, მშვიდად ატარეთ თქვენი ავტოები, მათ არავინ ეხება. შეგიძლიათ, მომავალში გაყიდოთ და მარცხენით შეცვალოთ. შეგიძლიათ, სპორტული შეჯიბრისთვის გამოიყენოთ. ვისაც უკვე ნაყიდი გყავთ და გზაშია, ისინიც დაირეგისტრირებთ უპრობლემოდ. იაპონიიდანაც შეძლებთ მარცხენასაჭიანი მანქანების ჩამოყვანას ყოველთვის. თუ ვინმე მოგიწოდებთ იმის დასაცავად და მოსაპოვებლად, რაც უკვე გაქვთ – თქვენ შეცდომაში შეჰყავხართ. აქციაზე სჯობს, განიხილოთ რომელი ავტომობილებით უნდა იარონ თქვენმა შვილებმა ხვალინდელ საქართველოში? საით უნდა დაიგეგმოს მოძრაობა ჩვენს ქვეყანაში, თუკი ორივესაჭიანი მანქანები მალე გათანაბრდება? უნდა ვუყიდოთ თუ არა ცოლებს, ქმრებსა და შვილებს მარჯვენასაჭიანი ავტომობილი, როცა ჩვენ მარცხენასაჭიანს ვარჩევთ ჩვენთვის? თუ მარჯვენა/მარცხენას აღრევა გზებზე სრულიად უსაფრთხოა, მაშინ სხვა ქვეყნებმა რატომ არ შეურიეს ავტოპარკი აქამდე? ჩემს პირად სატრანსპორტო საშუალებას – მოტოციკლეტს, საჭე არც მარცხნივ აქვს და არც მარჯვნივ, თუმცა მაშინაც კი, როცა ავტომობილი ძალიან მინდოდა და ფული არ მყოფნიდა – მარჯვენასაჭიანი არ მიყიდია, რადგან ჩემი ქვეყანა მარცხენა სტანდარტს აღიარებდა. ღიად დაუჭირეთ მხარი საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების პროგრამას – ეს პროგრამა მხოლოდ მარჯვენასაჭიან მანქანებს არ ეხება და ბევრი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის გადარჩენა შეგვიძლია ერთად, – წერს არჩილ თალაკვაძე „ფეისბუკის" პირად გვერდზე.

(kvira.ge)

**თუ ხედავთ, ერთი, როგორი მაღალი მოქალაქეობრივი თვითშეგნების მატარებელი ყოფილა „შუსუსუს" მინისტრის მოადგილე — ფული რომ არ მყოფნიდა, მარჯვენასაჭიანი არ მიყიდია, რადგან ჩემი ქვეყანა მარცხენა სტანდარტს აღიარებდაო... იიი, რა მაგარია?!**

**სახალხო დამცველის მრჩეველი ყოფილხართ თავის დროზე და ნეტა, ამ პროგრამას რომ ამზადებდით, თუ დაეკითხეთ ომბუდსმენს, ხომ არ შეულახავდა ეს თქვენი ინიციატივა ათობით ათას ადამიანს საკუთრების უფლებებს? რადგან ადამიანის უფლებებში ჩახედული ყოფილხართ, მრჩეველი იყავით ბოლოს და ბოლოს, ალბათ, დაგვეთანხმებით, პატივცემულო მინისტრის მოადგილევ, რომ საკუთრების უფლება მხოლოდ ფლობასა და სარგებლობას არ ნიშნავს და განკარგვასაც გულისხმობს. ანუ, თუ ბაზარზე მოთხოვნას მუსრი გაავლეთ, შესაბამისად, ჩემი ქონების ნორმალურად განკარგვის საშუალებას მისპობთ, რა, არა?!**

**სწორედ ასეთი არგუმენტი დაგისახელათ თქვენს „ფეისბუკ"-გვერდზე ერთ-ერთმა მომხმარებელმა, რომელსაც უსუსტესი მოსაზრება დაუპირისპირეთ:**

**„მარჯვენასაჭიან მანქანებსა და მათ მესაკუთრეებს არ ვეხებით. არც მათ, ვისაც უკვე ნაყიდი ჰყავს და ჩამოსდის. ქვეყანაში გვაქვს მარცხენა საჭეზე დაგეგმილი მოძრაობა და ინფრასტრუქტურა და მარჯვენასაჭიანებზე გადავაწყოთ, თუ რა გამოსავალს ხედავ?"**

**ჯერ ერთი, თქვენი საგზაო ინფრასტრუქტურა არ გაიშვას, სად გვაქვს საგზაო ინფრასტრუქტურა, არჩილ ბატონო, დაგვცინით? ან თქვე დალოცვილო, განვითარებული ქვეყნების მარჯვენა-მარცხენა საჭიანების შეფარდების სტატისტიკას რომ იშველიებთ, იმათ საგზაო ინფრასტრუქტურამ რა გველ-ბაყაყი შეგიწვათ, რატომ ამაზე არაფერს ამბობთ, რატომ არ ამბობთ, რომ ევროპელებს უნდა გავუთანაბრდეთ ინფრასტრუქტურით და გავასწროთ კიდეცო?! ადექით, თქვე კაი ხალხო და როცა ასე განვვითარდებით, მერე რაც გინდათ, ის ქენით, ბიჭოს?!**

**ჰო, თქვენ იმასაც ამბობთ, თუ აღარ გენდომებათ მარჯვენასაჭიანი, ადექით და ვისაც გინდათ, იმას აჩუქეთო. იიი, მუქთა იყოს, კუბო იყოსო, არა?! და ვის რაღა ჯანდაბად ენდომება ავტომობილი, რომლის ნაწილებსაც ველარ იშოვის, რამე რომ გაუფუჭდეს? ჰო, ნაწილებად დაშლა და გაყიდვა არ იკრძალებაო, ეგ გავიგეთ, მაგრამ ისეთი ფასები დაედება ავტონაწილებს, შეძენა, უბრალოდ, შეუძლებელი გახდება. რატომ და იმიტომ, რომ ჯერ ერთი, მხოლოდ დასაშლელად ძალიან ცოტა თუ შემოიყვანს. ესეც რომ არ იყოს, უამრავი ავტომობილია, რომელსაც მარცხენასაჭიანი ანალოგი საერთოდ არ გააჩნია. ჰოდა, თუ სადმე შემორჩება ნაწილები, რა თქმა უნდა, იმას ცეცხლის ფასს დაადებენ!**

**ან ვის რას ვაჩუქებთ, რა თქვენი საქმეა, დავიჯეროთ, გგონიათ, რომ ისე ააყვავა „ქართულმა ოცნებამ" ქვეყანა, იმ დონემდე გაგვამდიდრა, ნაცნობ-მეგობრებისთვის მანქანების ჩამორიგება შეგვიძლია? თქვენ პირობები შეგვიქმენით და ვის რას ვაჩუქებთ, ჩვენ თვითონაც გადასარევად მოვიფიქრებთ!**





კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-ქრონიკა

## 6 წლის თამუნას კეთილი ხალხის დახმარება სჭირდება!



– მეგობრებო, მოგმართავთ თხოვნით – 6 წლის თამუნას ესაჭიროება კეთილი ხალხის თანადგომა. ძალიან გთხოვთ, გამოიჩინოთ გულისხმიერება – ბავშვს აქვს თავში კისტა, სითეთრის სახით, ვერ გადაადგილდება, ვერ მეტყველებს, ემართება კრუნჩხვები. ამ ყველაფერს კი ფონად ედება ის, რომ ოჯახს არ აქვს არანაირი მატერიალური შესაძლებლობა იმისა, რომ 6 წლის ბავშვს უმკურნალოს. თამუნა ტკივილსაც კი ვერ გადმოსცემს, მხოლოდ აცრემლებული თვალებით ხვდება დედა, რომ მის შვილს გაუსაძლისი ტკივილები აქვს. ის დედასთან და პატარა დასთან ერთად ქირით ცხოვრობს, რადგან მამამ ის ნაკლის გამო მიატოვა, მიუხედავად იმისა, რომ ბავშვის მოცემული მდგომარეობა მამის დაუდევრობის გამო მოხდა. ყოველდღე ბავშვის მდგომარეობა მძიმდება, ექიმთან მისასვლელი ფულიც არ აქვს. ოჯახი ცხოვრობს ქირით, აქვს მხოლოდ სოციალური დახმარება და ბავშვის პენსია, რაც მედიკამენტებსა და პამპერსსაც კი არ ჰყოფნის. თამუნას ესაჭიროება სასწრაფო დახმარება, რადგან მედიკამენტების არქონის გამო მისი მდგომარეობა დამძიმდა. ძალიან გთხოვთ, დაეხმაროთ პატარა თამუნას, ნუ გავწირავთ სასიკვდილოდ, ძალიან გთხოვთ!!!

ანგარიში „საქართველოს ბანკში" **GE14BG0000000900630900**0

საქველმოქმედო ნომერი: 0901700420; საკონტაქტო ნომერი: 557 60 00 37

# თბილისში სამი საავადმყოფოს მართვაზე, ფლობასა და ოპერირებაზე გამოცხადებულ ტენდერში ავსტრიული კონსორციუმი „ალფამედიკი" მონაწილეობს

**რესპუბლიკური საავადმყოფოს, ონკოლოგიური ცენტრისა და ბავშვთა ინფექციური საავადმყოფოს მართვაზე, ფლობასა და ოპერირებაზე გამოცხადებული ტენდერის მეორე ტურში მხოლოდ ავსტრიული კონსორციუმი „ალფამედიკი" გადავიდა. სრული დოკუმენტაცია ვადებში სწორედ აღნიშნულმა კომპანიამ წარადგინა.**

**ტენდერი რამდენიმე თვის წინათ საქართველოს ჯანდაცვის სამინისტრომ „გლობალური ალიანსის" რეკომენდაციითა და „საპარტნიორო ფონდის" დახმარებით გამოაცხადა, სადაც განაცხადი სამმა კომპანიამ წარადგინა, რომელთა შორისაც ერთი კანადური და ერთიც ქართული კომპანია იყო.**

ამ ეტაპზე სატენდერო პროცედურა, ჯერ კიდევ სრულად არ დასრულებულა. როგორც „საპარტნიორო ფონდში" აცხადებენ, მიმდინარეობს მოლაპარაკება და შეთანხმება კონკრეტულ დეტალებზე, მათ შორის, რამდენიმე ტექნიკურ საკითხზე, რომელიც სამომავლოდ ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოს მთავრობასა და პოტენციურ ინვესტორს შორის თანამშრომლობის წარმატებულად განხორციელებისთვის. საჭირო დოკუმენტაციის სრული პაკეტი და უფრო დეტალური ინფორმაცია, როგორიცაა ინვესტიციების მოცულობა, მხარეთა ვალდებულებები, მომზადების პროცესშია და ოფიციალური დოკუმენტი ჯერ არ გაფორმებულა, შესაბამისად, აღნიშნული სამი საავადმყოფოს რეკონსტრუქციის პროექტები და პროექტის განხორციელების ვადები ცნობილი იქნება მხოლოდ მას შემდეგ, რაც სატენდერო პროცედურა სრულად დასრულდება.

სატენდერო მოთხოვნების შესაბამისად, ზემოაღნიშნული 3 კლინიკა დაპროექტებული, აშენებული და/ან რეკონსტრუირებული უნდა იქნას ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად, მათ შორის, აღიჭურვოს მაღალხარისხიანი სამედიცინო ტექნოლოგიებით.



გამარჯვებულმა კონსორციუმმა უნდა უზრუნველყოს განხორციელებული პროექტის **JCI** სტანდარტების შესაბამისად აკრედიტაცია, ხოლო პერსონალისთვის ატესტაციის გავლა და სწავლება პერსონალის განვითარების სპეციალური პროგრამის შესაბამისად. მთელი პროექტი უნდა წარიმართოს გაერთიანებულ სამეფოში მიღებული ჯანდაცვის მოდელის მსგავსად. პირობების მიხედვით, გამარჯვებული კონსორციუმი ვალდებული იქნება **PPP**-ს პრინციპით, სახელმწიფოსთან ერთად მოახდინოს საავადმყოფოების მართვა, ფლობა და ოპერირება.

**„ჩვენი ხედვა გლობალურია და ჩვენი მიზანია, გავითვალისწინოთ საერთაშორისო გამოცდილება, რაც უკვე დაგროვდა კონსორციუმის წევრების მიერ და დავნერგოთ ჩვენი საქმიანობა ევროპის გარეთ, რათა უზრუნველვყოთ საზოგადოებრივ-კერძო პარტნიორობის (PPP) პროექტების წარმატებული განხორციელება. ეს არის ჯანდაცვის დონის ხანგრძლივ პერსპექტივაში ამაღლებისა და სტაბილურობის გარანტი. „ალფამედიკში" ჩვენ თავი მოვუყარეთ ისეთ პროფესიონალებსა და კომპანიებს, რომლებიც მზად არიან, 21-ე საუკუნის შესატყვისი ჯანდაცვის სისტემები მსოფლიოს ნებისმიერ ადგილას განავითარონ",** – ასეთია კონსორციუმის ხედვა საკუთარ საქმიანობასთან დაკავშირებით.

„ალფამედიკში" დარწმუნებულები არიან, რომ წარმატებით შეძლებენ ჯანდაცვის რეფორმის პროგრამების ეროვნულ დონეზე განხორციელებას. ასეთ პროგრამებში მიზნები შეიძლება მოიცავდეს მეორეული ჯანდაცვის საშუალებების რეაბილიტაციას ან ჯანდაცვის ინტეგრალური მოდელის განვითარებას, რაც მოიცავს პირველადი ჯანდაცვის ქსელის განვითარებასაც. ანალოგიური პროექტების მიზანია, გაჯანსაღდეს მოსახლეობა და გაუმჯობესდეს წვდომა ჯანდაცვაზე.

ტენდერი 3 საავადმყოფოსთან ერთად ითვალისწინებს ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისი ჯანდაცვის სისტემის პირველადი რგოლების ქსელის დაპროექტებას, მშენებლობას, კლინიკურ მომსახურებასა და ინფრასტრუქტურულ მართვასაც. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული დეტალები გათვალისწინებულია პროექტში. ტენდერში გამარჯვებული კომპანია რესპუბლიკური საავადმყოფოს, ონკოლოგიური ცენტრისა და ბავშვთა ინფექციური საავადმყოფოს მართვაზე, ფლობასა და ოპერირებაზე იქნება პასუხისმგებელი. იგეგმება საავადმყოფოების აღდგენა, რეაბილიტაცია და კადრების გადამზადება. ასევე, ახალი სამედიცინო სექტორის აღჭურვა.

**ცნობისთვის, „ალფამედიკი" ავსტრიული კონსორციუმია, რომელიც საზოგადოებრივ-კერძო (PPP) პარტნიორობის სრულ ციკლიან პროექტებს ახორციელებს. ისინი ამისთვის ჯანდაცვის სექტორის ევროკავშირის წამყვან პროვაიდერებთან თანამშრომლობენ. კონსორციუმის ყოველი წევრი ჯანდაცვის სფეროში დიდი გამოცდილების მქონე საიმედო პარტნიორია. ჯგუფის საქმიანობა კი ემყარება 4 ძირითად პრინციპულ მიმართულებას: დიზაინი და პროექტირება, კონსტრუქცია, ექსპლუატაცია და ოპერირება.**

**კონსორციუმის წევრები, საზოგადოებრივ-კერძო პარტნიორობის მთელ რიგ კომპლექსურ პროექტებზე, მსოფლიოში ყველაზე ავტორიტეტული საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროვაიდერებთან მუშაობდნენ. მათ შორის, – გაერთიანებული სამეფოს ნაციონალური ჯანდაცვის სამსახურთან. კონსორციუმის საქმიანობა ემყარება გაერთიანებული სამეფოს, დასავლეთ ევროპისა და მსოფლიოს სტანდარტებსა და გამოცდილებას.**

# ვინ არის ბეჟან ხურციძე — პოლიტიკოსი, სპორტსმენი თუ

## რას გვიყვება ბეჟან ხურციძის მიერ დაცხრილული დეპუტატი? რა საერთო ფედერაციის პრეზიდენტად არჩევის დროს? სპორტის სამინისტრო

ნინო სამხარაძე
599 71-14-22



სკანდალი ნიჩბოსნობის ფედერაციაში! რატომ უწოდებენ ქართული სპორტის ფურუნკულს ბეჟან ხურციძეს? როგორ დაუფასდა ამ კაცს ნიჩბოსნობის ფედერაციის პრეზიდენტობის 20 წელი? ვინ გაყიდა ფედერაციის ქონება და ვის ჯიბეში წავიდა 5 მილიონი დოლარი? რომელი ბაზის სანაცვლოდ მიიღო ბეჟან ხურციძემ „ვიპ" სასაფლაო? ღირდა კი სპორტული ნიჩბის გაცვლა მესაფლავის ნიჩაბში? თუ გავითვალისწინებთ, რომ ბეჟან ხურციძის კომერციულ სასაფლაოზე დაკრძალვა 10 000 დოლარიდან 30 000 დოლარამდე მერყეობს, ალბათ, ღირდა. დღეს სასაფლაოების ბიზნესი ყველაზე მომგებიანია. სიკვდილი ისეთი რამაა, რასაც ვერავინ ასცდება და შესაბამისად, ეს ყველაზე საჭირო და სარფიანი საქმეა, რომელიც ტრეფიკინგის, პროსტიტუციის, იარაღითა და ნარკოტიკებით ვაჭრობის ჩამონათვალში შედის. რატომ შიმშილობენ ფედერაციის მდიდარი პრეზიდენტის სპორტსმენები? ვინ და რატომ ითხოვს პრეზიდენტობიდან მის გადადგომას? ვინ არის ბეჟან ხურციძე – პოლიტიკოსი, სპორტსმენი თუ კრიმინალი? რატომ დაჭრა ცეცხლსასროლი იარაღით დეპუტატი და რამდენი წელი იხდიდა სასჯელს? რას გვიყვება ბეჟან ხურციძის მიერ დაცხრილული დეპუტატი? რა საერთო აქვს ხურციძეს ივანიშვილთან და როგორ გამოიყენა ბიძინა ივანიშვილის სახელი ფედერაციის პრეზიდენტად არჩევის დროს? რას პასუხობს „კვირის ქრონიკის" კითხვებს სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი ტარიელ ხეჩიკაშვილი და რა დასკვნას დადებს მონიტორინგის სამსახური? აქვე განვმარტავთ, რომ ინფორმაციების უმეტესობა ისეთმა ადამიანებმა მომაწოდეს, რომლებიც თავიან სფეროში ავტორიტეტებად მიიჩნევიან და ამიტომ, მათი მოსაზრება კონკრეტული წრეებისთვის მნიშვნელოვანია. ვაქვეყნებთ მათ მონათხრობს და არაფერს ვამტკიცებთ. მათმა უმეტესობამ ინკოგნიტოდ დარჩენა ისურვა, თუმცა, აუდიოჩანაწერები რედაქციაში ინახება.

### ბეჟან ხურციძის პოლიტიკურ-სპორტულ-კრიმინალური ანატომია

ყველა ხელისუფლების მედროშე და ჩოხოსანი „ყვარყვარე" ახერხებს, რომ მუდმივად ზედაპირზე იტივტივოს. მიუხედავად იმისა, რომ ვანის მაჟორიტარულ არჩევნებზე გამარჯვებული კანდიდატი ომარ ბაზიარი სასიკვდილოდ გაიმეტა და ორივე ფეხში დაჭრა, კრიმინალურ წარსულს მისთვის ხელი არ შეუშლია, პოლიტიკური საქმიანობა სხვადასხვა პარტიაში გაეგრძელებინა. რეკორდიც მოხსნა და „ნაციონალური მოძრაობის" მანტიაც მოისხა, თუმცა კრიმინალ „ნაციონალებზე" მეტი „ნაციონალი" აღმოჩნდა და როცა ქვეყანაში ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკურმა სიომ დაბერა, ბეჟან ხურციძემ უკანალის თამაში დაიწყო, რის გამოც 2012 წლის თებერვალში „ნაციონალებმა" ხურციძე პარტიიდან გარიცხეს. მოღალატე დეპუტატისთვის რეჟიმს არ ეცალა, მათი თავისტკივილი ბიძინა ივანიშვილი იყო, თორემ მერაბიშვილის უწყების კლანჭებს სადეპუტატო მანდატის წყალობითაც ვერ გადაურჩებოდა. ბეჟან ხურციძის „თავგანწირვის" მიუხედავად, „ქართულმა ოცნებამ" არც ბეჟანი და არც მისი შვილი, რომელიც მამის სადეპუტატო კვალს უნდა გაჰყოლოდა, ახლოს არ გაიკარა. ბეჟანს შეუთვალეს, შეირგე, რაც გააკეთე, ვიდრე პროკურატურა შენით არ დაინტერესებულაო. ბეჟან ხურციძე ახტა, დახტა და ნინო ბურჯანაძის ნავში ჩახტა, თუმცა შუალედურ არჩევნებში ვერაფერს გახდა... ვანის მუნიციპალიტეტის გამგებლობის კანდიდატი სამარცხვინოდ დამარცხდა. ანდა, ჩვენი დროის მაოხრებელ გზირს ვინღა აირჩევდა?!

ბეჟან ხურციძე, 1992-1995, 1999-2004, 2004-2008, 2008-2012 წლების მოწვევის პარლამენტარი, დღეს მხოლოდ ნიჩბოსნობის ფედერაციის სტატუსის ამარაა დარჩენილი. მთავრობები იცვლება, ბეჟან ხურციძე კი პარტიულ ბილეთებს ცვლის: აკაკი ასათიანი – „ტრადიციონალისტები"; ასლან აბაშიძე – „აღორძინების კავშირი"; მიხეილ სააკაშვილი – „ნაციონალური მოძრაობა"; „ნინო ბურჯანაძე – დემოკრატიული მოძრაობა", ბეჟანგამოცვლილმა პარტიებმა დროც მოჭამეს და საკუთარი თავებიც ამოიჭამეს, მაგრამ ბეჟან ხურციძეს „ჭამა" ჯერ არ დაუსრულებია, კაცმა გარანტირებული სიბერე მოიწყო.

### 2012 წლის 19 ნოემბერი — ფედერაციის არჩევნები და ბიძინა ივანიშვილის სახელით მოპოვებული გამარჯვება. რა კავშირი აქვს ბეჟან ხურციძეს ბიძინა ივანიშვილთან?

2012 წლის 19 ნოემბერს ჯერ კიდევ „ქართული ოცნების" გამარჯვების ეიფორიაში იმყოფებოდა ქართველი საზოგადოება, როცა ბეჟან ხურციძემ გადაწყვიტა, ბიძინა ივანიშვილის სახელით ესპეკულანტა და კიდევ ერთხელ გამხდარიყო ნიჩბოსნობის ფედერაციის პრეზიდენტი. იგი სპორტულ საზოგადოებას უმტკიცებდა, რომ ივანიშვილის ფავორიტი იყო, ხოლო მისი არჩევის შემთხვევაში, ბიძინა ივანიშვილი სპორტის ამ სახეობას ფინანსურად დაეხმარებოდა. მცხეთაში ნიჩბოსნობის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევის პროცედურა დიდი ხმაურის ფონზე წარიმართა და სიტყვიერი დაპირისპირებით დასრულდა. მაშინ ბეჟან ხურციძეს ამ პოსტზე ნიჩბოსანი რომან ვაჩეიშვილი უპირისპირდებოდა. მოქმედ მწვრთნელთა და სპორტსმენთა დიდ ნაწილს საკუთარი პოზიციის გამოხატვისა და მათთვის სასურველი კანდიდატისთვის ხმის მიცემის საშუალება არ მიეცა. ახალგაზრდები ბეჟან ხურციძეს ადანაშაულებდნენ ბაზების გაჩანაგებაში და მათ არჩევნების მეორე დღესვე სპორტის სამინისტროს წინ საპროტესტო აქციები გამართეს ხურციძის გადადგომის მოთხოვნით. ბეჟან ხურციძეს სპორტსმენები ულტიმატუმს უყენებდნენ. იმ შემთხვევაში, თუ ხურციძე თანამდებობიდან არ წავიდოდა, ისინი ვარჯიშზე უარს იტყოდნენ, ნიჩბოსნობის ფედერაციაში ფინანსური პოლიციის შეშვებითა და ფედერაციაში არსებული ფინანსური დარღვევების გამოძიებით იმუქრებოდნენ. აკადემიური ნიჩბოსნობის ნაკრების წევრი და მსოფლიო ჩემპიონი ირაკლი უკლება ბეჟან ხურციძეს მძიმე ბრალდებას უყენებს:

> „ჩვენ არავითარი წინსვლა არ გვექნება, თუ ეს ადამიანი ამ თანამდებობაზე დარჩა. წავიდეს ბეჟან ხურციძე და რაღაც ეშველება ამ სპორტს. ამ ადამიანს არ აინტერესებს გუნდის წარმატება. მისთვის მთავარია ოლიმპიურ შეჯიბრებებსა და სანახაობაზე სიარული. სპორტსმენები ფედერაციის გვერდში დგომას ვერ გრძნობენ. საქართველოს ჩემპიონატს პრეზიდენტი არ ესწრება, შეჯიბრებაზე არ დადის და თავს იმით იმართლებს, დრო არ მაქვსო.

შეჯიბრებებისთვის მწვრთნელები და სპორტსმენები ფორმებს საკუთარი სახსრებით იძენენ და ასევე, თავადვე უწევთ ზრუნვა გადაადგილებისთვის საჭირო ხარჯებზე. შეკრებებზე ფაფას გვაჭმევდნენ. რა შედეგზეა ლაპარაკი, როდესაც „ზბორებზე" მყოფი სპორტსმენები ბუნტს იმის გამო მოაწყობენ, რომ მშივრები არიან და კვება არ არის..."(?!)

მსოფლიო ჩემპიონი ირაკლი უკლება ამას რომ იტყვის, ნამდვილად დროა, საქმეში სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო ჩაერთოს. ბეჟან ხურციძე მწვრთნელებისა და სპორტსმენების ბრალდებებს სისულელეს უწოდებს, მაგრამ ეს ხომ იმ ნაცნობი ოპერიდანაა. ბეჟან ხურციძეს რომ ჰკითხოთ, გიპასუხებთ, – „ნიჩბოსნობის ბაზები, რომლებიც 90-იან წლებში ნადგურდებოდა, „მხედრიონელები" იყვნენ შესული, ისინი ვარჯიშობდნენ, მე გადავარჩინეო"...(?!) „მხედრიონელებისგან" შესაძლოა, გადაარჩინა ქონება ბეჟანმა, მაგრამ აი, ბეჟან ხურციძე საკუთარი მადის წინააღმდეგ ველარ წავიდა და ფედერაციის ქონება შემოეძარცვა.

ნიჩბოსანი რომან ვაჩეიშვილი, რომელიც ხურციძის კონკურენტი იყო ფედერაციის პრეზიდენტობის პოსტზე, მას ბაზების გაპარტახებაში ადანაშაულებს, – ხურციძე წლებია ფედერაციის პრეზიდენტია და ბაზების გაპარტახების მეტი არაფერი გაუკეთებია, სპორტსმენები 30 წლის წინანდელი ნავებით ვარჯიშობენ. როგორ შეიძლება მათ შედეგები მოსთხოვოთო.

იყო დრო, ნიჩბოსნობის ფედერაციის ბიუჯეტი 100 000 ლარით ფინანსდებოდა, რასაც ხურციძე თავად ადასტურებს, თუმცა სააკაშვილის მთავრობამ დაფინანსება 15 ათას ლარამდე დაიყვანა. ამიტომაც სპორტსმენები ითხოვენ საქმის შესწავლას, სად წაიღო ამდენი ფული ბეჟან ხურციძემ და რატომ არ დაეტყო 100 000-ლარიანი დაფინანსება ნიჩბოსნობას? ბეჟან ხურციძე რიტორიკულ განცხადებას აკეთებს: „პარლამენტარობის მიუხედავად, ბაზები გასხვისება-გაჩუქება-განადგურებისგან ვერ დავიცავი. მცხეთაში ოთხი ობიექტი გვქონდა: ერთი მტკვარმა წაიღო, ერთი გასხვისდა, ორიც მცხეთის განვითარების პროექტმა შეიწირა. ალბათ, ჩვენმა ოპონენტმა ისიც იცის, რომ უწინდელმა მთავრობამ თბილისში, მტკვრის სანაპიროზე ბაზა დაგვინგრია. ახლა ფოთში სპორტსმენებს ერთი ვაგონიღა შერჩათ, რომელსაც გასახდელად იყენებენ..." აი, ბატონებო, ეს არის თემები, რითაც საგამოძიებო სტრუქტურები უნდა დაინტერესდნენ.

„კვირის ქრონიკას" სპორტსმენები დაუკავშირდნენ, მათ ინკოგნიტოდ დარჩენა ისურვეს და ჩვენთან საუბარში განაცხადეს, რომ ისინი გაერთიანებული ძალებით იბრძოლებენ სამართლიანობის აღდგენისთვის და ბეჟან ხურციძეს პრეზიდენტობიდან გადააყენებენ. როგორც მათგან შევიტყვეთ, თბილისის ნიჩბოსნობის ბაზაზე (სადაც დღეს იუსტიციის სახლია განთავსებული. – ნ.ს.) სამართლებრივი დავა ჯერ კიდევ 1995 წელს, ბაზის დირექტორ გოგი ელბაქიძეს დაუწყია, როცა ბაზას ეკონომიკის სამინისტრომ დაადგა თვალი. საარბიტრაჟო სასამართლოში გოგი ელბაქიძემ დავა მოიგო, თუმცა პრობლემა ამით არ მოგვარებულა და სამართლებრივი დავა გაგრძელდა, ქონების მართვის ყოფილმა მინისტრმა ავთანდილ სილაგაძემ, სასამართლო განხილვების პროცესში სპორტის სამინისტროს ქონება სახელმწიფოზე უკანონოდ გადააფორმა, ამ ბრძოლაში გოგი ელბაქიძე მარტო აღმოჩნდა, სპორტის მაშინდელი მინისტრი კახი ასათიანი და ქალაქის სპორტის ხელმძღვანელი თამაზ კანკავას პირადი ვიზირებით ქონება ეკონომიკის სამინისტროს გადაეცა. სამართლებრივი დავის პროცესში, ბეჟან ხურციძე გოგი ელბაქიძესთან მიდის და აფრთხილებს, – ამ საქმეს შენ მაინც ვერ მოიგებ და შეეშვი ამ თემას, მაინც ვერ მაჯობებ, თანამდებობაც მაქვს, ფულიც და წინ თუ გადამელობები, ცუდად დაასრულებ ცხოვრებასო. ამ საქმის უკან ბეჟან ხურციძის ინტერესები რომ იდგა, მისი ქმედებებიდანაც დასტურდება. ინკოგნიტო რესპონდენტი სპორტის სამინისტროს ბალანსზე მყოფი ბაზების გადაფორმებისა და გაყიდვის სქემას გვიხსნის: კუდი რომ არ გამოჩენილიყო, ფედერაციის ბაზა გადაიფორმა ეკონომიკის სამინისტრომ, შემდეგ ეს ქონება გადაფორმდა კახი ასათიანის მოგვარეზე და შემდეგ გაიყიდა. 1995 წლიდან

> ბეჟან ხურციძემ სახელმწიფო ქონების „პრიხვატიზაცია" დაიწყო, „ჩაი გრუზია" 120 მილიონ კუპონად (დღევანდელი კურსით დაახლოებით 500 დოლარად) ჩაიგდო ხელში. შემდეგ კი იყო ნიჩბოსანთა ბაზა თბილისში მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, ამ მიწის სანაცვლოდ ხურციძემ და საქმის დანარჩენმა მონაწილეებმა 5 მილიონი დოლარი მიიღეს, საკუთრივ ხურციძემ კი „ვიპ" სასაფლაოების მიწა მაღლივ კორპუსთან, კერძოდ, ცხონებული თენგიზ გაზდელიანის მიერ აშენებულ ეკლესიასთან.

რაც შეეხება მცხეთის ბაზას, როგორც წყარო გვიყვება, „ნაციონალების" დროს დაიწვა თავისი სპორტული ინვენტარით, მერე კი გაიყიდა. არის ასეთი პიროვნება – ვიტალი გრძელიშვილი, ხურციძესთან დაახლოებული პირი, რომელიც ამ საქმეშია გარეული, ბაზა რამდენჯერმე გაიყიდა და ბოლოს სომხეთის მოქალაქის საკუთრებაში აღმოჩნდა, რომელმაც მილიონ 200 ათასი გადაიხადა ამ ქონებაში. „ქართული ოცნების" ხელისუფლების დროს, დაახლოებით 6 თვის წინ, გრძელიშვილი და მისი თანამზრახველები დაიჭირეს, სულ სამნი იყვნენ, ნახევარ მილიონამდე გადაახდევინეს და გამოუშვეს. ის ტერიტორია კი სახელმწიფოს დაუბრუნდა. ინკოგნიტო წყარო გვიმტკიცებს, რომ ბეჟან ხურციძის გარეშე ეს გარიგება ვერ მოხდებოდა. ასევე, ვერ მოხდებოდა სიონში ბაზის გაყიდვა ხურციძის გარეშე. იგივე მოხდა ფოთში, ერთი ბაზა ქალაქში იყო, მეორე – მალთაყვაზე და გასხვისდა. ბაზა იყო თბილისის ზღვაზე, მაგრამ ისიც გასხვისებულია. თავის დროზე თბილისის საკრებულომ, ლადო კახაძის თავმჯდომარეობის დროს გოგი ელბაქიძის სასარგებლოდ გამოიტანა გადაწყვეტილება, თუმცა ძალიან მალევე გააუქმა თავისი დადგენილება. ძნელი გასაგები არ უნდა იყოს, რატომ მოიქცა ასე კახაძე. „ნაციონალური მოძრაობის" რეჟიმის დროს, მერიის მაღალჩინოსანი მერაბ ჩიქობავა ბეჟან





# კრიმინალი? ვინ და რატომ დაჭრა ცეცხლსასროლი იარაღით?

## აქვს ხურციძეს ივანიშვილთან და როგორ გამოიყენა მისი სახელი ნიჩბოსნობის ფედერაციის პრეზიდენტის საქმიანობით დაინტერესდა!





ხურციძეზე ამბობდა, ხურციძე არის სპორტში საქართველოს ფურუნკული და ის უნდა მოვაშოროთო. მაგრამ ვინ ვინ მოიშორა, ფაქტი სახეზეა. „კვირის ქრონიკა“ გოგი ელბაქიძესაც დაუკავშირდა, თუმცა მან კომენტარის გაკეთება არ ისურვა და განაცხადა: „რა აზრი აქვს, ამ საქმეს მაინც არაფერი ეშველება. რასაც ყვებით, ზუსტად ასე იყო. ამ საკითხზე ბრძოლით მე უკვე დავიღალე“.

დავუკავშირდით ყოფილ პარლამენტარებსაც, რა იცოდნენ ბეჟან ხურციძის სპორტული საქმიანობის შესახებ და რატომ არის ის ყველა ხელისუფლებაში მიღებული? ჩვენმა რესპონდენტმა ერთი მიზეზით არ ისურვა ღიად მისი ვინაობის გამჟღავნება, – იმდენად არაკაცია ხურციძე, ეგ ჩემთვის არ არსებობს და პროტესტის ნიშნად არ მინდა, ჩემი სახელით მასზე საუბარიო. აი, რას ყვება ხურციძეზე:

„გაინტერესებთ, ვინ არის ეგ კაცი? ყველა ხელისუფლებას კი არ ერგება, ხელისუფლება ირგებს მაგას. ხელისუფლებები ფიქრობენ, რომ მისი მხარდაჭერა არ იქნება უმნიშვნელო, სპეკულირებს იმით, რომ ის იყო ოთხი მოწვევის პარლამენტარი და პოლიტიკურ ძალებს ეუბნება, რომ მას აქვს გავლენები ვანის რაიონში და ხმების მოტანას ჰპირდება. დღეს ხურციძის პოლიტიკური მსოფლმხედველობა პირდაპირ დაკავშირებულია ნინო ბურჯანაძის პარტიასთან, მისი ავტორიტეტი არის ნული, ყველამ ნახეთ, რამდენი ხმა აიღო თვითონ. რეალურად მას არანაირი გავლენა არ აქვს, მაგრამ „ბლატაობს“? ცნობილი ამბავია, პარლამენტში სპორტის ქვეკომიტეტის თავმჯდომარე რომ იყო 1992-95 წლებში, თბილისის ნიჩბოსნობის ბაზის გასხვისება მაშინ მოახდინა, მახსოვს იმ ბაზის დირექტორი გოგი ელბაქიძე დარბოდა პარლამენტში, პროკურატურაში საჩივრებს საჩივრებზე წერდა. ეს იყო ცნობილი ნიჩბოსნობის ბაზა მთელი თავისი ტექნიკით, მიწის ნაკვეთით ჩალის ფასად ჩაიგდო ხელში და მაქინაციების მერე, როცა ხელისუფლებაში „ნაციონალები“ მოვიდნენ, ეს მიწა მიჰყიდა სახელმწიფოს. დღეს იქ იუსტიციის სახლია და კომპენსაციაც მიიღო, ხელისუფლებამ მაღლივ კორპუსთან მიწის ნაკვეთი მისცა, იქ ხურციძემ კომერციული სასაფლაო გააკეთა...“

> **ყველაფერი საიდანღაც იწყება და ხურციძემ ბიზნესის კეთება მოსკოვიდან მანქანების „ბარიგობით“ დაიწყო, კაკო ასათიანმა კი მოახდინა მისი რეინკარნაცია. სწორედ კაკომ შეიყვანა იგი პარლამენტში და მას შემდეგ პოლიტიკურ ორბიტას დასტრიალებს ტაბელური იარაღის ტრიალით თუ სხვადასხვა ორგანიზაციის პარტბილეთებით.**

### პოლიტიკური ვენდეტა თუ საქმის კრიმინალური გარჩევები?

**1995 წელს ბეჟან ხურციძემ ვანის რაიონში მაჟორიტარული არჩევნები ომარ ბაზიართან წააგო და ეს გახდა მიზეზი, რესტორანში შევარდნილიყო და ფეხები დაეცხრილა მისთვის. „კვირის ქრონიკასთან“ საუბარში ომარ ბაზიარი დაჭრის ფაქტს იხსენებს:**

– ბეჟან ხურციძე არის ყვარყვარე! ყველა მთავრობის დროშა ოფისებზე აქვს გადაკიდებული და თვითონ ძველბიჭობს, მაგისი შვილი კახა იყო გაჩხერილი ამ ამბავში და ამიტომ გადარჩა, 19 წლის ბიჭს მამა ტყვიის სასროლად რომ წაიყვანს, ის პოლიტიკოსი კი არა, ნაგავია! მამა-შვილმა, ორივემ მესროლა. ეს იყო 1995 წელს, ვანის რაიონიდან ვიყრიდი კენჭს.

> **რატომ გაიმარჯვეო და ფეხები დამიცხრილა. ამ დანაშაულის გამო მამაც და შვილიც დააკავეს და გაასამართლეს. როგორ ვიფიქრებდი, რომ კაცი, რომელიც დიდი უპირატესობით დავამარცხე არჩევნებში, მომივარდებოდა და მესროდა?! კრიმინალური წარსულის მიუხედავად, რალაცებს მაინც მიაღწია. პარლამენტში „აღორძინდებით“ შევიდა, მერე „ნაცებს“ შეუძვრა და ახლა ნინო ბურჯანაძესთან არის მიტმასნილი. მას პოლიტიკით არც ერთი დღით არ უცხოვრია, აკაკი ასათიანმა დანიშნა ჩაის ფაბრიკის დირექტორად ზვიადი რომ მოვიდა პრეზიდენტად. ამის ხელწერა არის ძარცვა**

და გაძარცვა ის ფაბრიკა! ნიჩბოსნობის ფედერაციაში იყო და გაძარცვა! ვანში იყო დეპუტატი და საკონსერვო ქარხანა რუსეთში მოღვაწე ვანელ ბიზნესმენს აყიდვინა, 50-პროცენტიან წილში ჩაუჯდა და გააგიჟა კაცი, გააქცია და ისიც გაძარცვა. სადაც გაივლის, ბალახი აღარ ამოდის, ცხვრის ფარა გეგონება...

**„კვირის ქრონიკა“ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს, პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე ლერი ხაბელოვს დაუკავშირდა. დავინტერესდით, იყვნენ თუ არა ნიჩბოსანთა ფედერაციაში არსებული პრობლემების საქმის კურსში და რა ბერკეტი არსებობს, რომ ხურციძე ფედერაციის პრეზიდენტობიდან გადააყენონ.**

ლერი ხაბელოვი ჩვენთან საუბარში აცხადებს: „ოლიმპიური კომიტეტი ძირითადად დიდი მიღწევის სპორტზეა მიმართული და ჩვენზე იყო შემოსული წერილი, სადაც გვთხოვდნენ ფინანსურ დახმარებას იმ სპორტსმენებზე, რომელთაც შეუძლიათ, აილონ ლიცენზია. რა თქმა უნდა, მთავრობამ დახმარება გაუწიათ, სპორტსმენები გავუშვით შეკრებაზე და შეჯიბრებაზე. დამატებით 12 000 დოლარი „სოლიდარობის ფონდიდან“ გამოეყოთ. კონტროლდება თითოეული თეთრი და მხარე ვალდებულია, ფინანსური ანგარიში ჩაგვაბაროს. რაც შეეხება საჩივარს ნიჩბოსნობის ფედერაციაზე, ჩვენთან პრეტენზია არ შემოსულა, მაგრამ ერთიცაა – მაგ ფედერაციაში ბევრი პრეტენზიაა, სპორტის ეს სახეობა ძალიან ძვირად ღირებულია. რა თქმა უნდა, რთულია, ჩვენ ეს სპორტი შევინახოთ, ამიტომაც არის, სამწუხაროდ, ასეთი მდგომარეობა. ფედერაციის პრეზიდენტობის ოთხწლიანი ციკლია, ოლიმპიური თამაშების დამთავრების შემდეგ ტარდება, ნიჩბოსნობის ფედერაციის არჩევნებიც 2016 წელს მოუწევს, მაგრამ თუკი არასწორად იხარჯება ფინანსები და სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები იკვეთება, აღმასკომისა და ყრილობის გადასაწყვეტია ვადამდელი არჩევნების ჩატარება ფედერაციაში. ასევე, სპორტის სამინისტროს შეუძლია, შეაჩეროს პრეზიდენტის უფლებამოსილება“.

ამ სკანდალური თემის ირგვლივ, „კვირის ქრონიკა“ სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის ტარიელ ხეჩიკაშვილის ექსკლუზიურ ინტერვიუს გთავაზობთ:

— **ბატონო ტარიელ, ნიჩბოსნები, მწვრთნელები, ვეტერანი სპორტსმენები ფედერაციის პრეზიდენტზე უამრავ საყვედურს გამოთქვამენ. ბეჟან ხურციძეს სპორტის ამ სახეობის გაპარტახებაში ადანაშაულებენ, ახალგაზრდებს გასაქანს არ აძლევს, მისი პრეზიდენტობიდან 20 წელი გავიდა, მთავრობები იცვლებიან, ბეჟან ხურციძე კი კვლავ ფედერაციას ხელმძღვანელობს, რა ხდება?**

– სასურველია, რომ ფედერაციის პრეზიდენტებმა და აღმასკომების წევრებმა უფრო ქმედითი ნაბიჯები გადადგან სპორტის განვითარებისთვის. სწორედ ამ მიზნით ჩვენ შემოვიღეთ ახალი აღიარებისა და დაფინანსების კრიტერიუმები, რომელიც გამორიცხავს სუბიექტურ მიდგომებს მინისტრისა თუ სამინისტროს ხელმძღვანელობის მხრიდან. მეტი ობიექტურობისთვის შევქმენით საკონსულტაციო საბჭო, სადაც წარმოდგენილია, ერთი მხრივ, სამინისტროს ხელმძღვანელობა, მეორე მხრივ კი, სპორტისა და ახალგაზრდობის საპარლამენტო და ოლიმპიური კომიტეტის წევრები. შესაბამისად, ეს საკონსულტაციო საბჭო მიიღებს გადაწყვეტილებას, რომელი ფედერაცია რამდენით უნდა დაფინანსდეს აღიარების შემდეგ, ხოლო შეფასების ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმი არის ის, რამდენად სწორია მენეჯმენტი, რამდენად კარგად იმართება ფედერაცია, რამდენად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს და მოქმედ კანონმდებლობას. ნიჩბოსანთა ფედერაციის საქმიანობას დეტალურად შევისწავლით! კარგი იქნება, თუკი ის ადამიანები, ვინც პრეტენზიას თქვენთან გამოთქვამენ, შესაბამის დეპარტამენტებში მოვიდნენ. აქ არიან სპეციალისტები და წარმოადგინონ დასაბუთებული პრეტენზიები. არ არის სწორი, როცა სპორტის სამინისტროს გვერდის ავლით პრეტენზიებს გამოთქვამენ. ყველა უნდა მიეჩვიოს ერთ რამეს, რომ ჩვენთან ღიად ისაუბრონ არსებულ პრობლემებზე. მობრძანდნენ და წარმოადგინონ პროექტი, როგორ წარმოუდგენიათ ამ სპორტის სახეობის განვითარება და პრობლემების მოგვარების გზები. ფედერაციის ხელმძღვანელები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში მხოლოდ ქაღალდზე არიან დაფიქსირებულნი და მას არა აქვს კონკრეტული ქმედებები აქტივში, აუცილებლად მოვიკითხავთ პასუხს. ხშირ შემთხვევაში ჩვენ ვაწყდებით პარადოქსულ მდგომარეობას, როცა გამგეობის წევრი 5-10 წლის გარდაცვლილია და დოკუმენტურად კვლავ გამგეობის წევრია. მინიმუმ გარდაცვლილი ადამიანების ჩანაცვლების სურვილი ხომ უნდა გაუჩნდეთ?! არის ფედერაციები, რომლებიც დაფუძნებულია 15-20 წლის წინათ და არანაირი ცვლილება არ მომხდარა. ბოლოს და ბოლოს თაობები იცვლებიან, ახალი გამოწვევებია, ახალი მენეჯმენტის მოყვანის სურვილი მაინც ხომ უნდა გაგიჩნდეთ?! არ შეიძლება, ე.წ. პრივატიზებული ფედერაციების არსებობა. ყველა პრეზიდენტი, ყველა „გენსეკი“ უნდა მიეჩვიოს ერთ რამეს – არც ერთი სპორტის სახეობა პრივატიზებული არ არის. ყველა თანამდებობა, ყველა პოსტი გულისხმობს ვალდებულებას, ეს უნდა გაითვალისწინოს ყველამ! როცა ადამიანი არჩეული ხარ და გაქვს პრეტენზია, მიიღო სახელმწიფო დაფინანსება და ხელისუფლების თანადგომა, სანაცვლოდ შენც უნდა გაიღო, უნდა იგრძნო პასუხისმგებლობა. ასე სიამოვნებით ჩაიბარებდა ყველა საქართველოს ფედერაციებს და სიამოვნებით ილვაწებდა... ყველაზე ნაკლები შეკითხვები მაშინ დაისმება ფედერაციების მიმართ, როცა ისინი განვითარების გეგმას წარმოადგენენ.

— **სპორტის პოლიტიკის განმსაზღვრელი სპორტის სამინისტროა, თუკი ხედავთ, რომ ამა თუ იმ სპორტის სახეობის ფედერაციის პრეზიდენტი უმოქმედოა და პარაზიტი, თქვენ რა ბერკეტი გაქვთ მის გადასაყენებლად?**

– არ მინდა, რასაც ვიტყვი, ამ კონკრეტულ ფედერაციას მიებას, მაგრამ ჩვენ გვაქვს დაფინანსებისა და აღიარების ბერკეტი და თუ არ ვაღიარებთ, ის ვერ მიიღებს დაფინანსებას. ვსარგებლობ თქვენი გაზეთით და ყველას ვუცხადებ, რომ მთავრობაში მათი პირველი მეოხი და მფარველი ვიქნები, მაგრამ ძალიან სერიოზულ და მკაცრ მონიტორინგს განვახორციელებთ, თითოეულ კაპიკს გავაკონტროლებთ, რამდენად ეფექტურად ხარჯავენ თითოეულ თეთრს, რამდენად სწორია პრიორიტეტების განსაზღვრა, ეს არის ჩვენი მთავარი საზრუნავი. რაც ყველაზე მთავარია, სპორტის ამა თუ იმ სახეობაში ყველა მენეჯერი უნდა დაჯდეს და დარგის სპეციალისტებს მოუსმინოს, მოახდინოს პრობლემების პრევენცია. ალტერნატიული აზრის მოსმენა ყველამ უნდა ისწავლოს. არ მინდა, დღეს რომელიმე მხარის პოზიცია დავიკავო. აქედან გამომდინარე, ჩვენ დეტალურად ვსწავლობთ არა მხოლოდ ნიჩბოსნობის ფედერაციას, არამედ სხვა ფედერაციებისა და მათი პრეზიდენტების საქმიანობას. ეს მესიჯები ყველასთან მისულია და უკვე დავიწყებთ კონკრეტულ ქმედებებს. თუ ფედერაცია ტრანსპარენტული არ არის და წლების მანძილზე დინებასაა მინდობილი, ის ჩვენთვის საინტერესო ობიექტი ხდება და იქ აუცილებლად განვახორციელებთ ცვლილებებს. მოხდება კანონით გათვალისწინებული ცვლილებები იმ უფლებით, რა უფლებებიც აქვთ სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს. ეს პროცესი დაწყებულია, ფინანსური რევიზია ხორციელდება შესაბამისი სამსახურების მხრიდან, მაგრამ ვფიქრობ, კიდევ უფრო გამკაცრდება ყველა მიმართულებით მოთხოვნები. ჩვენ ვართ შედეგებზე ორიენტირებული. დღეს სპორტში სხვა მოთხოვნებია. თუ პერსპექტივა არ გვაქვს სპორტის ამა თუ იმ სახეობაში, არ ვაპირებთ მხოლოდ იმისთვის ვაფინანსოთ, რომ ვიღაცამ პოზიციები შეინარჩუნოს, თითოეული კაპიკი არის თითოეული ჩვენი თანამოქალაქის შემონატანი ბიუჯეტში და ამ ყველაფერს სხვანაირად უნდა გადანაწილება და გაკონტროლება. პროცესები დაჩქარდება, ჩვენ დავდებთ დასკვნას და თვალსაჩინო გახდება, ზუსტად შევაფასოთ, რომელი მხარეა ამ დავაში მართალი. თუკი მსგავსი პრეტენზიები შემოვიდა ჩვენს სამინისტროებში, რაზეც თქვენ საუბრობთ, ეს უკვე სპორტის სამინისტროს პრეროგატივას სცდება, თუმცა მგონია, მსგავს ფაქტებს ადგილი რომ ჰქონოდა, რეაგირებაც მოხდებოდა. თუკი საზოგადოება მის წინააღმდეგაა, არ ვიცი, ასეთი თანამდებობა რად ულირს ამ თუ იმ პიროვნებას. ხშირად ადამიანები სტატუსით მანიპულირებენ და ეს ძალიან ცუდია. ყველა ფედერაციის პრეზიდენტის გასაგონად მინდა ვთქვა, თუკი ისინი შედეგებს ვერ დადებენ, მოვა ჯანსაღი ძალა და ისინი აიღებენ მართვის სადავეებს, მათ უნდა იცოდნენ, რომ ფედერაციის პრეზიდენტობა არის ძალიან დიდი პასუხისმგებლობა და ყველა გაუფრთხილდება ამ თანამდებობაზე საკუთარი კანდიდატურის წარდგენას.

ნინო სამხარაძე
599 71-14-22



# რომელი მინისტრები დატოვებენ პარლამენტარობა და ვისი ორგანიზებით

## „ხომ ითვლება, რომ ჯანდაცვა მუშაობს გამართულად, ოპერაციებს და ა.შ., მაგრამ მოდით, პოლიტიკურად



„მე როგორც ვიცი, ბიძინა ივანიშვილის შვილები — ბერა და უტა მონაწილეობენ კანდიდატების შერჩევაში“



„პრობლემები მოუგვარებელია, 2012 წლიდან დღემდე ცხოვრება 40 პროცენტითაა გაძვირებული და ვინ იქნება კმაყოფილი?! რაც არ უნდა ციფრები გადმომილაგო და მიმტკიცო, რასაც შეგპირდი, ნაწილობრივ მაინც ხომ შევასრულეო, ეს ჩვენს ჯიბესა და ცხოვრებას ხომ უნდა დაეტყოს?!“

პარლამენტის ვიცე-სპიკერმა, ზვიად ძიძიგურმა კოალიცია „ქართული ოცნების“ მერცხლობა შეითავსა და გვაუწყა, რომ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე მმართველი კოალიციის ლიდერი ისევ ბიძინა ივანიშვილი იქნება. ზვიად ძიძიგურის საავტორო განცხადება უმრავლესობაში „განხეთქილების ვაშლი“ ხდება, „კონსერვატორების“ ლიდერმა საკუთარ თავზე იმაზე მეტი აიღო, ვიდრე მას, წესით, ეკუთვნის და ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნების დამაანონსებლის ფუნქცია პარტია „ქართული ოცნების“ ლიდერებს თვალსა და ხელს შუა აახია. ეს კი არ არის კარგი სიგნალი უმრავლესობის ახლად არჩეული ლიდერის ზვიად კვაჭანტირაძისთვის და ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის, გია ვოლსკისთვის, ეს უკანასკნელი დაბეჯითებით აცხადებს: „პირდაპირ გეუბნებით, ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური გუნდის სათავეში მოსვლის ალბათობა არ არის. მე ასე ვიცი და ასე მჯერა. მხარდაჭერა და თანადგომა იქნება ისეთი, როგორც მან თავად განაცხადა“... თუკი ვოლსკისა და ძიძიგურის განცხადებებს შევადარებთ, სადაც ძიძიგური გარკვეულად ამბობს, რომ „2016 წლის არჩევნებში ბიძინა ივანიშვილის ჩართვა გულისხმობს იმ კონფიგურაციას, რა კონფიგურაციითაც ჩვენ 2012 წლის არჩევნებში მივიღეთ მონაწილეობა, ანუ ლიდერის ადგილს – ეს ბიძინა ივანიშვილის ადგილია“, გამოდის, რომ შესაძლოა, გია ვოლსკისა და ზვიად კვაჭანტირაძის საკითხი გადაიხედოს, რადგან მათ ძლიერნი ამა ქვეყნისანი საქმის კურსში არ აყენებენ და პროცესები, მათ მიღმა მიდის.

იურისტი ვალერი გელბახიანი იყო პირველი, ვინც ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში ღიად ჩართვას აანონსებდა და აცხადებდა, რომ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე „ქართული ოცნების“ სიის პირველი ნომერი სწორედ ის გახდებოდა. მმართველ გუნდში დიდი აურზაურია, დღეს მოქმედი ლიდერებიდანაც ბევრი რომ ველარ მოხვდება ხელისუფლებაში, ამაზე თავად ბიძინა ივანიშვილი აკეთებს მინიშნებებს. გასული კვირის ერთ-ერთი მთავარი თემა „ოცნების“ მაჟორიტარების სიები იყო, რომელიც მმართველი პარტიის აღმასრულებელი მდივნის ირაკლი კობახიძის კომპიუტერიდან 100 სხვადასხვა მეილზე გადაიგზავნა. მაშ ასე, რა მოხდება არჩევნებამდე, რომელი მინისტრები დატოვებენ პოსტებს, ვისთვის აღმოჩნდება ბოლო პარლამენტარობა და ვისი ორგანიზებით ხდება ახალი კადრების შერჩევა? „კვირის ქრონიკის“ კითხვებს **ვალერი გელბახიანი** პასუხობს:

**— ზვიად ძიძიგურმა დაადასტურა, რომ ბიძინა ივანიშვილი კოალიცია „ქართული ოცნების“ სიის პირველი ნომერი იქნება, რასაც კატეგორიულად უარყოფს ვოლსკი და საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი კვაჭანტირაძე. როგორ ფიქრობთ, ვიცე-სპიკერი ძიძიგური გაბედავდა, რომ ივანიშვილთან შეუთანხმებლად ასეთ რისკზე წასულიყო?**

– ვფიქრობ, რომ ბიძინა ივანიშვილს არ სურს, თავად გააკეთოს განცხადება, რადგან ჯერ კიდევ ძალიან ადრეა, იმის დაანონსება, რომ თავად იქნება სიის პირველი ნომერი, ამიტომაც მოჰყვა საპროტესტო ნოტაზე გაკეთებული განცხადებები საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერების მხრიდან. თუმცა ის, რაც ბატონმა ზვიად ძიძიგურმა ბრძანა, აბსოლუტური რეალობაა! რადგან ბატონ ივანიშვილს თავად სიტუაცია კარნახობს, რომ მიიღოს ეს გადაწყვეტილება და იძულებულია, პოლიტიკურ ასპარეზზე ღიად გამოვიდეს. თუ მას უნდა, სთან გაყალბების მექანიზმების გამოყენების გარეშე არჩევნები ვერ მოიგეს! გამოჩნდა, რომ ხელისუფლებას საზოგადოებაში მხარდაჭერა არ აქვს და თქვენ წარმოიდგინეთ, რა მოხდება, როდესაც გაშლილ ფრონტზე მთელ საქართველოში არჩევნები ჩატარდება, სხვადასხვა რაიონებში სურათი იგივე იქნება, რაც საგარეჯოში მოხდა. ამიტომ ბიძინა ივანიშვილისთვის ჭორად მიტანილი ამბავი და მითი, რომ „ქართულ ოცნებას“ არ ჰყავს ალტერნატივა, საგარეჯოს არჩევნებმა დაამსხვრია და მას დაანახვა, რომ ეს ყველაფერი იყო არასრულყოფილი ინფორმაცია, რომელიც არ ეყრდნობოდა სოციოლოგიურ კვლევებს. მათ ივანიშვილი უნდა გამოვიდეს კვლავ არენაზე, იყოს ელმავალი, გამოიყენოს საკუთარი რესურსები და ქართველი საზოგადოება დაარწმუნოს, რომ კვლავ ხმა მისცენ, სხვა ვარიანტი იმისა, რომ „ქართულმა ოცნებამ“ 2016 წლის არჩევნები მოიგოს, არ არსებობს!

**— პარტია „ქართული ოცნების“ ლიდერები საპირისპირო განცხადებებს აკეთებენ და უარყოფენ ივანიშვილის პოლიტიკურ არენაზე ლოკომოტივად გამოჩენას. თქვენ როგორ ფიქრობთ, ზვიად ძიძიგურის განცხადება იყო თუ არა შეთანხმებული ბიძინა ივანიშვილთან და თუ ასეა, რა თამაშს აქვს ადგილი, ივანიშვილი საკუთარი გუნდის ლიდერებს არ ენდობა, „კონსერვატორი“ რომ აკეთებს ამ განცხადებას?**

საზრისით, ისე იქნება წარმოდგენელი საბოლოოდ 2016 წლის არჩევნებში. მეტიც, საკითხავია, მომავალ პარლამენტში იქნებიან თუ არა გია ვოლსკი და ზვიად კვაჭანტირაძე. თუკი პარლამენტში მოხვდებიან, ნაკლებად სავარაუდოა, რომ მათ ლიდერობა ერგოთ. ზვიად კვაჭანტირაძისა და გია ვოლსკისგან განსხვავებით, ზვიად ძიძიგური გადაწყვეტილების მიმღებია თავის პარტიაში, კვაჭანტირაძე და ვოლსკი კი თავის პარტიაში გადაწყვეტილებებს ვერ იღებენ. ამიტომაც იყო მათი პოზიცია ასეთი, რომ არ ეთანხმებოდნენ ზვიად ძიძიგურს, რადგან ჯერ ივანიშვილს ოფიციალურად თავი არ დაუსახელებია. არც ლიდერთა გუნდი და არც სიაა მომენტამდე საიდუმლოდ ინახავენ ამ ტიპის ინფორმაციას, რომ გუნდში არ მოხდეს დაპირისპირება, შუღლი და ნგრევა, ამიტომ არავის არ აქვს გარანტია არსებული უმრავლესობიდან, რომ იქნება სიაში. ჯერ ისიც კი არ იციან, ვინ წავა მაჟორიტარად, მაჟორიტარების საკითხი საერთოდ გაურკვეველია, როგორც საკანონმდებლო დონეზე, ისე ერთმანეთთან მიმართებაში, ამიტომ ამ თემების წამოწევა ნაადრევად მეჩვენება. ვვარაუდობ, რომ საგაზაფხულო სამუშაოების დასრულებას მოჰყვება მთავრობის ცვლილებები და მაშინ ლიდერებს ბუნებრივად გამოკვეთს პროცესი, ვის უფრო დიდ ნდობას უცხადებს ბატონი ივანიშვილი. მე რომ პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებისას შეინარჩუნოს გავლენა, მაშინ პირველ რიგში უნდა იზრუნოს უმრავლესობაზე, ამავე დროს ისეთი ლიდერების კონფიგურაცია უნდა გააკეთოს, რომელთა აზრსაც საზოგადოება გაითვალისწინებს. მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი უკმაყოფილოა იმ დაპირებების შეუსრულებლობით, რომელიც ბატონმა ივანიშვილმა და „ქართულმა ოცნებამ“ გასცა. სარეიტინგო თვალსაზრისით, სახარბიელო მდგომარეობა არ აქვს მმართველ გუნდს და ეს მათთვის შემაშფოთებელი და დასაფიქრებელია. საგარეჯოს არჩევნებმაც დაადასტურა, რომ მთელი კოალიციისა და მთავრობის მობილიზების მიუხედავად, მათ მოკავშირე პარტიახომ საერთოდ არ სჯერათ სოციოლოგიური კვლევების და ყოველ კვლევაზე ამბობენ, „ნაციონალების“ შეკვეთაა და კვლევები გაყალბებულია, საგარეჯომ კი მათ დაანახვა, მათივე სტრატეგიული თანამშრომლობის ფორმატში არსებულ პოლიტიკურ პარტიასთან ჰქონდათ გასარკვევი და იქ ვერ გაარკვიეს, ამიტომ როცა ყველა პოლიტიკურ ძალასთან ექნება „ქართულ ოცნებას“ გაშლილ ფრონტზე საქმე, მაშინ მათ ორი გზა დარჩებათ, ან უხეშად უნდა გააყალბონ არჩევნები და ამ გზით მოიპოვონ უმრავლესობა, რასაც აუცილებლად მოჰყვება ქუჩის დემონსტრაცია და ასეთი არჩევნები ლეგიტიმურად არ ჩაითვლება, ამიტომ ეს არის ძალიან უტვინო გზა, ან ბიძინა

– მოდით, ასე ვთქვათ, ზვიად ძიძიგური არის „კონსერვატიული“ პარტიის თავმჯდომარე, ვიცე-სპიკერი და დამოუკიდებელი სუბიექტი ამ კოალიციაში. იმ შემთხვევაში, თუკი მომავალში კოალიცია არსებულ ფორმატს შეინარჩუნებს, ეს ნიშნავს, რომ ზვიად ძიძიგურს კიდევ აქვს გარანტირებული თავისი ადგილი და ის, როგორც პარტიის ლიდერი, დარჩება ლიდერად. რაც შეეხება გია ვოლსკისა და ზვიად კვაჭანტირაძეს, დარჩებიან თუ არა ისინი ლიდერის პოზიციაზე მმართველ უმრავლესობაში, ეს არის ივანიშვილის გადასაწყვეტი, ისინი არ არიან ლიდერები, ისინი არიან ამ პარტიის წარმომადგენლები და როგორ ფორმირებასაც მიიღებს პარტია ახალი ლიდერების თვალცნობილი, მათ ყრილობა აქვთ ჩასატარებელი და იქ უნდა გადაწყდეს ძალიან ბევრი რამ, ამიტომ ვინ დარჩება „ქართულ ოცნებაში“ წამყვან პოლიტიკურ ფიგურად, ეს არის ივანიშვილის გადასაწყვეტი და არა ვოლსკისა და კვაჭანტირაძის.

**— კულუარებში „ქართული ოცნების“ სიის ათეულის მონახაზი უკვე ცნობილია, სადაც თითქმის არც ერთი ძველი სახე არ ფიგურირებს, პარტიის აღმასრულებელი მდივანი ირაკლი კობახიძე ჩემთან საუბარში აცხადებს, რომ გაზაფხულზე სია ცნობილი გახდება, თქვენი ინფორმაციით, როგორ მიდის სელექცია?**

– ჯერჯერობით ივანიშვილი არც ერთთან არ გადის კონსულტაციას ამ საკითხზე, ეს ჩვეულებრივი თვისებაა ყველა პირველი პირის, რომ ბოლო როგორც ვიცი, მუშაობენ სრულიად ახალ სახეებზე, ინგლისურენოვან ახალგაზრდობაზე, ზოგიერთი უკვე ჩამოსულია და მათთან გასაუბრება და კონსულტაციები მიმდინარეობს, ზოგი უცხოეთშია და მე როგორც ვიცი, ბიძინა ივანიშვილის ოჯახის წევრებიც მონაწილეობენ კანდიდატების შერჩევაში. ბერა და უტა ივანიშვილს დიდი სანაცნობო წრე ჰყავთ, უცხოეთში სწავლობენ და მოღვაწეობენ, მათ ბევრ ქართველთან აქვთ კავშირი და ეს ფაქტორი, რა თქმა უნდა, გავლენას მოახდენს ახალი ლიდერების წარმოჩენაში და სიის შემადგენლობაზე.

**— არიან თუ არა ჩართულები სიის შედგენის პროცესში პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, ვიცე-პრემიერი**

# პოსტებს, ვისთვის აღმოჩნდება ბოლო ხდება ახალი კადრების შერჩევა?

## ადამიანებს უფასოდ უკეთებენ ძვირად ღირებულ დავთვალოთ, მაფიასთან ხომ არ გვაქვს საქმე?“





„ერთი, პენსიონერს ჰკითხეთ, 20 ლარით რომ გაუზარდეს პენსია, მსყიდველობითი უნარით მაშინდელი 100 ლარი სჯობდა თუ ახლა რომ ექნება 170 ლარი? მათმა პენსიამ კი არ მოიმატა, მოიკლო“





„ადამიანურად განვიცდი, რომ ღარიბაშვილს პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ, გაუჭირდება, მაგრამ პოლიტიკური პროცესი ითხოვს მსხვერპლთშეწირვას“...

**კახი კალაძე და პარტიის აღმასრულებელი მდივანი ირაკლი კობახიძე?**

– ეჭვი მეპარება, რომ ამ საკითხში ისინი მონაწილეობდნენ, რადგან სხვა განლაგებაა მოსალოდნელი, კერძოდ კი, არ გამოვრიცხავ მთავრობის ცვლას, რაც პიროვნებების შეცვლას გამოიწვევს. არა მგონია, პოსტი შეინარჩუნოს ირაკლი ღარიბაშვილმა, ის პირველი დატოვებს თანამდებობას.

— **თქვენ ამ სცენარს დიდი ხანია აანონსებთ, თუმცა ირაკლი ღარიბაშვილი, განსაკუთრებით ბოლო დროს, ძალიან აქტიურია. რა მიზეზით დატოვებს პოსტს?**

– გეთანხმებით, რომ ირაკლი ღარიბაშვილი ძალიან აქტიურობს ამ ბოლო დროს, ადრე ძალიან ბევრ შეცდომას უშვებდა, ახლა კი საქმიანი სახე მიიღო. მე ირაკლი ღარიბაშვილის მიმართ კი არ მაქვს პრეტენზია, ადამიანურად განვიცდი იმას, რომ პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ, გაუჭირდება, მაგრამ პოლიტიკური პროცესი ითხოვს მსხვერპლთშეწირვას, სისხლის გადასხმას... თუ ამ მთავრობით მიდის ივანიშვილი არჩევნებამდე, მაშინ მისი ყველა დაპირება იქნება ამომრჩევლისთვის კვლავ ფოჩიანი კანფეტების დონეზე დაპირება, რომელიც არ ასრულდება. ახალი მთავრობის წარდგენის შემთხვევაში კი იტყვის, რომ ძველმა ვერ გაამართლა, ადამიანებმა ვერ გამიმართლეს, მთავრობის წარუმატებლობა ვიღაცას უნდა გადააბრალოს, თუკი მან ეს არ გააკეთა და ამ მთავრობით წარდგა არჩევნებზე, დარწმუნებული ვარ, რომ ივანიშვილი როგორი ელმავალიც არ უნდა იყოს, მაინც წააგებს.

— **მთავრობაში წარმატებული მინისტრებიც არიან. მაგალითად, დავით სერგეენკო, რატომ უნდა დატოვოს მან პოსტი გუნდთან ერთად?**

– მე არ ვსაუბრობ პერსონალიზაციით, თუ მეკითხებით ჯანდაცვის მინისტრზე, კი ბატონო, გიპასუხებთ. ხომ ითვლება, რომ ჯანდაცვა მუშაობს გამართულად, ადამიანებს უფასოდ უკეთებენ ძვირად ღირებულ ოპერაციებს და ა.შ., მაგრამ მოდით, პოლიტიკურად დავთვალოთ, მაფიასთან ხომ არ გვაქვს საქმე? სახელმწიფო ბიუჯეტიდან თუ ფინანსდება ყველა ოპერაცია, მაშინ სადაზღვევო კომპანიები რატომ არიან ჩართულები შუამავლებად? რატომ თეთრდება ფული სადაზღვევო კომპანიების მეშვეობით? სად და ვის ჯიბეში ილექება ეს ფული? სისტემა არის მაფიოზური, მაგრამ შედეგი არის აბსოლუტურად სწორი. თუ ბიუჯეტიდან უნდა დაფინანსდეს ყველა ოპერაცია, მაშინ საავადმყოფოს ჩაერიცხოს თანხა, რა საჭიროა შუამავალი კომპანია? ვინმემ დასვა საკითხი, აქ ფული ხომ არ თეთრდება? ბიუჯეტის თითქმის ნახევარი მიდის ჯანდაცვაზე, ასე კომუნისტების დროსაც კი არ იყო, აბა, ერთი ექიმებს ჰკითხეთ, არიან თუ არა კმაყოფილები? საქმე ისაა, რომ ერთი ჯგუფი მდიდრდება. ხალხს რომ ჰკითხოთ, გეტყვიან, რომ კარგი რეფორმაა, მაგრამ რა გვიჯდება? იმის ნაცვლად რომ ბიუჯეტი რეინვესტიციებს ხმარდებოდეს, ხმარდება ჯანდაცვას. მოდით, ასე ვთქვათ, ეკონომიკური თვალსაზრისით, ეს გადაყრილი ფულია, ხოლო სოციალური თვალსაზრისით, კარგად დახარჯული ფული კი არ არის, არამედ კარგი რეფორმაა შედეგის თვალსაზრისით. მაგრამ ხარჯების ნაწილი არის დასათვლელი, მიდის თუ არა ადგილამდე. ამიტომ კიდევ საკითხავია, კარგი რეფორმაა თუ არა, ეს რეფორმა რომ კეთდებოდეს არასაბიუჯეტო თანხებით, მაშინ ძეგლი უნდა დავუდგათ დავით სერგეენკოს. მაგრამ ბიუჯეტიდან ფულის დახარჯვას რა დიდი ცოდნა უნდა, ამიხსნას ვინმემ, რა. გავყვები თემას და ინფრასტრუქტურის მინისტრის ნოდარ ჯავახიშვილის განცხადებას შეგახსენებთ. როცა მოვიდა, მან თქვა, აქ ფული თეთრდებოდაო. ვისი მთავრობა იყო როცა ფული თეთრდებოდა, იქაც მაფიოზური სისტემა ყოფილა და ჩვენ არ ვიცით, ეს გრძელდება თუ არა, მაგრამ ახლად მოსულმა მინისტრმა ეს ხომ თქვა? ამის გამო კი არავინ დასჯილა, თურმე შეიძლება ამ ქვეყანაში მილიონები მოიპარო და არავინ დაგსჯის, პოლიტიკურად შევხედოთ ამ ყველაფერს. მოვა დრო, როცა პოლიტიკური შეფასებები გაკეთდება, რომელი სამინისტრო რას აკეთებდა. მთავრობას კი უკვირს, ხალხი რატომ არის უკმაყოფილოო, რაც არ უნდა მილიარდები დაიხარჯოს გზებზე, ჯანდაცვაში, დასაქმების პრობლემა მოუგვარებელია, გაძვირებულია ცხოვრება 40 პროცენტით 2012 წლიდან დღემდე და ვინ იქნება კმაყოფილი? 139 საწარმო გავხსენითო, მთავრობა გვეუბნება, გაიარეთ ერთი და იკითხეთ, ვინმეს ჯიბეს ეს დაეტყო? რაც არ უნდა ციფრები გადმომილაგო და მიმტკიცო, რასაც შეგპირდი ნაწილობრივ მაინც ხომ შევასრულეო, ეს ჩვენს ჯიბესა და ცხოვრებას ხომ უნდა დაეტყოს?! პენსიონერს ჰკითხეთ ერთი, 20 ლარით რომ გაუზარდეს პენსია, მსყიდველობითი უნარით მაშინდელი 100 ლარი სჯობდა, თუ ახლა რომ ექნება 170 ლარი? მათმა პენსიამ კი არ მოიმატა, მოიკლო, ისე გაძვირდა ცხოვრება და მე როცა ვამბობ, რომ არჩევნებამდე ივანიშვილი მთავრობას დაითხოვს, ეს ბიძინას მოგონებული კი არ არის, არსებული პოლიტიკური მოვლენები კარნახობს ამ რეალობას. თუკი ის ახალი გუნდით არ წარდგება, ხალხი არ დაუჯერებს, რომ ივანიშვილი რასაც დაჰპირდება, შეასრულებს.

— **მაჟორიტარების სიას, რომელიც გამოქვეყნდა, მმართველი გუნდი დეზინფორმაციულს უწოდებს, თუმცა კახა კუკავა აცხადებს, რომ სია, მას ირაკლი კობახიძის მეილიდან მიუვიდა. სიიდან ირკვევა, რომ ჩრდილელი, უძილაური, მეჭიაური და ა.შ. მაჟორიტარულ არჩევნებში მიიღებენ მონაწილეობას, თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ მმართველი გუნდიდან?**

– ეს არის ბიძინა ივანიშვილთან დაახლოებული ჯგუფი. როგორც ვიცი, ვასიკო მაღლაფერიძე აქტიურობს მის კარზე, ალბათ, მასაც ექნება რამდენიმე კანდიდატურის სია, მაგრამ გადაწყვეტილება ჯერ მიღებული არ არის. ლიდერობა, რიგითობა და ასე შემდეგ – ეს არის ბიძინა ივანიშვილის გადასაწყვეტი. როგორც ვიცი, ბიძინა ივანიშვილი არის ძალიან უკმაყოფილო, რადგან არც ერთი გამოკვეთილი ლიდერი არ ჰყავს პარტიას, რომელიც გაქაჩავს. „ნაციონალებს“ ლიდერი ჰყავთ, ალასანიას პარტიაში ლიდერები არიან, ამათ გამწევი ძალი საერთოდ არ ჰყავთ და ამის გამო ძალიან შეშფოთებულია ივანიშვილი.

— **თავდაცვის მინისტრი თინათინ ხიდაშელი საარჩევნო ცვლილებებზე ალაპარაკდა და განაცხადა, რომ 2016 წელს უნდა იყოს სპეცუბნებისგან თავისუფალი საარჩევნო პროცესი, სასაცილო და უტიფარი განცხადება ხომ არ არის მისი მხრიდან?! საგარეჯოს არჩევნებზე სწორედ სპეცუბნების გამოყენებით მოუგო „პატრიოტთა ალიანსს“...**

– სანამ ოპოზიციაში იყო, მაშინ იძახდა, მაჟორიტარულ არჩევნებში სპეცუბნების გამოყენება არ შეიძლებაო, გახდა მინისტრი და კი ვნახეთ, რაც გააკეთა – კოჯრის ანძა გადაწია, რომ „ობიექტივის“ გადაცემები არ გასულიყო საგარეჯოში, სპეცუბანიც შექმნა და 500 ჯარისკაციც დაარეგისტრირა, დასჭირდა და გააკეთა, ახლა აღარ სჭირდება და ამბობს, რეფორმას გავატარებო. ეს არის ორმაგი სტანდარტი, პირადი ინტერესების თავსმოხვევა სახელმწიფოს ინტერესებზე და ეს არის ზუსტად ის, რომ მორალური სტანდარტი არ არსებობს პოლიტიკაში! ძალიან მალე გაირკვევა „რესპუბლიკელების“ ბედი. ცალკე მიიღებენ ისინი არჩევნებში მონაწილეობას, თუ კოალიციურ ფორმატში გამოვლენ, ეს ბიძინა ივანიშვილის ნებაზე იქნება დამოკიდებული. მე ვფიქრობ, რომ დიდ ეჭვებში არიან „რესპუბლიკელები“, დატოვებთ თუ არა ბიძინა ივანიშვილი კოალიციაში, ეს აღარ არის ნულოვანი პარტია, სახელისუფლებო რესურსი აქვთ, ხალხი ჰყავთ თანამდებობებზე, საკრებულოებში და ა.შ. არანაირად არ ჩამორჩებიან ალასანიას პარტიას, პირიქით... არავინ თქვას, რომ „რესპუბლიკური“ პარტია ბარიერს ვერ გადალახავს, გადალახავს 5-პროცენტიან ბარიერს, მაგრამ, თუკი ისინი გაარკვევენ, რომ ბიძინა ივანიშვილი მათთან თანამშრომლობაზე უარს ამბობს, შესაძლოა, მათ ალასანიასთან ერთად გააკეთონ კოალიცია. „რესპუბლიკელებს“ შიშის ფაქტორი აღარ აქვთ, კოალიციის გარეშეც გადალახავენ 5-პროცენტიან ბარიერს, ეს იფიქრონ სხვა პარტიებმა – ზვიად ძიძიგურმა და „კონსერვატორებმა“, „ფორუმმა“, „სოციალისტებმა“, „მრეწველებმა“... ამიტომ არის, რომ „რესპუბლიკელები“ ვაჭრობენ და ითხოვენ კვოტებს იმიტომ, რომ მათ ეს რესურსი გააჩნიათ.

— **საინტერესოა, ვინ იქნება მთავარი ოპოზიციური ძალა? ჩვენ ვხედავთ, რომ „ნაციონალურ მოძრაობაში“ ძალიან დიდი დაპირისპირებაა, რაც აუდიოჩანაწერებით დასტურდება, გოკა გაბაშვილი სააკაშვილს ხელისუფლების გიჟს ეძახის, ადეიშვილს აგინებს, ნახევარ პარტიას ბოზად მოიხსენიებს... სააკაშვილს 3 კვადრატში გამომწყვდეული გიგი უგულავასი ეშინიაო. მოკლედ, ფლანგები გამოიკვეთა, შეძლებენ ერთიანი ძალით არჩევნებზე გამოსვლას?**

– დიახ, ჩანაწერებში იყო უცენზურო სიტყვები, რაც გამაღიზიანებელი იქნება ერთმანეთისთვის, მაგრამ მეორეა, გოკა გაბაშვილს ძმა ეუბნება და სწორადაც, როგორი დიდი კონფლიქტიც არ უნდა გქონდეთ, მაინც უნდა შეთანხმდეთ, დაპირისპირება ხეირს არ მოგიტანთო და ალბათ, ამ გზით წავლენ. ყველამ ვიცოდით, რომ შიგნით იყო ორი ბანაკი, დღეს უკვე ცნობილი ხდება, ვინ სააკაშვილის ბანაკშია, ვინ უგულავას ბანაკში. ეს საუბარი იქნება წყალგამყოფი, ან გაიყოფიან, ან შერიგდებიან. ასეთი ჩანაწერების გამოქვეყნება პოლიტიკოსებისთვის პრობლემა არ არის, ჩვენ გვახსოვს ის ჩანაწერი, სადაც ღარიბაშვილი ხიდაშელს აგინებს, მაგრამ დღეს ერთ გუნდში არიან. ვისაც ბევრი რესურსი ექნება, ის იქნება მთავარი ოპოზიციური ძალა. ფული აქვს ბიძინა ივანიშვილს, მაგრამ არც „ნაციონალები“ არიან უფულოდ. ნუ გავიწყდებათ, რომ მათ თავისი ტელევიზიაც აქვთ და ისინი პოზიციების დათმობას არ აპირებენ.

# პატრიარქს თუ შეწყალების უფლება ექნება, მაშინ პრეზიდენტს მიანიჭონ ზიარების უფლება საუფლო დღესასწაულებზე მაინც და გასწორდება კართაგენი!

**მაშინ ავასრულოთ პატრიარქის ოცნება და დავანგრიოთ ციხეები, რაღა საჭიროა ციხე, თუკი პატრიარქი ისედაც ყველა დამნაშავეს, განსხვავებით დანაშაულის სიმძიმისა, ისედაც იწყალებს და ცოდვებს პატიობს?!**

ნინო სამხარაძე
599 71-14-22

**„პატრიარქი პატიმართა შეწყალების უფლებას მოითხოვს და პრემიერი პარლამენტის წინაშე საკითხის დასმას ჰპირდება. კიევის ყოფილი მერი საქართველოში პოლიტიკურ პარტიას ქმნის, ოლიგარქი ნიცშეს აკრიტიკებს. გუშინდელი სადისტი დღეს სიტყვის თავისუფლებაზე ღვრის ცრემლებს. ყოფილი პრეზიდენტი კაპიკს კაპიკზე აწებებს და ისე ცხოვრობს, საოპერო მომღერალი... იბიარდი... მოკლედ, თითქოს ვიღაცის კოშმარულ სიზმარში ვართ ჩარჩენილები. გახსოვთ ანეკდოტი, კაცი ორმოში რომ ჩავარდება, ამოსვლას ვერ ახერხებს და თან იძახის, ერთხელაც ვცდი და მერე სახლში წავალო? ეგეთ დღეში ვართ ყველა“,**

– ძნელია არ დაეთანხმო ფილოსოფოს ზაზა ფირალიშვილს! ოპლა... რადგან ჯერ კიდევ ვცოცხლობთ და ფილოსოფოსს მიაჩნია, რომ ეს კოშმარული სიზმარი, ჩვენი არ არის, გადარჩენის შანსები გვეზრდება და არ დავნებდეთ!

გასული კვირა საზოგადოებისთვის დამაბნეველი აღმოჩნდა, ხელისუფლებამ სახიფათო პოლიტიკური თამაშები წამოიწყო. საქართველო, როგორც სეკულარული სახელმწიფო, სადაც რწმენის თავისუფლება კონსტიტუციით არის გარანტირებული, შესაძლოა, თვისობრივად შეიცვალოს, თუკი კონსტიტუციაში გაჩნდა ჩანაწერი, რომ საქართველოს პატრიარქს შეწყალების უფლება მიენიჭება. თუკი კონსტიტუციაში ასეთი ჩანაწერი გაჩნდება, ჩვენ დემოკრატიული სახელმწიფოს ნიშანს დავკარგავთ და ირანს დავემსგავსებით. ირანის ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუციის 110-ე მუხლის თანახმად, ქვეყნის უზენაეს სულიერ წინამძღვარს უფლება აქვს, სასჯელი შეუმსუბუქოს და შეიწყალოს მსჯავრდადებულები, ოღონდ უზენაესი სასამართლოს ხელმძღვანელის წარდგინებით, საქართველოში კი საუბარია, რომ ეს უფლება პირდაპირ საქართველოს პატრიარქს გადაეცეს, რაც იმას ნიშნავს, რომ პრეზიდენტი მარგველაშვილი, რომლის ერთპიროვნული უფლებაა, შეიწყალოს პატიმრები, ამ უფლებას კარგავს და შევდივართ ჩიხში. ჩვენ დავკარგავთ სეკულარული სახელმწიფოს ნიშნებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ურთიერთობა სახელმწიფოსა და რელიგიას შორის ნეიტრალური ვეღარ იქნება და ეკლესია გავლენას მოახდენს პოლიტიკურ ცხოვრებაზე.

**როცა პრემიერ-მინისტრი შეწყალების პროცესში პატრიარქის ჩართულობის გაზრდისკენ მიანიშნებს, უნდა გავიხსენოთ ისიც, რომ შეწყალების საკითხთა კომისიის წევრი იყო და არის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსი, ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტი თეოდორე და არანაირი საჭიროება არ არსებობს, პატრიარქმა შეწყალების უფლება წაიღოს. დიდი პატივისცემის მიუხედავად, ის ქვეყნის უმაღლეს სასულიერო პირს წარმოადგენს**

და მისი უფლებაა, შეუნდოს და აპატიოს დამნაშავეს, ჩვენ ყველა მისი სულიერი შვილი ვართ და თუკი ამ ბერკეტს ის ხელში აიღებს, მაშინ ავასრულოთ პატრიარქის ოცნება და დავანგრიოთ ციხეები, რაღა საჭიროა ციხე, თუკი პატრიარქი ისედაც ყველა დამნაშავეს, განსხვავებით დანაშაულის სიმძიმისა, ისედაც იწყალებს და ცოდვებს პატიობს?! და კიდევ, პატრიარქს თუ შეწყალების უფლება ექნება, მაშინ პრეზიდენტს მიანიჭონ ზიარების უფლება საუფლო დღესასწაულებზე მაინც და გასწორდება კართაგენი.

**არ შეიძლება პრეზიდენტის სიძულვილით დაბრმავებულებმა სახელმწიფოს ნიშნები ვანგრიოთ და სახელმწიფოებრიობა კითხვის ნიშნის ქვეშ დავაყენოთ. გაჩნდა ეჭვი, რომ მთავრობის ეს ინიციატივა გამოწვეულია იმის შიშით, რომ პრეზიდენტმა უგულავა, მერაბიშვილი, ახალაია არ შეიწყალოს. თუკი პრეზიდენტი ამ სისხლისმსმელებს შეიწყალებს, ყველაზე უკეთ მან იცის, რომ ეს მისთვის პოლიტიკური ხარაკირის ტოლფასი იქნება, ხოლო თუკი პატრიარქი ყველაზე ცოდვილ შვილებს არ შეიწყალებს, გამოდის, რომ ის თავის სულიერ შვილებს ასხვავებს და მისი შემწყნარებლობა ეჭვქვეშ დადგება! ჩვენ გვახსოვს პატრიარქის სიტყვები, მიხეილ სააკაშვილის მისამართით ნათქვამი, რომ მას ყველაზე მეტად ცოდვილი შვილი უყვარს და ეცოდება.**

როგორც ჩანს, ეს ინიციატივა მმართველ კოალიციაში განხეთქილების მიზეზი ხდება. „მე თვითონ ყოფილი პატიმარი ვარ, მაგრამ სახელმწიფო თავის ფუნქციას ვერავის გადასცემს. საქართველოში, რომელიც სეკულარული ქვეყანაა და სადაც ხელისუფლება არის ხალხის ხელში, ასეთი ინიციატივის განხორციელება წარმოუდგენლად მიმაჩნია“, – აცხადებს „რესპუბლიკელი“ ლევან ბერძენიშვილი. ამგვარი ცვლილების წინააღმდეგ რესპუბლიკური პარტია რომ წავიდოდა, ძნელი მისახვედრი არ უნდა ყოფილიყო, პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი კატეგორიულია და აცხადებს, „არ ვიცი პრეცედენტი, როცა პატიმართა შეწყალების უფლება, სახელმწიფოს მეთაურის გარდა, ვინმე სხვას აქვს. ვფიქრობ, რომ მცირედ გაუგებრობას აქვს ადგილი: ერთია ცოდვის მიტევება, შენდობა, რომელიც, გასაგებია, ვისი ექსკლუზიური უფლებაა. მეორეა სასჯელისგან განთავისუფლება და ამ თვალსაზრისით – შეწყალება. არ მახსენდება შემთხვევა, როცა, სახელმწიფოს მეთაურის გარდა, ვინმეს ჰქონდეს ეს მძიმე ტვირთი. შეწყალება სასიამოვნო უფლება არ არის. შესაძლოა, აქ უფრო ჩართულობაზე იყოს საუბარი და არა რაიმე უფლების ვინმესთვის გადაცემაზე ან გაყოფაზე. ასეთი კონსტიტუციური მოდელი არც მახსენდება“... საკონსტიტუციო ცვლილებები ვერ განხორციელდება და ეს უკვე ცალსახაა. ერთია, რომ კოალიცია „ქართულ ოცნებას“ საკონსტიტუციო ცვლილებების განსახორციელებლად საკმარისი ხმები არ გააჩნია და მეორეა, რომც ჰქონდეთ, ეს ცვლილება - პრეზიდენტს ჩამოერთვას შეწყალების ბერკეტი და გადაეცეს პატრიარქს, არ განხორციელდება! რადგან პროდასავლური ძალები ამ ინციატივას მხარს არ დაუჭერენ და ეს, დიახაც, არ იქნება სწორი და მართებული.

**გახდება თუ არა ეს ინციატივა საბოლოო წყალგამყოფი, „რესპუბლიკელებსა“ და კოალიციის სხვა სუბიექტებს შორის? ალბათ, გახდება, თუკი აღმასრულებელი ხელისუფლება ამ საკითხის გატანას პრინციპულად დააყენებს,**

ისედაც ნონ-სტოპის რეჟიმშია გადართული კოალიცია და რაც უფრო მალე გაირკვევა, საით დადგება ეს ძალა, ყველა მხარისთვის უკეთესია. ლევან ბერძენიშვილი ღიად აცხადებს, რომ კოალიციის რიგ წარმომადგენლებს მასში „რესპუბლიკური პარტიის“ ნაცვლად ირმა ინაშვილის პოლიტიკური გაერთიანების ხილვა სურთ და მას გულშემატკივრობენ. საკონსტიტუციო ცვლილების განხორციელებას არა მხოლოდ მთელი უმრავლესობის, არამედ ოპოზიციური ფრაქციების წევრთა გარკვეული რაოდენობის ხმები სჭირდება, ამიტომ რესპუბლიკელების წინააღმდეგობის გათვალისწინებით, ამ ინიციატივის განხორციელება სრულიად წარმოუდგენელი ჩანს.

საინტერესო მოსაზრება აქვს ამ საკითხზე ცოტნე გამსახურდიას: „ეს ჩვენი მთავრობა რამ გამოაშტერა, რომ თავის ჭკუით ასე გარკვეული კატეგორიის ამომრჩეველს უგორებს კოჭს, ან ჩვენ რამ დაგვაძაბუნა, რომ ვერ ვაგონებთ საკუთარ ხმას?! არა, მორჩა, დამთავრდა, აღარ იქნება აქ ბნელეთი, აღარა აქვს ის ძალა და პოზიციები! და თქვენც, ხელისუფლებავ, გამორიცხულია, რომ სერიოზულად გჯერათ ამ რიტუალური მანტრებისა და გუნდრუკის კმევის, რომელსაც ფეოდალურ-კლერიკალურ ბნელეთს უკმევთ.

**ვერა, უკვე ვერ მოიპოვებთ ამ გზით პოლიტიკურ ქულებს, შეეშვით თავისა და ჩვენს დაშტერებას! გემს მიხედეთ, სჯობს, და საქმეზე იფიქრეთ... ვანომ ჯიპები აჩუქა ეპისკოპოსებს და ნახევარი სინოდი მაგის ხალხი იყო, თუ მეტი არა; ახალაია ხომ მრავალგზის დალოცვილ-ნაკურთხ-დაჯილდოებული ჰყავს... გადაიხადონ, კაცო, და ეკლესიის აღმშენებლობისთვის რას არ გააკეთებს... ვაჰ, ფანატიკოსების გაპრავებები დამანახა მერე ნეტა“..**

**ქართველი მწერალი პაატა ქურდაძე საფრანგეთიდან ეხმაურება ამ ინიციატივას და აი, რას წერს: „ისე მაგრად ვიცინებ კახიშვილი-ბესელიასა და განსაკუთრებით ღარიბაშვილის სახის მიმიკებზე, პატრიარქმა მერაბიშვილი და ახალაია რომ შეიწყალოს პირველები“...**

**ხელისუფლებას მოუწევს გაითვალისწინოს ხალხის აზრი, რადგან ხალხია ხელისუფლების წყარო და მათ დაკრულზე ცეკვა-თამაში ამ ქვეყანაში დასრულდა!**

პატრიარქის ხელში შეწყალების ინსტრუმენტის შესაძლო გადასვლამ, ყველა თემა გადახურა, მათ შორის ნაციონალების აუდიოჩანაწერის გამოქვეყნება საიდანაც კიდევ ერთხელ ვიგებთ, რომ სააკაშვილს გუნდში ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს, გოკა გაბაშვილის საუბარი ძმასთან სწორედ ამის დასტურია, მას ხელისუფლების გიჟს უწოდებენ, რომელსაც პარტიაში მონები სჭირდება, სათვალიან ვირთხას, იგივე ზურაბ ადეიშვილს რეკორდულად აგინებენ და პარტიაში ლიდერებს ბოზებად მოიხსენიებენ, რაც მთავარია,

**დადასტურდა, რომ 3 კვადრატულ მეტრ ფართში გამომწყვდეული გიგი უგულავასი ეშინია ჩვენს მაღალს, რაზეც „კვირის ქრონიკა“ ჯერ კიდევ წლების წინათ წერდა, რომ მიშა უგულავას „ჩორტავდა“, ლიდერის ფუნქცია რომ არ „აეხია“ და ციხეში მყოფი უგულავაც კი მისთვის საფრთხეა, თუმცა „ნაციონალებმა“ ეს საქმე ჩაფარცხეს.**

რა მოხდა მერე, გაუგებრობა იყო და დავლაგდითო, ამბობენ. საიქიოდან მკვდრები ვერ ბრუნდებიან და ასეა „ნაციონალების“ საქმე, ისინი ვეღარ დაბრუნდებიან იმ პოზიციაზეც კი, რასაც ჰქვია მთავარი ოპოზიციური პარტია.

როგორც იქნა, „რესპუბლიკურმა“ პარტიამ ყრილობა ჩაატარა, სადაც უნდა გადაწყვეტილიყო, რა ფორმატში გამოვიდოდნენ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე, დამოუკიდებლად თუ კოალიციურ ფორმატში. სუპერამბიციური პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა დავით უსუფაშვილმა კოალიციას შეახსენა:

**„რომ არა „რესპუბლიკური პარტია“, მმართველი კოალიცია ვერ შედგებოდა, მე ამას ვამბობ არა მხოლოდ ემოციებით, არამედ ცოდნით. რა ფორმით მიიღებს „რესპუბლიკური პარტია“ მომავალ არჩევნებში მონაწილეობას, ამაზე გადაწყვეტილებას პარტიის ეროვნული კომიტეტი ძალიან მალე მიიღებს და არა არჩევნებამდე სამი თვით ადრე... ჩვენ ვართ რეგიონში დასავლელი პარტნიორების დასაყრდენი და არა სიურპრიზების შემქმნელი“...**

„რესპუბლიკური პარტია“ თავისი არსით რომ არასასურველი სიურპრიზია ქართველი ამომრჩევლისთვის, ეს დავით უსუფაშვილმა ამომრჩეველზე უკეთ იცის და ამიტომაც დარჩებიან თუ გავლენ კოალიციიდან, არც ერთი ვარიანტი ქართველი საზოგადოებისთვის სიურპრიზი არ იქნება!

და კიდევ, ერთი მხიარული ამბავი მოხდა გასულ კვირას.

**უკრაინელმა აფერისტმა, კიევის ყოფილმა მერმა ლეონიდ ჩერნოვეცკიმ, რომლის კორუმპირებულობაზეც ლეგენდები დადის, მის დაპირებებზე კი ანეკდოტებს ყვებიან, განაცხადა, რომ ის პოლიტიკურ პარტიას ქმნის. უკრაინა-საქართველო აფერისტების ექსპორტ-იმპორტზე მუშაობს. სააკაშვილში ეს თაღლითი გაგვიცვალეს, ამ ტიპზე, რომელიც ძალიან მარიაჟობს და ქართული ტელევიზია დაიპყრო, ძალიან მალე დამანგრეველ კომპრომატებს გამოაქვეყნებენ,**

ვინ არის, რა უნდა, რა ბრალდებებს უყენებენ კიევში და კიევის მერობის დროს რა ივაჟკაცა. ქართული პოლიტიკა უკვე ღადაობა გახდა. პოლიტიკა ფულის გათეთრების ვარიანტში აქვთ მილიარდერებს, პოლიტიკაში დიდ ფულსა და წარსულს რეცხავენ. მოკლედ, ბატონმა ლეონიდმა ქართველი ჟურნალისტები ქობულეთში, ჭყონიას ძვირად ღირებულ სასტუმროში ჩაიყვანა იმის სათქმელად, რომ პარტიას ქმნის და დაყარა ლოზუნგები:

**ვინც მეგის ქარდავას იპოვის და ჩააბარებს პოლიციას, პირადად ჩემგან გადაეცემა 150 000 დოლარიო, ავოეე... ლეონიდ, შენც რა მაგრად გაჟრიალებს, მეგისა ქარდავას თავის ცოლი ვერ პოულობს, ეგ ნაციონალებს უნდა უთხრა, მაგალითად, გოკა გაბაშვილს, ახლა ისეთ დღეშია და ისე უჭირს, რომ 50 000 დოლარადაც ჩამოგიყვანს მეგისა ქარდავას, თანაც გაბანტულს.**

ამ კაცის პარტიას ერქმევა „ბედნიერი საქართველო“, პენსიონერებს 500-ლარიან პენსიას ჰპირდება და... მოკლედ, ნაცნობი ოპერიდანაა ეს პარტია, ბატონო ლეონიდ, რა ყველას ამ ქვეყანაში გინდებათ ექსპერიმენტები, ისე კი, ერთს გირჩევ, ლეონიდ, საქართველოს მოქალაქეობა კი მიიღეთ, მაგრამ ეგებ ქართული ენა გესწავლათ, კაცი ამდენი წელი ქართველის სიძე იყავით და ახლა პოლიტიკაში მოდიხართ, შეურაცხყოფას რატომ გვაყენებთ? უკრაინული კანონმდებლობის მიხედვით, პოლიტიკოსი ვალდებულია, უკრაინულად საუბრობდეს და თქვენ ოკუპანტის ენაზე რომ გვესაუბრებით რა, ბნელა?!





გელა ზედელაშვილი
555 48-48-61



# ვინ გახდებიან „სახალხო დეპუტატები“ და ვინ იმუშავებს „პატრიოტული მოტივებით“ უფულოდ და უხელფასოდ?



**ბატონი ბიძინა ამბობს, მომავალ პარლამენტში იურისტები და ინგლისურის მცოდნეები უნდა შევიდნენო (მიშა იყო სააკაშვილი მასეთი და კი უხდიდა ხელფასს სოროსად შენიღბული ივანიშვილი. გამოდის ტყულად გაგვიშვია?! გ.ზ.). ესეც შეცდომაა, პარლამენტში უნდა შევიდნენ ავტორიტეტები, პიროვნებები, ზოგი იურისტი იქნება, ზოგი ეკონომისტი. პარლამენტში უნდა შევიდნენ ის ადამიანები, რომლებმაც ქართული იციან კარგად და თავისი ქვეყანა.**





**როდესაც ბოლო სოციოლოგიური გამოკვლევა ჩატარდა, გვითხრეს, მოსახლეობის 60 პროცენტს არჩევნებში მონაწილეობა არ უნდაო. რა გამოდის, მოსახლეობის 40-მა პროცენტმა უნდა მოიყვანოს რომელიმე ძალა ხელისუფლებაში? ჩვენ უნდა ვიმუშაოთ სწორედ იმ 60 პროცენტზე**






**4 დეკემბერს მწერალთა სასახლეში საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა — „ახალი რეალობისთვის“, „ქართულმა მისიამ“, „ვეტერანთა პარტიამ“ და „დედაქალაქი ყველა უბანში“, თავყრილობა გამართეს. იდეა აქვთ, რომ უახლოეს ხანში საქართველოს მოსახლეობიდან ამოარჩიონ სახალხო დეპუტატობის კანდიდატები. რას ითხოვენ ხელისუფლებისგან და მოსახლეობისგან, რის გაკეთებას ცდილობენ „ახალი ტიპის პატრიოტები“, ამაზე „ქრონიკას“ მოძრაობა „ახალი რეალობისთვის“ ხელმძღვანელი, მერაბ შათირიშვილი ესაუბრება:**

**— მერაბ, თქვენ დაახლოებით „სახალხო კრების“ მსგავს რაღაცას ხომ არ აკეთებთ?**

– არა, რაც „სახალხო კრებაში“ თავის დროზე მოხდა, ჩემთვის მისაღები იყო, მაგრამ შემდგომში პოლიტიზებამ დაშალა კიდეც.

**ჩვენი გაერთიანება არის მხოლოდ საზოგადოებრივი. როდესაც ბიძინა ივანიშვილი შემოვიდა პოლიტიკაში, მან მაშინვე ამცნო ხალხს, რომ დეპუტატებს აირჩევდა თავად მოსახლეობა თავისივე წიაღიდან. უნდა მომხდარიყო რეგიონებში შესწავლა და წინა პლანზე გამოსულიყვნენ ადგილობრივი ავტორიტეტები. თუმცა შემდეგ მოვლენები სულ სხვანაირად განვითარდა.**

გასაგებია, რომ მაშინ უფრო რთული სიტუაცია იყო, ჯერ კიდევ „ნაციონალებს“ მიჰყავდათ „პარადი“ და ეს ვერ მოხერხდა, მაგრამ სამაგიეროდ მივიღეთ კატასტროფული შედეგები, დამისახელე ერთი რაიონი მაინც, სადაც თავიანთ მაჟორიტარ დეპუტატზე კარგს ამბობენ, სადაც ხალხი კმაყოფილია.

**— შენ თვითონ დამისახელე... ზოგიერთს ეხმარებოდი, რომ დეპუტატი გამხდარიყო.**

– გასაგებია... ვერ გეტყვი.

**— ჰოდა, მე შემიძლია, იქით წამოგიყენო ბრალდება, რადგან შენ არაერთ დეპუტატს მიეხმარე 2012 წლის არჩევნებში და ყველამ მოგვატყუა, გაინაღდეს სკამები და ხალხი ფეხებზე დაიკიდეს.**

**— ეს ბრალდება მისაღებია... მე ეკა ბესელიასაც ვეხმარებოდი. რასაც ის აკეთებს პარლამენტში, კარგია, მაგრამ ფოთის მოსახლეობაში მაინც არის უკმაყოფილება. ერთი ადამიანი პარლამენტშიც და ფოთშიც ვერ იქნება.**

**— ფაქტია, რომ ვერც იმ ადამიანებმა გაამართლეს, ვისაც შენ ეხმარებოდი. იქნებ საარჩევნო სისტემის უბადრუკობის ბრალია, როგორ შეიძლებოდა, ერთს მაინც არ გაემართლებინა?**

**— კი, საარჩევნო სისტემა შესაცვლელია, მაგრამ, როდესაც სამტრედიელ კაცს რუსთავში გაუშვებ, მან არ იცის ამ ქალაქის ტკივილი.**

**— ბიზნესი ხომ კარგად იცის? ამბობენ, მშვენივრად გამოსდისო, ჩოხაც მოირგო და ფულის თვლაც ისწავლაო.**

– (იცინის) მართალი ხარ... ჩემი აზრით, რეგიონებში მაჟორიტარებად უნდა იყვნენ ადგილობრივები.

**— ჩემი აზრით, საერთოდ არ არიან საჭირო. მაგალითად, ჩემს რაიონში, სიღნაღში მაჟორიტარი იქაურია, მაგრამ მოსახლეობა არც კი იცნობს... თან ამ უვარგისი კანონით, სანამ ეს 4 წელი არ გავა, ამომრჩეველს უფლებაც არ აქვს, სადაც შეიყვანა, იქიდან ყურით გამოათრიოს... შენ ის მითხარი, თქვენ რას აპირებთ, რას ნიშნავს „სახალხო დეპუტატი“?**

– გეთანხმები, რომ შეცდომებთან გვაქვს საქმე.

**ბატონი ბიძინა ამბობს, მომავალ პარლამენტში იურისტები და ინგლისურის მცოდნეები უნდა შევიდნენო (მიშა იყო სააკაშვილი მასეთი და კი უხდიდა ხელფასს სოროსად შენიღბული ივანიშვილი. გამოდის ტყულად გაგვიშვია?! გ.ზ.). ესეც შეცდომაა, პარლამენტში უნდა შევიდნენ ავტორიტეტები, პიროვნებები, ზოგი იურისტი იქნება, ზოგი ეკონომისტი. პარლამენტში უნდა შევიდნენ ის ადამიანები, რომლებმაც ქართული იციან კარგად და თავისი ქვეყანა. რაც შეეხება ჩვენს გეგმას, ეს არის „სახალხო“ დეპუტატის იდეა. ჩვენ შევქმნით საინიციატივო ჯგუფებს, გავალთ რეგიონებში, შევხვდებით მოსახლეობას, სადაც დაასახელებენ თავიანთ რჩეულებს, ავტორიტეტებს, ლიდერებს.**

თავის დროზე ამის შესახებ პირადად ვუთხარი ბიძინა ივანიშვილს, ლიდერები ყველგან არიან, ისინი მოვიძიოთ, პოლიტიკური პარტიებიდან რომ მიგყავთ ხალხი, მაგათ ეძინათ, თქვენ გაალვიძეთ-მეთქი. ინტელიგენციის წარმომადგენლები რომ დარბოდნენ რაიონებში, ეგ ჩემი პროექტი იყო, 150 კაცი მივიყვანე „ქართული ოცნების“ დარბაზში, მერე გეგმა შევადგინეთ და დავიწყეთ. დღეს ამ ხალხის 90 პროცენტი განაწყენებულია იმიტომ კი არა, რომ ისინი გამოიყენეს, არამედ, თვითონ ისმენენ დღეს მოსახლეობისგან საყვედურებს, დეპუტატები რომ აგვარჩევინეთ, რას გვიკეთებენო?

**— კი, მაგრამ გამოგვიყენესო, ამასაც ამბობენ.**

– რა თქმა უნდა... ესე იგი, გავყვეთ ჩვენს გეგმას: ან საინიციატივო ჯგუფი, ან ჩვენ წარმოვაჩენთ ამა თუ იმ ავტორიტეტს,

**საკმარისი იქნება 1000 ადამიანის ხელმოწერა და შემდეგ შევარჩევთ „სახალხო დეპუტატს“, რომელიც იქნება ხალხის ნების გამომხატველი და მაგალითი სხვებისთვის. ჩვენ უნდა დავანახოთ ხელისუფლებას, რომ ამა თუ იმ რაიონში არიან კაცები და რაღა საჭიროა დამყაყებულ პარტიებში ძებნა? ნახე, რა ხდება... როდესაც ბოლო სოციოლოგიური გამოკვლევა ჩატარდა, გვითხრეს, მოსახლეობის 60 პროცენტს არჩევნებში მონაწილეობა არ უნდაო. რა გამოდის, მოსახლეობის 40-მა პროცენტმა უნდა მოიყვანოს რომელიმე ძალა ხელისუფლებაში? ჩვენ უნდა ვიმუშაოთ სწორედ იმ 60 პროცენტზე. შეიძლება კონსტიტუცია კი გაძლევს ამის უფლებას, მაგრამ როგორ შეიძლება, 33 პროცენტით ან მერი გახდე, ან კიდევ გამგებელი? ეს არ არის საკმარისი ლეგიტიმაცია. მე მხარს ვუჭერ ასეთ სისტემას: 50+1, ალბათ, გახსოვს, ეროვნული მოძრაობის დროს იყო ასეთი სისტემა, თუ 50-ს ერთით არ გადააჭარბებდი, ვერ იგებდი.**

**— დავუშვათ, კაცს მიანიჭეთ „სახალხო დეპუტატის“ სტატუსი, შემდეგ რა ხდება, ის მონაწილეობას მიიღებს არჩევნებში?**

– არა, ჩვენ არჩევნებში არ ვმონაწილეობთ. როდესაც ჩატარდება არჩევნები და დეპუტატი გახდება რომელიმე პარტიის წარმომადგენელი, „სახალხო დეპუტატს“ დავაყენებთ, როგორც ალტერნატივას, რომელიც განახორციელებს მონიტორინგს და დააწესებს კონტროლს. ძირითადად მონიტორინგი დაწესდება ადგილობრივ ხელისუფლებაზე.

**— და ეს ყველაფერი მოხდება საზოგადოებრივ საწყისებზე?**

– რა თქმა უნდა.

**— მერაბ, ლადაობ? ვისაც არ უნდა მიანიჭოთ „სახალხო დეპუტატის“ წოდება, ერთი-ორჯერ შეწუხდება და მერე იტყვის, წადით თქვენიო. ესე იგი, კაი ხელფასი სხვამ აიღოს და მე ხალხის სახელით ვირბინოო? უფულოდ ეგ ამბავი არ გამოვა. ჯერ ამხელა ხელფასს იღებენ და ხალხი ფეხებზე ჰკიდიათ და უხელფასოდ რაზე შეიწუხებს ვინმე თავს? თქვენ გიჟებს ეძებთ თუ ავტორიტეტებს?!**

– როდესაც რაიონში ცხოვრობ, შენ მაინც დარბიხარ, მიდიხარ, მოდიხარ, თუ დასაწყისშივე ფულზე ლაპარაკობ...

**— შეიძლება შენი მანქანა წყალზე მუშაობს, მაგრამ უმეტესობას ბენზინი უნდა. მასე ჩემს სოფელში რამდენიმე გიჟია, დილიდან საღამომდე დარბიან. ესე იგი, თქვენ ადამიანს არქმევთ „სახალხო დეპუტატს“ და ის გააკონტროლებს ფაქტობრივ დეპუტატს?**

– კი, მაგრამ ჩვენ მიერ დასახელებული „სახალხო დეპუტატი“ შეიძლება რომელიმე პარტიამ ან თავად ხელისუფლებამ წაიყვანოს, ჩვენ წინააღმდეგი არ ვიქნებით. ეს პროექტი მომავალში დაიხვეწება და არც იმას გამოვრიცხავთ, რომ ჩვენი დეპუტატი ფაქტობრივი დეპუტატიც გახდეს.

**— ახლა იმას მეუბნები, რომ თქვენ კადრების სამჭედლო ხართ?**

– ასე გამოდის, ჩვენ არჩევნებში მონაწილეობას ვერ მივიღებთ.

**— რატომ?**

– რანაირად მივიღებთ, როცა ჩვენი ორგანიზაციები სახალხოა?

**— გადააკეთეთ პოლიტიკურ პარტიად, რა პრობლემაა?**

– ამას უნდა დიდი თანხები, არჩევნები არ უკავშირდება მარტო ავტორიტეტებს, იქ უამრავი საორგანიზაციო საკითხია. ჩვენი მიზანია, გამოვკვეთოთ ლიდერები რაიონების დონეზე.

**— ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, მაგრამ დონ კიხოტები მგონიხართ.**

– თუ მმართველი პარტია, ან სხვა პარტია დააყენებს ისეთ კანდიდატს, რომელიც ვერ აჯობებს ჩვენს დეპუტატს, ხომ შერცხვება? ჩვენ ვეუბნებით, აგერ არის უკეთესი, ხალხი უჭერს მხარს, მოკიდე ხელი და წაიყვანე.

**ჩვენ უკვე მივეჩვიეთ მონურ საზოგადოებას, პარტიების მონურ მორჩილებას, არანაირი ავტორიტეტები. თუ ხარ ხმაურიანი და შეგიძლია, სამართლიანად მისცე შენიშვნა შენსავე გუნდს, ასეთი ადამიანი არ უნდათ. ეს უბედურებაა, მონების აშენებული არც პარტია უნახავს ვინმეს და არც ქვეყანა.**

# „იაშვილის კლინიკა ბავშვთა სასაკლაოა!!!“

## „საბრალო გოგოს ჩუტყავილა ჰქონდა... ექიმები ვერ მიხვდნენ, რა სჭირდა და ამ მკითხაობაში 4 წლის ბავშვები დაიღუპა!“

## „ყელი უნდა გამოგჭრა და შენი სისხლით იაშვილის ეზო მოგირწყააა!“

ეთერ ბალაძე
593 15-64-47



**8 წლის ბუკა ნიკურაძე, რომელსაც იაშვილის სახელობის კლინიკაში ლეიკემიის დიაგნოზი დაუსვეს, ერთი კვირის წინ გარდაიცვალა.**

– არასწორი მკურნალობის გამო, დაიღუპა 8 წლის ბავშვი. გამოიღვიძე, იაშვილის კლინიკა! უნამუსო, ცივსისხლიანების ხროვა, უფრთხილდით იაშვილის კლინიკას, – ასეთ განცხადებებს აქვეყნებენ მცირეწლოვანი ბავშვის ახლობლები და 8 წლის ბავშვის სიკვდილში იაშვილის კლინიკის ექიმს ასმათ შენგელიას ადანაშაულებენ. როგორც აცხადებენ, დიაგნოზი არასწორად იყო დასმული და ოჯახი ბავშვის გარდაცვალებაში კლინიკის ექიმს ასმათ შენგელიას ადანაშაულებენ. ამ ქალს მაღალჩინოსანი მფარველობსო, – ამის შესახებ „კვირის ქრონიკას“ იაშვილის კლინიკაში მკურნალობის შედეგად გარდაცვლილი 8 წლის ბუკას ოჯახის ახლობელმა განუცხადა.

**სოციალურ ქსელში გარდაცვლილი ბუკა ნიკურაძის მამიდის წერილიც გავრცელდა, რომელიც ექიმ ასმათ შენგელიას ემუქრება:**

*„ასმათ შენგელაია, გემუქრები და წადი მიჩივლე. უნდა მოკვდეეეე, ბუკას უნდა მიყვე უკან. ოღონდ განსხვავება ერთია, ბუკა სამოთხეში და შენ ჯოჯოხეთშიი. ჩემი ხელით გამოგჭრი ყელს, უნდა გაწამო, თითო წამი, როგორც ბუკა აწამეეე, შენ ნაბიჭვარო ქალოოოოო... არ გაცოცხლეეებ, არააა! რამდენი მტერი გაიჩინე ჩემი თამადობით, ბუკას ბიძები, დეიდები, მამიდები, ბებიები, ბაბუები, მისი ძმა, რომლებიც სისხლიანი თვალებით უყურებენ ბუკას. არააა, უნდა ამოწყდე ოჯახიანაად, არ უნდა გაგიმრავლდეს შთამომავლობააა. ამოწყდი ძირიანად და მონაგარიანად, იწამე ისე, როგორც ბუკა წამობდა ეს დროო. არა, არ გაპატიებს არავინ, უფალს ევედრე, სწრაფი სიკვდილით მოკვდეეე, მიჩივლე მიდიიი, შე დამპალო, აყროლებულო ძუკნაა, ყელი უნდა გამოგჭრა და შენი სისხლით იაშვილის ეზო მოგირწყააა“.*

ამ სულისშემძვრელ მიმართვას განცხადებით უპასუხა კლინიკამ:

**„მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფო მწუხარებას გამოთქვამს მერაბ (ბუკა) ნიკურაძის გარდაცვალების გამო. მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, მოგაწვდით მოკლე ინფორმაციას:**

**პაციენტი ნიკურაძე მერაბ (ბუკა) მკურნალობდა მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალურ საავადმყოფოში მწვავე ლიმფობლასტური ლეიკემიის, სუნთქვის მწვავე უკმარისობის, დაუდგენელი და სხვა კონვულსიებისა და პნევმონიის დიაგნოზებით.**

**ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ დიაგნოზი დასმული იქნა დროულად (კლინიკაში შემოსვლისთანავე) და დადასტურებული იქნა კვლევის სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით. მკურნალობა ასევე იქნა დაწყებული დროულად, დიაგნოზის დადგენისთანავე. მკურნალობა მიმდინარეობდა მწვავე ლიმფობლასტური ლეიკემიის ეროვნული და საერთაშორისო პროტოკოლების მიხედვით და ამ პროტოკოლებში მითითებული მედიკამენტების გამოყენებით.**

**მწვავე ლიმფობლასტური ლეიკემიის დიაგნოზი დასმული იქნა სისხლის საერთო ანალიზის, ძვლის ტვინის ციტომორფოლოგიური, ციტოქიმიური, ცოტოგენეტიკური და იმუნოლოგიური (ძვლის ტვინის იმუნოფენოტიპირება-გამდინარე ციტომეტრით) კვლევების საფუძველზე. მკურნალობა წარმოებდა მწვავე ლიმფობლასტური ლეიკემიის მართვის ეროვნული და გერმანული პროტოკოლის მიხედვით. გამოყენებული იქნა 4 ქიმიოთერაპიული პრეპარატი.**

**ქიმიოთერაპიის პირველი ფაზის დასრულების შემდეგ განვითარებული გართულებები მიეკუთვნება ხშირ გართულებათა რიცხვს და მათ შესახებ მშობლის ინფორმირება მოხდა მკურნალობის დაწყებამდე.**

**02.04.2015 წელს მშობლის მოთხოვნით პაციენტი გადაყვანილი იქნა თურქეთის კლინიკაში. თურქეთიდან დაბრუნების შემდეგ პაციენტს ჩვენი კლინიკისთვის არ მოუმართავს.**

**სამწუხაროდ, უნდა აღვნიშნოთ, რომ მწვავე ლიმფობლასტური ლეიკემიით დაავადებულთა მხოლოდ 77% ექვემდებარება მკურნალობას, ხოლო დანარჩენი 23% მთავრდება ლეტალური გამოსავლით (მითითებული მაჩვენებელი 10 წლის წინათ გაცილებით სავალალო იყო).**

**აღნიშნული შემთხვევა შესწავლილი იქნა სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს მიერ, რომლის დასკვნის მიხედვით პაციენტის დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში დარღვევები არ დაფიქსირებულა“**

გარდაცვლილი ბავშვის ოჯახმა, უკვე მიმართა ჯანდაცვის სამინისტროს, რომ მოხდეს საქმის შესწავლა, თუმცა ჯანდაცვის სამინისტროს მხრიდან, ამ ფაქტს რეაგირება არ მოჰყოლია. ამიტომაც დაღუპული ბავშვის ახლობლები ფიქრობენ, რომ იაშვილის კლინიკის ექიმს, ასმათ შენგელაიას ჯანდაცვის სამინისტროში მაღალჩინოსანი მფარველობს და სწორედ ამ მიზეზით არ ხდება ამ საქმის შესწავლა.

**— რატომღაც ხელს აფარებენ ასმათ შენგელაიას. მას ვიღაც მაღალჩინოსანი მფარველობს. ბუკა არ არის პირველი შემთხვევა, ექიმს აუცილებლად უნდა ვაგებინოთ პასუხი. ასმათ შენგელიას სამუდამოდ უნდა ჩამოერთვას ლიცენზია.**

უახლოეს დღეებში ოჯახი პროკურატურაშიც შეიტანს სარჩელს, – აცხადებს ოჯახის ახლობელი.

**„კვირის ქრონიკასთან“ საუბარში ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი ტატა გამყრელიძე განმარტავს, რომ გამოძიება, ბავშვის გარდაცვალების საქმეზე ჯერ არ დაწყებულა!**

3 დღის წინ კი 4 წლის გოგონა გარდაიცვალა, რომელსაც ექიმებმა დიაგნოზი ვერ დაუსვეს! გავრცელებული ინფორმაციით, გართულებული ჩუტყვავილის გამო დაიღუპა პატარა ბავშვი. 29-ე ბაღი, სადაც დაღუპული გოგონა დადიოდა, დაიკეტა და დეზინფექცია ჩაატარეს. აი, რას ამბობს „კვირასთან“ საუბარში ბაღის დირექტორი ლალი ნოზაძე: „თინათინი პირველად ჩვენს საბავშვო ბაღში წელს სექტემბერში მოვიდა. მისი დაც ჩვენი აღსაზრდელი იყო. თინათინი სასწავლო პროცესს ხშირად აცდენდა. უჭმელი იყო და დედას გაცილებით ადრე მიჰყავდა სახლში, ვიდრე ეს შესაბამისი დროით იყო გათვალისწინებული. როგორც ჩემთვის არის ცნობილი, ბავშვის დედამ პედაგოგს დაურეკა და მისი ავადმყოფობის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა. დედის ინფორმაციით, მათ სახლში ჩუტყვავილა თავდაპირველად უფროს შვილს ჰქონდა და პატარას მისგან გადაედო. დედას პედიატრი

**გამოუძახებია, თუმცა ექიმს დედისთვის საავადმყოფოში გადაყვანაზე უარი განუცხადებია. როგორც დედამ აღნიშნა, მას ექიმმა უთხრა, რომ ჩუტყვავილამ სიცხე იცის და ბავშვს სახლის პირობებში გაუვლიდა. დედის თქმით, მდგომარეობა ძალიან რომ დამძიმდა, ბავშვი საავადმყოფოში წაიყვანა, თუმცა, აღმოჩნდა, რომ უკვე დაწყებული ჰქონდა სეფსისი. სეფსისის ფონზე ბავშვს ორივე თირკმელი გაეთიშა, გაუკეთეს დი-**






**„ვიღაცა გამწარდება და ააფეთქებს იაშვილის კლინიკას!**








ალიზი, მაგრამ უკვე გვიანი იყო. ბავშვი გარდაიცვალა... პატარას გარდაცვალების შემდეგ, 29-ე ბაგა-ბაღი დროებით დაიხურა... დაწესებულებაში დეზინფექცია ჩატარდა. მიუხედავად იმისა, რომ ჩუტყვავილა ჰაერწვეთოვანი გზით გადადის და დეზინფექცია არ შველის, დეზინფექცია მაინც ჩავატარეთ, რომ მშობლები დაწყნარებულიყვნენ და ჩვენც თავი დავიზღვიეთ".

**იაშვილში ბოლო 8 თვეში 9 ბავშვი გარდაიცვალა, თითქმის ყველა მშობელი, ბავშვების გარდაცვალების მიზეზად, ექიმების უმეცრებასა და დაუდევრობას ასახელებს.**

ამ დრომდე, ჯანდაცვის სამინისტროს მიერ არგუმენტირებული კომენტარი არ მოგვისმენიაო, – აცხადებენ დაღუპული ბავშვის ახლობლები და გაჩერებას არ აპირებენ.

**პირველი პირები ყოველთვის გაურბიან პასუხისმგებლობას, ასეა ჯანდაცვის მინისტრიც, თუმცა ამ დრომდე მომხდარზე მისი სამინისტროს პრესცენტრიც კი დუმს.**

რაც შეეხება კლინიკის ხელმძღვანელობას, ისინი, რა თქმა უნდა, როგორც ყოველთვის, თავს იმართლებენ, ან კომენტარს საერთოდ არ აკეთებენ... ახლა ახალი თავის დაძვრენის საშუალებაც გამონახეს –

**როგორც იაშვილის კლინიკის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერმა თამუნა ჩეჩელაშვილმა „კვირის ქრონიკასთან" საუბარში განაცხადა, კანონმდებლობით ბავშვის გარდაცვალებაზე კომენტარის გაკეთება ექიმებს ეკრძალებათ.**

კლინიკაში ბავშვი უმძიმეს მდგომარეობაში შემოიყვანეს. რის გამოც ვერ მოხერხდა ბავშვის გადარჩენაო.

**დაავადებათა კონტროლის ცენტრის ხელმძღვანელი პაატა იმნაძე კი „კვირის ქრონიკასთან" საუბარში აცხადებს, რომ ბავშვის გარდაცვალება ვირუსით არ ყოფილა გამოწვეული.**

**— ბატონო პაატა, იაშვილის ბავშვთა კლინიკაში, ამჟამად „კარანტინია", აცხადებენ, რომ კლინიკაში მომაკვდინებელი ვირუსია გავრცელებული, რამაც ახლახან კიდევ ერთი მცირეწლოვანი გოგონას გარდაცვალება გამოიწვია. ადასტურებთ თუ არა ვირუსის არსებობას?**

– ეიჩ1ენ1 ვირუსის 7 შემთხვევაა დეკემბერში დაფიქსირებული, აქედან არც ერთი არ გარდაცვლილა... სამი დღის წინ პატარა ბავშვი დამძიმებული ჩუტყვავილით გარდაიცვალა.

**იაშვილის კლინიკის შესასვლელში ბევრი ხალხია შეგროვილი. გადაჭედილია პაციენტების ახლობლებით და ნათესავებით. უმეტესობას შეწუხებული სახეები აქვთ, ვიღაც ტირის, როგორც ჩანს, ახლობლის ბავშვი ცუდადა. სატელეფონო საუბარი მესმის:**

– „ღორის გრიპია" გავრცელებული, ამიტომ „კარანტინი" გამოაცხადეს. ზევით არ გვიშვებენ. ფული მე გადავიხადე, ესენი რას მიკეთებენ? გუშინ აქ ბავშვი გარდაიცვალა, ისეთი ამბავი იყო... ძალიან შემეშინდა, ჩემს შვილს როგორ უმკურნალებენ, არ ვიცი... ბავშვს დიაგნოზი ვერ დაუსვეს და ამიტომ გარდაიცვალა.

**ელზა, მშობელი:**

– ეს საავადმყოფო დასახურია, იქნებ ვინმემ მიაქციოს ყურადღება ამ საავადმყოფოს, მედპერსონალი დასათხოვია. საბრალო ბავშვს ჩუტყვავილა ჰქონდა, ცუდადაც არ იყო, საავადმყოფოში როცა მიიყვანეს, ექიმები ვერ მიხვდნენ, რა სჭირდა და ამ მკითხაობაში ბავშვი გარდაიცვალა. სამარცხვინოა იაშვილის კლინიკა, აქ ხომ ბავშვთა სასაკლაოა!

**— როგორც ამბობენ, გოგონა უკვე მძიმე მდგომარეობაში შემოიყვანეს ამ საავადმყოფოში..**

– მე იმას გეუბნებით, რასაც აქ ხალხი ლაპარაკობს... ოფიციალურ პასუხს არავინ გაღირსებს და თუ რამე გითხრეს, რომც არ მოიტყუონ, ისეთი ამბები ხდება აქ, ტყუილი გგონია!

**ნინო, საავადმყოფოს შესასვლელში მომლოდინე:**

– ჩემი ახლობელი ზევით, საოპერაციოდაა აყვანილი, მეშინია, ბავშვს ექიმებმა არაფერი ავნონ. ნეტავი, აქედან ცოცხალს გავიყვანდეთ. იაშვილის კლინიკა უკვე შიშის სინდრომია. სადაა ჯანმრთელობის სამინისტრო? ექიმებს ცოდნა მაინც შეუმოწმონ. ბავშვების სიცოცხლით თამაშობენ ეს იდიოტები. უკვე რამდენი ბავშვი გარდაიცვალა. სადაა სახელმწიფო? ბოლოს, ვიღაცა გამწარდება და ააფეთქებს იაშვილის კლინიკას.

**ნათია, მშობელი:**

– პერსონალი დაითხოვონ, ან საერთოდ დაიხუროს ეს „ვითომ" საავადმყოფო. ექსპერიმენტებს ატარებენ თუ რა ჯანდაბა ხდება? იაშვილი საავადმყოფო კი არა, მორგია. უკვე რამდენი ბავშვის სიცოცხლე შეიწირა. ერთი კვირის განმავლობაში მეორე ბავშვი გარდაიცვალა, ვინმემ მიაქციოს ამ საავადმყოფოს ყურადღება, სანამ ძალიან გვიანი არ არის...

# რატომ მიდის და ვის შეხვდება მოსკოვში ჯონდი ბაღათურია?


გელა ზედელაშვილი
555 48-48-61




**8 დეკემბერს „ქართული დასის ლიდერი, ჯონდი ბაღათურია რუსეთში მიდის. კულუარული ინფორმაციით, ის შეხვედრებს გამართავს სახელისუფლებო წრეებში — დუმის წარმომადგენლებთან, უშიშროების საბჭოს წევრებთან და პროსახელისუფლებო არასამთავრობო ორგანიზაციებთან. როგორც თავად ჯონდი ბაღათურია ამბობს „ქრონიკასთან" საუბარში, სექტემბერში, როცა სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა მოსკოვში, უკვე ნოყიერი ნიადაგი დახვდა იმისთვის, რომ უფრო გამყარდეს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა:**

– ჩვენ გამოვედით ახალი ინიციატივით და უკვე ინტენსიურად ვმუშაობთ რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობების აღდგენაზე. ეს შედის ჩვენი ხალხის ინტერესებშიც და რუსი ხალხის ინტერესებშიც. მე ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ეს მიზანი ბოლომდე მივიყვანო. პირდაპირ უნდა ითქვას, რასაც ვაკეთებთ, ამას რუსები ძალიან კარგად აცნობიერებენ. მე მოსკოვში სექტემბერშიც ვიყავი, მაშინ შედგა გარკვეული შეთანხმებები და იმის თაობაზეც მოვილაპარაკეთ, რომ ოქტომბერში კიდევ ჩავიდოდი. თუმცა დამაგვიანდა, ახლა მივდივარ, რადგან ოქტომბერში აქ მზადდებოდა სავიზო რეჟიმი.

– არა, მაგ საკითხებზე საუბარი, ალბათ, არ გვექნება. თუმცა რასაც მეუბნები, ეს ძალიან კარგი და საინტერესო საკითხებია.

> როდესაც სააკაშვილის უგუნური პოლიტიკის გამო 2008 წელს რუსეთმა ბაზარი ჩაგვიკეტა, მაშინ ჩვენი ადგილი სწორედ თურქეთმა დაიკავა და როგორც მახსოვს, ბოდიში არავის მოუხდია. დღეს კი, როცა ეს სიცარიელე ისევ გაჩნდა და რუსეთიდან წამოვიდა დადებითი იმპულსები, უცებ ჩვენმა სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ოთარ დანელიამ გააკეთა არასერიოზული განცხადება, თურმე ჩვენ არ ვაპირებთ, თურქების უბედურების ხარჯზე საკუთარი ბედნიერება ავაგოთ. ასეთი არასერიოზული და კომიკური განცხადება არასოდეს მომისმენია. ამ ლოგიკით, 2008-ში თურქებს უნდა ეთქვათ, ქართველების უბედურებაზე ჩვენს ბედნიერებას ვერ ავაგებთო. რა არის ახლა ეს, საბავშვო ბაღი თუ დაწყებითი კლასები? აი, ოთარ დანელიას გამონათქვამები მე მაყენებს ხარხარის ხასიათზე, მაგრამ ეს იწვევს ქართველი საზოგადოების აღშფოთებას. ეს არის მტრული განცხადება, პირდაპირ ვამბობ: ეს არის ქვეყნის ღალატი. დანელიას როგორ ჰგონია, ახლა რუსეთის დახლები ცარიელი დარჩება? ხვალ რომ მან რკინიგზის გადაკეტვა მოინდომოს, რუსეთს ბლოკადა უნდა გამოვუცხადოთო, არც ეგ გამიკვირდება. ვინც ასეთი რამ გააკეთა ეროვნული მოძრაობის დროს, დღეს პარლამენტში ზის. ხომ გახსოვს, ზვიად ძიძიგურმა რომ გადაკეტა რკინიგზა სამტრედიაში და სამ დღეში საპონიც კი გაქრა ჩვენს მაღაზიებში?

**უცებ ჩვენმა სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ოთარ დანელიამ გააკეთა არასერიოზული განცხადება, თურმე ჩვენ არ გაპირებთ, თურქების უბედურების ხარჯზე საკუთარი ბედნიერება ავაგოთ. ასეთი არასერიოზული და კომიკური განცხადება არასოდეს მომისმენია. ამ ლოგიკით, 2008-ში თურქებს უნდა ეთქვათ, ქართველების უბედურებაზე ჩვენს ბედნიერებას ვერ ავაგებთო**





სახელმწიფო გადატრიალება და ჩავთვალე, რომ ქვეყნიდან გასვლა არ შეიძლებოდა. შეიძლება დღეს ზოგი იოლად უყურებს, მაგრამ მაშინ სააკაშვილმა მართლა გამოაცხადა გადატრიალების დაწყება, ლამის პირდაპირ ეთერში აპირებდა ამის გაკეთებას.

**— ჩემი აზრით, ახლა უფრო უპრიანია რუსეთში ჩასვლა, მას შემდეგ, რაც თურქეთს ურთიერთობა აერია, რაღაცებზე ლაპარაკი იოლია, ანუ შესაძლებელია, აქედან ხეირი ვნახოთ.**

– დიახ, მართალია, სექტემბერშივე კარგი ნიადაგი დამხვდა, მაგრამ ამას დაემატა სიმწვავეც და რაღაც საკითხებიც. მაგალითად, რუსეთისთვის საქართველოს საჭიროების ხარისხი გაიზარდა, ასევე, გაიზარდა საქართველოსთვის რუსეთის საჭიროების ხარისხიც. ეს უფრო გახდა თვალშისაცემი და გასაგები.

**— ჯონდი, რა დონეზე გაქვს შეხვედრები დაგეგმილი?**

– მე მექნება შეხვედრები სამოქალაქო სექტორის ლიდერებთან. იმ ადამიანებთან, რომლებიც წარმართავენ რუსეთის საგარეო პოლიტიკას. ახლა დეტალებზე ვერ ვისაუბრებ, მაგრამ გეტყვი, რომ ასევე შევხვდები რუსეთის სათათბიროს წევრებს. არის რამდენიმე შეხვედრა, რომელიც არ იქნება საჯარო.

**— მაქვს ინფორმაცია, რომ რუსეთის უშიშროების საბჭოს წევრებს ხვდები და ასევე ამ საბჭოს ყოფილ მდივანს, იგორ ივანოვს.**

– ამ ინფორმაციას ვერც უარვყოფ და ვერც დავადასტურებ, ჯერ მოსკოვში უნდა ჩავიდე და ამის შემდეგ უფრო დაზუსტდება ყველაფერი. უკვე დაზუსტებულია, რომ შევხვდები კალაშნიკოვს, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს, რომელიც ძალიან საინტერესო ადამიანი აღმოჩნდა და გონივრული მოსაზრებებიც აქვს.

**— კონკრეტულად რაზე უნდა ილაპარაკო რუსეთის ხელისუფლებასთან, როცა არც ხელისუფლების წევრი ხარ და არც პარლამენტარი? ჩვენ ამ ეტაპზე გვაქვს რამდენიმე პერსპექტივა, გავიტანოთ რუსეთის ბაზარზე სოფლის მეურნეობის პროდუქტები, რომელსაც თურქეთი გამოეთიშა და რუსეთის მხრიდან შერბილდეს**

**— ეგეც მახსოვს და ბევრი სხვა რამეც.**

– ალბათ, ისიც გემახსოვრება, რომ რუსეთს ამით არაფერი დააკლდა. მოკლედ, მე ამ საკითხებზე არც სექტემბერში მქონია საუბარი და არც ახლა ვგეგმავ. თუ ხელისუფლებამ არ გამოიჩინა პოლიტიკური ნება, თუ არ გაზარდა წარმოება, ამხელა ქვეყანაში რა უნდა შეიტანო? ჩვენ ვმუშაობთ წმინდა პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებზე სამოქალაქო სექტორის დონეზე. მე ვცდილობ, რუსეთშიც და საქართველოშიც, მოვახდინო სწორი საზოგადოებრივი ფორმირება.

> რუსულმა საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ ჩვენ მტრები კი არა, მოყვარეები ვართ, მოკავშირეები ვართ და ეს უნდა იცოდეს ქართველმა საზოგადოებამაც. ეს დიდმა ნაწილმა იცის, მაგრამ საქართველოდან მიმდინარეობს ანტირუსული პროპაგანდა, რათა რუსეთი წარმოსახონ მტრად. გარკვეული მედიასაშუალებები უკვე ტოტალურად კონტროლდება ანტისახელმწიფოებრივი ძალების მიერ. ერთია თავსმოხვეული პროპაგანდა, მეორეა — რეალობა, ანუ ის, რომ ხალხს უნდა რუსეთთან ურთიერთობა. ბოლოს და ბოლოს, ვთქვათ სიმართლე: დღეს რომ საქართველო არსებობს რაღაც ფორმით და ფიზიკურად არ გაანადგურეს თურქეთმა და ირანმა, მხოლოდ რუსეთის დამსახურებაა. აჭარისა და სამცხე-ჯავახეთის დაბრუნება როგორ მოხდა, იქნებ ამიხსნან მედასავლეთეებმა? რასაკვირველია, ჩვენ გვახსოვს აფხაზეთი და სამაჩაბლოც, მაგრამ ამათ ჰგონიათ, თუ ისტერიკაში ჩაცვივდებიან და პერიოდულად წამოიკივლებენ, ასე აუცილებლად დავიბრუნებთ. დიახ, აფხაზეთი და სამაჩაბლო საკმაო არგუმენტებია იმისთვის, რომ რუსებს ველაპარაკოთ.

**— რა თქმა უნდა, თუ არ დაველაპარაკეთ, დაბრუნების პერსპექტივაც კი გვესპობა, მხოლოდ დასავლეთის აღშფოთება არაფრის მომტანია, ამაში დავრწმუნდით.**

– რასაკვირველია, ჩვენ სხვა გზა არ გვაქვს და თან მაშინ, როცა რუსეთის მხრიდანაც არის სურვილი. მე მივდივარ რამდენიმე დღით და სულაც არ მაინტერესებს, რა კუდებს გამოაბამენ ამას ვითომ დასავლური კურსის მომხრეები. სინამდვილეში ეგენი არიან საქართველოს მოღალატეები და მტრები.

# ლაშა კალანდაძე, ირაკლი ადეიშვილი, კობა გოცირიძე, ჯემალ კოპალიანი

## ივანიშვილ-ღარიბაშვილის ხელისუფლებას არ აღმოაჩნდა ნება და უნარი, ზონდერმოსამართლეებისთვის პასუხი მოეთხოვა და ახლა უვადოდაც დაგვასვავენ კისერზე!!!



**ყველა მათგანი, ვინც მიხეილ სააკაშვილის რეჟიმის ,,გაპრავებაში‘‘ სამართლებრივად მონაწილეობდა, ვინც იმჟამინდელ ოპოზიციას ებრძოდა და ხელებს უბორკავდა, ვინც უდანაშაულო ადამიანებით გაავსო ციხეები, სასამართლო სისტემაში დარჩენას აპირებს**




ლევან ჯავახიშვილი

577 51-73-37


„კვირის ქრონიკის“ წინა ნომერში იმ ზონდემოსამართლეების, კოტე კუბლაშვილის უკანონო დაკვეთების აღმსრულებელთა შესახებ ვწერდით, რომელთაც მოსამართლეობის 10-წლიანი ვადა გაუვიდათ, მაგრამ კვლავ მონაწილეობენ კონკურსში და პრეტენზია აქვთ, ამჯერად უვადოდ დაინიშნონ მოსამართლეებად. ამგვარი ვაიმოსამართლეების სია, სამწუხაროდ, არც ისე მოკლეა. შეიძლება ითქვას, ყველა მათგანი, ვინც მიხეილ სააკაშვილის რეჟიმის „გაპრავებაში“ სამართლებრივად მონაწილეობდა, ვინც იმჟამინდელ ოპოზიციას ებრძოდა და ხელებს უბორკავდა, ვინც უდანაშაულო ადამიანებით გაავსო ციხეები, სასამართლო სისტემაში დარჩენას აპირებს. ღმერთმა დაგვიფაროს და თუ ამ ხალხმა კვლავ მოიპოვა მანტიის ტარების უფლება, ქართული სასამართლო სისტემა დასამარდება და მას ვერანაირი რეფორმა ვერ უშველის. „კვირის ქრონიკა“ დღეს რამდენიმე მოსამართლესა და მათ საქმეებს შეგახსენებთ, რომელთაც საზოგადოებას თავი უსამართლო გადაწყვეტილებებით დაამახსოვრეს, ზოგიერთი მათგანი უსამართლობის სიმბოლოდ იქცა ქვეყანაში, მაგრამ ხელს მაინც არავინ უშლით, რომ მოსამართლედ სამუდამოდ მუშაობაზე ჰქონდეთ პრეტენზია.

**ლაშა კალანდაძე** – თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის თავმჯდომარე, იხილავდა სისხლის სამართლის საქმეებს. მის მიერ განხილულ საქმეთა შორის აღნიშვნის ღირსია პაატა როსტომაშვილის საქმე, რომელსაც განზრახ მკვლელობისთვის 16 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა, მაშინ როცა მის საქმეში არანაირი მტკიცებულებები არ არსებობდა და ის გაასამართლეს ჩაუდენელი დანაშაულისთვის. ასევეა, დავით და მიხეილ მაჭარაშვილების სისხლის სამართლის საქმე. ეს საქმეები ამჟამად სტრასბურგშია და სტრასბურგმა საქართველოს მთავრობის მიმართ დასვა ლეგიტიმური კითხვები ამ განაჩენთან დაკავშირებით. მეტიც, სტრასბურგში საქართველოს იმჟამინდელმა წარმომადგენელმა, თეა წულუკიანმა „მაესტროს“ ეთერში აღნიშნა, რომ პაატა როსტომაშვილის საქმე „თეთრი ძაფებით“ არის შეკერილი და ამ საქმეს ქართული მხარე უთუოდ წააგებდა. როგორც ამბობენ, ლაშა კალანდაძე ადეიშვილთან დაახლოებული პირი იყო და, როგორც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი, კუბლაშვილის ერთგულების ნიშნით მონაწილეობდა სხვა მოსამართლეების დანიშვნაში.

**ირაკლი ადეიშვილი** – ერთგულად ასრულებდა სააკაშვილის ხელისუფლების ნებისმიერ დაკვეთას, კოტე კუბლაშვილის ერთ-ერთი საყვარელი მოსამართლე იყო. როცა სტრასბურგის სასამართლოში სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმის განხილვა მიმდინარეობდა, ირაკლი ადეიშვილი ამ საქმეზე კოტე კუბლაშვილის სასამართლოს უკანონო გადაწყვეტილებას იცავდა. „ირაკლი ადეიშვილი არის მოსამართლე, რომელიც სტრასბურგში ამტკიცებდა, რომ სანდრო გირგვლიანი ბუჩქებში წაიქცა და ამგვარად, შემთხვევით გამოიჭრა ყელი“, – აცხადებდა იუსტიციის მინისტრი, თეა წულუკიანი ადეიშვილის შესახებ. სანდრო გირგვლიანის მკვლელობა მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლების ყველაზე შემზარავი და გახმაურებული დანაშაული იყო. სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ ამ დანაშაულის ჩაფარცხვაში, პრეზიდენტიდან დაწყებული, სასამართლო სისტემით დამთავრებული, ყველა სახელმწიფო ინსტიტუტი იყო ჩართული. შესაბამისად, სტრასბურგის სასამართლომ სახელმწიფო გაამტყუნა და მას სანდრო გირგვლიანის მამის, გურამ გირგვლიანის სასარგებლოდ, კომპენსაციის გადახდა დააკისრა. ადამიანი, რომელიც სტრასბურგის სასამართლოში ამ სასტიკი და ცინიკური მკვლელობის მონაწილეების გამართლებას ცდილობდა, დღეს სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეობისთვის იბრძვის, თანაც, თუ თავისას მიაღწია, მას უვადოდ დანიშნავენ. ხალხმა 9 წელი იბრძოლა იმისთვის, რომ ირაკლი ადეიშვილისთანა სულგაყიდული ადამიანები სასამართლო თუ ხელისუფლების სხვა შტოებიდან მოეცილებინა, მაგრამ, როგორც ჩანს, ამაოდ. ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ამ ხალხის სახელისუფლებო სტრუქტურებიდან მოცილებას ხომ არ დაადგა საშველი და ვისაც იქ მუშაობის ვადა ამოეწურა, „უკანა კარიდან“ აპირებენ შესვლას და სასამართლო სისტემაში დარჩენა-დაბრუნებას.

**კობა გოცირიძე** – მოსამართლე, რომელმაც ბოლო პერიოდში რამდენიმე გახმაურებული საქმე განიხილა და ერთმანეთის მიყოლებით მილიონებით დააჯარიმა ყველაზე მსხვილი ოპოზიციური კოალიციის ლიდერები – ბიძინა ივანიშვილი და კახი კალაძე, ყოფილი პროკურორია, რომელიც მართლმსაჯულების სისტემაში შევარდნაძის მთავრობის დროს, 2002 წლიდან დასაქმდა.

მოსამართლე კობა გოცირიძემ 10 აგვისტოს კახი კალაძე საკუთარი საბანკო ანგარიშიდან გატანილი თანხის ხუთმაგი ოდენობით – 17 მილიონამდე ლარით დააჯარიმა. გოცირიძემ ამ გადაწყვეტილებით გაიზიარა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ეჭვი, რომ კალაძემ თანხა შემოვლითი გზით, სხვა პირთა მეშვეობით გადარიცხა „ქართული ოცნების“ ანგარიშზე. ის, რომ აუდიტის სამსახურს ამ სქემის გამამყარებელი კონკრეტული მტკიცებულებები არ წარმოუდგენია, არ გამხდარა ბარიერი მოსამართლე კობა გოცირიძისთვის, რომ კალაძე დაეჯარიმებინა. ორი თვის წინ კობა გოცირიძემ ბიძინა ივანიშვილს დააკისრა 126-მილიონიანი ჯარიმა. მოსამართლემ მაშინაც სრულად გაიზიარა კონტროლის პალატის „ამჟამინდელი სახელმწიფო აუდიტის სამსახურის“ პოზიცია, რომ „გლობალ კონტაქტ კონსალტინგის“ მიერ მოსახლეობისთვის სატელიტური ანტენების მონტაჟი ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკურ მიზნებს უკავშირდებოდა და, შესაბამისად, ეს პოლიტიკური ძალისთვის უკანონო შემოწირულობა იყო, თუმცა კონტროლის პალატას არც ამ შემთხვევაში წარუდგენია კონკრეტული დოკუმენტური მტკიცებულება, რომ „გლობალ კონტაქტ კონსალტინგი“ იყო ბიძინა ივანიშვილის საკუთრება, ან ის, რომ ბიძინა ივანიშვილმა გადაურიცხა ვინმე ფიზიკურ ან იურიდიულ პირს თანხა „გლობალ ტვ“-ის ანტენების შეძენა-მონტაჟისთვის. გოცირიძის ეს გადაწყვეტილება მაშინ თბილისის სააპელაციო სასამართლომ შეცვალა და ივანიშვილს ჯარიმა გაუნახევრა, თუმცა დღეს იგივე აღარ გაიმეორა მეორე ინსტანციის სასამართლომ და ძალაში დატოვა კობა გოცირიძის გადაწყვეტილება კალაძის 17 მილიონამდე ლარით დაჯარიმების შესახებ. მოსამართლე გოცირიძე, როგორც წესი, იხილავს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კუთხით ყველაზე რეზონანსულ საქმეებს და მათ თითქმის მუდმივად ადმინისტრაციული ორგანოების სასარგებლოდ წყვეტს. 2011 წლის აპრილში, მოსამართლე კობა გოცირიძემ განიხილა იმ 10 ადამიანის საქმე, რომლებიც უზენაესი სასამართლოს წინ გამართულ აქციაში – „მეც პატიმარი ვარ“ – მონაწილეობდნენ და პატიმართა უფლებების შელახვის ფაქტებს აპროტესტებდნენ. გოცირიძემ გაიზიარა შსს-ს არგუმენტები, რომლის მიხედვითაც დაკავებულებმა უკანონოდ გადაკეტეს გზის სავალი ნაწილი და კვერცხები ესროლეს უზენაესი სასამართლოს შენობას. დაკავებულების ადვოკატებმა მაშინ განაცხადეს, რომ მოსამართლე მთლიანად პოლიციელების ჩვენებას დაეყრდნო და უარი განაცხადა იმ ვიდეომასალის გამოკვლევაზე, რომელიც მოსამართლეს ობიექტური გადაწყვეტილების მიღებაში დაეხმარებოდა. კობა გოცირიძემ აღნიშნული საქმის განხილვის შედეგად ათივე დაკავებული დამნაშავედ ცნო: მათგან ოთხს რამდენიმედღიანი პატიმრობა შეუფარდა, ექვსს კი 400-400-ლარიანი ჯარიმა დააკისრა.

ადვოკატები ხშირად აცხადებენ, რომ მოსამართლე კობა გოცირიძე გადაწყვეტილებებს ადმინისტრაციული ორგანოების სასარგებლოდ, ტენდენციურად იღებს, რის გამოც მისი ბოლო გახმაურებული საქმეების განხილვის დროს ბიძინა ივანიშვილისა და კახი კალაძის ადვოკატებმა მოსამართლე კობა გოცირიძის საქმიდან აცილება მოითხოვეს, მაგრამ – უშედეგოდ.

**ჯემალ კოპალიანი** – განიხილავდა ბუტა რობაქიძის, 26 მაისს დაღუპული სულიკო ასათიანისა და ნიკა კვინტრაძის, მუხროვანის ამბოხის, ფეხბურთელ გიორგი დემეტრაძის საქმეებს. ვფიქრობ, ამით უკვე ყველაფერი ნათქვამია და ასეთი მოსამართლის ადგილი, ქართულ სასამართლო სისტემაში არ არის. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, „მუხროვანის ამბოხი“ დადგმული სპექტაკლი იყო, რომელიც სააკაშვილის ჩამოშლის პირას მყოფი ხელისუფლების გასამყარებლად მოეწყო. ჯემალ კოპალიანმა „ამბოხის მეთაურებს“ კობა ოთანაძესა და ლევან ამირიძეს, შესაბამისად, 28 და 29 წელი მოუსაჯა, დანარჩენ 19 ბრალდებულს კი 2-დან 11 წლამდე სასჯელი განუსაზღვრა. ამ კაცს ხელი არ აჰკანკალებია, ერთ დღეს, 23 უდანაშაულო ადამიანი ისე გაისტუმრა ციხეში. მათი უდანაშაულობა საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა, როცა ისინი პოლიტპატიმრის სტატუსით გამოუშვა ციხიდან. ნორმალურ ქვეყანაში, იმ მოსამართლის წინააღმდეგ ვინც უდანაშაულო ადამიანები უსამართლოდ დასაჯა, პოლიტიკური მოტივით ციხეში ჩასვა, არა მხოლოდ დისციპლინური დევნა დაიწყებოდა, სისხლის სამართლის საქმე აღიძვრებოდა, გამოძიება დაიწყებოდა და ასეთ მოსამართლის თავად გამოკეტავდნენ ციხეში სრულიად დამსახურებულად. მისი კარიერის გაგრძელებაზე ხომ ლაპარაკი საერთოდაც არ იქნებოდა. ჩვენთან კი ყველაფერი უკუღმაა. ივანიშვილ-ღარიბაშვილის ხელისუფლებას არ აღმოაჩნდა ნება და უნარი, ჯემალ კოპალიანისთანა ზონდერმოსამართლეებისთვის პასუხი მოეთხოვა და ახლა უვადოდაც დაგვასვავენ კისერზე!!!

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

# „ბიძინა ივანიშვილი საერთოდ არ უნდა გაეკაროს პოლიტიკას“

**„მსოფლიოში ფული არის თავისუფლების სიმბოლო, ჩვენთან პირიქითაა, გაქვს ფული — მონა ხარ, არ გაქვს — მონა ხარ. აი, ასე ჩამოყალიბდა მონების ქვეყანა“**

**როგორ ვითარდება პოლიტიკური მოვლენები ჩვენი ქვეყნის შიგნით და როგორ ლაგდება ძალთა თანაფარდობა წინასაარჩევნოდ? ლაგდება თუ უფრო ირევა და ნელ-ნელა ქაოსში ვიძირებით? „ქრონიკას“ მოძრაობა „თეთრების“ ლიდერი, თემურ შაშიაშვილი ესაუბრება:**

— ვიცი, ახლა ბევრს ვაწყენინებ, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა: მტრისას, თუ ასეთი პოლიტიკური შემადგენლობა მოვა პარლამენტში. ძალიან ბევრს ჰგონია, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში გაიმარჯვა „ქართულმა ოცნებამ“, თუმცა, ფაქტობრივად, მაშინ გადარჩა „ნაციონალური მოძრაობა“. სააკაშვილს დარჩენის არანაირი პერსპექტივა არ ჰქონდა და ამერიკელებმა ყველაფერი ძალიან კარგად განსაზღვრეს. მე მშურს ამერიკელების, ისინი თავიანთ ნებაზე ათამაშებენ ჩვენს პოლიტიკოსებს.

ვინც ამ ფილოსოფიით მოვა ხელისუფლებაში, ყველა დაიღუპება „ოცნების“ ჩათვლით. ეს ქვეყნისთვის დიდი უბედურება იქნება, მაგრამ ყველა დაიღუპება. მე არ ჩამომაქვს პროგნოზები ზეციდან, უბრალოდ, ვაკეთებ ანალიზს და ვდებ დასკვნას. ვინც წარსულს გააანალიზებს, ის კარგად დაინახავს მომავალს. პოლიტიკოსები დაემსგავსნენ ჭორიკანა დედაკაცებს, ნახეთ, რა ტერმინოლოგია და საუბრის მანერა აქვთ. ტრაგედია კი ის გახლავთ, რომ მოსახლეობასაც მოსწონს ასეთი ადამიანები, ვინც მუშტს მაგრად მოუღერებს, ვინც ყველაზე მაგრად ილანძღება, იმას ირჩევენ. ჩვენ დიდი ხანია ვცხოვრობთ ხბოს აღტაცებით.

ვიღაცა ტელევიზიით გამოვა „კარგად“, მოდი, იმას მივცეთ ხმა, ვიღაცა ააშენებს ტაძარს, აუცილებლად უნდა მივცეთ ხმა, ვიღაცა ქველმოქმედებას ჩაიდენს და ის უნდა მოვიყვანოთ ხელისუფლებაში. ასე არ ცხოვრობს ევროპა, ასე არ ცხოვრობს ამერიკა და ამიტომაცაა წარმატებული. ამერიკაში კაცს 20 წელი თუ არ უყურებენ პოლიტიკაში, იმას არაფრად არ თვლიან. თუ იაპონიაში, ჩინეთში, გერმანიაში ადამიანს 60 წელი არ შეუსრულდა, იმას სერიოზულ თანამდებობაზე არ ნიშნავენ.

იქ ხელისუფლებაში ხალხი არ მოჰყავთ ქუჩიდან, იქ არ ლანძღავენ ყოველი ფეხის ნაბიჯზე. მაგალითად, თავის დროზე ანგელა მერკელი კომკავშირის მდივანი იყო, მაგრამ ამაზე არავინ ლაპარაკობს გერმანიაში, დღეს ერთ-ერთი წამყვანი ფიგურაა. დაუკვირდით, ჩვენ სულ მივდივართ ბუნებრივი პროცესების საწინააღმდეგოდ, ვინ მოგვმართა ასე? დიახ, სპეციალურად გვიდებენ დამუხრუჭების გეგმებს და მუდმივად ვეფლობით ჭაობში. ვისაც თავში ტვინი აქვს, ან ზღუდავენ, ან ანგრევენ, ან სახელს უტეხენ. არადა, ჩვენი შთანთქმა საბჭოთა კავშირმაც კი ვერ შეძლო. ახლა გვანგრევენ, ლამის დაგვანგრიეს, მომსახურე პერსონალად გვაქციეს და ეს ძალიან გვიხარია. ახლა სიხარულით გველაპარაკებიან, ჩინეთთან თავისუფალი ეკონომიკური ზონა გვექნებაო, თან გვარწმუნებენ, ასეთი რამ ვერავინ შეძლოო. არავის არ უნდა ჩინეთთან თავისუფალი სავაჭრო ზონების შექმნა და ამიტომ ვერ შეძლო ვერავინ. წაიღო ჩინურმა პროდუქციამ ქვეყანა, ცოტა ხანში მაგათ პროვინციად გადავიქცევით. აგერ, ჩინელები წერეთლები გახდნენ ხარაგაულში. ეს სხვა მენტალიტეტის ხალხია, ჩადით ხარაგაულში და გეტყვიან, რომ იქ უპირველესი დელიკატესი არის ძაღლის ხორცი, ძაღლი აღარ დარჩა სოფლებში. სადაც წავედი, ყველგან მეუბნებიან: ხალხო, რას შვრებით?! მახსოვს,

როცა ზვიად გამსახურდია მოვიდა, იმანაც კი მოასწრო თქმა, ჩვენი ქვეყნის ბიუჯეტი სოციალურიაო. შევარდნაძის პერიოდში ყველა ბიუჯეტის მიღება იწყებოდა სიტყვებით: „ეს არის სოციალურად ორიენტირებული ბიუჯეტი“. ამას იძახდა სააკაშვილი და ამასვე იძახის ეს ხელისუფლება. გეკითხებით, თუკი ყველა ბიუჯეტი სოციალურია, 25 წლის განმავლობაში თავი რატომ ვერ დავაღწიეთ სიღატაკეს, რატომ ვცხოვრობთ ასე ცუდად? საქართველოს სჭირდება განვითარების ბიუჯეტი, განვითარების ბიუჯეტს სჭირდება ჭკუა, გონება და მეცნიერება. პენსიას გაგიზრდი, ხელფასს გაგიზრდი, წყალს გამოგიყვან, გაზს მოგცემ, დაგიხნავ, დაგიბარავ, ეს არის სრული დემაგოგია. მსგავსი სოციალური დემაგოგია, რასაც ახლა ვისმენთ, ბოლშევიკებსაც კი არ ჰქონიათ 1930-იან წლებში. მაჩვენეთ ერთი პოლიტიკოსი, რომელიც განვითარების პროგრამაზე ლაპარაკობს, ყველა ლაპარაკობს, პენსია 30 ლარით უნდა მოუმატონ თუ 20 ლარით.

სად არის საწარმოები, სად მუშაობს? ჩვენთან მხოლოდ ჭამა-სმის ობიექტები მოქმედებს. ეს არ არის ეკონომიკა, არსად ბიზნესმენი არ ჰქვია იმას, ვინც პურს აცხობს. მაჩვენეთ ერთი საწარმო, რომელიც საერთაშორისო დონეზე გავიდა. ჩვენ გვაქვს არა სოციალური და განვითარების, არამედ ყოფითი ბიუჯეტი. ახლა ძალიან მძიმე რაღაცა უნდა ვთქვა: დღეს საქართველოს ბიუჯეტი არის 10 მილიარდი, აქედან 3 მილიარდი მიდის ჯანდაცვაზე. მაჩვენეთ ერთი ქვეყანა მსოფლიოში, სადაც ბიუჯეტის 30 პროცენტი მიდის მედიცინაზე და ამ დროს ექიმებს არ აქვთ ნორმალური ხელფასები. მე იმას არ ვამბობ, რომ ქვეყანაში სამედიცინო მომსახურება არ იყოს, ეს სქემა თავის დროზე ბისმარკმა შემოიტანა და ჭკვიანურადაც გააკეთა, მაგრამ საქმე ისაა, რომ ამისთვის 1 მილიარდიც კი საკმარისი იქნებოდა და გაცილებით უკეთეს სამედიცინო მომსახურებას დავნერგავდით.

**— ამიხსენით, როგორ და რანაირად?**

— შემოვიდნენ სომხები, ყოჩაღ! შემოვიდნენ აზერბაიჯანელები, ყოჩაღ! შემოვიდნენ თურქები, ყოჩაღ! ამათ იყიდეს კლინიკები, ყველა საავადმყოფოს უკან დადგნენ და ჩვენი ავადმყოფობა აქციეს ბიზნესად. საქართველოს ხელისუფლება ამბობს, 3 მილიარდს ვდებ ამ სფეროშიო. რომ შემოვიდა ის უცხოელი, ხელისუფლებამ გადაურიცხა ფული, გადაახურდავა დოლარში და წაიღო თავის ქვეყანაში. ჩვენ ამ ყველაფერს ისევ ტაშს ვუკრავთ ხბოს აღტაცებით!

ახლა მე დინების საწინააღმდეგოდ მივდივარ და ლანძღვას დამიწყებენ, მაგრამ რეალობა სხვანაირია. მე ვლაპარაკობ, რომ პოლიტიკაა არასწორი, ამ საქმეში ექიმი არ გახლავთ მთავარი ფიგურა. მე თქვენთან ადრეც ვთქვი ერთ-ერთ ინტერვიუში, ამ ქვეყანას ღუპავენ დანიშნული ბიზნესმენები. ყველა ხელისუფალი იმით ტრაბახობს, ვის რა წაართვა და ვინ დაიჭირა, ჩემთვის დაჭერები არაფერს ნიშნავს... დავუშვათ, 99 პროცენტი დასაჭერია, ეს რას მოგვცემს? სისტემა და პოლიტიკაა შესაცვლელი. დანიშნული ბიზნესმენები დააჯდნენ ქვეყანას და მე ამათ ვაფრთხილებ, ძალიან ცუდად წაუვათ საქმე. ესე იგი, რა სისტემასთან გვაქვს საქმე? დგანან პოლიტიკური პარტიების უკან, ქუჩასაც აკონტროლებენ, როცა საქმე მიდის ქუჩაში, ამათ გამოჰყავთ ხალხი. ხომ არ გგონიათ, ეს პატარ-პატარა მიტინგები და აქციები პატრიოტული მოტივებით იმართება? დღეს ქუჩა იქცა ბიზნესად, იქაც საკმაოდ დიდი ფული ტრიალებს. ამ ყველაფრის უკან დგანან დანიშნული ბიზნესმენები. ჩვენ თავის დროზე ბიძინა ივანიშვილს შევთავაზეთ, რეგიონებში მოსახლეობა გამოკითხეთ, ავტორიტეტებს დაასახელებენ და იმ ხალხზე იმუშავეთ, ის ადამიანები წამოსწიეთო, არ გააკეთა. საერთოდ, მსოფლიოში ფული არის თავისუფლების სიმბოლო, ჩვენთან პირიქითაა, გაქვს ფული – მონა ხარ, არ გაქვს – მონა ხარ. აი, ასე ჩამოყალიბდა მონების ქვეყანა.

**— ბატონო თემურ, დღეს ბევრს ლაპარაკობენ პოლიტიკაში ბიძინა ივანიშვილის დაბრუნებაზე. თუ ის დაბრუნდება, შეცვლის რამეს?**

– კარგი იქნება, თუკი ივანიშვილი საერთოდ არ გაეკარება პოლიტიკას. ხელისუფლებაში უნდა მოვიდეს ისეთი პოლიტიკური გუნდი, რომელიც დაამთავრებს ქუჩის პოლიტიკას, რომელიც დაასრულებს სოციალურ ბიუჯეტს და ქვეყანას დააყენებს განვითარების გზაზე. რომელიც იფიქრებს იმაზე, რომ ყველაფრის საყრდენი არის მეცნიერება. ივანიშვილი აზროვნებს ბიზნესის გადმოსახედიდან, ის არ გახლავთ პოლიტიკოსი. ახლა გამოვიდა და თქვა, პარლამენტში ბიზნესმენები აღარ იქნებიანო, მან რა იცის, ეს ხომ ხალხის გადასაწყვეტია?

**— მან თქვა „ქართული ოცნების“ სიაზე...**

– ჰოდა, თქვენ თვითონვე გაეცით შეკითხვას პასუხი და დაასკვენით, რომ არაფერი არ შეიცვლება.

**— ამბობთ, ბიძინა ივანიშვილი ბიზნესის წესებით მოქმედებსო, თქვენი მეგობარი პაატა ბურჭულაძე რომ მოვიდეს ხელისუფლებაში, ის ვოკალის კუთხით დაიწყებს ქვეყნის მართვას?**

– პაატა ბურჭულაძე ჩემი მეგობარია, ადრე კარგი ურთიერთობა გვქონდა. სამწუხაროდ, სიტუაციას აქაც ამერიკელები აკონტროლებენ. თუ დავაკვირდებით, რა ხალხი ტრიალებს პაატას გარშემო, არ შეგვექმნება კარგი შთაბეჭდილება, მას დაუნიშნეს ამერიკის ემისრები. როგორც ბიძინამ ვერ გადაწყვიტა თავის დროზე ვერაფერი და უთხრეს, „რესპუბლიკელები“ უნდა დაიყენო გვერდითო, ასევე იქნება აქაც. მას დაუყენებენ გვერდით ისეთ ხალხს, რომელსაც შეიძლება თავადაც არ იცნობს კარგად. საქართველოს სჭირდება ისეთი ხელისუფლება, რომელიც არც რუსეთს გაეგება ფეხქვეშ, არც ამერიკას და არც ევროპას.

**— ბარემაც კარგი იქნება, მაგრამ სად არის?**

– დამოუკიდებელი საქართველოს ტრაგედია არის ის, რომ მუდმივად გარედან იმართება. თუ თქვენი გაზეთი მოინდომებს, სიტუაცია გამოსწორდება. თუ საზოგადოება მოინდომებს, იქნება!





**„თავის დროზე ანგელა მერკელი კომკავშირის მდივანი იყო, მაგრამ ამაზე არავინ ლაპარაკობს გერმანიაში“**

**„სიხარულით გველაპარაკებიან, ჩინეთთან თავისუფალი ეკონომიკური ზონა გვექნებაო, თან გვარწმუნებენ, ასეთი რამ ვერავინ შეძლოო. არავის არ უნდა ჩინეთთან თავისუფალი სავაჭრო ზონების შექმნა და ამიტომ ვერ შეძლო ვერავინ“**

**„საქართველოს ბიუჯეტი არის 10 მილიარდი, აქედან 3 მილიარდი მიდის ჯანდაცვაზე. მაჩვენეთ ერთი ქვეყანა მსოფლიოში, სადაც ბიუჯეტის 30 პროცენტი მიდის მედიცინაზე და ამ დროს ექიმებს არ აქვთ ნორმალური ხელფასები“**



დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80

# ქვეყნის მაოხრებელი

## სკანდალური სია ახალ

**საქართველოს ახლად არჩეულმა მთავარმა პროკურორმა, ირაკლი შოთაძემ მუშაობა უკვე დაიწყო... ადვოკატმა ზურაბ ჯორბენაძემ გადაწყვიტა, მთავარ პროკურორ ირაკლი შოთაძეს საკადრო ცვლილების განხორციელებაში მიეხმაროს და როგორც ცოტა ხნის წინ „ქრონიკას“ დაჰპირდა, დამნაშავე პროკურორების სია მოამზადა.**

**ზურაბ ჯორბენაძე:**

– გავიგე, რომ ახალ მთავარ პროკურორს საკადრო ცვლილებები დაუწყია. მინდა გითხრათ, რომ მთავარი, რითაც ამ უწყებამ მუშაობა უნდა დაიწყოს, არ არის დამოკიდებული მარტო მთავარ პროკურორზე. თუ რატომ – ამაზე ოდნავ მოგვიანებით...

მე ვამხელ კონკრეტულ პირებს და ეს ხელისუფლებამ არ უნდა აღიქვას, როგორც მტრობა, პირიქით, უნდა მიიღოს, როგორც კეთილი რჩევა იმ ადამიანის მხრიდან, რომელსაც მათთვის სიკეთე უნდა! ის, რასაც ქვემოთ გეტყვით, არაფერ სიკეთეს არ მომიტანს, მაგრამ ეს არის აუცილებელი. ეს ვიღაცამ აუცილებლად უნდა თქვას, სანამ დროა. თავად მთავარი პროკურორი, 2006 წლიდან დღემდე, მთავარი პროკურატურის სხვადასხვა მაღალ თანამდებობებზე მუშაობდა და ჩემზე კარგად იცნობს იმ ადამიანებს, რომლებსაც მე დავასახელებ, მაგრამ მინდა, ხალხმა ყურადღება მიაქციოს იმ გარემოებას, რომ ხელისუფლება კიდევ ერთხელ გვატყუებს, იმიტომ, რომ იმ ადამიანებზე, რომლებზეც მე ვისაუბრებ, 20 ათასი საჩივარია შესული მთავარ პროკურატურაში 2-3 წლის წინათ. ამ 20 ათასი განცხადების შედეგად კი, ამ ხნის განმავლობაში არ მინახავს არც ერთი პროკურორი დასჯილი და სამსახურიდან განთავისუფლებული.

ზემოთ გითხარით, რომ მთავარი, რითაც ამ უწყებამ მუშაობა უნდა დაიწყოს, არ არის-მეთქი დამოკიდებული მარტო მთავარ პროკურორზე. ერთ შემთხვევას გაგახსენებთ და მიხვდებით, რატომაც ვამბობ ამას.

მოკლედ, თელავის სამხარეო პროკურატურაში, იყო ასეთი პროკურორი – ზურაბ ჯავახიშვილი, რომელმაც ადამიანის მკვლელობაში ბრალი დასდო ერთ-ერთ მწყემსს, რომელიც შემდეგ გაასამართლეს მკვლელობისთვის, ჩასვეს ციხეში და წლების მერე აღმოჩნდა, რომ ვისი მკვლელობისთვისაც ეს კაცი იჯდა, ის ადამიანი ცოცხალი იყო.

**— კი, ეს ცნობილი და სკანდალური ისტორიაა.**

– ჰოდა, ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, ზურაბ ჯავახიშვილი პასუხისგებაში მისცა მთავარმა პროკურატურამ. მაშინ, მთავარი პროკურორი იყო არჩილ კბილაშვილი. დაზუსტებული ინფორმაციით ვიცი, რომ

ზურაბ ჯავახიშვილის პასუხისგებაში მიცემის საკითხი პირადად ბატონ ბიძინა ივანიშვილთან შეთანხმდა. ამ ერთი კინკილა პროკურორის საკითხიც კი ვერ გადაწყდა მთავარი პროკურორის დონეზე. ისე, ჯავახიშვილი ჯერ პასუხისგებაში კი მისცეს, მაგრამ შემდეგ ყველაფერი აპატიეს და განრიდება გაუკეთეს.

ეს კონკრეტული ფაქტი კი, რაც მე მოგიყევით, ნათლად ადასტურებს იმას, რომ თითოეული პროკურორის საკითხი ბიძინა ივანიშვილთან თანხმდებოდა. აწი რა იქნება, არ ვიცი, ვნახოთ.

ის ფაქტი, რომ დღემდე არც ერთი პროკურორი არ დასჯილა, მიანიშნებს იმაზე, რომ ვიღაც კონკრეტული პროკურორების, მოსამართლეებისა და „ნაციონალური მოძრაობის“ ვიგინდარების პასუხისგებაში მიცემის საკითხს ბლოკავდა. მე არ ვამბობ, რომ ეს ბიძინა ივანიშვილი იყო, მაგრამ 20 ათასი საჩივარი იმდენად დიდია, რომ ამდენი ხნის განმავლობაში ვიღაც უნდა დაინტერესებულიყო ხელისუფლებიდან.

ახლა მოგიყვებით, რა ხდებოდა, კონკრეტულად ადეიშვილის პროკურატურაში და გეტყვით, ვინ იყვნენ ქვეყნის მაოხრებელი პროკურორები:

ადეიშვილის პროკურატურაში, დანაშაულების დაგეგმვის, ბრალდების და ვისთვის რა უნდა „გაეჩალიჩებინათ“, ამ ყველაფრის მთავარი პარადი, რა თქმა უნდა, მიჰყავდათ თავად ადეიშვილსა და მურთაზ ზოდელავას. ზოდელავას შავბნელ საქმიანობას განმარტებაც არ სჭირდება, თუმცა ამ უკანასკნელის პასუხისმგებლობის საკითხი დადგაო, მე ეს დღემდე არ გამიგონია. ასევე, ამ ორეულთან ერთად, მესამე, რომელიც მათთან ერთად გეგმავდა, გახლავთ დავით საყვარელიძე, რომელიც ახლა უკრაინიდან დაგვცინის. შემდეგი პირები, რომლებიც ამ ადამიანების გაუბედურებაში აქტიურად მონაწილეობდნენ, გახლავთ, მაშინდელი მთავარი პროკურატურის მთავარი საგამოძიებო ნაწილის უფროსი — ბატონი ქაჩიბაია. ასევე, ამავე ნაწილის წარმომადგენლები — მანუჩარ ქაჯაია და თენგიზ ხარებავა; ამავდროულად, თავდაცვის სამინისტროს ზედამხედველობის განყოფილების უფროსი — ბატონი ჩიტაშვილი და მისი მოადგილე ბატონი გიორგი ქევხიშვილი, რომელიც ამჟამად ქალაქის პროკურორის მოადგილეა.

**— ამ ხალხს რას ედავებით?**

– დავიწყებ ზაზა ქაჩიბაიათი – ეს ადამიანი მთავარ პროკურატურაში, უშუალოდ ხელმძღვანელობდა საგამოძიებო ნაწილს და ის მართავდა გარემოებებს, ვისთვის როგორ უნდა წაეყენებინათ ბრალი ისე, რომ ეს ადამიანი დაეტერორებინათ და ფული და ქონება გამოეძალათ.

**— კონკრეტული ფაქტები გაქვთ?**

– კონკრეტულ ფაქტს ვერ დაგისახელებთ, იმიტომ რომ ამაზე ჩვენება მაქვს მიცემული. მერე ბრალს დამდებენ, საიდუმლო ინფორმაცია გაახმაურეო და ამიტომ ვერ ვამბობ, მაგრამ ვურჩევ მთავარ პროკურორს, რომ ჩემ მიერ, არჩილ კბილაშვილის ბრძანებით, მიცემული ჩვენებით დაინტერესდეს. თუ შოთაძე ამ საკითხებით დაინტერესდება, მიხვდება, რომ მათთვის ბრალის წაყენება მხოლოდ და მხოლოდ ტექნიკური საკითხია.

მანუჩარ ქაჯაია – უშუალოდ ხელმძღვანელობდა კუდ-ის მხრიდან დაინტერესებული პირებისადმი წამლის, ნარკოტიკის ჩადების ოპერაციებს.

სხვათა შორის, მე, როგორც „ჩანერგილი“ ადვოკატი, ამ კუთხით ვმონაწილეობდი საქმეებში და კონკრეტული ფაქტები მაქვს, რომლებიც, დაინტერესების შემთხვევაში, შემიძლია პროკურატურას გადავცე, რა თქმა უნდა. ამ ფაქტებში იქნება ასახული, როგორ ავალებდა მანუჩარ ქაჯაია ამა თუ იმ პირისთვის ნარკოტიკის ჩადებას. ეს პიროვნება სამი წელია არავის გახსენებია.

გიორგი ქევხიშვილი ვახსენე – ეს ადამიანი, ე.წ. მუხროვანის ამბოხის პროკურორი, რობერტ გრიგალაშვილი, დავით სიხარულიძე და კიდევ რამდენიმე პროკურორი, უშუალოდ მონაწილეობდნენ შემდეგი საქმეების „გაპრავებაში“ – ეს იყო ე.წ. მუხროვანის ამბოხი. ქევხიშვილს, სხვა პროკურორებთან ერთად, პასუხისგებაში ჰყავს მიცემული ის ადამიანები, რომლებიც მუხროვანის სპეცოპერაციაში დაადანაშაულეს.

ამ კაცის მიერ, ბრალწაყენებული პირები ამჟამინდელმა პარლამენტმა პოლიტპატიმრებად ცნო და დღეს ეს ადამიანი, ბრალის წამყენებელი, ქალაქ თბილისის პროკურორის მთავარი მოადგილეა. აი, ეს არის ნონსენსი.

მთავარ პროკურატურაში გახლდათ ასეთი პროკურორი – გიორგი კონდახიშვილი – ეს ადამიანი უშუალოდ ადეიშვილის მარჯვენა ხელი და შემსრულებელი იყო, ახლა ადვოკატობს... ეს ადამიანი გახლავთ ცნობილი შემსრულებლის, ნათია მოგელაძის ქმარი. ცოლ-ქმარი მაოხრებლები.

ქალაქის პროკურატურაში აღმოვაჩინე პროკურორი გრიგოლ ბიბილაშვილი, ასევე, განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებელი — ვაჟა გამეზარდაშვილი. ერთ-ერთ საქმეში, სადაც ნიაზ ჩხვიმიანს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს, მაშინდელი ქალაქის პროკურორი, ბატონი გიორგი ღვინიაშვილი უშუალოდ მავალდებულებდა, რომ უარი მეთქვა ჩხვიმიანის დაცვაზე, იმიტომ, რომ ამით მე, როგორც ღვინიაშვილის კურსელი, ვუპირისპირდებოდი მას. ამ საქმეში მონაწილეობდა მაშინ პროკურორი ბიბილაშვილი და ამ საქმის გამომძიებელი და ბრალის წამყენებელი პროკურორი, ამჟამად თელავის მოსამართლე მამუკა წიკლაური და ამ საქმის უშუალო გამომძიებელი და შემსრულებელი გამეზარდაშვილი, რომელმაც ისე მაგრად შეთითხნა ეს საქმე, რომ წესიერი გამოძიების შემთხვევაში, ეს ადამიანი არ უნდა იყოს სამუდამო პატიმრობაში, მაქსიმუმ, მის მიმართ ბრალი შეიძლებოდა წაეყენებინათ დანაშაულის დაფარვაზე. ეს ახალგაზრდა კაცი, ამათი ქმედებების გამო, დღემდე უდანაშაულოდ იხდის სასჯელს, მისი საქმის „შემთითხვნელები“ კი თანამდებობებზე პარპაშობენ და არავინ სჯით. სხვათა შორის, ამ გაუბედურებული ბიჭის საქმეში ამოღებული ავტომატის შესახებ ძალიან კარგად იცოდა მაშინდელმა ქვემო ქართლის პროკურორის მოადგილემ მირზა სუბელიანმა, მაგრამ დუმდა. ეს ის მირზა სუბელიანია, რომელიც შემდეგ, ახალ ხელისუფლებაში სოზარ სუბარის გენინსპექციის უფროსი იყო, მისი სასჯელაღსრულების და პრობაციის მინისტრობის დროს. სუბელიანი იყო, ასევე, სხვა პროკურორებთან ერთად, ქვემო ქართლის პროკურატურაში ყველა საქმის გამპრავებელი, რაც კი მაშინ „იკერებოდა“. საკითხავია, ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, ეს სუბელიანი რა დამსახურებისთვის დანიშნეს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენინსპექციის უფროსად?!

ასევე, შოთა რეხვიაშვილი,





რომლიც ქვემო ქართლის სამხარეო პროკურორი იყო და იმ პერიოდში კუდს ვერავინ მოიქნევდა ამ რეხვიაშვილის გარეშე მხარეში, დღეს რა დამსახურების გამოა მინისტრის მოადგილე?!

ნაკლები, მაგრამ არცთუ ისე მსუბუქი პასუხისმგებლობა ეკისრებოდათ, ამჟამად ქალაქის პროკურატურაში რამდენიმე პროკურორს — ბაღდასაროვსა და ირაკლი გულგედავას, რომელიც დავსრულებლები. ასევე, საუკეთესო შემსრულებელი გახლდნენ ბატონი ყაჯრიშვილი და სიყმაშვილი. ეს უკანასკნელი გაგნიძის მარჯვენა ხელი იყო. ახლა, ეს კარგი ადამიანი ქალაქის პროკურატურაში თბილადაა მოკალათებული.

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, თავდაცვის სამინისტროს ზედამხედველობის სამმართველოს პროკურორებმა ბრალი წაუყენეს 2008 წლის ომში მონაწილე სამხედროებს

ქვემო ქართლში ის ადამიანებიც, რომლებიც სააკაშვილის დროს ადამიანებს აუბედურებდნენ და ესენი გახლდნენ გიორგი კაკულია და ლევან ლაზარიშვილი.

ბადრი პატარაია ბოლნისის პროკურატურის ერთ-ერთი პროკურორი და მარადმწვანე პროკურორია, რომელიც ვერავინ ვერ დაძრა ადგილიდან. მასთან ერთად უნდა ვახსენოთ სერგო ყურაშვილი – ეს ადამიანები მოიაზრებოდნენ მენტო პერიოდს დაასრულებინებენ და მერე მშვიდად გაუშვებენ ქვეყნიდან. სხვათა შორის, ახალაიას მაშინდელი ყველა მოადგილე „ადვოკატთა ასოციაციაშია".

ქუთაისი – აქ დღემდე მუშაობს გურიის მაშინდელ პროკურატურაში მოღვაწე განსაკუთრებით საშიში ადამიანი, ვინმე ჯალაღონია, რომელზეც რამდენიმე ათეული საჩივარია შესული პროკუ-

დააყენებდა „ნაციონალების", პროკურატურის, სასამართლოს და ბევრ საკითხს. მაშინ ამ საქმის წარმოება გოჩა ფარულავას დაავალეს. ანუ ისეთ პროკურორს დაავალა საქმის გამოძიება კბილაშვილმა, რომელიც თვითონვე სჩადიოდა დანაშაულებს აჭარაში. ეს პირი ახლა პროკურატურაში ერთ-ერთი დეპარტამენტის უფროსია. დეპარტამენტის უფროსია კაცი, რომელზეც ოხრადაა შესული საჩივრები და არავინ რეაგირებს მასზე.

მერიის იურიდიული სამსახურის უფროსია. მგონი, სპეციალური მოთხოვნაა, რომ, რაც შეიძლება მაგარი დამნაშავე უნდა იყო, რომ ახალმა ხელისუფლებამ თანამდებობაზე დაგნიშნოს. ასეთივეა გიორგი ბიდიაშვილი.

სიღნაღის პროკურატურაში ხელისუფლების ცვლილებიდან დღემდე ყველაფერი უცვლელადაა და იქ, ასევე, ადეიშვილის პირადი მეგობარი გრძნობს თავს ძალიან კარგად — სოსო გულოშვილი, ოდიოზური პირი, რომელსაც ყველაფერზე ხელი აქვს მოწერილი და იქვე ჰყავს მისივე საუკეთესო შემსრულებელი გიორგი შაიშმელაშვილი. ამათზეც უამრავი საჩივარია შესული, მაგრამ რად გინდა?!

# პროკურორები

## მთავარ პროკურორს!



რევაზ ნადოი არ დავივიწყოთ – ეს კაცი გახლდათ „ნაციონალების" წარმატებული პროკურორი და მერე ადეიშვილის მოწონებული მოსამართლე. არსებული ხელისუფლების პირობებში ეს კაცი გახლავთ ვანო მერაბიშვილისა და სხვა საქმეებზე ბრალმდებელი პროკურორი. მე არაფერს დავამატებ. ხალხმა გამოიტანოს თავად დასკვნა. ესენი არიან ის პროკურორები, ვინც ერთი ხელის მოსმით ჩამოგითვალეთ.

**— რას ითხოვთ?**

— ასეა თუ ისე, გვყავს მთავარი პროკურორი, როგორც ბიძინა ივანიშვილი ამბობს, 6 წელი ხელშეუხებელი. ახლა ადგეს ეს ბატონი, ჩამოიღოს თაროებიდან ჩემ მიერ ჩამოთვლილ ათეულობით პროკურორის საქმე და განიხილოს მათზე შემოსული საჩივრები.

მე არ ვამბობ, რომ ხმლითა და ხანჯლით უნდა გაათავისუფლოს ეს ხალხი. მათ წინააღმდეგ არსებობს საჩივრები, საკმაოდ საფუძვლიანები და სანამ მათი საქმეების გამოძიება დასრულდება, ეს პროკურორები, მინიმუმ, ჩამოაშოროს საპროკურორო საქმიანობას. მაგრამ ამას როგორ გააკეთებს, მართლა არ ვიცი. კბილაშვილის დროს ყველა დეტალი ბიძინა ივანიშვილთან თანხმდებოდა – ახლა, ვნახოთ.

**— უამრავი ადამიანის გვარი დაასახელეთ. რომ ადგნენ და გიჩივლონ, რას იზამთ, რა მტკიცებულებები გაქვთ მათ მიმართ, თავს როგორ დაიცავთ?**

– მე იმას ვამბობ, რაც უშუალოდ ვიცი, რაც გადამოწმებული მაქვს. გადამოწმებული მაქვს, რომ საჩივრებია მათზე ნამდვილად შესული. მიჩივლონ, რა ვთქვი ისეთი, რას ვამბობ ისეთს, რაც არარეალურია?! ამ ადამიანებზე მტკიცებულებები თავად პროკურატურაში დევს.

მე ამის მერეც დავასახელებ პროკურორებს და მათ შესახებ ყველა დეტალი გადამოწმებული მექნება.

აქვე ერთი სათხოვარიც მაქვს პროკურატურასთან — მთავარმა პროკურატურამ უნდა მოიძიოს ყველა იმ პროკურორის საქმეები, რომლებიც ამ საქმეებში ფიგურირებენ.

ით გაგნიძის გამოზრდილია.

ახლა გეტყვით, რა ხდებოდა მაშინ ისნის პროკურატურაში და ახლა ვინ არიან დარჩენილები — ისანში, მთავარი პარადი მიჰყავდა ადეიშვილის მეგობარსა და კურსელს დათო გაგნიძეს, რომელიც მერე იმ დეპარტამენტში გადაიყვანეს, სადაც ბატონი შოთაძე გახლდათ მოადგილე. ეს რა საშინელი პროკურორიც იყო და რა უბედურებებსაც ატრიალებდა ისანში, ამაზე ადრეც გესაუბრეთ, ამიტომ აღარ გავიმეორებ, უბრალოდ, დავამატებ, რომ მისი გამოზრდილები არიან სხვა პროკურორები, რომელთაგან ერთი — ირაკლი ლაცუზბაია ახლანდელმა ხელისუფლებამ გადააყენა ისნის პროკურორობიდან, წულუკიანის დაინტერესების შემდეგ. ანუ თავად გაგნიძე, ირაკლი ლაცუზბაია, მოსულიშვილი და ადამიანების გამაუბედურებელი, საქვეყნოდ ცნობილი ნინო ციხისელი, რომელსაც ვერც წარმოიდგენთ, რა საქმეები აქვს ჩადენილი, იყვნენ ადეიშვილის დაკვეთების საუკეთესო შემ-

– ბრალი წაუყენეს ისეთ სამხედროებს, რომლებსაც, იმ უთავბოლობაში გენერლებმაც კი გამოასწრეს ბრძოლის ველიდან.

მეთაურები რომ არ მიეცათ პასუხისგებაში, ეს ჯარისკაცები გამოიყენეს დაბალ ღობედ. ასე გაასამართლეს 200 ჯარისკაცამდე. ეს მოხდა იმისთვის, რომ იმ დამარცხებასა და სირცხვილზე, რაც აგვისტოს ომში მოხდა, ყველა ამის მნახველი გაემწესებინათ ციხეში და გაეჩუმებინათ.

ქვემო ქართლის პროკურატურაში გავიხსენებ, ასევე, ადეიშვილის საუკეთესო შემსრულებელ პროკურორებს — ადრე ქალაქის მთავარ პროკურატურაში პროკურორად მუშაობდა და ხალხს აოხრებდა მიშა აბულაძე. ამ ადამიანს დღეს არავინ ახსენებს.

ასევე, არავინ არ ახსენებს დღეს ლაშა ლეთოდიანს, გიორგი ლობჟანიძესა და ირაკლი მარღანიას. მშვენივრად გრძნობენ თავს,

ქვემო ქართლში ყველანაირი სისაძაგლის შემსრულებლებად. ეს პირები დღემდე თანამდებობებზე სხედან.

თბილისის პროკურატურაში ახალი ხელისუფლების დროს გადმოიყვანეს გიორგი კოკაია. ეს კოკაია ადრე დიდუბის პროკურატურაში მუშაობდა და ერთ-ერთი დაუნდობელი პროკურორი იყო. ამავე დიდუბის პროკურატურას მიეკუთვნებოდნენ ზაზა კვირკველია და ირაკლი წულაია.

არ გაგიკვირდებათ და სამეგრელოში ყველაზე მთავარი შემსრულებელი, როლანდ ახალაია პარლამენტში ზის.

ამ ადამიანს მეტად სულელური ბრალი წაუყენეს, მაშინ, როცა დასტა-დასტა ალაგია მის მიმართ საჩივრები მთავარ პროკურატურაში. მას რომ იმ საქმეებზე არ წაუყენეს ბრალი, რაც საფუძვლიანია, მოწმობს იმას, რომ ასეთი შეთანხმება არსებობს – საპარლარატურაში. თუმცა ეს ადამიანი მშვიდად გრძნობს თავს.

ბათუმი — ეს პროკურატურა განსაკუთრებით საინტერესოა, იმიტომ, რომ ბათუმის პროკურატურაში ბევრი პროკურორი თავის დროზე უშუალოდ ჩემი რეკომენდაციებით დაინიშნენ კახა მაისურაძის დროს. ასე მოხვდნენ ბათუმის პროკურატურაში რამაზ შავაძე, მერაბ პაქსაძე, ბოლქვაძე, მიქელაძე და სხვანი. ასევე, ავთო კილაძე, ჭაბუკიანი, გელა ყუჩაშვილი, ბათუმის ამომგდები ფრიდონ ქარცივაძე, რომელსაც ისეთი რამეები აქვს ნაკეთები, ადამიანის ენა და პირი ვერ იტყვის. ეს ხალხი მაშინდელი რეჟიმის იმდენად კარგი შემსრულებლები აღმოჩნდნენ, რომ ამოქექოს პროკურატურამ მათზე საჩივრები და ყველაფერი გაუიოლდება.

ქარდავამ, რომელიც სოციალური მომსახურების სააგენტოში მუშაობს, ის ქულები დააფიქსირა, რომელიც გასაჩივრებამდე მქონდა. ამჟამად გავასაჩივრე საქალაქო სასამართლოში. მაგრამ რამდენჯერმე გადადეს პროცესი და საბოლოო პასუხი ჯერ კიდევ არ მიმიღია.

ვინაიდან უმწეოთა დახელშეკრულებო ვადა, დამტოვებენ თუ არა, ჩემთვის უცნობია.

რატომ შემოგვასახლეს, თუ უნდა გავეყარეთ? თავდაპირველად როგორც სოციალურად დაუცველები, ისე შემოგვასახლეს. შემდეგ დაგვასაქმეს და სოციალური დახმარებები მოგვიხსნეს. ახლა ბინებიდანაც გაყრით გვემუქრებიან. რა დავაშავეთ, ჩვენ საქართველოს მოქალაქეები არ

მარებაზე, ჩემს შვილს თვალის პრობლემა აქვს და გამოკვლევები სჭირდება.

**— საერთო დაზღვევით ვერ სარგებლობთ?**

– საერთო დაზღვევაში გამოკვლევები არ შედის, უფასო მხოლოდ ოჯახის ექიმთან ვიზიტია. დახმარების ნაცვლად სარეიტინგო ქულები ამიწიეს. ახლა „სოციალურ საცხოვრისში“ ცხოვრებაც როცა აქ შემოგვასახლეს, მცირეწლოვანი იყო.

**— მუშაობთ?**

– დამასაქმეს დასუფთავების სამსახურში, ამიტომაც შემწეობა შემიჩერეს და ახლა სახლიდანაც უნდა გაგვაგდონ? ამ ქვეყანაში სამართალი აღარაა.

# ჩამწიხლა!!!“

## დროშა დღესაც სახლში მაქვს, მაგრამ რა მივიღე?“



„ეს აბსურდია. „სოციალური საცხოვრისის“ ბინადარ მარტოხელა დედებს არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები აქეზებენ. ჩვენ კარგად ვიცით, რა ხდება მანდ“

„ჯერ კიდევ მერის არჩევნებამდე დავით ნარმანია შემპირდა, ქალბატონო მაგული, როგორც კი მერად მოვალ, შენს ბინას დაგიმტკიცებო. დავით ნარმანია მართლაც მერი გახდა, გავიდა რამდენიმე თვე და მერიიდან წერილი მომივიდა: სახელმწიფოს მიერ ნათხოვარი ბინა 2016 წლის დეკემბრისთვის უნდა ჩააბაროთო“





„თუ ეს სიმართლეა, მაშინ მიჩივლონ სასამართლოში, ჭორებს რატომ აგორებთ?“

**მზია ლომიძე, მარტოხელა დედა, „სოციალური საცხოვრისის“ ბინადარი:**

– 2011 წელს, სოციალური დახმარება შემიჩერეს. შემდეგ გავასაჩივრე და მოვითხოვე სარეიტინგო ქულების შემცირება. ზაზა სოფრომაძე შემპირდა, რომ რა შეფასებაც თავიდან მქონდა, იგივეს დამიტოვებდა. თუმცა თემურ

მარება აღარ მაქვს, სოციალურად დაუცველადაც აღარ ვითვლები, ამიტომ ისევე როგორც სხვებს, მეც მემუქრებიან სოციალური საცხოვრისიდან გასახლებით. სად წავიდე? მე და ჩემი შვილი ქუჩაში ვრჩებით.

მერისგან სახელშეკრულებო წერილი მეც მივიღე, სადაც საუბარია, რომ 2016 წლის დეკემბერში მეწურება სახ-

ვართ?

**მაკა მანუკიანი, მარტოხელა დედა, სოციალურად დაუცველი:**

– როცა „სოციალურ საცხოვრისში“ შემოვედი, 45 ათასი ქულა მქონდა, ახლა 65 ათასი ქულა მომანიჭეს, მერე ნელნელა მომიმატეს ქულები. საბოლოოდ 91 ათასი გამიხადეს. დავწერე განცხადება დახკითხვის ნიშნის ქვეშაა, რადგან სოციალურად დაუცველიც აღარ მქვია.

როდის გაგვასახლებენ ამ ბინებიდანაც, არ ვიცით. მუდმივ სტრესში ცხოვრება აღარ შეგვიძლია. ეს ხელისუფლება იმიტომ კი არ მოვიყვანეთ, რომ ბინებიდან გავეყარეთ. ჩემი შვილი 14 წლისაა, ჯერ კიდევ არასრულწლოვანია.

**„კვირის ქრონიკა“ საკრებულოში სამგორის რაიონის მაჟორიტარ დეპუტატს ია მაკასარაშვილს დაუკავშირდა და ესაუბრა;**

**— ქალბატონო ია, ვარკეთილში, „სოციალურ საცხოვრისში“ მცხოვრები სოციალურად დაუცველი მარტოხელა დედები გადანაშაულებენ, თითქოსდა მათ ბინებიდან გასახლებით ემუქრებით, რამდენად მართალია?**

– რით მიმტკიცებთ, რომ ვემუქრები?

**— მე არ გიმტკიცებთ, ის ქალბატონები აცხადებენ.**

– თუ ეს სიმართლეა, მაშინ მიჩივლონ სასამართლოში, ჭორებს რატომ აგორებთ?

**— ამ შემთხვევაში, ჩვენ გვინდა დავაფიქსიროთ ორივე მხარის პოზიცია. მოსახლეობა აცხადებს, რომ ემუქრებით.**

– მე კი არ ვემუქრები, „სოციალური საცხოვრისის“ მცხოვრებლები ერთმანეთს ემუქრებიან და ერთმანეთზე საუბრობენ. ჩემთვის ეს თემა გასაგებია. თუ ვინმეს ჩემთან პრეტენზია აქვს, მობრძანდეს ჩემთან ოფისში.

**— ერთ-ერთი დევნილი ქალბატონი, ელისო მაშუქია, აცხადებს, რომ თქვენ ის გალანძღეთ, როცა ოფისში მოვიდა. ამიტომ საჭიროდ ჩავთვალე, თქვენთვისაც მომესმინა, ეს რამდენად რეალურია?**

– შემიძლია გითხრათ, რომ ვინც ჩემი სახელი და გვარი იცის, ასეთ რამეს არ იტყვის, პირიქით, ჩემი ყველა მადლიერია.

**— ისინი აცხადებენ, რომ თქვენ ამომრჩევლებს შერჩევით ეხმარებით...**

– ვინ?

**— თუნდაც დევნილი ქალბატონი ელისო მაშუქია.**

– მესმის, რომ ამ ადამიანებმა დიდი ტრავმა გადაიტანეს 9-წლიანი რეჟიმის პირობებში და მათ რეაბილიტაცია სჭირდებათ.

**— ქალბატონო ია, გამგეობის მიერ ერთჯერადი დახმარებების გაცემა შერჩევით ხდება?**

– მობრძანდით სამგორის რაიონის გამგეობაში და ნახეთ სიები, თუ ვის სახელზე გაიცა ერთჯერადი დახმარებები.

**— ემუქრება თუ არა „სოციალური საცხოვრისიდან“ დაუცველ ოჯახებს ბინებიდან გამოყრა? გითქვამთ, 90% საცხოვრისიდან გამოსაყრელი ხართო.**

– ყველამ კარგად იცის, რომ „სოციალური საცხოვრისი“ არის დროებითი საცხოვრებელი და არა მუდმივი. თუმცა მათ გამოყრით არავინ ემუქრება. „სოციალურ საცხოვრისში“ სხვადასხვა კატეგორიის ადამიანები არიან, მათ შორის დევნილებიც. ისინი თბილისის ზღვაზე მდებარე კორპუსებში ჩავასახლეთ.

**— თუმცა, მარტოხელა დედები აცხადებენ, რომ ქუჩაში გაყრით დაემუქრეთ?**

– ეს აბსურდია. „სოციალური საცხოვრისის“ ბინადარ მარტოხელა დედებს არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები აქეზებენ. ჩვენ კარგად ვიცით, რა ხდება მანდ.

**— მარტოხელა დედები ასევე აცხადებენ, რომ თითქოსდა თქვენ ოფისიდან მსტოვრები გყავთ გაგზავნილი და მათ შესახებ ინფორმაციებს აგროვებთ...**

– მსგავსი არაფერი ხდება. დახმარებას ყველა მხარე იღებს. ამას ნაციონალები აკეთებენ, ჩვენ კი არა, თუ არ გჯერათ, მობრძანდით გამგეობაში და იქ გაიგებთ სიმართლეს.

**— თუმცა, მიუხედავად პოლიტიკური განწყობისა, ყველას უნდა ეხმარებოდეთ.**

– ჩვენ ყველას ვეხმარებით და არავინ გაგვირჩევია.

# არც ერთი მძღოლის ხმა

## შს მინისტრი „ოცნებას“ უჩალიჩებს და ხალხს —

ისეთი პირი უჩანს და ისეთი აქტიურობა დაიწყო „შუსუსუმ“, მარჯვენასაჭიან ავტომობილებს 2016 წლის მარტიდან, დიდი ალბათობით, მართლა დაემშვიდობებით — ვისაც გვყავს, საშვილიშვილოდ შეგვრჩება და ველარ გავყიდით, ხოლო ვისაც მანქანის იაფად შეძენა უნდოდა, სურვილი სურვილად დარჩება. გარდა ამისა, დაზარალდება ქვეყნის მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც „ქართული ოცნებისგან“ დასაქმებას ელოდა, ელოდა, ელოდა და საშველი რომ აღარ დაადგა, ისესხა ნათესავებისგან, მეზობლებისგან, ბანკებისგან გარკვეული თანხა და იაპონური მარჯვენასაჭიანი ავტომობილი შეიძინა — ევროპულსა და ამერიკულზე იაფია და იმიტომ და იმედგაცრუებულმა ტაქსაობა დაიწყო.

ისე, ამ იდეის ავტორებსა და მხარდამჭერებს უნდა ვუთხრათ – დაგვასაქმეთ, ჩემო ბატონო, გადაგვიხადეთ მაღალი ხელფასები და ისეთ „ფირმა“ მანქანებს „მივცემთ“, თვალები ზედ დარჩება ყველას. ჰოდა, სანამ ამის ერთი ადგილი არ აქვს ხელისუფლებას, ელემენტარულ პირობებს თუ საკუთარი ძალებით ვიქმნით, ამას მაინც ნუღარ გვისპობთ!..

**როგორც შს მინისტრი გიორგი მღებრიშვილი ამბობს, ვისაც ჰყავს მარჯვენასაჭიანი მანქანები, შეუძლია, მთელი ცხოვრება ჰყავდესო — ტყუილია!**

აღდგება ისევ ტექდათვალიერება და წლოვანებიდან გამომდინარე, არაერთი ავტომობილი ჩამოიწერება. აქვე იმასაც დავამატებთ, რომ „ტეხასმოტრს“ ნამდვილად ვემხრობით, უბრალოდ, მინისტრის ტყუილი გავშიფრეთ, ეს არის და ეს.

მღებრიშვილი იმასაც ამბობს, რომ საქართველოში მარჯვენასაჭიანი ავტომანქანების იმპორტის სტატისტიკა საგანგაშოა და ის 50 პროცენტს გაუტოლდა, ასეთი სიტუაცია კი მხოლოდ ავღანეთსა და ბირმაში ფიქსირდება.

– ასეთი რამ მსოფლიოს 2 ქვეყანაშია, სადაც მარჯვენასაჭიანი მანქანებით არის ნებადართული გადაადგილება, ეს ქვეყნებია ავღანეთი და ბირმა.

**თუ ჩვენ გვინდა დავემსგავსოთ ავღანეთს და ბირმას, შეგვიძლია, დავრჩეთ იგივე რეჟიმში და გავაგრძელოთ ამ ავტომანქანების იმპორტი. მაგრამ მაქსიმალური პროცენტი ყველა ევროპულ ქვეყანაში არის 10 პროცენტი, — აცხადებს გიორგი მღებრიშვილი და ისევ იტყუება.**

ჯერ ერთი, მარჯვენასაჭიანი მანქანებით გადაადგილება მხოლოდ ავღანეთსა და ბირმაში არ არის ნებადართული. ჰო, შესაძლოა, მინისტრს აქ უნებური შეცდომა ჰქონდეს დაშვებული ან სხვა რამეს გულისხმობდეს, მაგრამ ფაქტი მაინც ის არის, რომ არასწორ ინფორმაციას გვაწვდის, რასაც მარტივად დაგიმტკიცებთ!

სხვათა შორის, პატივცემულო მინისტრო, თავად იაპონიაც მარცხენა საჭიანი ავტომობილების ნაკლებობას ნამდვილად არ უჩივის და მაგალითად, ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ „მერსედეს-ბენც გელენდვაგენს“ დაგისახელებთ, რომლითაც სავსეა იქაურობა. კარგით, „გელენდვაგენი“ იქით იყოს და რაღა ავღანეთი და ბირმა მოგყავთ მისაბაძ მაგალითად, იაპონიას შევედაროთ, კაცო, არ ჯობია?! ააა, ეს არ გაწყობთ და არ ჯდება ინიციატივის „გაპრავების“ ლოგიკაში, არა? გასაგებია, გასაგებია!..

**მოკლედ, რადგან შეგპირდით, რომ დავამტკიცებთ თქვენი სიტყვების მცდარობას, აგერ, ინებეთ არგუმენტები:**

2014 წლის მონაცემებით, მეორადი იაპონური მარჯვენასაჭიანი ავტომობილების გაყიდვების მაჩვენებელი ასეთია:

1. მიანმა (ბირმა) – 132,210;
2. რუსეთი – 114,494;
3. არაბეთის გაერთიანებული საამიროები – 92,094;
4. ახალი ზელანდია – 62,467;
5. კენია – 54,601;
6. ყირგიზეთი – 44,621;
7. სამხრეთ აფრიკა – 43,398;
8. ტანზანია – 30,761;
9. საქართველო – 29,606;
10. მონღოლეთი – 29,325;
11. პაკისტანი – 28,989;
12. შრი-ლანკა – 25,289;
13. ფილიპინები – 23,109;
14. მალაიზია – 23,053;
15. უგანდა – 22,330;
16. მოზამბიკი – 18,557;
17. ზამბია – 17,616;
18. ბანგლადეში – 15,873;
19. ტრინიდადი და ტობაგო – 12,009;
20. სურინამი – 10,413.

როგორც ხედავთ, კი, ბირმა ნამდვილად პირველ ადგილზეა, მაგრამ ოცეულში არც კი შედის ავღანეთი. ესეც რომ არ იყოს, საქართველო ამ რეიტინგში მე-9 ადგილზეა და არა მესამეზე, როგორც ამას „შუსუსუს“ მინისტრი გვიმტკიცებს.

სანამ ამ პროექტის სხვა დეტალებზე გადავალთ, იქამდე საინტერესო დეტალებზე მოგიყვებით:

— სტატისტიკის თანახმად, დედამიწის მოსახლეობის 66 პროცენტი მარჯვენა მიმართულებით მოძრაობს, მათ შორის, ჩვენც, ქართველებიც, 34 პროცენტი კი მარცხენა მიმართულებით. გზების მხრივ კი 72 პროცენტი მარჯვენა მიმართულებას უკავია, ხოლო 28 პროცენტი — მარცხენას;

— მარცხენა მიმართულებით მოძრავ ქვეყანაში მარჯვენასაჭიანი ავტომობილით (და პირიქით) შესვლა უმეტეს შემთხვევაში, საგზაო მოძრაობის წესების შესახებ ვენის 1968 წლის კონვენციის თანახმად, აბსოლუტურად ლეგალურია. საკმარისია მხოლოდ ის, რომ ავტომობილი შეესაბამება იმ სახელმწიფოს წესებს, სადაც რეგისტრაცია აქვს გავლილი;

— მარჯვენასაჭიანი ავტომობილების რეგისტრირება არ ხდება სლოვაკეთსა და ლიტვაში, ევროპის სხვა ქვეყნებში კი ასეთი აკრძალვა არ არსებობს;

— დასავლეთში პირველი კანონი, რომელიც მოძრაობის მიმართულების რეგლამენტირებას ახდენდა, ინგლისში ჯერ კიდევ 1756 წელს იქნა მიღებული. ამ კანონის თანახმად, ლონდონის ხიდზე მოძრაობა მხოლოდ მარცხენა მიმართულებით იყო დასაშვები. 20 წლის შემდეგ ინგლისში ისტორიული „საგზაო აქტი“ გამოიცა, რომელმაც მოძრაობა მარცხენა მიმართულებით სავალდებულო მთელ ქვეყანაში გახადა, მათ შორის, ცვლილება მოგვიანებით რკინიგზასაც შეეხო;

– საერთოდ, „მემარცხენეობის“ მთავად „დამნაშავედ“ სწორედ ნისლიან ალბიონს მიიჩნევენ, რომელმაც ნელ-ნელა დანარჩენ მსოფლიოზეც მოახდინა გავლენა;

— ბუნებრივია, პირველ რიგში, ბრიტანეთმა გავლენა იქონია საკუთარ კოლონიებზე, რის გამოც ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა: ინდოეთი, პაკისტანი, ავსტრალია, სატრანსპორტო საშუალებების მარცხენა მიმართულებით მოძრაობა იქნა შემოღებული. 1859 წელს დედოფალ ვიქტორიას ელჩმა სერ ალკოკმა დაარწმუნა ტოკიოს ხელისუფლება, რომ მათაც მარცხენა მიმართულებით მოძრაობა აერჩიათ;

– მოძრაობა მარჯვენა მიმართულებით ხშირად საფრანგეთს უკავშირდება. საფრანგეთის რევოლუციისას, 1789 წელს გამოცემულ დეკრეტში მითითებული იყო, რომ ყველას უნდა ემოძრავა „უბრალო ხალხის“, ანუ მარჯვენა მხარეს. ცოტათი მოგვიანებით ნაპოლეონ ბონაპარტემ სამხედროებს მარჯვენა მხრიდან მოძრაობა უბრძანა, რათა ნებისმიერი, ვინც ფრანგულ არმიას შეხვდებოდა, მისთვის გზა დაეთმო. მოძრაობის ასეთი წესი, რაც არ უნდა უცნაურად მოგეჩვენოთ, XIX საუკუნის დასაწყისის დიდ პოლიტიკას უკავშირდებოდა. შედეგად, ვინც ნაპოლეონს უჭერდა მხარს – ჰოლანდია, შვეიცარია, გერმანია, იტალია, პოლონეთი, ესპანეთი, მარჯვენა მიმართულების მოძრაობა შემოიღო. მეორე მხრივ, ვინც ნაპოლეონის არმიას ეწინააღმდეგებოდა: ბრიტანეთი, ავსტრია-უნგრეთი, პორტუგალია – მემარცხენეობა აირჩია.

ავსტრიაში განსაკუთრებით საინტერესო მდგომარეობა იყო: პროვინციების ერთ ნაწილში მარჯვენა მიმართულებით მოძრაობდნენ, მეორე ნაწილში – მარცხენა მიმართულებით. და მხოლოდ გერმანიის ანშლუსის შემდეგ, 1930-იან წლებში მთელმა ქვეყანამ გვერდი მარჯვნივ იცვალა;

— პირველი ავტომობილების გამოჩენის შემდეგ ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში მოძრაობის განსხვავებული წესები მოქმედებდა. დიდი ნაწილი მარჯვენა მიმართულებით მოძრაობდა, რაც, როგორც უკვე გითხარით, ჯერ კიდევ ნაპოლეონის დროს იქნა შემოღებული. განსხვავებული მდგომარეობა იყო ინგლისსა და შვედეთში, იტალიის სხვადასხვა ქალაქში კი ერთმანეთისგან განსხვავებული წესები მოქმედებდა;

– რაც შეეხება საჭის განლაგებას, რაც დღეს ქართველებისთვის თავში საცემ მორიგ თემად იქცა, ავტომობილების უმეტესობაში საჭე მარჯვენა მხარეს ყენდებოდა, მიუხედავად იმისა, რომელი მიმართულების მოძრაობა იყო დაკანონებული. ერთ-ერთი მიზეზი გახლდათ ის, რომ მძღოლს მანქანიდან პირდაპირ ტროტუარზე გადასვლა შეეძლო და არ ხვდებოდა გზის სავალ ნაწილზე;

– შემდგომში სტანდარტად იქცა მარცხენა საჭე, რაც გასწრებისას მძღოლს სიტუაციის უკეთესად კონტროლის საშუალებას აძლევდა...

ჰოდა, ახლა ერთი აქეთ მოიხედეთ, რამე უნდა გითხრათ — 3 წელზე მეტია, ხელისუფლებაში ხართ და რატომ მოგაფიქრდათ ეს სისულელე სწორედ ახლა, სწორედ მაშინ, როცა არჩევნები მოახლოვდა?! როგორ, კაცო, შს მინისტრი „ოცნებას“ უჩალიჩებს და ხალხს — მინიმუმ 300 ათას მძღოლს უმხედრებს „დედა პარტიას“? თუ ის ამბავია, რომ ფული ისე მოაკლდა ბიუჯეტს, უკვე აღარც პოტენციური ამომრჩევლის დამოკიდებულება გადარდებთ?! თვით ყველაფრის ფეხებზე დამკიდებელი მიხეილ სააკაშვილიც კი ერიდებოდა ხოლმე ასეთი წიაღსვლების ამომრჩევლის გაღიზიანებას და რა გამოდის, თუ იცით? რა, ჩემო ბატონო და — მიშაზე უარესები ყოფილხართ!

ახლა ისევ მღებრიშვილის კანტორის სიბრძნეებს დავუბრუნდეთ:

— საქართველოში ფარული პატრულირების შემოღება იგეგმება, — ამის შესახებ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ შალვა ხუციშვილმა შსს-ში განაცხადა, — მნიშვნელოვანი სიახლე იქნება ასევე საქართველოსთვის პოლიციის შესაძლებლობის გაძლიერება და ფარული პატრულირების შემოღება, რაც გულისხმობს, რომ პოლიციის მანქანები ამოსაცნობი ნიშნების გარეშე, მაგალითად, მიკროავტობუსის ფორმით, წინასწარ განსაზღვრული მარშრუტით იმოძრავებენ, ავტომატურად, რეალურ დროში დააფიქსირებენ დარღვევებს და მძღოლთან კონტაქტის გარეშე მოხდება დამრღვევი პირების გამოვლენა და დაჯარიმება ვიდეოჯარიმების რეჟიმში, — განაცხადა ხუციშვილმა.

მისივე თქმით, ასევე იგეგმება გადასატანი რადარების შემოღება:

– დღეს წინასწარ ცნობილია, სად დგას რადარი და მძღოლი ცდილობს, ფრთხილად იყოს. სხვადასხვა დროს ეს რადარები სხვადასხვა ადგილას იქნება განთავსებული და ჩვენ ვფიქრობთ, რომ ორივე მექანიზმი, რომელიც სიახლეა, გააძლიერებს, ერთი მხრივ, პოლიციის შესაძლებლობებს, რომ გზა გააკონტროლოს და მეორე მხრივ, მძღოლებს გაუჩენს განცდას, რომ რეალურად კონტროლი ხორციელდება იქ, სადაც საპატრულო პოლიციის ციმციმები არ ჩანს.

ეს რა გამოდის, ბიძია-ბაბუა, ნასვამმა კაცმა ბოძზე ვეღარ უნდა მიაფსას, ეგრევე პოლიციის შენიღბული მანქანის კამერა გამოიჭერს?

**ისე, დარწმუნებული ვარ, „შუსუსუ“ ფეხებს გაფშეკს და კატეგორიულად უარყოფს, რა ტოტალური კონტროლი, რის პოლიციური სახელმწიფო, მოქალაქეების უსაფრთხოებაზე ფიქრში ვათენ-ვაღამებთ და ეს ამბავიც მაგისთვის მოვიფიქრეთო. მაშ, მტყუნის?!**

ყოველ შემთხვევაში, შთაბეჭდილება ასეთი იქმნება, თან მარტო ერთ კაცში კი არა, აბსოლუტურ უმრავლესობაში და ხომ იცით, ორი რომ გეტყვის, ხუთი რომ გეტყვის და ასი რომ გეტყვის, „ფეჩი“ ხარო, ბოლი უნდა ამოუშვა.

მოკლედ, დედას გეფიცებით, თუ რამე გვქონდეს დასამალი და მოდით, თქვე კაი ხალხო, პირდაპირ გვკითხეთ, იქნებ გვპასუხობთ, რა სიკვდილად გინდათ ეს ტოტალური თვალთვა-









ლი, ან რა ჯანდაბამ მოგაფიქრათ ეს კვერცხობა, ჰა?! გამოჭერაზე ხართ, მამაძაღლი?

**ამ რადარების „მუღამიც“ ხომ სწორედ ის არის, რომ მძღოლმა იფხიზლოს, არ გამოიჭირონ და იმიტომაც ამცირებს ხოლმე სიჩქარეს. ახლა თქვენ თუ კუკუდამალობანა უნდა გვეთამაშოთ რადარებით, ეგ სხვა საქმეა — აქაც მე ვარ, იქაც მე ვარ და რამე, არა? ურევთ მაგრად, რა, ბურდავთ და გიხარიათ! ამას გინდა პატრულირება დაარქვით, გინდათ — ასინეთობა, ყველა ჩაბარება. მძღოლს მოწმობის გაუქმებიდან მხოლოდ ორი თვის შემდეგ შეეძლება გამოცდის თავიდან ჩაბარებისა და მართვის მოწმობის აღება. „დაზარალებული“ პირი აბარებს ორივე გამოცდას, თეორიულსაც და პრაქტიკულსაცო.**

**რა „ლაითად“ ამბობენ, გამოცდების ჩაბარება ორი თვის შემდეგ შეეძლებათო... გამოდის, ქულების განულებას ორთვიანი „ლიშენიაც“ ემატება. რატომ? გამოცდაში ფული იქნება გადასახდელი და თუ ადამიანი ტაქსაობს, ოჯახი ორი თვე მშიერიც უნდა ჰყავდეს და**

მოკლედ, ძალიან კარგი რამე ყოფილა ასოცირების ხელშეკრულება, მალე იმასაც გვეტყვიან, მანქანაში როდის და რა დოზით უნდა ჩავრთოთ გათბობა ან ვენტილაცია. კი, მაგრამ ევროპამ თუ არ გვითხრა, ჩვენ თვითონ ვერ ვგრძნობთ, რომ ვინც დღეს მართვის მოწმობას უმაღლესი ქულებით იღებს, უმეტესობამ ტარება არ იცის?!

შემდეგი მნიშვნელოვანი საკითხი: სასწრაფოს, სახანძროსა და პოლიციის მანქანისთვის გზის არდათმობა, მართვის მოწმობის ჩამორთმევის ნაცვლად, 300-ლარიანი ჯარიმით

**ვით აქვთ გადაწყვეტილი...**

განბაჟება კი არ უნდა გაამკაცრო, რეგისტრაციამდე „ტეხასმოტრი“ გაატარებინე და თუ ტექნიკურ ნორმებს აკმაყოფილებს გაანებე თავი, თუ არ აკმაყოფილებს, მიეცი გონივრული ვადა, რომ მანქანა შეაკეთოს და მერე დაურეგისტრირე. თუ ეს ცვლილებები მართლა ხალხის საკეთილდღეოდ გინდათ, ეს რთული მოსაფიქრებელია?

**ხო, მოპედებს და ველოსიპედებს რაც შეეხება: ნებისმიერ ჩვენს ჩინოვნიკს რომ**

ტომობილების ფასი, ერთმანეთს გაუტოლდება“

სანქციები იცვლება სიჩქარის გადაჭარბებაზეც:

**ნებადართულზე 40 კილომეტრ/საათის ფარგლებში სიჩქარის გადაჭარბება გამოიწვევს 50-ლარიან სანქციას, ხოლო 40 კილომეტრ/საათზე ზევით სიჩქარის გადაჭარბება უფრო მკაცრად დაისჯება.**

მნიშვნელოვანი სიახლეა, ასევე, ღერძულა ხაზის გადაკვეთისა და საპირისპირო

# „ქართულ ოცნებას“!

## მინიმუმ 300 ათას მძღოლს უმხედრებს „დედა პარტიას“?




რა ურჩევნია. რაღაც ხარჯი შეიძლება გაწიოს ადამიანმა, რომელსაც არ აქვს კატალიზატორი, შეიძლება კომპანიებს ვთხოვოთ, რომ გააკეთონ განვადება, მაგრამ ეს სასწრაფოდ დასარეგულირებელია. ამის შემდეგ, ეტაპობრივად, ავტომანქანების დაზღვევა და სავალდებულო ტექნიკური დათვალიერება დაინერგება. ცვლილებები დროში გაიწერება. ვფიქრობ, ეს საკითხი ყველას აწუხებს. სიმსივნეებისა და სხვა დაავადებების ერთ-ერთი მთავარი გამომწვევი მიზეზი არის გამონაბოლქვი“.

დიახ, არის ბევრი ავადმყოფობის გამომწვევი გამონაბოლქვი, მაგრამ აქ მთავარი უკატალიზატორო მანქანები კი არა, ათასობით ის ყვითელი ავტობუსი და სამარშრუტო ტაქსია, რომელთაც „უსირცხვილოდ“ გასდით ჭვარტლი და ამაზე არავინ ლაპარაკობს. ვინმე ერთხელ მაინც დაინტერესდა რა ხარისხის საწვავს ასხამენ? არაერთხელ გავრცელდა ინფორმაცია, ახალი ავტობუსები შემოგვყავს, თანაც ორსართულიანიო. კაი, ბატონებო, ორსართულიანი არ გვინდა, „ცალსართულიანები“ შემოიყვანეთ, მაგრამ სანამ შემოიყვანთ, გაზზე გადაიყვანეთ, საწვავზეც ხარჯებიც თვალშისაცემად შემცირდება და ავტობუსებსაც გამონაბოლქვი არ ექნება.

**თუ მართლა აინტერესებს პრემიერს გამონაბოლქვი და ხალხის ჯანმრთელობა და ბედი, მინისტრთა კაბინეტის და მას დაქვემდებარებული უწყებების მანქანები გადაიყვანოს ეკოლოგიურად სუფთა გაზზე, რომელსაც გამონაბოლქვი, პრაქტიკულად, არ აქვს და კერძო სტრუქტურებს ამით მაგალითი მისცეს. არა, არ შვრება ცოცხალი თავით... აი ეხლა რომ სააკაშვილის დრო იყოს, ამას ვინც წაიკითხავდა ხომ მოკვდებოდა სიცილით, რაებს უბრახუნებთ, მიშა ბენზინის წილშია და გიჟია გაზზე გადაიყვანოს, მერე ბიუჯეტის ფულს თავის ჯიბეში როგორღა გადაქაჩავსო... რა ვიცი, მართალია ვითომ, რომ ლაპარაკობენ, საწვავში „ნაცების“ „წილები“ „ოცნებამ“ გადაიფორმაო? რა ვიცი...**

ისე, გირჩი, მირჩი ეძახეთ თქვენ და კი ამბობს კრისტალ სიმართლეს!

**პოლიტიკური გაერთიანება „გირჩის“ ლიდერი ზურაბ ჯაფარიძე ფეისბუქზე წერს:**

– აკრძალვის შედეგი იქნება ზუსტად საპირისპირო:

1. მოქალაქეები, რომლებსაც შეიძლება ეფიქრათ ასეთი მანქანებით ოჯახის რჩენა ან უბრალოდ პირადი მოხმარებისთვის შეძენა, აღმოჩნდებიან გაუარესებულ მდგომარეობაში

2. ვისაც უკვე ჰყავს ასეთი მანქანები – არსებული ქონების ფასი შეუმცირდებათ, რადგან ასეთი მანქანის გაყიდვა გართულდება

3. მანქანები გაძვირდება – საშუალო ფასი აიწევს, რადგან იაფიანი მარჯვენასაჭიანი მანქანები აღარ შემოვა

4. ეკოლოგია – შემოვა მეტი შედარებით ძველი მარცხენასაჭიანი მანქანა და გამონაბოლქვი იქნება უფრო მეტი

5. სამთო ტურიზმი – სვანეთში ან სტეფანწმინდაში თუ ნამყოფი ხართ – მარჯვენასაჭიანი „მიცუბიში დელიკა“ არის ადგილობრივი მოსახლეობის დიდი ნაწილის შემოსავლის წყარო.

თბილისში არაერთი სერიოზული პრობლემაა როგორც საცობების, ისე პარკირების თუ გარემოს დაბინძურების მხრივ, მაგრამ ეს „გამოსავალი“ არის იდიოტობა...

**ვარიანტში მაინც ფარული თვალთვალი გამოდის. დააყენეთ ქუჩებში დამატებითი სათვალთვალო კამერები და უთვალთვალეთ, რამდენიც გინდათ. რა გარანტია გვაქვს, რომ ერთ დღესაც, „ალიას“ რომელიმე ჟურნალისტი შსს-ზე რამე კრიტიკულს დაწერს და ამ მანქანებს „კუდზე“ არ დაასვამთ? ვიღაცა იტყვის, არც ეხლა გაჭირდებათო. მართალიც იქნება, მაგრამ თუ „გაუსკდათ“, მაგრა გაიჭედებიან, იმიტომ, რომ შსს-ს ოფიციალური თვალთვალის უფლება ჩამოერთვა. ამიტომ ჩნდება ეს ეჭვი. და კიდევ, თუ სწორად გვახსოვს, ფარული თვალთვალი, თქვენ რომ „პატრულირებას“ ეძახით, კანონით აკრძალულია, თუკი კონკრეტული პიროვნების მიმართ მამხილებელი მტკიცებულებები, ან საფუძვლიანი ეჭვი არ არსებობს. რა გამოდის, ამ კანონით ვინც საქართველოში მანქანით გადაადგილდება ეჭვმიტანილია?**

წავიწიოთ წინ. 2016 წლის იანვრიდან ყველა კატეგორიის მართვის მოწმობას მიენიჭება 100 ქულა და პატრულის მიერ დაჯარიმების შემთხვევაში გარკვეული რაოდენობა დააკლდება.

**თუ ქულათა რაოდენობა ნულამდე ჩამოვა, მძღოლს მართვის მოწმობა გაუუქმდება და მოუწევს გამოცდის ხელახლა**

**გაზის და დენის გარეშეც უნდა დარჩეს, იმიტომ, რომ შემოსავლის წყაროს უკეტავ.**

**ვიდეოჯარიმები ქულების შემცირებაზე არ იმოქმედებსო, ვიდეოკამერებით ხდება მანქანის იდენტიფიცირება და არა მძღოლის. დავუშვათ, მანქანა გაიტაცეს, ან ვიღაც სხვას გადავეცით მართვის უფლება და მოძრაობის წესები დაარღვია, ამ შემთხვევაში მხოლოდ დარღვევა ფიქსირდება და თანხაც აღინიშნებაო.**

**დაახლოებით რამდენ ჯარიმაზეა გათვლილი, რომ მძღოლს მართვის მოწმობა გაუუქმდეს?**

შალვა ხუციშვილი: „მაგალითად, თუ სასწრაფოს გზას არ დაუთმობ და დაეჯახები ისე, რომ მისი დანაშაული არ იქნება, შეიძლება ამან 70 ქულა დაგაკარგვინოს. აქ არ ვგულისხმობ საცობებს და იმ შემთხვევებს, როცა შენი ბრალი არ არის“.

მალე მართვის მოწმობის აღებისთვის საჭირო გამოცდის გავლა მოქალაქეებს ქალაქში, ავტომანქანების რეალურ მოძრაობაში მოუწევთ. ხუციშვილის განმარტებით, ეს არის საქართველოს ვალდებულება ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებიდან გამომდინარე და ამას იმიტომ აკეთებენ.

შეიცვლება. შინაგან საქმეთა სამინისტროში ჩათვალეს, რომ მართვის მოწმობის ჩამორთმევა ძალიან მკაცრი ღონისძიება იყო და მოგებაც მცირე. სჯობს, 300 ლარი შევიდეს ბიუჯეტში, ვიდრე ვიღაც „დარტყმული“ მართვის მოწმობის გარეშე დარჩეს და გარკვეული დროის შემდეგ ისევ დაიბრუნოსო.

რა ხდება ძველი ავტომობილების განბაჟების მხრივ? როგორც პრეზენტაციაზე ითქვა, მიდგომები ამ მხრივაც იცვლება. მაგალითად, ძველი ავტომობილების განბაჟება უფრო მეტად გამკაცრდება. ხუციშვილი ამბობს, რომ ამის გამო მოსახლეობის ნაკლებად შეძლებულ ფენებს არ უნდა გაუძვირდეთ სატრანსპორტო საშუალებებზე ხელმისაწვდომობა და ამიტომ

**მოტოციკლეტებისა და მოპედების განბაჟება მაქსიმალურად იაფი გახდება. ნაცვლად დამატებითი ღირებულების გადასახადისა, განბაჟება მოხდება აქციზის მიხედვით. ეს კი იმას ნიშნავს, მანქანები დაივიწყეთ, მოტოციკლეტებით და მოპედებით იარეთ, საცობებშიც იოლად გაძვრებით-გამოძვრებითო. არა, რა! ხალხის ფულით ფუფუნებაში ცხოვრებამ ასე როგორ დაგაბრმავათ?! ხალხი ვერ დაასაქმეთ და ის ადამიანებიც ფეხებზე გკიდიათ, ვისაც ოჯახის რჩენა იაფი, თუნდაც ძველი მანქანის ყიდ-**

**ჰკითხო, მისაბაძი ქვეყანაა თუ არა ჩვენთვის ნიდერლანდებიო, არც დაფიქრდება, ისე გეტყვის — კიო. ჰო და, როგორც ნიდერლანდების პრემიერ-მინისტრი, მარკ რუტე დადის სამსახურში ველოსიპედით, თქვენც ისე იარეთ და დანარჩენზე მერე ვილაპარაკოთ.**

„ქრონიკას“ „ტრანსპორტისა და გზების ასოციაციის“ თავმჯდომარე, დათო მესხიშვილი ამ თემაზე უფრო კონკრეტულ ინფორმაციას აწვდის: „ავტომობილების განბაჟებაზე წლების მიხედვით დაწესდება გრადაცია.

**9 წლისა და მის ზემოთ გამოშვებული ავტომობილების განბაჟება გაძვირდება. ძრავის 1 კუბატურაზე დაწესდება 2 ლარი გადასახადი. ეს იმას ნიშნავს, რომ, თუ თქვენ, დავუშვათ, 12 წლის ნახმარ, ქარხნიდან 12 წლის წინათ გამოშვებულ ავტომობილს შემოიყვანთ უცხოეთიდან, რომლის ძრავის მოცულობა 2.0 იქნება, 4000 ლარი დაგიჯდებათ მისი განბაჟება.**

ცხადია, ახალი ავტომობილების განბაჟება არ გაძვირდება და ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ გარკვეული კატეგორიების ძველი და ახალი ავ-

ზოლში მოძრაობის დროსაც.

შალვა ხუციშვილი: „ალბათ, ბევრი შენიშნავდით, როდესაც თქვენ თქვენს ზოლში მოძრაობთ და ხედავთ, შუქნიშანზე გაჩერებულ ან საცობის შემთხვევაში, როგორ გადაკვეთს რომელიმე თავხედი მძღოლი და მოძრაობს პარალელურად საპირისპირო ზოლში იმისთვის, რომ გაასწროს ამ რიგს. ეს საკმაოდ დიდი პრობლემაა და ჩვენი ინფორმაციით, საცობების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამომწვევია. ამიტომ ამის მიმართაც გამკაცრდება და დამრღვევი 300-ლარიანი ჯარიმით დაისჯება“.

პატივცემულო შსს-ს მესვეურნო, საცობების დროს, „კაკ მინიმუმ“, ყველა გზაჯვარედინზე მოგიწევთ პატრულის დაყენება, რომ მოძრაობა მოაწერიგოს და თუ რომელიღაც თავხედ საპირისპირო ზოლზე მაინც გადმოვიდა, დააჯარიმოთ კიდეც. ამხელა რესურსი გაქვთ პატრულში?

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილიც და გამოდის ინიციატივით, რომ ჩატარდეს საზოგადოებრივი კვლევა:

„შეიძლება, ერთი ადამიანი გავანაწყენოთ და 20-ის სიცოცხლე ვიხსნათ. ვფიქრობ, ამაზე შეიძლება საზოგადოებრივი აზრის კვლევა ჩავატაროთ. ვკითხოთ მოსახლეობას,

# „ეს რეგულაცია არის საქართველოს მოქალაქეების საკუთრების უფლებისა და არჩევანის თავისუფლების შეზღუდვა! ადამიანს ართმევენ უფლებას, თავად აირჩიოს, მარჯვენასაჭიანი ავტომობილი ჰყავდეს, თუ მარცხენასაჭიანი!“




დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80


**არასამთავრობო ორგანიზაცია „ეკო ტრანსპორტ ცენტრი“ ამბობს, რომ თუ საქართველოს პარლამენტი მხარს დაუჭერს კანონპროექტს, მარჯვენასაჭიანი ავტომობილების რეგისტრაციის აკრძალვასთან დაკავშირებით, ისინი ამ გადაწყვეტილებას საკონსტიტუციო და ევროპის სასამართლოში გაასაჩივრებენ.**

**„კვირის ქრონიკას“ „ეკო ტრანსპორტ ცენტრის“ აღმასრულებელი დირექტორი ვასო ურუშაძე ესაუბრა:**







**„ჩვენ ამ გადაწყვეტილებას საკონსტიტუციო და ევროპის სასამართლოებში გავასაჩივრებთ!“**

**„ხელისუფლებამ უნდა შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობა, უპასუხოს გაზრდილი ავტოპარკის გამოწვევას და განავითაროს საგზაო ინფრასტრუქტურა, შექმნას ახალი ინფრასტრუქტურული პროექტები, გააჯანსაღოს მუნიციპალური ტრანსპორტი, შეიმუშაოს სწორი სატრანსპორტო პოლიტიკა, მოაგვაროს პარკირების პრობლემა, გამართოს როგორც შუქნიშნები, ასევე საგზაო ნიშნები, განავითაროს ქვეითების ინფრასტრუქტურა, გაზარდოს საპატრულო პოლიციის კომპეტენცია!“**

– საქართველოში, სატრანსპორტო სისტემაში არსებული პრობლემები ყველასთვის ცნობილია. განსაკუთრებით მწვავედ დგას პრობლემა საგზაო მოძრაობის მიმართულებით, ეს ეხება საავტომობილო საცობებს, ბოლო წლებში კატასტროფულად გაზრდილ ავტოსაგზაო შემთხვევათა რაოდენობას, მოძრაობის უსაფრთხოებას, ქვეყანაში ეკოლოგიურ მდგომარეობას და სხვ. ჩვენი არასამთავრობო ორგანიზაცია, „ეკო ტრანსპორტ ცენტრი“, რამდენიმე წელია, ამ საკითხზე აქტიურად მუშაობს. არაერთხელ მივმართეთ საქართველოს ხელისუფლებასა თუ ადგილობრივ თვითმმართველობებს კონკრეტული რეკომენდაციებითა და რჩევებით, თუ რა პრევენციული ღონისძიებები უნდა ჩატარებულიყო იმისთვის, რომ საქართველოში სატრანსპორტო სისტემა გაჯანსაღებულიყო. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეიმუშავა მოძრაობის უსაფრთხოების პროგრამა, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია რიგი საკანონმდებლო ცვლილებებისა და ახალი რეგულაციების დაწესება. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ საკანონმდებლო ინიციატივებს შორის არის სატრანსპორტო სისტემის გაჯანსაღებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ნაბიჯები, მათ შორის რამდენიმე ჩვენი რეკომენდაციების შესაბამისი. მაგალითისთვის როგორიცაა, ავტოსაგზაო შემთხვევებისას ტრავმატიზმით განპირობებული დაზიანებებისა და სიკვდილიანობის მონაცემთა წყაროების იდენტიფიცირება და საფუძვლიანი ანალიზი; ახალი სატრანსპორტო საშუალებების შეძენის წახალისება; სატვირთო სატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხოების სტანდარტების ამაღლება; საგზაო ნიშნების შესაბამისობაში მოყვანა სტანდარტებთან; მართვის მოწმობის საგამოცდო სისტემის შეცვლა და სხვა.

**თუმცა, საკანონმდებლო ინიციატივებს შორის არის ისეთი რეგულაციებიც, რომელთაც ჩვენი ორგანიზაცია კატეგორიულად ეწინააღმდეგება. მაგალითად, საქართველოს კანონში საგზაო მოძრაობის შესახებ შედის ცვლილება, რის საფუძველზეც საქართველოში 2016 წლის პირველი მარტიდან მარჯვენასაჭიანი ავტომობილების იმპორტი და რეგისტრაცია აიკრძალება.**

საქართველოს შს სამინისტრო ამ ინიციატივას ქვეყანაში საგზაო მოძრაობის სფეროში არსებული ვითარების გაუმჯობესებისა და სწორად განვითარების მიზნით ხსნის. ასევე, შინაგან საქმეთა სამინისტროში საუბრობენ, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება ქვეყანას დაეხმარება, მომავალში სატრანსპორტო კოლაფსი აიცილოს თავიდან და თბილისი საცობებისგან განტვირთოს, რაც ლოგიკას მოკლებულია.

**— უფრო დეტალურად გვითხარით...**

– აღნიშნულ რეგულაციას ჩვენი არასამთავრობო ორგანიზაცია, „ეკო ტრანსპორტ ცენტრი“, რამდენიმე მიზეზის გამო აპროტესტებს.

**შსს-ს მიერ დასახელებული რეგულაციის მიღების მიზეზები აბსურდულია — მარჯვენასაჭიანი ავტომობილების როლი საცობების წარმოქმნაში ისეთივეა, როგორც მარცხენასაჭიანი ავტომობილის,**

შესაბამისად, აღნიშნული რეგულაციის მიღებით ვერც საცობების პრობლემას აღმოვფხვრით და ვერც მოსალოდნელ სატრანსპორტო კოლაფსს ავირიდებთ თავიდან.

**— აბა, გამოსავალი რა არის?**

– თუ გვსურს თბილისში მოძრაობის განტვირთვა და საცობების პრობლემის მოგვარება, აუცილებელია, ხელისუფლებამ შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობა, უპასუხოს გაზრდილი ავტოპარკის გამოწვევას და განავითაროს საგზაო ინფრასტრუქტურა, შექმნას ახალი ინფრასტრუქტურული პროექტები, გააჯანსაღოს მუნიციპალური ტრანსპორტი, შეიმუშაოს სწორი სატრანსპორტო პოლიტიკა, მოაგვაროს პარკირების პრობლემა, გამართოს როგორც შუქნიშნები, ასევე საგზაო ნიშნები, განავითაროს ქვეითების ინფრასტრუქტურა, გაზარდოს საპატრულო პოლიციის კომპეტენცია, შეიმუშაოს ქალაქის სატრანსპორტო და ურბანული განვითარების სწორი ხედვა და სხვ.

**საქართველოს მთავრობა გარკვეული პერიოდის განმავლობაში აანონსებდა მარჯვენასაჭიან ავტომობილებთან ბრძოლას და ამას დღეს უკვე კანონმდებლობის დონეზე აგრძელებს.**

რეალურად ეს რეგულაცია არის საქართველოს მოქალაქეების საკუთრების უფლებისა და არჩევანის თავისუფლების შეზღუდვა, ადამიანს ართმევენ უფლებას, თავად აირჩიოს, მარჯვენასაჭიანი ავტომობილი ჰყავდეს, თუ მარცხენასაჭიანი. ბოლო წლებში მარჯვენასაჭიანი ავტომობილების იმპორტის გაზრდა საქართველოში გამოწვეულია ავტომობილების დაბალი ღირებულებითა და ხელმისაწვდომობით, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ აღნიშნული ავტომობილების იმპორტიც ძირითადად იაპონიიდან ხორციელდება. თუ შევა

**დარებთ იგივე ღირებულებისა და ასაკის ამერიკიდან ან ევროპიდან ჩამოსულ ავტომობილს, ვნახავთ, რომ იაპონიიდან იმპორტირებული მარჯვენასაჭიან ავტომობილს ბევრად ნაკლები გარბენი აქვს, მეტად აკმაყოფილებენ საერთაშორისო ეკოლოგიურ სტანდარტებს, ბევრად უსაფრთხო და ტექნიკურად გამართულია, ვიდრე ევროპიდან და ამერიკიდან შემოსული ამორტიზებული ავტოსატრანსპორტო საშუალებები.**

შესაბამისად, აღნიშნული რეგულაცია ვერც ავტომობილების რაოდენობის ზრდის ტენდენციას შეაჩერებს ქვეყანაში, მეტიც, ჩვენი გათვლებით,

**მივიღებთ ბევრად მეტად ტექნიკურად გაუმართავი იმპორტირებული ავტომობილების რაოდენობას ქვეყანაში, რომლებიც მოძრაობის უსაფრთხოებისა და ეკოლოგიური თვალსაზრისით მეტ საფრთხეს წარმოადგენენ, ვიდრე მარჯვენასაჭიანი ავტომობილები.**

**აღნიშნული საკანონმდებლო ინიციატივა ეწინააღმდეგება როგორც საქართველოს კონსტიტუციას და ზღუდავს ადამიანის არჩევანის თავისუფლებას და საკუთრების უფლებას, ასევე ეწინააღმდეგება საქართველოსა და ევროკავშირის კანონმდებლობას საგნების თავისუფალი მიმოქცევის შესახებ.**

**— რას აპირებთ?**

– ჩვენ ვაპირებთ, პირველ ეტაპზე საკანონმდებლო ცვლილებას ადვოკატირება გავუწიოთ საპარლამენტო მოსმენებისა და განხილვების დონეზე, მოუწოდოთ საქართველოს პარლამენტის წევრებს, მხარი არ დაუჭირონ აღნიშნულ კანონპროექტს.

**თუ საქართველოს პარლამენტი მხარს დაუჭერს კანონპროექტს, ჩვენ ამას გავასაჩივრებთ საკონსტიტუციო სასამართლოში და საჭიროების შემთხვევაში ევროპის სასამართლოში.**

# „ირაკლი ღარიბაშვილმა 60 500 პედაგოგი მოატყუა!“

## „მასწავლებლების ხელფასები კი არ გაიზარდა, შემცირდა!!!“

დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80

27 ნოემბერს საქართველოს მთავრობის სხდომაზე ირაკლი ღარიბაშვილსა და განათლებისა და მეცნიერების მინისტრ თამარ სანიკიძეს შორის ასეთი დიალოგი გაიმართა:

სანიკიძემ თქვა, რომ 2016 წლის აპრილში მასწავლებლის საშუალო ხელფასი უკვე 600-700 ლარი იქნება. პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა კი დაამატა, რომ ჯანდაცვის შემდეგ ყველაზე დიდი ფინანსური რესურსი მობილიზებული იქნება განათლებაზე.

მისივე თქმით, 2015 წლის 1-ლი აპრილიდან პედაგოგების ხელფასების ზრდის მეორე ეტაპი დაიწყო, გახდა 405 ლარი და ეს გაისადაც გაგრძელდება. განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემ კი აღნიშნა, რომ 2012 წელთან შედარებით 60%-იანი ზრდა არის საბაზო ხელფასის. „მაგრამ არ დაგვავიწყდეს, რომ საბაზო ხელფასის ზრდა უფრო მეტად ზრდის კიდევ საშუალო ხელფასს. მასწავლებლის საშუალო ხელფასი უკვე 2016 წლის აპრილში გვექნება 600-700 ლარი“, — დაამატა მინისტრმა.

პრემიერი დაინტერესდა, რამდენი იყო საშუალო ხელფასი, რაზეც განათლების მინისტრმა, თამარ სანიკიძემ უპასუხა, რომ საშუალო ხელფასი იყო 400-დან 500 ლარამდე. როგორც სანიკიძემ აღნიშნა, 2017 წელს კიდევ არის მასწავლებლის ხელფასის ზრდა დაგეგმილი, რომელიც, საბოლოო ჯამში, საქართველოში არსებულ საშუალო ხელფასს გაუტოლებს მასწავლებლის ხელფასსაცო.

რა მოგვატყუეს პრემიერმა და მინისტრმა და რატომ დუმან პედაგოგები მაშინ, როცა პირველი პირები უსინდისოდ ცრუობენ?!

„კვირის ქრონიკას“ არასამთავრობო ორგანიზაცია „საგანმანათლებლო ალიანსის“ ხელმძღვანელი, **მარიამ რამინაშვილი** ესაუბრა:

– მთავრობის სხდომა, პრემიერსა და განათლების მინისტრს შორის შეხმატკბილებული დიალოგის ფონზე წარიმართა. დღევანდელობას 2012 წელს ადარებდნენ და მეც 2012 წელთან შევადარებ მასწავლებელთა ხელფასის მატების მონაცემებს. დღეს საქართველოს ჰყავს 60 500-მდე პედაგოგი. აქედან – 15 000-მდე უფროსი მასწავლებლის სტატუსით, 151 – წამყვანი მასწავლებლის სტატუსით და 45 400-მდე პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსით. საბაზო ხელფასი არის 355 ლარი; უფროსს მასწავლებელს ემატება 160 ლარი (ხელზე ასღები 128 ლარი); წამყვანი მასწავლებელი – დამატებით 250 ლარი (ხელზე ასღები 200 ლარი). 2012 წელს საქართველოს ჰყავდა 67 152 პედაგოგი. აქედან სერტიფიცირებული – 15 000-მდე. ასევე, მათ შორის, 200-ლარიანი და 1000-ლარიანი მასწავლებელი. ამ დროს საბაზო ხელფასი იყო 305 ლარი. სერტიფიცირებული მასწავლებელი დამატებით იღებდა 75 ლარს (ხელზე ასაღები 60 ლარი).

ხელფასის დაანგარიშების ახალი წესის მიხედვით, პედაგოგებს არ შეუნარჩუნდათ სერტიფიცირების დანამატი, მაშასადამე, 60 ლარს მაშინდელი სერტიფიცირებული და დღევანდელი უფროსი მასწავლებლის სტატუსის მქონე ისედაც იღებდა და დასახელებული 128-ლარიანი მატება კი არ განხორციელდა, არამედ 15000-მდე პედაგოგს მოემატა მხოლოდ 68 ლარი. რაც შეეხება უფრო სოლიდურ მატებას – წამყვან მასწავლებელს, რომელიც საქართველოს მასშტაბით 151-ია, მათაც ჩამოერთვათ აქამდე არსებული 60-ლარიანი სასერტიფიკატო დანამატი, მაშასადამე, რეალურად მოემატა 140 ლარი. ე.ი. პედაგოგების დასახელებული სახელფასო მატება 2012 წელთან მიმართებაში ასე გამოიყურება – 45 400-მდე მასწავლებელს 40 ლარი; 15 000-მდე პედაგოგს – 68 ლარი; 151 პედაგოგს – 140 ლარი.

**ახლა აუცილებელია, რადგან 2012 წელთან მიმართებაში ითვლის მთავრობა, ეს ხელფასები გამოვიანგარიშოთ დოლარის 2012 და 2015 წლის კურსით — ხელფასის მსყიდველუნარიანობის დასადგენად:**

2012 წელს 305 ლარი იყო 183 დოლარი; 2015 წელს 355 ლარი არის 147 დოლარი; — მაშასადამე, საბაზო ხელფასი არათუ გაიზარდა, შემცირდა სერტიფიცირებული მასწავლებლის ხელფასი, დანამატიანად 2012 წელს 385 ლარი იყო 231 დოლარი; უფროსი მასწავლებლის ხელფასი დანამატიანად 515 ლარი არის 214 დოლარი; მაშასადამე, ხელფასი არათუ გაიზარდა, არამედ — შემცირდა. 2012 წელს სერტიფიცირებული დოქტორის ხელფასი დანამატით და დოქტორის ანაზღაურებით იყო 420 ლარი — 251 დოლარი; 2015 წელს წამყვანი მასწავლებლის ხელფასი (დოქტორი/სერტიფიცირებული) 640 ლარი არის 266 დოლარი — ასეთი 151 მასწავლებელია. მაშასადამე, ასე ხმამაღლა გამოცხადებული მასწავლებლის ხელფასის მატება საქართველოს მასშტაბით 151 მასწავლებლისთვის მომატებული 15 დოლარია.

**— უწყება ამბობს, რომ ეს ხუთ წლამდე სტაჟითაა ნაანგარიშები...**

– მონაცემები პირდაპირპროპორციულად იზრდება სტაჟის მიხედვით და განსხვავება იგივე რჩება. სამწუხაროა, რომ მთავრობას არ ბეზრდება მასწავლებლის მოტყუება.

**— ეს ყველაფერი რა მონაცემების მიხედვით იანგარიშეთ?**

– ვიხელმძღვანელე იმ სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, რაც კი გამოქვეყნებულია პედაგოგთა რაოდენობასთან დაკავშირებით. ეს არის აღებული სტატისტიკის ოფიციალური ვებგვერდიდან და თავად განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვებგვერდიდან მიღებული ინფორმაციაა და აგრეთვე, მინისტრებისა და მათი მოადგილეების მიერ ინტერვიუებში დასახელებული ოფიციალური ინფორმაციები. რაც შეეხება თანხებს, ეს არის შესაბამის წლებში, 2012-2015 წლებში მოქმედი მინისტრების ბრძანებები, საბაზო ხელფასის ოდენობის განსაზღვრისა და მასწავლებელთა ხელფასის წესის გამოთვლის შესახებ. რაც შეეხება დოლარის კურსთან მიმართებას, ესეც ოფიციალურად, საქართველოს ეროვნული ბანკის 2012-2015 წლის მონაცემებითაა ნაანგარიშები.

**კიდევ ერთი — იმ სხდომაზე და სხდომის მერეც, არავინ არ გაამახვილა ყურადღება იმაზე, რომ პრემიერმა თქვა, — მასწავლებლებს უკვე აქვთ 405 ლარი საბაზო ხელფასიო, რაც არ შეესაბამება სიმართლეს, იმიტომ, რომ დღეს საბაზისო ხელფასი არის 355 ლარი, იმ 50-ლარიანი მატების შემდეგ.**

**— რატომ არ ამოიღო ხმა ამ ყველაფერზე რომელიმე პედაგოგმა?**

— ისინი შეგუებული არიან იმას, რომ უნდა დაეთანხმონ ყველაფერში, რასაც მთავრობა იტყვის. მათ აქვთ შიში, რომ ხმას თუ ამოიღებენ, ისინი დაკარგავენ იმ ელემენტარულსაც, რაც გააჩნიათ.

**— და პრემიერ-მინისტრი რის მიხედვით საუბრობს ამ არასწორი რიცხვებით, ვინმე ატყუებს მას და არასწორ მონაცემებს აწვდის?**

– არ ვიცი, ვინ ვის ატყუებს, მაგრამ ფაქტია, რომ პრემიერი არასწორ ინფორმაციას აჟღერებს. ჩვენ ხომ გვაქვს ანალიზის უნარი, ვხვდებით ამას. არ ვიცი, რა ხდება, ან მას არასწორ ინფორმაციას აწვდიან, ან კიდევ მას სურს ასე გააჟღეროს ეს საკითხი. ისიც არაა გამორიცხული, ანალიზის უნარის პრობლემა გვქონდეს, როგორც ერთ, ასევე მერე მხარეს.

**მარიამ რამინაშვილთან საუბრის შემდეგ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პრესსამსახურს დავუკავშირდით. უწყება რამინაშვილის მიერ მოცემული განმარტების საქმის კურსში ჩავაყენეთ:**

„ამოქმედდა მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა. 2013 წელს მასწავლებლის საბაზო ხელფასმა 70 ლარით მოიმატა, მომდევნო ზრდა განხორციელდა პროფესიული განვითარების სქემის ფარგლებში. 2015-2016 წლებში საბაზო ხელფასი კიდევ ორ ეტაპად იზრდება (სექტემბერში უკვე გაიზარდა და მომდევნო ზრდა აპრილში იქნება). მზარდი იქნება მასწავლებლების ანაზღაურება სხვადასხვა კარიერულ საფეხურზე. შესაბამისად, მასწავლებლის საბაზო ხელფასი, დანამატების გარეშე, 2016 წლისთვის, ჯამში, 70%-ით გაიზრდება. საბაზო ხელფასისა და დანამატების ზრდის შესაბამისად, 2016-2017 აკადემიური წლისთვის მასწავლებლის საშუალო ხელფასი საქართველოში არსებულ საშუალო ხელფასზე მაღალი იქნება“. — გვითხრეს სამინისტროში.



**რა მოგვატყუეს პრემიერმა და მინისტრმა და რატომ დუმან პედაგოგები მაშინ, როცა პირველი პირები უსინდისოდ ცრუობენ?**

# როგორ ხდებიან საქართველოს მოქალაქეები „ისლამური სახელმწიფოს“ წევრები, როგორ დებენ ფიცს და როგორ ვრცელდება ეს იდეოლოგია ჩვენთან?

ქეთევან ჩემია
599 57 12 90

**რამდენიმე დღის წინ კონტრტერორისტულმა სამსახურმა „ისლამურ სახელმწიფოსთან“ შესაძლო კავშირის ბრალდებით 11 სახლში ჩხრეკა ჩაატარა და რამდენიმე პირი დააკავა კიდეც. ითქვა, რომ ისინი ემხრობიან ტერორისტულ ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფოს“ იდეოლოგიას. რამდენად რეალურია ეს ინფორმაცია და შესაძლებელია თუ არა ასე შორიდან ამ ორგანიზაციაში გაწევრიანება?**

**„ქრონიკის“ შეკითხვებს პასუხობს სტანისლავ ქაქუჩაია — უშიშროების გენერალი თადარიგში, დამნაშავეთა ფსიქოლოგიის ცნობილი მკვლევარი.**

**— როგორ ხდება ამ ორგანიზაციაში გაწევრიანება მათთან პირადი კონტაქტის გარეშე?**

– იმისთვის, რომ „ისლამური სახელმწიფოს“ წევრი – მოჯაჰედი ან სირიაში შაჰიდი გახდნენ, სულაც არ არის საჭირო სადმე წასვლა, საკმარისია აღიარონ მათი „წესდება“, რომელსაც „ფიცს“ უწოდებენ და ჩამოყალიბებულია აუცილებლად შესასრულებელი ვალდებულებები, რომლის გაზიარება, ანუ, როგორც თქვენ ამბობთ, „პირადი კონტაქტი“ ონლაინ სრულიად შესაძლებელია. აღიარებენ და დადებენ თუ არა ფიცს, იმ წუთიდან „წევრი“ ხდებიან.

**— და ეს ასე იოლია?**

– ძალიან. მაგრამ ფიცის „მიღებამდე“ საკმაოდ დიდი გზაა გასავლელი.

**— ფიცში რა იგულისხმება და რა „გზაზეა“ ლაპარაკი?**

– „ფიცი“ პრაქტიკულად არის „მოწმობა“, რომელიც წევრობას ადასტურებს.

**— ზეპირი „მოწმობა“?**

– დიახ, რომელსაც დაწერილზე მეტი ძალა აქვს.

**— ეს როგორ?**

– „ფიცი“ უბრალოდ სიტყვები არ არის. „გადაბირებული“, თუ მისი წარმოთქმის „ღირსი“ გახდა, წარმოთქმისთანავე წევრი – შაჰიდი ხდება და მოვალეა, შეასრულოს ნებისმიერი დავალება.

**— „თვითმკვლელ“ ტერორისტად გახდომის ჩათვლით?**

– დიახ. მაგრამ ამ „პროფესიას“ საგანგებოდ ასწავლიან. ამიტომ პირდაპირ „თვითმკვლელი ტერორისტი“ არ ხდებიან. მანამდე რამდენიმე ე.წ. „ნაბიჯი“ არსებობს და მხოლოდ შემდეგ ხდება მათი „გადამზადება“.

**— და აქვე ხდებიან ასეთი „გაბედულები“ თუ გაწევრიანებამდე უკვე არიან?**

– ეს მხოლოდ მათ იციან, ვინც ეს ფიცი დადო და მზად არის მისი პირობების შესასრულებლად, რაზეც მათი შემდგომი ქმედებები მიუთითებს. ხოლო „ფიცი“, როგორც სიტყვათა კრებული კი არა, მთავარი რიტუალია, რომლითაც ამ ფიცის მიღება ხდება. ვინც მას გაიმეორებს, „განაჩენი გამოტანილი აქვს“.

**— და მაინც მიდიან ამაზე?**

– ეს უკვე ფსიქოლოგიური და ჰიპნოზური სრული დატვირთვის ზეგავლენაა, საცდურია ახალგაზრდისთვის, რადგან ნაჩვენებია მეომრების ცხოვრების ამსახველი ისეთი კადრები, რომელიც სამოთხეში ცხოვრების ასოციაციას ქმნის: საცხოვრებლად მაღალვარსკვლავიანი სასტუმროები, ასევე, მაღალი ხარისხის მომსახურებითა და ძვირფასი ტრანსპორტით და რაც მთავარია, მათი ნაცნობი ასევე ახალგაზრდების მეთაურობით, რომლებსაც იქ წამყვანი პოზიციები უჭირავთ. სხვა რა უნდა ახალგაზრდას, რომელსაც მოჭარბებული ენერგია აქვს, ძალ-ღონე ერჩის და ზუსტად იცის, რომ ფიზიკურად შეძლებს ყველაფერს, რაც მეომარს მოეთხოვება. სულიერი მამებისგან ეს საქციელი მხარდაჭერილია, ხოლო გონებრივ განვითარებაზე არც თავად ფიქრობს და არც ვინმე სხვა, ამიტომაც იქ მისვლამდე „ფიცს“ დებენ, ხოლო ჩასულები პრაქტიკულად „თვითმკვლელები“ არიან შაჰიდის ქამრის გარეშე და ნებისმიერ დავალებას შეასრულებენ „ალაჰის სახელით“, რაც უმეტესწილად სხვის მოკვდინებასთან ერთად მათ სიკვდილსაც უდრის. თუმცა ეს უკვე „წმინდა“ სიკვდილია, რომელსაც „იმქვეყნად“ კიდევ უფრო დიდ „სამოთხეში“ ცხოვრება მოსდევს.

**— ეს რწმენა თავისთავად უჩნდებათ?**

– არა, ამაზე საგანგებოდ „ზრუნავენ“ და „გამოჰყავთ“ „თვითმკვლელები“.

**— მაგრამ ინფორმაცია თვითმკვლელი კამიკაძეების შესახებ ჯერ კიდევ მე-13 საუკუნიდან არსებობს.**

**— „კამიკაძე“ თვითმკვლელ ისლამისტებთან მხოლოდ ასოცირდება, მაგრამ მხოლოდ სიტყვის გარდასულ მნიშვნელობასთან კავშირის გამო. სინამდვილეში თვითმკვლელ ისლამისტებს შაჰიდები ეწოდებათ, მაგრამ ხანდახან „კამიკაძეებად“ მოიხსენიებიან. რაც არ არის სწორი.**





**„აქაც „ყურანით“ ისარგებლეს, რომლის 24-ე სურის თანახმად, მისაღებია „მუტა“ — დროებითი ქორწინება რამდენიმე საათიდან 99 წლამდე“**



**„ტუნისელი ქალების გამგზავრება სირიაში სრულად იყო მხარდაჭერილი და საზღვრის გადალახვა არ გასჭირვებიათ. მაგრამ ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ზოგიერთი ადგილობრივი „პატრიოტი“ მამაკაცი განქორწინდა, რათა ცოლი მოჯაჰედებისთვის „მხარდასაჭერად“ გაეშვა! მათი უმეტესობა უკვე დაორსულებული დაბრუნდა უკან“**

**— მიზანი?**

– ერთიანი მუსლიმანური სამყაროს შექმნა.

**— და ეს მიღწევადია?**

– დამოკიდებულია იმაზე, რა ზომებს მიმართავს დანარჩენი სამყარო, ძალას დაუპირისპირებს თუ გონებას...

**— რატომ?**

– იმიტომ, რომ მეცამეტე საუკუნეში, როცა იაპონიას ჩინგიზ ხანის შვილიშვილი ყუბილაი ხანი დაპყრობით დაემუქრა, იაპონიის მისასვლელთან მისი ჯარისკაცებიანი ასობით გემი ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე მოულოდნელად ამოვარდნილმა ტაიფუნმა სრულიად გაანადგურა.

**ტაიფუნი „კამიკაძედ“ მოინათლა, რაც ქართულად „ღვთაებრივ ქარს“ ნიშნავს და სწორედ მისი სახელი — „კამიკაძე“ დაემატა იაპონურ სიტყვა „ტიკოტაის“, რაც „მოხალისე თვითმკვლელს“ ნიშნავს და „კამიკაძეტიკოტაი“ მეორე მსოფლიო ომში გამოჩნდა. მათი უმეტესობა ჰუმანიტარული საგნების მეცნიერები იყვნენ, რომლებმაც საგანგებოდ ისწავლეს ფრენა, რაც დიდ სირთულეს არ წარმოადგენდა, რადგან თვითმფრინავი მცირე რეაქტიულძრავიანი და ფრენის მოკლე არეალიანი იყო, რომლითაც „თვითმკვლელი“ პილოტი, მიზანთან შეჭრილი, მასთან ერთად ფეთქდებოდა. 1945 წელს იაპონიას უკვე 5 ათასამდე ასეთი თვითმფრინავი ჰყავდა. საბოლოო ჯამში, იმ დროს 2 500-ზე მეტი კამიკაძე დაიხოცა. ძირითადად პირველადი განათლებით ფილოლოგები იყვნენ. ინტელექტუალები და პატრიოტები, ქვეყნის კეთილდღეობისთვის თავგანწირულები.**

ხშირად მამა-შვილი მიდიოდნენ და მებრძოლებად ეწერებოდნენ. მათი ზოგიერთი მწვრთნელი დღესაც ცოცხალია და ყვებიან, როგორ ასწავლიდნენ, დაეძლიათ საკუთარ თავში შიში. საბოლოო ჯამში, გაწვრთნილები ცოტას ლაპარაკობდნენ. გმირული სულით შემკულები სიცოცხლეშივე იცვლიდნენ სახელს და არეალიდან ქრებოდნენ, როგორც მოქალაქეები, და ასე უსახელოდ წირავდნენ თავს სამშობლოსთვის. სრულიად შეგნებულად მიდიოდნენ დავალების შესასრულებლად, ჯანმრთელი, საღი აზროვნებით და არა ფანატიზმით შეპყრობილები. გაცნობიერებული ჰქონდათ, რას აკეთებდნენ სამშობლოს დასაცავად. მათ არაფრით ხიბლავდნენ, არც ამქვეყნიურ და არც იმქვეყნიურ სიკეთეებს, სამოთხის სახით, „ქრთამად“ არ სთავაზობდნენ და არც არაფერს ჰპირდებოდნენ... იაპონელებმა მაშინაც იცოდნენ მათი ფასი და დღესაც იციან და მათი სახელის უკვდავსაყოფად უზარმაზარი მუზეუმი აქვთ ტოკიოს ცენტრში. სადაც ყოველი იაპონელი თავს მოვალედ თვლის წელიწადში ერთხელ მაინც მივიდეს, მიიყვანოს საკუთარი შთამომავლობა და აჩვენოს ეს გმირები.

სიტყვა შაჰიდი კი არაბულია და სიტყვასიტყვით „დადასტურებას“ ნიშნავს, მაგრამ „სასამართლოს მოწმის“ ან ძირითადად იმ პირების აღმნიშვნელად გამოიყენება, ვინც რელიგიისთვის, სარწმუნოებისთვის მოწამეობრივად აღესრულნენ. ისლამისტური ტერორიზმი აზანზარებს და შიშის ზარს სცემს სამყაროს, მისი დამკვეთები და შემსრულებლები — ტერორისტები საკუთარი სამშობლოს, ან რაიმე სიწმინდის რეალურ მტერს კი არ ებრძვიან, არამედ ძალადობრივი გზით ანგარიშსწორების აბსტრაქტული ტაქტიკა აქვთ შემუშავებული „წარმოსახული“ არაარსებულის



ლამური სახელმწიფოც“ და „საამიროც“ ტერორისტული ორგანიზაციაა და მხოლოდ სახელწოდებით განსხვავდება ერთმანეთისგან. ამასთანავე, ცნობილია „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლთა რაოდენობა, „საამიროსი“ – არა.

**— პანკისში და საერთოდ საქართველოში ახლად შექმნილი „ისლამური სახელმწიფოს“ იდეოლოგია როგორ ვრცელდება?**

– გროზნოს „ქისტური სათვისტომოდან“, რომელიც კარგად დაფინანსებულია.

**— რას ითვალისწინებს „ჯიჰადი“?**

— ჯიჰადი მუსლიმანის რელიგიური ის მოვალეობაა, რომელიც ისლამის სახელით ურწმუნოთა წინააღმდეგ ბრძოლას გულისხმობდა. ყურანში არის მითითებები: არ ეომონ სხვა რელიგიების წარმომადგენლებს, „გადაიბირონ“, ანუ ბრძნული, კეთილი დარიგებებით გადაიყვანონ „ჭეშმარიტ რელიგიაზე“. ომით დაიცვან თავი ისლამის მტრებისგან. თავს დაესხან და დახოცონ ურწმუნოები წელიწადის ნებისმიერ დროს და ადგილას, წმინდა თვეების, რამადანის — მარხვის დღეების გარდა. ჯიჰადი ალაჰის რწმენის გამავრცელებლის ძალისხმევაა ალაჰის რწმენის გასავრცელებლად და მთელ სამყაროზე მისი სიტყვის „ჭეშმარიტ სიტყვად“ გადაქცევის მიღწევა, როგორც მშვიდობიანი, ასევე ძალის გამოყენებით. საქმე ისაა, რომ ისლამური სამართალი არ უშვებს ომს მუსლიმანთა შორის, მაგრამ უშვებს ერთიანი მუსლიმანური სახელმწიფოს — „ISIS“-ის სახით, რომელიც ახალი შექმნილია, მანამდე მას სხვა სახელი ჰქონდა, როცა სხვათა მიერ იყო მართული.

**— მიზანი?**

– ერთიანი მუსლიმანური სამყაროს შექმნა.

**— და ეს მიღწევადია?**

– დამოკიდებულია იმაზე, რა ზომებს მიმართავს დანარჩენი სამყარო, ძალას დაუპირისპირებს თუ გონებას...

**წინააღმდეგ, ვისაც „ოპონენტად“ მოიხსენიებენ და მას ხედავენ არა ერთსა და ორ პირში, არამედ ადამიანთა ჯგუფებში და ერთბაშად ებრძვიან, უმოწყალოდ ხოცავენ სრულიად უდანაშაულოებს და რაც მეტს, მით უფრო „კარგი“ და ეს საქციელი მუსლიმანური სარწმუნოების „სახელმძღვანელო“ ყურანით არის ნასაზრდოები და იდეოლოგიით მომზადებული ფსიქოლოგიის ზემოქმედება არის ისლამისტური ტერორიზმის ერთ-ერთი მიმართულება.**

თვითმკვლელი ტერორისტების მომზადებით, პრაქტიკულად, მზადდება უსაშინლესი იარაღი, უფრო სწორად მკვლელი, რომელიც არის „ტყვია“ მკვლელის ხელში. ვინ არის მკვლელი, დღემდე უცნობია, რადგან ხან ვისი სახელით ინიღბება და ხან – ვისი. ხან ერთი ისლამური მოძრობაა, ხან – მეორე და სინამდვილეში ამ „შეიარაღების“ მფლობელის ვინაობა საიდუმლოებით არის მოცული. სამაგიეროდ ნათელია, რომ თვითმკვლელი ტერორისტების კანდიდატების გადაბირება მთელი მსოფლიოს მასშტაბით წარმატებით გრძელდება.

**— თავგანწირვის სანაცვლოდ „ქრთამი“ ახსენეთ...**

– დიახ, სოციალური ქსელებით ხშირად ვრცელდება დაპირებების შემცველი მაღალხარისხიანი ვიდეორგოლები, რომელიც დიდ ზეგავლენას ახდენს მაყურებელზე. მაგალითად,

**ამ ბოლო დროს გავრცელებულ სარეკლამო რგოლებს შორის გამოჩნდა ვიდეორგოლი, რომელშიც გავლენიანმა მუსლიმანმა სულიერმა ლიდერებმა „ალაჰის სახელით“ მუსლიმან ტუნისელ გოგონებს სირიაში აჯანყებული მეომრების სირთულეების შესამსუბუქებლად და მხარდასაჭერად მოუწოდეს არა საომრად, არამედ „ქალის სითბოს“ მონატრებულ მეომრებთან სქესობრივი ურთიერთობისთვის და ამისთვის იმქვეყნად „სამუდამო სამოთხეს“ დაჰპირდნენ, ცხადია, ამქვეყნად ფულად ანაზღაურებასთან ერთად. აქაც „ყურანით“ ისარგებლეს, რომლის 24-ე სურის თანახმად, მისაღებია „მუტა“ — დროებითი ქორწინება რამდენიმე საათიდან 99 წლამდე, რაც ბუნებრივია, „კორექტირების“ ნაყოფია და ამ კონკრეტული შემთხვევისთვის არის გათვლილი, მით უმეტეს, მამაკაცი ვალდებულია, ამ „ქორწინებისთვის“ ქალი დააჯილდოოს.**

**მეომრებს კი, სანამ ცოცხლები არიან, ფული ბლომად აქვთ.**

ცნობილია, რომ ტუნისელი ქალების გამგზავრება სირიაში სრულად იყო მხარდაჭერილი და საზღვრის გადალახვა არ გასჭირვებიათ. მაგრამ ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ზოგიერთი ადგილობრივი „პატრიოტი“ მამაკაცი განქორწინდა, რათა ცოლი მოჯაჰედებისთვის „მხარდასაჭერად“ გაეშვა! მათი უმეტესობა უკვე დაორსულებული დაბრუნდა უკან.

**არავინ იცის, რამდენი იყო წასული, მაგრამ ცნობილია, რომ თითო ქალს, სულ ცოტა, 30 კაცთან მაინც ჰქონდა ერთდროულად სქესობრივი კავშირი.**

საინტერესო ის არის, რომ „საღვთო ომში“ მონაწილეობის მიღების მიზნით საქართველოში პირველები პანკისის ხეობის მკვიდრე ქისტები წავიდნენ, შემდეგ აჭარის მუსლიმანი მოსახლეობიდანაც გამოჩნდნენ მოხალისეები და რამდენიმე მათგანი დააკავეს და „ახალგამომცხვარმა მოჯაჰედმა“ ქართველმა მუსლიმანებმა, პანკისიდან წასულებისგან განსხვავებით, ვერ გასცეს პასუხი შეკითხვას, რატომ გახდნენ მოჯაჰედები. პანკისში სირიის „საღვთო ომის“ მხარდაჭერაში ექვმიტანილების სახლების ჩხრეკამ და ომალოში „წითურ გენერლად“ მონათლული ომარ ალ-შიშანის ახალო ნათესავების დაკავებამ ადგილობრივების ალშფოთება გამოიწვია, რადგან „თემის უხუცესებს“ შორის არ არის ერთიანი აზრი, ვისთან ერთად უნდა იყონ და იბრძოლონ პანკისიდან წასულმა მეომრებმა სირიაში, სადაც „ისლამური სახელმწიფოს“ გარდა „კავკასიის საამიროც“ არის, მაგრამ მათი უმეტესობა „ისლამური სახელმწიფოს“ მხარეს ყოფნას ანიჭებს უპირატესობას. შეიძლება იმიტომ, რომ თავის დროზე იქ იყო თარხან ბათირაშვილი, რომელიც ერაყში უნდა იყოს, თუ საერთოდ ცოცხალია. ხოლო „კავკასიის საამიროს“ მომხრე პანკისელები, ასევე, მათი თანამემამულე ფეისულა მარგოშვილისთვის მხარდაჭერას მოითხოვნენ, ანუ, ზოგადად, სირიაში წასვლის საწინააღმდეგო არაფერი აქვთ. მაგრამ საინტერესო ის არის, რომ „ის-

ნანა სულავა
599 07-01-89

2 ნოემბერს, ოთხშაბათს, ღუდუშაურის სახელობის ეროვნულ სამედიცინო ცენტრში მძიმე თერაპიის განყოფილების პაციენტი, 34 წლის ახალგაზრდა კაცი, საქართველოს მოქალაქე, ეროვნებით აფხაზი (მისი ვინაობა გასაიდუმლოებულია), მე-4 სართულის ერთ-ერთი პალატის ფანჯიდან გადახტა და ადგილზევე გარდაიცვალა. ამ ინფორმაციის გავრცელების შემდეგ სოციალურ ქსელებში ისიც დაწერეს, რომ მას ფსიქიკური აშლილობა ჰქონდა და შესაბამის დაწესებულებაში დროულად არ გადაიყვანესო...

# ვინ იყო 34 წლის პაციენტი, რომელიც „ღუდუშაურის“ მე-4 სართულიდან გადმოხტა?



**„პაციენტმა გაარღვია არეალი, გადავიდა ჩვეულებრივ პალატაში და მე-5 სართულიდან გადახტა. ასეთი პაციენტი ბევრი გვყოლია, მაგრამ მსგავსი შემთხვევა არ მომხდარა... გიმეორებთ, წამებში მოხდა ეს ყველაფერი“**

ავადმყოფის მიერ ასეთი გადაწყვეტილების მიღებაში ვის მიუძღვის ბრალი და რამ განაპირობა მისი სუიციდამდე მიყვანა, გამოძიების მიერ მოკვლეული ფაქტების მიხედვით გაირკვევა, თუმცა არის ერთი კითხვა, რომელიც ნებისმიერ ადამიანს დაებადება... დღისით, მზისით, პაციენტმა როგორ შეძლო თავისი განზრახვის სისრულეში მოყვანა, როდესაც ინტენსიურ განყოფილებაში მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ იყო, სადაც, სხვა თუ არაფერი, ფანჯრებზე გისოსებია და 24-საათიანი მონიტორინგი მიმდინარეობს... ასევე, დაცვის პოსტია. სამწუხაროდ, ამ ხელისუფლების უნიათობით, ქვეყანაში ისეთი მძიმე სოციალური და ეკონომიკური ყოფაა ძალიან ბევრი ადამიანია უკიდურესად სასოწარკვეთილ მდგომარეობაში და ამიტომ ხშირია შემთხვევები, გამოუვალი მდგომარეობის გამო ადამიანები უცაბედად ასეთ გადაწყვეტილებამდე რომ მიდიან...

**მოკლედ, ღუდუშაურის კლინიკას მივაშურე და გენერალური დირექტორის მოადგილეს, ქალბატონ მარინა გელანტიას ვესაუბრე:**

– პაციენტი შემოვიდა მძიმე პნევმონიით, მას სუნთქვა უჭირდა. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ სხვა დროს ის ფსიქიკური აშლილობით არ გამოირჩეოდა (ამ დროს, სოციალურ ქსელში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ის ფსიქიკურად იყო აშლილი და შესაბამის კლინიკაში არ იქნა გადაყვანილი. – ნ.ს.) და არც აგრესიულობით. მას სათანადო გამოკვლევები დროულად ჩაუტარდა და მკურნალობის კურსს კლინიკაში გადიოდა. იმ დღეს კი ძალზე აგრესიული იყო როგორც ექიმების, ასევე პაციენტების მიმართაც. წამოვარდა საწოლიდან, ვერ დაიმორჩილეს, რადგან აუწერელი მოქმედებები ჰქონდა, უმალ იქნა გამოძახებული დაცვის სამსახური, მაგრამ პაციენტმა გაარღვია არეალი, გადავიდა ჩვეულებრივ პალატაში და მე-5 სართულიდან გადახტა. ასეთი პაციენტი ბევრი გვყოლია, მაგრამ მსგავსი შემთხვევა არ მომხდარა. გიმეორებთ, წამებში მოხდა ეს ყველაფერი, ამჟამად ექსპერტიზაზეა მიცვალებული გადაყვანილი.

**— თქვენი კლინიკა კერძოა და იქნებ გარდაცვლილს ფინანსური პრობლემები ჰქონდა?**

– ის საყოველთაო დაფინანსებით სარგებლობდა, ამ მხრივ, მას პრობლემები არ ჰქონია...

**— იქნებ მისი ვინაობა მითხრათ?**

– ვერ გეტყვით, კანონი უფლებას არ მაძლევს, მისი ვინაობა გაგიმხილოთ...

**— სარწმუნო წყაროზე დაყრდნობით, ჩემმა ინფორმატორმა მითხრა, პაციენტი პატიმარია, რომელიც საიდუმლოდ იყო თქვენს კლინიკაში შემოყვანილი... ამიტომ, არავინ იცის. თქვენს კლინიკაში ჩემი ბევრი ახლობელი მუშაობს, გარდაცვლილის შესახებ მის განყოფილებაში მყოფმა პაციენტებმაც კი არაფერი იციან, მისი სახელიც კი... პაციენტის ისტორია თქვენთან ალბათ, გახსნილია. იქნებ, მის ახლობლებთან დაკავშირებაში დამეხმაროთ, რას ფიქრობენ მომხდართან დაკავშირებით? მკითხველს აინტერესებს გარდაცვლილის ისტორია, მით უმეტეს, აფხაზური წარმოშობისაა...**

– დამიკავშირდით და შევეცდები დაგეხმაროთ...

**მის გულწრფელობაში ეჭვი შემეპარა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ მაინც დავუკავშირდი... ექიმმა მარინა გელანტიამ მითხრა, რომ გარდაცვლილის ოჯახის წევრების საკონტაქტო ტელეფონი ვერ დაადგინა...**

**სარწმუნო წყაროსგან ისიც გავიგე, რომ ღუდუშაურის კლინიკაში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ აფხაზური წარმოშობის პაციენტებს, ერთი სიტყვით, თავს ევლებიანო... ამ შემთხვევაში როგორ დაუსხლტათ ხელიდან პაციენტი, რომ მე-4 სართულიდან გადახტომა მოახერხა? ისიც დავაზუსტე, რომ მისთვის მკურნალობის პერიოდში პატრონს არც ერთხელ არ მოუკითხავს...**

# გუგული მაღრაძის კიდევ ერთი დარიგება 20-ლარიანი დიასახლისებისთვის!

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61



*„ქრონიკის“ წინა ნომერში გამოვაქვეყნეთ საპარლამენტო უმრავლესობის წევრის, გუგული მაღრაძის ინტერვიუ, სადაც საუბარი იყო სიგარეტის გაძვირებაზე. ქალბატონმა გუგულიმ თავისებურად ახსნა: ვინაიდან პაპიროსი მავნებელია და ადამიანს კლავს, უნდა გაძვირდეს, რათა მწეველებმა თავი დაანებოთო. თავისი პოზიცია როგორ დაასაბუთა, ეს სხვა საკითხია, ამაზე აღარ შევჩერდები, საზოგადოების უკმაყოფილება გამოიწვია მეორე თემამ, რომელიც თბილისის საკრებულოს წევრის, რიმა ბერაძის განცხადებას უკავშირდებოდა. შეგახსენებთ, ქალბატონმა რიმამ თქვა, სოციალურად დაუცველთათვის დედაქალაქის მერიას თანხები აქვს გამოყოფილი, 1 სულზე დღეში 1 ლარი და 18 თეთრი იხარჯება, რაც სრულიად საკმარისია, ყოველ შემთხვევაში, ტენდერში გამარჯვებულ კომპანიასთან შეკითხვები არ გვაქვსო. ვინაიდან 1 ლარი და 18 თეთრი სასაცილო თანხაა, საზოგადოებაში ამას მოჰყვა მძაფრი რეაქცია და ბუნებრივია, ქალბატონ გუგულის ამის შესახებაც ვკითხე. ის ბერაძის განცხადებას არ დაეთანხმა და ასეთი პასუხი მივიღე:*

*„თუ დიეტაზე იქნები და მარტო 10-თეთრიან სალათის ფოთლებს ჭამ მთელი დღე, მაშინ გეყოფა. თუ კარგი დიასახლისია, გეტყვი, რამდენია საჭირო: ადამიანი გავა, იმ დღეს იყიდის ხორცს, როცა იაფია, იმ ხორცს ორად გაყოფს, სუპს გააკეთებს, მერე კიდევ შეურევს სხვა რაღაცებს, მაგალითად, კარტოფილს. ამისთვის სადღაც 20 ლარია საჭირო და შეიძლება კალორიებიც დაიცვა, სჯობს სტაფილო, კარტოფილი, კომბოსტო და ა.შ. ამას უნდა კარგი, ჭკვიანი დიასახლისი, რომელმაც იცის, როდის გავიდეს ბაზარში. ესაა მთელი ხელოვნება“.*

*არანაკლები გაღიზიანება მოჰყვა ამ განცხადებასაც. სოციალურ ქსელებში დაიწყო ქალბატონ გუგულის ლანძღვა-გინება, რას ჰქვია, კარგმა დიასახლისმა უნდა იცოდეს, როდის წავიდეს ბაზარში, მართალია, შენ 20 ლარზე ახვედი, ბერაძეს არ ეთანხმები, მაგრამ შენც მისნაირი ხარო. როგორც ჩანს, ქალბატონმა გუგულიმ ითმინა, ითმინა და ბოლოს, გაზეთის გამოსვლიდან მესამე დღეს „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე ასეთი რამ დაწერა:*

„ჩემო ძვირფასო და საყვარელო ჟურნალისტებო, რა სამწუხაროა, რომ ყველაფერი, რასაც არაოფიციალურად გეუბნებით, ოფიციალური განცხადების სახით ქვეყნდება მეორე დღეს, ხოლო მნიშვნელოვანი საკითხები, რაზეც ოფიციალური ინტერვიუ მოგეცით, ნაკლებად გაინტერესებთ. დღეში 20 ლარად ნოყიერი სადილის მომზადება ნამდვილად შეიძლება, თუმცა რატომ არის ეს თემა უფრო საინტერესო, ვიდრე სხვა მნიშვნელოვანი საკითხები, რაზეც ოფიციალური ინტერვიუ მოგეცით, აი, ეს არ მესმის! მიუხედავად იმისა, რომ პრიორიტეტები ვერ გაგირჩევიათ, არ იცით, რა ინფორმაცია უფრო საჭირო და მნიშვნელოვანია მკითხველისთვის და სკანდალს ეძებთ ყველგან, არ დაგძრახავთ, გაიხარეთ და დაბეჭდეთ, რაც, თქვენი აზრით, უფრო საინტერესოა. ეს თქვენი სიტყვის თავისუფლებაა“!

როგორც ხედავთ, პარლამენტარმა მაინც პატივი დამდო: პირველი – არ დამასახელა, განცხადება მრავლობით ფორმაში გაავრცელა, ანუ მულო შენ გეუბნებიან, რძალო, შენ გაიგონეო; მეორე – რასაც შინაურულად გეუბნები, მეორე დღეს ოფიციალურად კი აქვეყნებ, მაგრამ არაუშავს, ეგ შენი სიტყვის თავისუფლებაა, მე როგორმე ავიტანო.

**აქ ქალბატონი გუგული მეუბნება, ხელისუფალი ვარ, სიტყვის თავისუფლება მოგიპოვე, მთავარი ესაა, მართალია, პრიორიტეტებს ვერ არჩევ, რაც ოფიციალურად გითხარი, იმას არ აქვეყნებ, მაგრამ ჯანდაბას, იყოს ასეო. მოკლედ, მაყვედრის. რასაკვირველია, მე დავფიქრდი, იქნებ მართლა ვერ ვარჩევ პრიორიტეტებს, იქნებ მართლა მითხრა ქალბატონმა გუგულიმ ისეთი რამ, რაც გამომრჩა და ვერ გამოვაქვეყნე? მე მასთან სულ სამ საკითხზე მქონდა საუბარი — სიგარეტის გაძვირებაზე, „ლართვრამეტიანობასა“ და ინგლისური ენის ცოდნაზე, ანუ მის ცნობილ „თუ, თუ, თუ“-ზე, რომელიც ასერიგად ჩაიხვია ვანო ჯავახიშვილმა. პირველი ორი საკითხი ნამდვილად გავაშუქე, მაგრამ რაკი ინგლისური ენის ცოდნა-არცოდნა ცოტა განყენებული თემა გახლდათ, სამომავლოდ გადავდე. როგორც ჩანს, სამი საკითხიდან ეს იყო ყველაზე აქტუალური და პრიორიტეტული და მე რამსები ამერია.**

გარდა ამისა, როცა „ლართვრამეტზე“ ქალბატონმა გუგულიმ კომენტარი გააკეთა, ცოტა შევამცირე... ბუნებრივია, მისი „ფეისბუკური“ განცხადების გამო მეც გავღიზიანდი, ბოლოს და ბოლოს, მაინც ადამიანი ვარ და ნერვული სისტემაც ხშირად მეშლება. ამიტომ პირდაპირ მივწერე:

„ჩემო ძვირფასო და საყვარელო ქალბატონო გუგული, რაკი „ფეისბუკში“ დაწერეთ, მაშინ მეც ამ ფორმით გიპასუხებთ: ეს მე მსაყვედურობთ, რაც არაოფიციალურად გითხარი, ოფიციალური განცხადების სახით გამოაქვეყნეო. დაგირეკეთ, გკითხეთ სიგარეტის გაძვირებაზე, რა ახსნა-განმარტებაც მივიღე, ის გამოვაქვეყნე. იქვე გკითხეთ რიმა ბერაძის განცხადებაზე, რა პასუხიც მივიღე, ის გამოვაქვეყნე. ორივე საკითხზე მჭირდებოდა თქვენი კომენტარი, არც მე მითქვამს, რომ შინაურულად ვსაუბრობდით, არც თქვენ გითხოვიათ, ეს არაოფიციალურია და არ გამოაქვეყნოო. როცა რამე ისეთს მეუბნებიან, თან მაფრთხილებენ, რომ ეს არის არასაგაზეთოდ ნათქვამი, ანუ ჩვენში დარჩესო და მეც ყოველთვის ვითვალისწინებ. ამ შემთხვევაში ასეთი რამ არ ყოფილა და ბუნებრივია, ვერ ვიმარჩიელებდი. ვაფასებ თქვენს გულახდილობას, პატივს გცემთ, მაგრამ ამის შემდეგ გამაფრთხილეთ ხოლმე, რას ამბობთ ოფიციალურად და რას – არაოფიციალურად. დანარჩენს იხილავთ „კვირის ქრონიკის“ ორშაბათის ნომერში“.

**აი, ახლა კი გთავაზობთ კიდევ ერთ პრიორიტეტს, რაზეც ძვირფასმა პარლამენტარმა ჩემთან საუბარში განაცხადა. თუმცა დასაწყისში იმ „პრიორიტეტს“ გავიმეორებ, რომელიც ცოტაოდენ შევამცირე, ანუ დიალოგი იწყება „ლართვრამეტიანის“ მომენტიდან:**

**— ქალბატონო გუგული, რას იტყვით რიმა ბერაძის გარშემო ატეხილ სკანდალზე, როგორ ფიქრობთ, 1 ლარი და 18 თეთრი ადამიანის გამოსაკვებად საკმარისია?**

– კაი ახლა... შიმშილისგან შეიძლება არ მოკვდე, პური და კარტოფილი ჭამო, მაგრამ გამოსაკვებად, ნორმალური კვებისთვის ცხადია, 1 ლარი და 18 თეთრი არ არის საკმარისი. თუ დიეტაზე იჯდები და მარტო 10-თეთრიან სალათის ფოთლებს ჭამ მთელი დღე, მაშინ შეიძლება, რომ იყიდო 50 თეთრის სალათა და ჭამო, მაგრამ ეს არ არის კვება.

**— ბერაძე ამბობს, ეს თანხა სოციალურად დაუცველზეა გამოყოფილიო, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს, სოციალურად დაუცველი უფრო ნაკლებს ჭამს?**

– არა, აქ სხვა რაღაცაშია საქმე... კაი დიასახლისი თუ არი, რომელიც გავა, იმ დღეს რომ იყიდის ხორცს, როცა იაფია, იმ ხორცს ორად გაყოფს, სუპს გააკეთებს, მერე რაღაცას კიდე შეურევს, კარტოფილს, რაღაცას ამოავლებს... აესეთ კარგ დიასახლისს 20 ლარში შეუძლია, რაღაცნაირად გამოკვებილი ჰყავდეს ოჯახი და სხვათა შორის, კალორიებიც დაიცვას. ყოველთვის, რაც გემრიელია და ძვირი ღირს, ის არ არის ხოლმე კარგი, ჯობია სტაფილო, კარტოფილი, კომბოსტო, ეგეთი რამეები ჭამო, იაფიანი თევზი ჭამო, ვიდრე წახვიდე და შებოლილი ჭამო. შებოლილს ჯობია ნედლი თევზი. ამას უნდა კაი ჭკვიანი დიასახლისი, რომელიც მაგაზეა ორიენტირებული და იცის, როდის გავიდეს ბაზარში, როდის არის იაფი პროდუქტები. რაღაცას დააგროვებს, მერე ზაფხულში, როცა იაფია, რაღაცას გააკეთებს. ეს მთელი ხელოვნებაა. სხვათა შორის, მე ვინც მყავდა ამერიკელი „ხაზეიკა“, ასე ვთქვათ...

**— სად გყავდათ ამერიკელი „ხაზეიკა“?**

– ამერიკაში როცა ვცხოვრობდი... მართალია, მე ინგლისური ვანო ჯავახიშვილივით არ ვიცი, მაგრამ ორი წელი ვასწავლიდი.

**— ერთი რა მაგის პასუხია და... რა საჭიროა ევროსაბჭოში ინგლისურად ლაპარაკი, ქართულს ვერ თარგმნიან?**

– სხვა ენაზე არ შეიძლება, იქ ხუთი ენაა ძირითადი – რუსული, ინგლისური, გერმანული, ფრანგული, იტალიური, სხვა ენაზე გამოსვლის უფლება არ გაქვს. ერთადერთი, როცა შენი პრემიერ-მინისტრი ან პრეზიდენტი მიდის, ისინი თვითონ უზრუნველყოფენ ერთი დღის განმავლობაში, იხდიან იმ ფულს, რომ ყველა თარგმანი გაკეთდეს იმ ენაზე.

**— რუსულ ენაზე ხომ შეგეძლოთ გამოსვლა?**

**— რუსულად კი, რუსულად კი შეგიძლია, მაგრამ უბრალოდ ტეხავს. მე რა მიკვირს, იცი? უკვე 3 წელია, ყოველ სხდომაზე გამოვდივარ ინგლისურად, არავის არ მიუქცევია ყურადღება, როცა ცუდი რაღაცა ვთქვი პირდაპირ „ნაცების“ მიმართ, მაშინ ატყდა ამბავი და თურმე მე არ ვიცი. ქართული აქცენტი რატომ არ მექნება, მე ინგლისური დაბადებიდან კი არ მისწავლია? 23 წლის ვიყავი, როცა დავიწყე სწავლა, მაგრამ აბსოლუტურად სწორად ვამბობ ყველაფერს, აზრი გასაგებია, კამათში შევსულვარ, დამიწერია წერილი, დამიწერია თემა და ვუკითხავდი, ბოლოს და ბოლოს, ლექციებს უნივერსიტეტში, ტყუილად კი არ მაძლევდნენ იქ ფულს? სხვათა შორის, ევროსაბჭოში, ხუთიექვსი კანდელაკისნაირის გარდა, არავინ არ ლაპარაკობს უაქცენტოდ. სერბები, ხორვატები, პოლონელები, უნგრელები, ყველანი ლაპარაკობენ ძირითადად ინგლისურად, ისეთი აქცენტი აქვთ, ხან გაგიჭირდება გაგება. მე კარგ სიტყვას ვეძებდი და ამიტომ ვთქვი „თუ, თუ, თუ“... ესე იგი, ვისაც აინტერესებს, ყველას შეუძლია, კარგად მოუსმინოს და ყველაფერს გაიგებს. ეს „საწყალი“ ევროპელები ყველაფერს იგებენ, მელაპარაკებიან, დისკუსია გვაქვს და ქართველებს გაუჭირდათ. კაი, რააა, ეგეთი გოიმობა არ შეიძლება, მე ვუთხარი იქაურ ინგლისელებს და გასკდნენ სიცილით მაგაზე. ასე რომ, ქართულ საზოგადოებას შეუძლია, მშვიდად იყოს.**

**თქვენი არ ვიცი და... მე პირადად უკვე დავმშვიდდი. სხვათა შორის, ტყუილად ნერვიულობს ბიძინა ივანიშვილი, ამ პარლამენტში ინგლისურად ვერ ლაპარაკობენ, მომავალ პარლამენტში ისეთები უნდა შევარჩიოთ, ევროპელ დიპლომატებს რამე გააგებინონო. ცდებით, ბატონო ბიძინა, ამ პარლამენტშიც ლაპარაკობენ ინგლისურად, უბრალოდ, კარგად უნდა მოუსმინოთ, თუ საჭირო იქნება, ჩანაწერიც გადაახვიოთ და ყველაფერს კარგად გაიგებთ. დიახ, თუ გული გულობს, ადამიანი პრიორიტეტებს ამ კუთხითაც მოძებნის.**





გუგული მაღრაძე: „ყოველთვის, რაც გემრიელია და ძვირი ღირს, ის არ არის ხოლმე კარგი, ჯობია სტაფილო, კარტოფილი, კომბოსტო, ეგეთი რამეები ჭამო, იაფიანი თევზი ჭამო, ვიდრე წახვიდე და შებოლილი ჭამო...“






„მე კარგ სიტყვას ვეძებდი და ამიტომ ვთქვი „თუ, თუ, თუ“...

რეაქცია „ქრონიკის“ პუბლიკაციაზე

# მთელი ქვეყანა ცალ ფეხზე დგას, ცალი მოაჭრეს

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

**ბარემ „მეწველთა პარტიაც“ შექმენით, „მრეწველთა პარტია“ უკვე გვაქვს, მხოლოდ ერთი ასოს დამატება დაგჭირდებათ**

**იყიდე ტაქსის ტრაფარეტი და იტაქსავე, პერსპექტივაა დიპლომების შესაბამისი,**

**„ცაზე მთვარე ამოსულა, ნიშანია დარისაო, კოლექტივი გაძლიერდა, ვენაცვალე სტალინსაო“**







აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ 75 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის შესაძენად 499 875 ლარი დახარჯა. ეს თანხა აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ გამოყო. ჯიშიანი ძროხები დანიის სამეფოდან შემოიყვანეს. ერთი პატივცემული გვამი გამოვიდა ტელევიზიით და თქვა: თუ ოჯახს ჰყავს 10 მეწველი ფური, ჩვენ გადავცემთ 5 დამაკებულ პირუტყვს (ანუ ჩვენ თვითონ დავამაკებთო), რომლებიც ახალი წლიდან გაორმაგდებიან, გამრავლდებიანო (თქვე ოხრებო, ვისაც 10 ფური არ ჰყავს, იმან რა ჩემი ფეხები მოწველოს?). ესე იგი, 1 ძროხა დაჯდა 6 ათას 665 ლარი. ეს მაშინ, როცა ბოდბისხევის ბაზარში 1 მეწველი ძროხა ღირს 1200-1500 ლარი. მართალია, ამათ დანიის სამეფოს გვირგვინები არ ადგათ თავებზე, მაგრამ კაბალზე არიან დამაკებულები და რძის პონტში არანაკლებს ქაჩავენ. არა, სიმართლე გითხრათ, მე ის კი არ მაწუხებს, ნახევარი მილიონი ლარი რომ მიაიმასქნეს (უფრო მეტს ველოდი), უბრალოდ გული მტკივა, აჭარის მთავრობა რომ გვატყუებს: შე კაი კაცო, არჩილ ხაბაძევ, ძროხა დამაკებიდან ბოჩოლას იგებს 9 თვეში, ზუსტად იმ დროში, როგორც ქალი, ახლა ამიხსენი, ნოემბერში შემოყვანილი რანაირად გაორმაგდება საახალწლოდ, ანუ სულ რაღაც 2 თვეში? ახლა არ მითხრა, დანიაში დაამაკეს და ისე გამოგვატანესო, არც არსებობს, როგორც სპეციალისტები ამბობენ, მაგ ძროხების ტრანსპორტირება დამაკებამდეც კი დაუშვებელია, დანიელები მაგას არ იზამდნენო. ნუ, ახლა... თუ შენ დაამაკე 75 ძროხა დაჩქარებული წესით, მაშინ ერთი ლექსი გეკუთვნის, რათა ასევე დაჩქარებული წესით შეხვიდე საქართველოს ისტორიაში:

**„ლოლია, ლოლია,**
**ხბო წითელია,**
**ძროხა ჭრელია,**
**ხაბაძე შტერია,**
**ამან დაამაკა,**
**იმან მოწველა,**
**ამან თქვა — მშიაო,**
**იმან თქვა —**
**რომ არ არისო?**
**ამან თქვა —**
**ბიძინა მოგვცემსო,**
**იმან თქვა —**
**რომ არ მოგვცესო?**
**ამან თქვა —**
**მოვიპაროთო.**
**იმან თქვა —**
**რომ დაგვიჭირონო?**
**ამან თქვა —**
**ფეხებსაც ვერ მოგვჭამენო!**
**იმან მოიპარა,**
**ამან დაკლა,**
**იმან მოხარშა,**
**ამან მარილი მოაყარა,**
**ამან კიდევ შეჭამააააა“!**

აჰა, ხომ შეგიყვანე საქართველოს ისტორიაშიც და საბავშვო ლიტერატურაშიც, ძმაო? ამიერიდან დედები ბავშვებს ამ ლექსს ამ ფორმით ასწავლიან. ახლა ისიც მაწუხებს, ვინ მოწველის 6 ათას 665-ლარიან ძროხებს, ვინ შეეხება მათ ძვირფას ცურებს ისე სათუთად, რომ უარყოფითად არ იმოქმედოს? როგორც ვიცი, ამის სპეციალისტი ნინა წკრიალაშვილია, მომღერალი. მართალია, ის თავის დროზე „ნაციონალებს“ წველიდა, მაგრამ თუ ერთ სულზე 665 ლარს გადავუხდით, დანიურ ძროხებსაც მოწველის, რა პრობლემა უნდა იყოს? ბარემ „მეწველთა პარტიაც“ შექმენით, „მრეწველთა პარტია“ უკვე გვაქვს, მხოლოდ ერთი ასოს დამატება დაგჭირდებათ, „მრეწველები“ ლუდს იწველებიან, თქვენ კიდევ რძეს მოიწველებით და სოფელიც აშენდებააა!

კი აშენდება, სიმონ, თავისით, აბა, რას იზამს? ბოლო-ბოლო, მაინც გამოვა „აიფონ-7“, მერე „აიფონ-8“ და ცხოვრება მაინც წაიწევს წინ, მაგრამ საერთო ჯამში სად არის პერსპექტივა? როგორც დავით კინწურაშვილი ამბობს, პერსპექტივა ასეთია:



**ჩვენ, პოეტები საქართველოსი!**

**„იყიდე ტაქსის ტრაფარეტი და იტაქსავე,**
**პერსპექტივაა დიპლომების შესაბამისი,**
**დაუდარაჯდი ჩამოსულებს ამასთანავე,**
**რომ გრძელი გზებით მოატარო შესაბრალისი.**
**საწვავის დაწვა, იგივეა, იშოვნო ფული,**
**ანუ საფულე შეუსუსტო ყველის მოვაჭრეს,**
**ქალაქის ცენტრში ვაჭრობაა, სუნი სოფლური,**
**მთელი ქვეყანა ცალ ფეხზე დგას, ცალი მოაჭრეს“.**

იყიდე ტაქსის ტრაფარეტი და იტაქსავე, განა ეს ცოტაა იმ ქვეყანაში, სადაც თითო ძროხაში „მერსედესის“ ფულს იხდიან და დედაქალაქის მერია წინასწარ 1750 კუბოს ყიდულობს? კაი, ეს საჭიროა, თუ ამდენი 2016-ში არ მოკვდება, 2017-ში ხომ მოკვდება? რასაკვირველია, ბევრი წაიღებს წერილს, მაგრამ ვაჟა-ფშაველას გამზირზე, თბილისის ცენტრში ცარიელ სასაფლაოებს რატომღა აშენებ, გრიშა კაკაჩიას ნათესავი ხარ? შენ ისე იქცევი, მალე საბურთალოზე პირამიდების აშენებასაც დაიწყებ. ხალხო, არ დამძრახოთ, დავით ნარმანიაზე კიდევ „დამეწერინა“ ლექსი, ოღონდ ერთი კუპლეტი... ამაზე იტყვიან, პატარა და მუშაო:

**„უკვე გვაოცებ და ხშირად გვაბნევ,**
**შენ ყოველ დილას იწყებ ოცნებით,**
**თუკი გაგვითხრი სამარეს ადრე,**
**ჩვენ მოგადგებით ყუმბარმტყორცნებით“!**

იცით, პატივცემულო მერიავ, უბრალოდ, თავს ვიკავებთ, ვერ ვკადრულობთ... მაშინ, როცა მთელი ევროპა და რუსეთი „ისლამურ სახელმწიფოს“ ბომბავს, ხოლო ერდოღანი რუსულ ბომბდამშენებს დაბლა ყრის, როცა დღე-დღეზე ნატოში გვილებენ კი არა და... კარს გვილებენ, როცა ირგვლივ ამდენი უბედურება ხდება, როგორ მოგადგეთ ყუმბარმტყორცნებით, როგორ გაგიმეტოთ ასაფეთქებლად, თქვენ ტერორისტები ხომ არ გგონივართ?! მოიცადეთ, პირდაპირ „სითი პარკი“ ავაფეთქოთ? ვითომ რათაო, თქვენ არ იძახდით, აგვირჩიეთ და ჩვენ თვითონ ავაფეთქებთო? მაშინ ხმა რაღაში მოგეცით, ბოდოკია-მოდოკიებს ფული რომ ეკეთებინათ და ხაბაძე-მაბაძეებს კიდევ ნახევარ მილიონად ძროხები ეყიდათ თავიანთი ნათესავებისთვის?! ხალხოოო, მერე იტყვიან, სტალინი რად გახსენდებაო? იმიტომ მახსენდება, რომ ეგეთ ავაზაკობას არავის პატიობდა, ეგეთ ავაზაკებს ციმბირსაც არ ალირსებდა, ტყვია ფეხებში და მორჩა... თან მეტი საქმე არ ჰქონდა, წინასწარ კუბოები ეყიდა. განა მე ვინმეს დახვრეტა მინდა, განა მე სისხლი მწყურია? არა, არა და არა... მაშინ, როცა ამ ქვეყანაში ლართვრამეტიანი ადამიანები ცხოვრობენ, შენ არ გაქვს უფლება, ერთ ძროხაში 7 ათასი ლარი გადაიხადო. აი, ახლა ერთ რაღაცას ვიტყვი და არ დამიწყოთ, შე სტალინისტოო, შე პროსუსოო, შე ანტიდასავლეთუმეო... რაც მთავარია, „გამოკვლევებული“ გამოკვლევები არ ჩაატაროთ და არ დაასკვნათ, „ალია“-„ქრონიკა“ ანტიდასავლურ პროპაგანდას ეწევაო. ვიცი, გრანტებს ამაში გაძლევენ, მაგრამ მაინც გაგაფრთხილეთ:

**„ცაზე მთვარე ამოსულა,**
**ნიშანია დარისაო,**
**კოლექტივი გაძლიერდა,**
**ვენაცვალე სტალინსაო“.**

**აჰა, ახლა წადით და სადაც გინდათ, იქ მიჩივლეთ, ფეხებზეც არა მკიდია!**



– ძეხვს შეჭამ?
– მე ვეგეტანიარ... ვეგეტარინა... ვეგენატირა... ვეგეტრია... კი, შევჭამ!

*****

კარზე კაკუნია. აღებს მამაკაცი და ხედავს, ზღურბლზე ჩონჩხი დგას, ცალ ხელში ცელით, ცალ ხელში – ბლოკნოტით:
– უკაცრავად, კოტე აქ ცხოვრობს?
– დდდიიიახხხ... ვინ ბრძანდებით?
– სიკვდილი ვარ, შენ შემოგევლე!
– უკვე მომაკითხეთ?
– არა, ჯერ არა. უბრალოდ, კლიენტების წინასწარ აღწერას ვაწარმოებ მომსახურების ხარისხის ამაღლების მიზნით.
– უი, მართლა?! მაშინ აბა, დაახვიე აქედან!!!
– კარგი, მადლობა... ესე იგი, ვიწერ: „კუჭის კიბო, კატარაქტა, დიაბეტი, ჭლექი...“

*****



– მწყერი როგორ უნდა მოვამზადო?
– და რამდენი ცალი გყავს?
– ერთი...
– კატას მიეცი და ის მოუვლის!..

*****

– მართალია, რომ ერთი წუთი სიცილი სიცოცხლეს მინიმუმ 5 წუთით ახანგრძლივებს?
– პრინციპში, გააჩნია, ვის დასცინით... შეიძლება შეგიმცირდეთ კიდეც...

*****

– ბიჭო, რას შვრები, ჩამოდი აგარაკზე!
– არა!
– ტყუილად ამბობ უარს – ქალები გვყავს ამოყვანილი, ბლომად სასმელი, სიყვარული, სილამაზე...
– მამა! ვეღარ მომატყუებთ, გიცანი ხმაზე – დადექით და შენ და დედამ თოხნეთ ეგ კარტოფილი!!!

*****



ინფარქტგადატანილი პაციენტი მკურნალ ექიმს ეკითხება:
– ექიმო, სიგარეტი რომ მოვწიო, შეიძლება?
– ნუ, თუ ეს თქვენი უკანასკნელი სურვილია...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები*

# 7–13 დეკემბრის ჰოროსკოპი



### ვერძი 21.03-21.04

**სიყვარული –** პირად ცხოვრებაში მოდუნების პერიოდი ნამდვილად არ არის, უფრო მეტად შტურმის დრო დგება. თუ შეძლებთ და დასახული მიზნის მიღწევაზე მოახდენთ სრულ კონცენტრაციას, სწორედ ახლა მიიღებთ ყველაზე საუკეთესო შედეგებს. თქვენი აქტიურობა და მიზანსწრაფულობა ბევრი ჯილდოს მიღებით დასრულდება. თუმცა გახსოვდეთ: სხვადასხვა საკითხის მოგვარებისთვის ერთ თვეზე მეტი არ გაქვთ, შემდგომში სიტუაცია შეიცვლება. ჰოდა, იმოქმედეთ, სანამ დროა!..

**სამსახური –** ძალიან დიდია ალბათობა, რომ კარიერულ და პროფესიონალურ ზრდას მიაღწევთ.

**სასიკეთო დღეები:** 4, 5 დეკემბერი; **არახელსაყრელი დღეები:** 8 დეკემბერი.

### კურო 22.04-21.05

**სიყვარული –** გამოიყენეთ უნიკალური შესაძლებლობა რომანტიკული დასვენებისთვის და ყველა პირადი საკითხის მოგვარებისთვის – ნაცნობობისთვის, ურთიერთობის დალაგებისთვის და ასე შემდეგ. ხოლო თუ სახლში დარჩებით, თქვენი აქტიურობა არასწორი მიმართულებით წარიმართება. მოკლედ, მცირე ხნით მაინც სადმე უნდა წახვიდეთ და საწინააღმდეგო სქესის ყურადღების ნაკლებობას ნამდვილად ვერ იგრძნობთ.

**სამსახური –** მშვენიერი მომენტია საქმიან პარტნიორებთან არაფორმალური ურთიერთობისთვის, რაც კარგ შედეგებს მოგიტანთ.

**სასიკეთო დღეები:** 6 დეკემბერი; **არახელსაყრელი დღეები:** 4 დეკემბერი.

### ტყუპები 22.05-21.06

**სიყვარული –** არცთუ მარტივი კვირა გელით, სავსე ფარული შიდადინებებითა და არასასიამოვნო სიურპრიზებით. შესაძლოა, გაგიჩნდეთ შეგრძნება, რომ თქვენს პროვოცირებას ცდილობენ. სამწუხაროდ, ხშირ შემთხვევაში, მდგომარეობიდან ადვილად გამოხვალთ, რაც ბუნებრივია, საწინააღმდეგო სქესთან ურთიერთობაზე უარყოფითად იმოქმედებს. შეეცადეთ, თავი მაქსიმალურად მოთოკოთ და ზოგადად, ემოციები მართოთ.

**სამსახური –** სამწუხაროდ, თქვენი ძალისხმევა მოცემული მომენტისთვის უსარგებლო იქნება, ყველა მოლაპარაკება კი – უშედეგო.

**სასიკეთო დღეები:** 4, 2 დეკემბერი; **არახელსაყრელი დღეები:** 6 დეკემბერი.

### კირჩხიბი 22.06-22.07

**სიყვარული –** არ ღირს, თქვენი წესები ხმამაღლა გაახმაუროთ და მათთვის იბრძოლოთ. პარტნიორის აზრები დროებით მაინც მიიღეთ და გაითვალისწინეთ. მით უმეტეს, რომ თქვენი გაგება ამ ეტაპზე ძალიან რთული იქნება. ჰოდა, სჯობს, პოზიციები დათმოთ, ეს აუცილებელიც კია. ასევე, აუცილებელია საკუთარი შეცდომების გაანალიზება. აპატიეთ საყვარელი ადამიანს და ახალი წლის აღნიშვნისთვის მზადებას ერთად შეუდექით.

**სამსახური –** არცთუ საუკეთესო დროა ბიზნესისთვის. კომპანიონებისა და პარტნიორების აზრები თქვენსას ხშირ შემთხვევაში, არ დაემთხვევა.

**სასიკეთო დღეები:** 6, 7 დეკემბერი; **არახელსაყრელი დღეები:** 9 დეკემბერი.

### ლომი 23.07-22.08

**სიყვარული –** ძალიან ბევრი პრობლემის მოგვარება მოგიწევთ - როგორც პირადულის, ისე იმ საკითხებისაც, რომლებიც ბავშვებთან და მათ ჯანმრთელობასთან იქნება დაკავშირებული. სასიყვარულო ფრონტზე დროებით სიჩუმე დაისადგურებს. მიმდინარე კვირაში მოდუნების საშუალება არ გექნებათ, ამას, უბრალოდ, ვერ შეძლებთ. შეეცადეთ, გაისტუმროთ ვალები და ახალი აღარ აიღოთ. სამწუხაროდ, სექსუალური ცხოვრებაც კი ჰარმონიას ვერ დაგიბრუნებთ.

**სამსახური –** ბიზნესპროექტები რაღაც დროით გაიყინება და ამ ეტაპზე მათ გააქტიურებაზე ზრუნვა არც ღირს.

**სასიკეთო დღეები:** 5, 6, 8 დეკემბერი; **არახელსაყრელი დღეები:** 4 დეკემბერი.

### ქალწული 23.08-22.09

**სიყვარული –** საქმე მოსალოცად გაქვთ. დეკემბრის დასასრული და იანვრის დასაწყისი უამრავ ლამაზ შთაბეჭდილებასა და ზღვა პოზიტიურ შეგრძნებებს გაჩუქებთ. მთავარია, არ ჩაიკეტოთ და იყოთ დარწმუნებული, რომ გაზაფხული თქვენს ქუჩაზე მოსასვლელად ემზადება. ამ პერიოდში ხანგრძლივი ცოლქმრული ურთიერთობაც კი ვნებით აღსავსე იქნება. მთავარია, დროებით სამსახურზე არ იფიქროთ, დაივიწყოთ ყოველდღიური რუტინა.

**სამსახური –** გიმეორებთ, დროებითი სამსახური დაივიწყეთ, მით უმეტეს, რომ დიდად საინტერესო ცვლილებები ამ მხრივ მოსალოდნელი არ არის.

**სასიკეთო დღეები:** 7, 9 დეკემბერი; **არახელსაყრელი დღეები:** 6 დეკემბერი.

### სასწორი 23.09-22.10

**სიყვარული –** ამ ნიშნის წარმომადგენლებს წინასაახალწლო და ასევე, სადღესასწაულო დღეებშიც მოდუნების საშუალება არ ექნებათ. იძულებული გახდებით, როგორმე საცხოვრებელ ადგილთან დაკავშირებული პრობლემები მოაგვაროთ, თუმცა თუ ამ მხრივ ყველაფერი რიგზეა, ნებისმიერ შემთხვევაში, სამეურნეო საქმეებში მაინც ყელამდე ჩაეფლობით. სასიყვარულო ფრონტზე აქტიურობა ჯერჯერობით არ ღირს.

**სამსახური –** ახლის წამოწყებას აზრი არ აქვს. სჯობს, ადრე დაწყებული საქმეები მოითავოთ.

**სასიკეთო დღეები:** 4, 5 დეკემბერი; **არახელსაყრელი დღეები:** 8 დეკემბერი.

### მორიელი 23.10-21.11

**სიყვარული –** ნუ განერვიულდებით იმის გამო, თუ სადღესასწაულო დღეებში მივლინება მოგიწევთ. მართალია, ახლობლებთან ერთად ქეიფს მოსწყდებით, მაგრამ სამაგიეროდ, სასიამოვნო ურთიერთობებითა და შესაძლოა, ძალიან საინტერესო ნაცნობობით დაჯილდოვდეთ. ახლა სიტყვა თქვენი მთავარი იარაღია, თქვენი ყველაზე ძლიერი ინსტრუმენტი, რომელიც თქვენთვის საინტერესო ადამიანის გულს იოლად მოინადირებს. და სავსებით შესაძლებელია, რომ ახალი ურთიერთობა ქორწინებითაც კი დასრულდეს.

**სამსახური –** ძალიან წარმატებული კვირაა ხანმოკლე მივლინებისთვის, არაფორმალური ურთიერთობისთვის.

**სასიკეთო დღეები:** 22, 27 დეკემბერი; **არახელსაყრელი დღეები:** 25 დეკემბერი.

### მშვილდოსანი 22.11-21.12

**სიყვარული –** თუკი თქვენი საახალწლო საჩუქრები ახლობლებისთვის არ იქნება მხოლოდ მოვალეობის მოხდის მიზნით შეძენილი, ასეთ შემთხვევაში, მათგან ძალიან დიდ სითბოს მიიღებთ. ეს პერიოდი ბრწყინვალეა ხელოვნებასთან, რაღაც ნამდვილად მშვენიერთან ურთიერთობისთვის. შეივსეთ სიცოცხლე სილამაზით, გაახარეთ საკუთარი თავი და თქვენთვის ძვირფასი ადამიანები რაღაც ღირსეულით.

**სამსახური –** კარგი მომენტია მსხვილი შენაძენებისთვის, განსაკუთრებით წლის ბოლო დღეებში, ძვირფასეულობის ყიდვისთვის.

**სასიკეთო დღეები:** 5, 8 დეკემბერი; **არახელსაყრელი დღეები:** 6 დეკემბერი.

### თხის რქა 22.12-19.01

**სიყვარული –** ამ ნიშნის წარმომადგენლებს ყოველმხრივ დახუნძლული პერიოდი ელით. იგრძნობთ ძალების მოზღვავებას, მუშაობის სურვილს, მოგინდებათ რაღაცის შექმნა, სიყვარულის გამოსხივება. მშვენიერი მომენტია ახალი ცხოვრებისეული ციკლის დაწყებისთვის, შვილის გაჩენისთვის. გაითვალისწინეთ, რომ იმაზე, თუ როგორ გაატარებთ დეკემბრის ბოლო კვირას, დიდწილად იქნება დამოკიდებული მომდევნო წლის მორალური კლიმატი.

**სამსახური –** ინიციატივა ბიზნესში მშვენიერ შედეგებს მოგიტანთ. არ შეუშინდეთ იდეების განხორციელებაზე ზრუნვას.

**სასიკეთო დღეები:** 6, 7 დეკემბერი; **არახელსაყრელი დღეები:** 5 დეკემბერი.

### მერწყული 20.01-18.02

**სიყვარული –** მერწყულებმა გარკვეულწილად უნდა შეამცირონ აქტიურობა როგორც სამსახურში, ისე პირად ფრონტზეც. არ არის გამორიცხული, სერიოზული შეცდომები დაუშვათ, რის გამოც შემდგომში ძალიან ინანებთ. გამონახეთ დრო საყვარელ ადამიანთან მშვიდ გარემოში საუბრისთვის. სხვათა შორის, თუ ამ ეტაპზე მარტო ხართ, უფრო აქტიურად იარეთ კონცერტებზე, გამოფენებზე, ზოგადად, კულტურულ ღონისძიებებზე, რადგან სწორედ იქ შეგიძლიათ გაიცნოთ ძალიან საინტერესო ადამიანი.

**სამსახური –** შეეშვით აქტიურ მუშაობას, რადგან შეცდომების დაშვებისგან დაზღვეული არც სამსახურში ხართ.

**სასიკეთო დღეები:** 8 დეკემბერი; **არახელსაყრელი დღეები:** 5 დეკემბერი.

### თევზები 19.02-20.03

**სიყვარული –** როგორი საშიში და დამაბრკოლებელიც არ უნდა მოგეჩვენოთ მიმდინარე მოვლენები, გვერდზე არ გადგეთ. ასტროლოგიური სიტუაცია კონტაქტებით, მოგზაურობით, სასიამოვნო ნაცნობობით გაგანებივრებთ. მოიწყვეთ საახალწლო არდადეგები და ნამდვილად არ ინანებთ. გაქვთ ძალიან კარგი შანსი, პირად ცხოვრებაში ყველაფერი სასიკეთოდ შეცვალოთ. უფრო მეტიც, იმის საშუალებაც კი გექნებათ, თავს აქამდე აკრძალული ნაბიჯების გადადგმის უფლება მისცეთ.

**სამსახური –** გაისტუმრეთ ვალები და ყველანაირი ვალდებულებისგან განთავისუფლდით, მით უფრო, თანამშრომლებთან მიმართებაში.

**სასიკეთო დღეები:** 5, 6, 8 დეკემბერი; **არახელსაყრელი დღეები:** 7 დეკემბერი.

ანომალია



მაია იასეშვილი
599 94-64-58



# „მე მყავს 80 წლის პაციენტი ქალბატონები, რომლებიც ასაკთან შედარებით 20-25 წლის ახალგაზრდად გამოიყურებიან“

**ჩვენი რუბრიკის დღევანდელი სტუმარია მრავალი ნიჭით დაჯილდოებული ხელოვანი ეთერ ციტიშვილი. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია, თეატრალური ინსტიტუტი და უცხო ენათა ინსტიტუტი ინგლისური ენისა და ლიტერატურის სპეციალობით. მიუხედავად შემოქმედებითი ინტერესების ფართო სპექტრისა, ქალბატონმა ეთერმა თავისი საქმიანობა სამონასტრო მედიცინას დაუკავშირა იმ ქრისტიანული სასწაულების წყალობით, რაზეც ინტერვიუში ვისაუბრებთ...**



– ჩემი დიდი ბებია, ციტიშვილის ქალი, საკმაოდ განსწავლული გახლდათ. მიუხედავად ქართული წარმოშობისა, რუსულენოვანი განათლება ჰქონდა და სამონასტრო მედიცინის სფეროში მოღვაწეობდა. მას თავისი სამლოცველო ჰქონდა და ავადმყოფებს ლოცვებით, სამკურნალო მცენარეებითა და მალამოებით კურნავდა. მკურნალ ბებიას, სამწუხაროდ, არ მოვსწრებივარ, მან საიდუმლო ცოდნა მამაჩემს გადასცა, თავის სიწმინდეებთან ერთად. მამა პროფესიით ექიმი გახლდათ, თუმცა მას ბებიას რეცეპტები, სამკურნალო ლოცვებთან ერთად, რატომღაც არ გამოუყენებია, რადგანაც იმხანად კლასიკური მედიცინა ფიტოთერაპიას არ ცნობდა. თუმცა, რადგან სიწმინდეებთან ერთად ინახებოდა და ბებიას ხსოვნასთან ასოცირდებოდა მისი ნაწერები, ოჯახი გულმოდგინედ ინახავდა. მე იმხანად პრესტიჟულ სამსახურებში ვმუშაობდი. ერთი ჩემი მოწაფის დედა ავად გახდა, საკმაოდ შეჭირვებული ოჯახი იყო მატერიალურად. მას ქალური ონკოპათოლოგია აწუხებდა. ძალიან მინდოდა მისი დახმარება, სწორედ ამ დროს მქონდა სერაფიმ საროველის ხილვა, რომელიც გამომეცხადა და მითხრა, რომ მე უნდა გამეგრძელებინა ბებიას დანატოვარი სამედიცინო ცოდნა და მკურნალობის ტრადიცია. ამ დროს პირველად მივმართე და ჩავუჯექი ბებიას რეცეპტებს, რომელიც ძველი სლავურით იყო დაწერილი და რადგან ბებიასდროინდელი საქართველო, თავისი ეკოლოგიური მდგომარეობით, ძალიან განსხვავდება დღევანდელი ეკოლოგიისგან, გადავწყვიტე სამკურნალო მცენარეთა ციმბირში შეძენა, სადაც დღესაც დიდი ყურადღება ექცევა სამკურნალო მცენარეთა სისუფთავეს. ჩემი პრეპარატების ერთ-ერთი ძირითადი ინგრედიენტია ციმბირული კედარი და მისი ზეთი. ჩემი წამლები და სამკურნალო მალამოები, რაც განკურნების ერთ-ერთი ძირითადი პირობაა, დამზადებულია იერუსალიმიდან, მაცხოვრის საფლავზე ალებული წმინდა ზეთებით. ამ პრეპარატს პაციენტები საგანგებო ლოცვების წაკითხვის პარალელურად იღებენ, რაც მკურნალობის ხარისხს აათკეცებს. შესაძლოა, ბევრმა არ იცის, რომ ყველა დაავადებას თავისი ლოცვა აქვს, ეს ლოცვები, ისევე როგორც სამონასტრო საიდუმლოს ცოდნა, დროთა განმავლობაში და განსაკუთრებით ათეიზმის ეპოქაში, თითქმის დაივიწყეს. ამიტომაც ჩემს პაციენტთა შორის უამრავი ღვთისმსახურია, როგორც მოძღვარნი, ასევე მონაზვნებიც... როგორც კი სამონასტრო მედიცინაში დავიწყე მოღვაწეობა, ჩემი ხილვის შესახებ პირველივე დღეს ვუამბე ჩემს სულიერ მოძღვარს, მამა რევაზს, რომელმაც მომცა კურთხევა, ბებიას დაწყებული საქმე გამეგრძელებინა. მან საკუთარ თავზე გამოსცადა ჩემი ერთ-ერთი პრეპარატის ძალმოსილება, რომელიც ძვალსახსროვან სისტემას კურნავს.

**„ბევრმა არ იცის, რომ ყველა დაავადებას თავისი ლოცვა აქვს“**

**— კერძოდ, რა დაავადებები განგიკურნავთ?**

– ქალური დაავადებები, ჩიყვი, მათ შორის ტოქსიკური, ნევროზი ბავშვებში, მოზარდებსა და ხანდაზმულებში, გამძაფრებული ნევროზი, კლინიკურ დეპრესიასთან გაიგივებული, ნივთიერებათა დარღვევა, ჭარბწონიანობა, ძვალსახსროვანი სისტემა, შაკიკი, თირკმელში კენჭის დაშლა, დისბაქტერიოზი, ოსტეოქონდროზი, მხედველობასთან დაკავშირებული პრობლემები და უამრავ სხვა დაავადება, მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. იერუსალიმიდან ჩამოტანილი მწვანე ებონიტით ვაკეთებ წერტილოვან მასაჟს, რომელსაც სხეულიდან გარეთ გამოაქვს უარყოფითი ენერგია.

**— ქალბატონო ეთერ, ჩემთვის ცნობილია, რომ თქვენი მოღვაწეობის სფერო პარაფსიქოლოგიასაც მოიცავს...**

– ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ძალიან შორს ვარ ნებისმიერი სახის მაგიისგან და იმ მჩხიბავ-მკითხავთა საქმიანობისგან, რომლებიც რატომღაც პარაფსიქოლოგებს ირქმევენ. ის პარაფსიქოლოგიური ელემენტები, რასაც დაბინძურებული აურის გაწმენდა ჰქვია, ან დარღვეულისა და დასუსტებულის გაძლიერება, ეს იდუმალი ცოდნაც ისევ და ისევ სამონასტრო მედიცინიდან მოდის. ჩემეული მეთოდით აურის გაწმენდა სასურველია წელიწადში ერთხელ. კარგი იქნება, თუ ამას ადამიანები წლის დასაწყისში გააკეთებენ, თუმცა ნებისმიერ დროს რეკომენდებულია. ასევე, ძალიან დადებითი შედეგების მომტანია საცხოვრებელი ბინებისა და ოფისების ენერგეტიკული გაწმენდა, მხოლოდ და მხოლოდ სიწმინდეების არომათერაპიითა და სასწაულმოქმედი მცენარეებით, რომლებსაც მრავლად იცნობს სამონასტრო მედიცინა.

**— ჯადოს ან ენერგოზემოქმედების განეიტრალება თუ არის შესაძლებელი მცენარეებით?**

– ჯადო, გათვალვა და მსგავსი ნეგატიური პროგრამები შემიძლია, ძალიან ძლიერი ლოცვებითა და დასალევი ნაყენებით გავანეიტრალო, რადგან ენერგოზემოქმედება ძნელად განსაკურნებელი სხვადასხვა დაავადებების სახითაც ვლინდება.



**— თქვენ თვითონ აკეთებთ დიაგნოსტიკას ჯადოს ზემოქმედების დროს თუ პაციენტი თვითონ გესაუბრებათ თავის პრობლემებზე?**

– 20-წლიანმა სამკურნალო გამოცდილებამ დამარწმუნა, რომ არასოდეს ვცდები დიაგნოსტიკის დროს. ზუსტად ვიცი, როდის რა უნდა შევთავაზო ჩემთან დახმარებისთვის მოსულ ადამიანს. ჯადოს განეიტრალებისთანავე გვარდება ყველა ის პრობლემა, რამაც ჩემი პაციენტების წარმატება უიღბლობით ჩაანაცვლა.

**— თქვენი საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება არის ქალბატონების გალამაზება და გაახალგაზრდავება, რას გვეტყვით ამის შესახებ?**

– ჩემი უნიკალური რეცეპტურა იცნობს გაახალგაზრდავებისა და ახალგაზრდობის შენარჩუნების საპრევენციო მეთოდებს, რასაც წარმატებით იყენებს. ვისაც უნდა, ახალგაზრდა იყოს და სარკეში ჩახედვა უხაროდეს, გარდა საცხებისა, ვიყენებ მცენარეულ ნაყენებს, რომელიც სისხლის გაწმენდასა და გაჯანსაღებას ემსახურება. მათი გამოყენების დროს, გარდა იმისა, რომ ადამიანი ტონუსშია და ახალგაზრდულად გამოიყურება, მას ენიჭება სასიცოცხლო ენერგია და გუნება-განწყობის ამაღლება, ემოციური ფონის სტაბილურობა. საბედნიეროდ, ეს კარგად იცოდნენ ჩვენმა წინაპრებმა ოქროს საწმისის ქვეყანაში და წილად მერგო ბედნიერება, ადამიანებს იღბალი, ჯანმრთელობა და სილამაზე მოვუტანო. მე მყავს 80 წლის პაციენტი ქალბატონები, რომლებიც ასაკთან შედარებით 20-25 წლის ახალგაზრდად გამოიყურებიან.

**— ადამიანის ბიზნესსა და კარიერაში თუ შეგიძლიათ ცვლილებების შეტანა?**

– წარმატებული კარიერა და აღმავლობისკენ მიმავალი ეკონომიური მდგომარეობა, პირადი ბედნიერება ყოველთვის იბლოკება ენერგოზემოქმედებისა და სხვადასხვა ნეგატიური პროგრამების განხორციელების შედეგად. როგორც კი ჯადო და გათვალვა იხსნება, ადამიანის დასუსტებული ბიოველი ძლიერდება, აურა სუფთავდება, ადამიანის ცხოვრებაში ახალი ეპოქა იწყება. მატერიალური კეთილდღეობის მოზიდვას მაინცდამაინც პარაფსიქოლოგთან ვიზიტი არ სჭირდება, თუ მასზე არ არის განხორციელებული ენერგოზემოქმედება, ბარაქისა და მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებას ყოველდღიური ლოცვებიც ემსახურება, ასევე, „ბარაქის ხატიც“, თუმცა მე მაქვს უნიკალური და უძველესი ლოცვები მატერიალური კეთილდღეობის მოსაზიდად, რაც არ არის შემორჩენილი, ყოველ შემთხვევაში ამ ლოცვების მცოდნე მე არავინ შემხვედრია. ვერ ვიხსენებ ვერც ერთ შემთხვევას ჩემთან მოსვლის შემდეგ, ვინც მატერიალურად იყო შეჭირვებული და ახლა ბედს უჩივის. შემიძლია ნებისმიერ ადამიანს, ვინც რწმენით მოვა ჩემთან, ეს საიდუმლო ცოდნა გადავცე და მისი სასწაულმოქმედი ძალა ყველასთვის ხელმისაწვდომი გახდეს.

**„სწორედ ამ დროს მქონდა სერაფიმ საროველის ხილვა, რომელიც გამომეცხადა და მითხრა, რომ მე უნდა გამეგრძელებინა ბებიის საქმე“**



ნინო ლაპარტყავა
571 99-92-33





**ერთხელ მაინც ყველას გაუვლია „მშრალ ხიდზე“ და სანაპიროზე ნახატები დაუთვალიერებია. მეც სულ რამდენიმე დღის წინაც გავიარე და ჩემდა გასაოცრად, მხატვრებს შორის სრულიად შემთხვევით ყველაზე ახალგაზრდა მხატვარს მივაგენი და მასთან ინტერვიუს ჩაწერა გადავწყვიტე.**

# რამდენს შოულობს ნახატების გაყიდვით „მშრალ ხიდზე“ ყველაზე ახალგაზრდა მხატვარი?









**„სიმართლე გითხრათ, პოლიტიკა არც მაინტერესებს და ვთვლი, რომ არც არის ჩემი საქმე. პოლიტიკაზე ჩემი აზრი და „მაგათი დედაც“ ძახილი, არაფერს შეცვლის და გამოდის, ტყუილად უნდა ვილაპარაკო, ამიტომ არც ვსაუბრობ ხოლმე“**

**ჩვენი დღევანდელი რესპონდენტი 18 წლის მხატვარი ლადო რამინაშვილია. ის თბილისიდანაა და ძირითადად, თბილისის ხედებს ხატავს, რადგან, როგორც აღმოჩნდა, მოთხოვნილება სწორედ ამ ტიპის ნახატებზეა:**

– აქ პირველად სურათი რომ გამოვიტანე, 15 წლის ვიყავი. დედაჩემიც ხატავს, ბიძაჩემიც და ისეთ წრეში გავიზარდე, რომ მეც სულ მქონდა სურვილი, მხატვარი გამოვსულიყავი. „მხატვარი“ შეიძლება ამ ეტაპზე ცოტა ხმამაღალი ნათქვამია, მაგრამ ძალიან ვცდილობ და მინდა, ნამდვილი მხატვარი ვიყო (იღიმის). მყავს დედა, მამა, დედისერთა ვარ, მაგრამ კარგი ოჯახის შვილი (იღიმის).

**— შენი ნამუშევრები რომ ვნახე, ნამდვილად კარგად გამოგდის ხატვა.**

– მადლობა... ეს უკვე თქვენი შეფასებაა (იღიმის).

**— და იმ პირველ ნახატზე რა იყო ასახული?**

– პეიზაჟი იყო და სხვათა შორის, მალევე გაიყიდა.

**— ძირითადად, რას ხატავ?**

-- უფრო თბილისის ხედებს, რადგან ეს თემა უფრო გაყიდვადია. საერთოდ, რაზეც მოთხოვნილებაა, მეც იმას ვხატავ. ნახატებს, ძირითადად, ტურისტები ყიდულობენ ხოლმე და ჩემი ნამუშევრებიც მათზეა გათვლილი. ადგილობრივი მოსახლეობა იშვიათად ყიდულობს.

**— შეკვეთებს თუ იღებ?**

– დიახ. სხვათა შორის, ერთი შეკვეთა ახლახან, ზაფხულში ჩავაბარე, 33 სურათი იყო სულ, ანუ ყველა ნახატი ერთმა პიროვნებამ წაიღო.

**— როგორ მოგცა შეკვეთა? აქ გნახა, თუ ვინმემ ურჩია შენთან დაკონტაქტება?**

– აქ გამოიარა, ჩემთან მოვიდა და შეკვეთაც ადგილზე მივიღე. ახლა რახან ზამთარია, ნახატები შედარებით ნაკლებად იყიდება. ცუდ ამინდში, რა თქმა უნდა, საერთოდ არ გამომაქვს ნახატები, არც არავინ იყიდის და გაფუჭდება.

**— ნახატებს რა ფასად ყიდი? მინიმუმი და მაქსიმუმი რომ ავიღოთ?**

– ამ მომენტში, ყველაზე დაბალფასიანი 70-ლარიანი ნახატია, ყველაზე ძვირი კი – 300-ლარიანი.

**— ნახატის ფასი რაზეა დამოკიდებული, მის ზომაზე, თუ ნამუშევრის სირთულეზე?**

– ზომაზეც არის დამოკიდებული, სირთულეზეც და იმაზეც, როგორ ჩარჩოში ზის.

**— სახატავი მასალები ძვირია?**

– როგორ გითხრათ... დავუშვათ, ნახატი ღირს 100 ლარი, მის შესასრულებლად, დაახლოებით, 10 ლარი მჭირდება, თუმცა ამ ბოლო დროს, საღებავები მინიმუმ, 30%-ით მაინც არის გაძვირებული, რაც საკმაოდ ხელშემშლელი ფაქტორია. თუ ადრე ერთი ტუბიკი საღებავი 10 ლარი ღირდა, ახლა 5 ლარითაც კი არის გაძვირებული.

**— ზეთში ხატავ, ხომ?**

– დიახ, თუმცა თავიდან აკვარელში დავიწყე, ზეთზე მერე გადავედი. ფანქარშიც ვხატავ... რთულია ხატვა, დიდი ნებისყოფა გინდა, პირველ რიგში, ფსიქოლოგიურად მომზადებული უნდა იყო და მხოლოდ ამის შემდგომ დაიწყო მუშაობა.

**— თუ გქონია მომენტი, რომ ნახატი არ მოგწონებია და გადაგიშლია?**

– კი, ხშირად ყოფილა მასე... როდესაც რაღაც პატარა ხარვეზი გამეპარება, შეიძლება სხვამ ეს ვერ შეამჩნიოს, მაგრამ მე ხომ ვიცი, რა არ გავაკეთე კარგად, ან რამ არ დამაკმაყოფილა ჩემს ნამუშევარში? და ამიტომ ნახატი გადამიშლია და თავიდან დამიხატავს.

**— სულ ქუჩაში გიწევს ყოფნა?**

– სულ არა, ნახატებს გამყიდველს ვაბარებ და ის ყიდის, მე კი სახლში ვარ ხოლმე და ვხატავ. შეიძლება, კვირაში ერთხელ, ორჯერ გამოვიდე, ყოველდღიურად არ ვარ აქ. აქვე მინდა ვთქვა, რომ ირგვლივ ძალიან კარგი ხალხი მუშაობს, კარგი ურთიერთობები გვაქვს და კმაყოფილი ვარ (იღიმის).

**— ხატვის გარდა, რით ხარ დაკავებული? სწავლობ სადმე?**

– სკოლა რომ დავამთავრე, პირდაპირ ამ სფეროში გადმოვედი, სწავლა არ გამიგრძელებია. იცით, რა მინდა? კერძო მხატვართან გავიარო პრაქტიკა, ხატვა კიდევ უფრო დავხვეწო. თვითნასწავლი მხატვარი ვარ და მინდა, უფრო პროფესიონალურად ვხატო.

**— ოჯახის წევრებმა შემოგთავაზეს ხატვა, თუ მათი ყურებისას გაგიჩნდა ხატვის სურვილი?**

– არა, ოჯახის წევრებს არაფერი უთქვამთ, ჩემით გადავწყვიტე. თავიდან არ გამომდიოდა, როგორც ხდება ხოლმე, მერე ნელ-ნელა გამომივიდა და ამ საქმეს მივყევი. როდესაც რაღაცას მოინდომებ, ყველაფერი გამოგივა.

**— პორტრეტზე მუშაობა თუ გიცდია?**

– კი, მიცდია. პირველად რომ დავხატე პორტრეტი, სხვათა შორის, კარგი გამოვიდა, ფოტოდან გადავიხატე. ის ნახატი გასაყიდად არ გამომიტანია, დღემდე სახლში მაქვს. კიდევ აბსტრაქციების ხატვა მიყვარს, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ჟანრი აქ არ გადის და ამიტომ იშვიათად გამომაქვს აბსტრაქტული ნახატი გასაყიდად.

**— თვეში, საშუალოდ, რამდენი ნახატი გეყიდება?**

– ასე ვერ ვიტყვი... მაგალითად, ზაფხულში შეიძლება, თვეში სამი ათასი ლარი იშოვო, რადგან იმ სეზონზე ნახატები შედარებით კარგად იყიდება. ზამთარში ნაკლები მყიდველია და მაქსიმუმ, 800-1000 ლარი შეიძლება გამოვიდეს.

**— ერთ ნახატზე, მაქსიმუმ, რამდენი შეგიძლია, დააკლო?**

– ახლა, მაგალითად, 200-ლარიან სურათზე შეიძლება, 30 ლარი დავაკლო მაქსიმუმ, მაგრამ გააჩნია. თუ თანხა ძალიან მჭირდება, შეიძლება კიდევ დავაკლო.

**— ავიღოთ ერთი საშუალო ზომისა და სირთულის ნახატი. რა დრო გჭირდება მის დასახატად?**

– საშუალოდ, დაახლოებით, სამი დღე, გააჩნია ნახატის სირთულეს. იმ ტიპის თითოეულ ნახატს, როგორიც აქ მაქვს გამოტანილი, დაახლოებით, ეს პერიოდი სჭირდება. აბსტრაქცია კი, შეიძლება, ერთ დღეში დავხატო.

**— გამოფენა თუ გქონია?**

– ჯერ არა, მაგრამ შემდეგში რა იქნება, არ ვიცი. ყველა მხატვარს აქვს გამოფენის მოწყობის სურვილი და ვნახოთ (იღიმის).

**— რა არის შენი მუზა?**

– როდესაც კარგი განწყობა მაქვს, ეს არის მუზა (იღიმის). მუსიკაც მოქმედებს ხატვის სურვილზე... როდესაც ყველაფერი გიხარია და თავს კარგად გრძნობ, ხატვის სურვილიც სწორედ მაშინ გაქვს (იღიმის).

**— შეყვარებული თუ გყავს?**

– არა, ჯერჯერობით არ მყავს (იღიმის).

**— ცოტა პოლიტიკაზეც რომ ვისაუბროთ, რას იტყვი?**

– სიმართლე გითხრათ, პოლიტიკა არც მაინტერესებს და ვთვლი, რომ არც არის ჩემი საქმე. პოლიტიკაზე ჩემი აზრი და „მაგათი დედაც“ ძახილი, არაფერს შეცვლის და გამოდის, ტყუილად უნდა ვილაპარაკო, ამიტომ არც ვსაუბრობ ხოლმე (იღიმის).



„ერთ მშვენიერ დღეს გოგონებს ჩაუხედავთ ჯვარნაწერ რგოლში, ცხრა წყაროდან შეუკრებიათ წყალი და სამკითხაო რიტუალი ჩაუტარებიათ, სადაც ლარისას მე დავუნახივარ“

მაია იასეშვილი
599 94-64-58



# „ჩემი ნაბოლარა შვილის გარდაცვალებამდე ჩემს მეუღლეს ესიზმრა, თითქოს წყაროს მილიდან წყლის ნაცვლად სისხლი გადმოდიოდა“

**რუბრიკის სტუმარია მსახიობი ზაალ გამყრელიძე.**

**— ბატონო ზაალ, თითქმის ნახევარი საუკუნეა, რაც ქართულ თეატრს ემსახურებით. თქვენი პროფესიული არჩევანი ოცნების ახდენა იყო თუ შემთხვევითობამ მიგიყვანათ პროფესიულ სცენამდე?**

– შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ამქვეყნად რაიმე შემთხვევით ხდება, ისიც კი, რაც ხშირად შემთხვევითობა გვგონია, ბედისწერით არის წინასწარ განსაზღვრული. იყო დრო, როცა მეგონა, რომ ჩვენი ცხოვრების გზა შემთხვევითობათა ერთობლიობა იყო. ეპოქა, რომელშიც გავიზარდე, ათეიზმსა და ღვთის უარყოფას გვინერგავდა, ზებუნებრივის ყოველთვის მჯეროდა, ათეისტური იდეოლოგიის ძალდატანებით თავსმოხვევა მაინც ახდენდა გარკვეულ ზეგავლენას. ჩემს მშობლებს უნდოდათ, ექიმი გავმხდარიყავი, მაგრამ სურვილები გავუწბილე. ბავშვობაშივე შემიყვარდა თეატრი, ვგიჟდებოდი საგმირო ეპოსზე, ყველა ბავშვი ხომ გმირობასა და ვაჟკაცობაზე ოცნებობს, ჰოდა, იმ დღიდან, რაც თეატრში სიარული დავიწყე, მივხვდი, რომ არსებობს ადგილი, სადაც შეგიძლია, საოცნებო გმირებად გარდაისახო და მათი სიცოცხლით იცოცხლო. ჯერ კიდევ სკოლაში დავდიოდი, რომ ონის თეატრში მომიწია ერეკლეს ვაჟის, ლევან ბატონიშვილის განსახიერება, შემდეგ ჩეხოვის „თოლიაში“ მიმაღებინა მონაწილეობა სახალხო თეატრის რეჟისორმა გიგა ჯაფარიძემ. სწორედ ამ დროს მივხვდი, რომ მშობლების არჩეულ პროფესიას არ გავყვებოდი და ჩემი მომავალი მხოლოდ და მხოლოდ სასცენო ხელოვნებას დაუკავშირდებოდა. სამსახიობო ფაკულტეტზე ჩავაბარე და საშა მიქელაძის ჯგუფში მოვხვდი, ნიჭიერი სტუდენტების გარემოცვაში ჩამოვყალიბდი – გია ფერაძე, დათო დვალიშვილი, ასმათ ტყაბლაძე, ელისო გუდიაშვილი და სხვა ცნობილი მსახიობები იყვნენ ჩემი ჯგუფელები. თეატრის დამთავრების შემდეგ მე და დათო დვალიშვილი ქუთაისის თეატრში გაგვანაწილეს, ეს იყო დაუვიწყარი წლები, შემოქმედებითი ალმასვლითა და ახალგაზრდული შემართებით სავსე. შემდეგ გიგა ლორთქიფანიძემ ჩამომიყვანა.

**— ქუთაისში გაიცანით თქვენი ცხოვრების თანამგზავრი, მსახიობი ლარისა ხაჭაპურიძე. როცა ის პირველად ნახეთ, რაიმე მინიშნება ხომ არ გქონდათ, რომ ის თქვენი შეყვარებული და მეუღლე გახდებოდა?**

– ლარისას თეატრალური ინსტიტუტიდან ვიცნობდი, დახვეწილი გარეგნობის, ნიჭიერი გოგო იყო. მინიშნების რა გითხრათ, მაგრამ ძალიან გამიხარდა მისი ქუთაისის თეატრში დახვედრა. გრძნობა მერე გაჩნდა, როცა დავახლოვდით და დავმეგობრდით. რაღაც პერიოდში ლარისა ქორწინებაზე არ მთანხმდებოდა, ორი წლით უმცროსი ხარო, მეტად საგულისხმო არგუმენტს იშველიებდა (იცინის), მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს გოგონებს ჯვარნაწერ რგოლში ჩაუხედავთ, ცხრა წყაროდან შეუკრებიათ წყალი და სამკითხაო რიტუალი ჩაუტარებიათ, სადაც ლარისას მე დავუნახივარ. ეს ამბავი რომ გავიგე მისი მეგობარი გოგონებისგან, ჩვენი ბედის გზების შეერთების დამაჯერებლობამ გამიათკეცა სურვილი, რისი დაჯერებაც მინდოდა, დავიჯერე. იგივე დაემართა მასაც და ბედმა ერთი გზით წაგვიყვანა ორივე. ბედისწერის გარდაუვალობის მჯერა, შევქმენით ოჯახი და ოთხი ვაჟი შეგვეძინა.

**— ზოდიაქოთი ვინ ხართ?**

– ზოდიაქოს ნიშნით სასწორი ვარ, ასტროლოგია მაინტერესებს რაღაც ზღვრამდე, ჩემი გეგმები რომ ასტროლოგიურად იღბლიან პერიოდს დავუკავშირო, ამის არც დრო მაქვს, არც საშუალება და არც სურვილი. მეტსაც გეტყვით, ჰოროსკოპის მიხედვით ნეგატიური დღე მქონია და ძალიან წარმატებულად ჩაუვლია იმ დღეს, საკუთარ მონდომებას უფრო გამოუღია კეთილი ნაყოფი, ვიდრე ვარსკვლავთა განლაგებას. თუმცა ვინ იცის, ვარსკვლავთმრიცხველობა იმდენად იდუმალი და ამოუცნობი სამყაროა, შეიძლება ვცდებოდე კიდეც, მაგრამ მაინც მგონია, რომ ვინც ღმერთს მიანდობს თავის საკეთებელ საქმეს და ერთგულად ემსახურება დასახულ მიზნებს, იღბალიც არ დააყოვნებს, მაგრამ სიყვარულისა და სიკვდილ-სიცოცხლის ამბები აუცილებლად ზეცაში წყდება. ამქვეყნად არც მოსვლას გვეკითხება ვინმე და არც წასვლაა ჩვენი გადასაწყვეტი.

**— როგორი ინტუიცია გაქვთ, ბატონო ზაალ?**

– ინტუიცია და წინათგრძნობები ჩემს გარდაცვლილ ვაჟს, დათო გამყრელიძეს ჰქონდა განვითარებული, მე წინასწარმეტყველების ნიჭით გამორჩეული ადამიანი არ ვარ, ჩემი ნაბოლარა შვილი დავით გამყრელიძე 23 წლის ასაკში ავარიით გარდაიცვალა, ცუდზე არასდროს მიფიქრია, არც ცუდ სიზმრებს შევუწუხებივარ. 20 წლის ძმა გარდამეცვალა, მამაჩემსაც ნაბოლარა შვილი გამოეცალა ხელიდან უბედური შემთხვევის გამო და მეც. ჩემი ძმა სამხატვრო აკადემიის სტუდენტი იყო, ვილაც უცნობ გოგოს გამოესარჩლა აბეზარ ბიჭებთან ურთიერთობის დროს და მოკლეს. დედაჩემს ამ ამბიდან ორი წლით ადრე სიზმარი უნახავს, წმინდა გიორგის ეკლესიიდან ვიღაც ახალგაზრდა ბიჭები თურმე ხელისკვრით აგდებდნენ გარეთ და ჩემი ძმა მათი ხელისკვრის შემდეგ მიწაზე დაეცა. დედას ძალიან ცუდად ენიშნა ეს სიზმარი, სანთლებიც დაუნთია სიზმრის გასაბათილებლად, მაგრამ მოსახდენი მაინც მომხდარა. სიზმარი ხომ სიმბოლური იყო, ულმერთო ადამიანებმა ულმერთოდ გაწირეს. მამაჩემის მწარე ხვედრი, უმცროსი შვილის გარდაცვალებისა, მეც გამოვცადე. აგვისტოს ომის დროს ომში წავიდა ჩემი ვაჟი, ამ დროს ოჯახში მოვიდნენ ჩემი მეუღლის მეგობრები კარალეთიდან, იმ ღამით ჩვენთან დარჩნენ. სწორედ ამ ღამეს ჩემი შვილი გორიდან მომავალი ავარიით გარდაიცვალა, ჩემს მეუღლეს კი ესიზმრა, წყაროს მილიდან წყლის ნაცვლად სისხლი გადმოდიოდა, ჩვენი სტუმრების ეზოდან. რაც არ უნდა გასაკვირად მოგეჩვენოთ, სიზმარში ნანახი ადგილი და ჩემი ვაჟის გარდაცვალების სურათი ერთსა და იმავე დროსა და სივრცეში მოხდა, ჩემს შვილს გარდაცვალებამდე რამდენიმე საათით ადრე დედამისისთვის დაურეკავს და უთქვამს, – მშვიდობა გვაქვს და სახლში ვბრუნდებიო... რაც ჩემს შვილს ეწერა წინასწარმეტყველურ ლექსებსა და დღიურებში, სიტყვასიტყვით აგვიცხადდა. ეს იყო მისი ბედისწერა, თორემ ნაადრევ სიკვდილზე რატომ საუბრობდა სიცოცხლითა და ჯან-ღონით სავსე ახალგაზრდა?.. მას ჰქონდა ჩანაწერები სათაურით – „თუკი სიკვდილი გარდაუვალია“, ეს იყო დიდი ბლოკნოტი, სადაც დღიურებსა და ლექსებს წერდა. ლექსების უმრავლესობა სიყვარულსა და სიკვდილის წინათგრძნობაზეა დაწერილი. არ ვიცი, მასაც ჰქონდა თუ არა ხილვები, ამაზე არაფერს გვეუბნებოდა, მაგრამ მისი ჩანაწერებითა და ლექსების მიხედვით ვიგებ, რომ ზუსტად იცოდა საკუთარი დღემოკლეობა. თუმცა შიში სიკვდილისა სრულიად გამქრალია მის ნაწერებში. წეღან გითხარით, 20 წლის ძმა გარდამეცვალა-მეთქი, მასაც ჰქონდა წინასწარმეტყველური ნახატები და ახლა ვხვდები, რომ ადამიანი ვერ ცვლის განგების ნებით გადაწყვეტილ გზას, რომელიც მისი გასავლელია. გარდაცვალებამდე ორი დღით ადრეა დათარიღებული ეს ჩანაწერი:



**ეს მე ვარ,**
**იქნებ, არც ვარ,**
**ხელით მივართმევ მიწის საუნჯეს**
**სულს არ დავტოვებ უფლის საგანძურს**
**თქვენ სიკეთეში აქ დავაუნჯებ...**

**— ბატონო ზაალ, გჯერათ თუ არა სიცოცხლის არსებობა გარდაცვალების შემდეგ და გაქვთ თუ არა სულიერი კავშირი გარდაცვლილ ახლობლებთან?**

– როგორ არ მაქვს, ხშირად ჩემი შვილის ფოტოსთვის თვალი მომირიდებია და ბოდიში მომიხდია იმის გამო, რომ მე მზეს ვუყურებ, სიცოცხლეს ვაგრძელებ და ის ჩვენთან არ არის, მაგრამ მჯერა, რომ სული უკვდავია. ხშირად ჩემი შვილისგან ისეთი ინფორმაცია მიმიღია, რომ გავოგნებულვარ. ამას წინათ, ავად ვიყავი და მეორე დღისთვის გადავდე შვილის საფლავზე წასვლა, სწორედ იმ ღამეს დამესიზმრა და მითხრა, – რატომ არ მოხვედი, ჩემი საფლავი ჩაინგრა, ერთი მეტრით არის ჩაწეულიო. გაღვიძებისთანავე მე და ჩემი მეუღლე ერთად წავედით და რას ვხედავ, საფლავის მიწა მართლად ერთი მეტრითაა დაწეული. დედას უფრო ხშირად ეცხადება და ესაუბრება, ვიდრე მე. მათ შორის უფრო მჭიდრო კავშირია, ისეთი მჭიდრო, საზღვარი მთლად წაშლილია გარდაცვლილთა და ცოცხალთა შორის, თუმცა ღმერთისთვის ყველა ცოცხალია, წუთისოფელში მყოფიც და ისიც, ვინც მარადისობის ქვეყანაში ცხოვრობს. ერთი კვირის წინ მქონდა პრემიერა, გიორგი ქავთარიამ დადგა ჩვენს თეატრში ლევან გოთუას „გმირთა ვარამი“, სადაც მღვდელი თადეოზის როლს ვთამაშობ. დიდი პასუხისმგებლობით მოვეკიდე ამ როლს, დიდხანს ვემზადებოდი სულიერი წვრთნის, საღვთო წერილის კითხვით და ლოცვით. მორწმუნე ვარ, მაგრამ მაქვს ხოლმე პერიოდები, როცა სკეპტიციზმი მეძალება და ეჭვით ვუყურებ ყოველივე არაამქვეყნიურს. ამ დროს, ყოველთვის მაქვს მინიშნება შვილისგან, რომ ვცდები. გასულ წელს, ხარების დღესასწაულზე, იმ ხატების კუთხესთან, სადაც ჩემი გარდაცვლილი შვილის ფოტო მიდევს, სხივი დაადგა სურათს, მობილურითაც გადავიღე ეს ფოტო. თუ გავითვალისწინებთ, რომ არც მზის სხივი და არც ხელოვნური განათება არ იყო ოთახში, მაშინ შეიძლება ვიმსჯელოთ ამოუცნობსა და იდუმალზე. ფოტოზეც დაფიქსირებულია, რომ არაამქვეყნიური სინათლე ადგას თავზე დიადემასავით. ასეთი მინიშნებებით ჩვენი გარდაცვლილები გვაფრთხილებენ, რომ უკიდეგანო სამყაროში ძალიან ცოტა რამეა ჩვენთვის საცნაური და ჯერ კიდევ 21-ე საუკუნეში, ტექნიკური პროგრესის ეპოქაში ბევრი რამ არის ამქვეყნად ისეთი, რაზეც მცირე წარმოდგენაც არ გვაქვს. ადამიანი დაშორდა ბუნებას, ბევრი დაფარული ცოდნა დაიკარგა, ბევრი ბურუსით მოცული აღსაქმელი და გასაგები გახდა, მაგრამ უპასუხო კითხვები კიდევ დიდხანს გვექნება კაცობრიობას. ალბათ, იმიტომაც არის სიცოცხლე საინტერესო, რომ იდუმალებით არის მოცული.



„დედაჩემს ამ ამბიდან ორი წლით ადრე სიზმარი უნახავს, წმინდა გიორგის ეკლესიიდან ვიღაც ახალგაზრდა ბიჭები თურმე ხელისკვრით აგდებდნენ გარეთ და ჩემი ძმა მათი ხელისკვრის შემდეგ მიწაზე დაეცა. დედას ძალიან ცუდად ენიშნა ეს სიზმარი, სანთლებიც დაუნთია სიზმრის გასაბათილებლად, მაგრამ მოსახდენი მაინც მომხდარა“





– რა ვერ გამიგია, იცით? აი, ფილმებში დაპანიკებული მსხვერპლი ლამის 100 კილომეტრ/საათის სიჩქარით გარბის, მანიაკი სეირნობით მიჰყვება და მაინც ეწევა ხოლმე, ეს ახვარი...

*****

მასწავლებელი მოსწავლეებს:
– ვინც ფიქრობს, რომ სულელია, ფეხზე ადგეს!
კლასში სიჩუმეა. ცოტა ხანში ბოლო მერხთან კოტე წამოიზლაზნა.
– აბა, კოტე, შენ ფიქრობ, რომ სულელი ხარ?
– არა, უბრალოდ, უხერხულია, მარტო თქვენ რომ დგახართ...

*****

– დილაობით დარბიხარ?
– როგორ არა?! ძირითადად, სახლში, ყვირილით – მაგის დედაც, ისევ დამაგვიანდა!!!

*****



– კოტე, უკანასკნელად გეკითხები საჩუქარზე – არ გადაიფიქრე?
– არა! მე უკვე 35 წლის, ჩამოყალიბებული მამაკაცი ვარ და ზუსტად ვიცი, რომ პულტიანი ვერტმფრენი მინდა!!!

*****

– აფთიაქში გავიარე, ფასები შევისწავლე და მივხვდი, რომ ბევრად იაფად გამოვალ, თუ მოვკვდები!
– მოდი, შენ კიდევ ერთხელ გაიარე და სარიტუალო მომსახურების ფასებიც შეისწავლე...

*****

– რთულია ჩემი ხელში ჩაგდება, ძალიან იოლია დაკარგვა და შეუძლებელია გამოყენება! დიპლომი

*****



ცოლი:
– მამაკაცი მაიმუნზე ოდნავ ლამაზი უნდა იყოს!
ქმარი:
– ჰო, მამაკაცი ოდნავ ლამაზი უნდა იყოს მაიმუნზე, რომელთან ერთადაც ცხოვრობს...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*
*დავით ახობაძის ნახატი*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები...

## დედის რძე ინფექციებისგან მხოლოდ გოგონებს იცავს?



საერთოდ, ჩვილების დედის რძით კვებას სპეციალისტები ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ და მათი რეკომენდაციებიც შესაბამისია, თუმცა ამერიკელი მეცნიერების მიერ სულ ახლახან ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ბუნებრივი კვება ინფექციებისგან გოგონებს გაცილებით უკეთ იცავს, ვიდრე ვაჟებს.

როგორც ირკვევა, სპეციალისტები 1 წლამდე ბავშვების ჯანმრთელობის მდგომარეობას სწავლობდნენ და აი, ასეთი დასკვნაც გამოიტანეს:

გოგონები, რომლებიც დედის რძით იკვებებოდნენ, გაცილებით იშვიათად ხვდებოდნენ კლინიკებში მწვავე რესპირატორული ინფექციების დიაგნოზით, ვიდრე ვაჟები, რომლებიც, ასევე, ბუნებრივ კვებაზე იმყოფებოდნენ.

ზუსტად რატომ ხდება ასეთი რამ, ამერიკელი მკვლევარები ზუსტ განმარტებას ვერ იძლევიან, თუმცა დედებს მაინც ურჩევენ, რომ შვილების კვება, თუნდაც მათი დაბადების პირველ თვეებში, ბუნებრივი გზებით ჯობია.

*pronowosti.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები... საინტერესო

## როგორ მოქმედებს დაავადებული კბილი გულზე?



ის, ვინც პირის ღრუს მოვლას ნაკლებ ყურადღებას აქცევს და მით უმეტეს, თუკი პირად ჰიგიენას საერთოდ ივიწყებს, სამწუხაროდ, ძალიან სერიოზულ პრობლემებს საკუთარ თავს სხვისი დახმარების გარეშე უქმნის.

ამერიკელი სპეციალისტების განმარტებით, ადამიანები, რომლებიც კბილების მოვლას პირველხარისხოვან მოვლენად არ მიიჩნევენ, გულის მუშაობას აფერხებენ, რაც თავისთავად ცხადია, სიკეთის მომტანი არავისთვის არ გახლავთ.

რაც ყველაზე მთავარია, რისკის ჯგუფში შედის არა მხოლოდ ის კატეგორია, რომელიც ღრძილების ქრონიკული ანთებით იტანჯება, არამედ საფრთხე ექმნებათ იმ ადამიანებსაც, რომლებსაც ჰიგიენის ელემენტარული ნორმების უგულებელყოფის გამო, კბილებზე ნადები უჩნდებათ.

ინდიანას უნივერსიტეტის სპეციალისტებმა 500-მდე ადამიანის კბილების მდგომარეობა შეისწავლეს, მათ შორის, იმათიც, ვისაც, მართალია, ღრძილების ანთება არ ჰქონდათ, მაგრამ პირად ჰიგიენას ისეთსავე ყურადღებას აქცევდნენ, როგორც შარშანწინდელი თოვლის ფერს.

– კბილებზე ნადების გაჩენა ხელს უწყობს სისხლში ლეიკოციტების მატებას, რაც, თავის მხრივ, გულზე ახდენს უარყოფით გავლენას. შესაბამისად, პირადი ჰიგიენის ელემენტარული ნორმების დაცვაზე უარის თქმა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, – განმარტავენ ამერიკელი სპეციალისტები.

*myjane.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები...

## ტერორისტული დაჯგუფების წევრებად თავს... ხუმრობის გამო ასაღებდნენ



ხუმრობა ყოველთვის მისაღებია, მაგრამ ზოგიერთი ხუმრობისთვის მაინც სჯობს, პირველ აპრილს დაველოდოთ, ცოტათი მაინც რომ გამართლდეს.

გერმანიის ქალაქ გელზენკირხენში, სკოლაში 8 შეიარაღებული ახალგაზრდა შევარდა, ილანძღებოდნენ, იარაღით იმუქრებოდნენ და ამბობდნენ, რომ ტერორისტული დაჯგუფება „იჰილის" წევრები იყვნენ. როცა ერთ-ერთი მასწავლებელი მიუახლოვდათ და ჰკითხათ, რას აკეთებდნენ სკოლის ტერიტორიაზე, მათ ლანძღვა დაიწყეს და იარაღი დაუმიზნეს. მასწავლებელმა გაქცევა და პოლიციის გამოძახება შეძლო. რამდენიმემ გაქცევა მოახერხა, დანარჩენი კი პოლიციამ აიყვანა.

სკოლის დირექტორმა ახალგაზრდების ამ საქციელს ამაზრზენი უწოდა. მით უმეტეს, რომ პარიზის ტრაგედიიდან არც ისე დიდი დროა გასული. პოლიციელების თქმით კი, არავინ დაზარალებულა, არაფერი მოუპარავთ, უფრო მეტიც, მათი იარაღი ყალბი აღმოჩნდა, ეს უბრალოდ ცუდი ხუმრობა იყო.

*etotupo.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები...



## საჭესთან შეღებვის მოყვარული ქალი მძღოლების გამო, ბრიტანეთში ნახევარი მილიონი ავარია ხდება

კი უნდა იყვნენ მშვენიერი სქესის წარმომადგენლები მუდმივად ფორმაში და თავიანთი გარეგნობით მამაკაცებს თვალებს უბრმავებდნენ, მაგრამ მაინცდამაინც საჭესთან შეღებვა და გალამაზება რომ საუკეთესო გადაწყვეტილება არ არის, ამაზე ბრიტანელი მზღვეველების მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად მიღებული დასკვნაც მეტყველებს.

როგორც ირკვევა, მხოლოდ პრანჭია ქალების მიზეზით, ბრიტანეთში ყოველწლიურად დაახლოებით 500 ათასი ავტოსაგზაო შემთხვევა ხდება.

ამასთანავე, ყოველი მეხუთე გამოკითხული ქალი მძღოლი გამოტყდა, რომ საჭის მართვისას კოსმეტიკური საშუალებები მინიმუმ ერთხელ მაინც გამოუყენებია.

გამოდის, რომ 15 მილიონი ქალი მძღოლიდან, რომლებიც ბრიტანეთში არიან დარეგისტრირებულები, საჭესთან ყოველწლიურად, როგორც მინიმუმ, 2,7 მილიონი მაინც ილებება და 500 ათასამდე ავარია უკვე გასაკვირი ნამდვილად აღარ არის.

საინტერესოა ისიც, რომ გამოკითხული ქალების 3 პროცენტი მაკიაჟის უადგილო ადგილას გამოყენების გამო, ავარიაში მინიმუმ ორჯერ არის მოყოლილი.

რაც ყველაზე გასაკვირია, მშვენიერი სქესის წარმომადგენლები არ იჯერებენ, რომ „უწყინარი შეღებვის" გამო ამდენი ავარია ხდება.

– ხშირად, თავის მოწესრიგების დრო არ გვაქვს და იძულებულები ვართ, მაკიაჟისთვის საჭესთან ჯდომის დრო გამოვიყენოთ, – თავს იმართლებენ ქალი მძღოლები.

ვერაფერს იტყვი, მტკიცე არგუმენტია, თუმცა...

*mainfun.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო

## რატომ სუქდებიან დაქორწინებული მამაკაცები?



მეცნიერებმა კვლევა ჩაატარეს, რათა დაედგინათ, რატომ ვერ საზღვრავდნენ ცოლიანი კაცები კვების ნორმას.

რაც არ უნდა გასაკვირად მოგეჩვენოთ, მიზეზი შთაბეჭდილების მოხდენის სურვილი აღმოჩნდა. ექსპერტების აზრით, კარგი მადა ქალებში ჯანმრთელობისა და მტკიცე აგებულების შთაბეჭდილებას აჩენს.

როგორც ირკვევა, კვლევაში 133 ადამიანი (74 კაცი და 59 ქალი) მონაწილეობდა. კაცები ქალების თანდასწრებით 93 პროცენტით მეტ პიცასა და 86 პროცენტით მეტ სალათს მიირთმევდნენ. დადგინდა ისიც, რომ კაცები კაცების თანდასწრებით და ქალები კაცების, ან ქალების თანდასწრებით ჭარბად არ ნაყრდებიან.

ერთადერთი, რისი რჩევაც კვლევის ავტორებმა შეძლეს, ესაა – „ხალხი უნდა დამშვიდდეს, როცა საწინააღმდეგო სქესის წინაშე იკვებება".

*lenta.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...

## რატომ გადაწყვიტეს ჩინელებმა ოთხზე დამდგარებმა იარონ?



ჯანმრთელობა – ის, რაც ყველაფერი არ არის და რომლის გარეშეც ყველაფერი არაფერია. თუ გვინდა ჩვენს მიღწეულსა და მოხვეჭილს ყველაფერს ფასი ჰქონდეს, ჯანმრთელობას უნდა გავუფრთხილდეთ. ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად კი ყველა ხერხი მისაღებია, მათ შორის, პარკში დაოთხილი სიარულიც.

ჩინეთის პარკებში, ყოველ დილით ასობით ადამიანი გამოდის, რათა ოთხივე კიდურით იმოძრაოს. მათი თქმით, ასე სიარული ზურგისა და კისრის არეში ტკივილებს ხსნის. ეს არის ექიმებთან ვიზიტებისა და ძვირად ღირებული მედიკამენტებისგან თავის დახსნის საუკეთესო გზა.

პრაქტიკა ჩინეთში მე-2 საუკუნით თარიღდება და ხანების დინასტიას უკავშირდება. ერთ-ერთი მოხალისე ამბობს, რომ მას შემდეგ, რაც ფეხებიდან ხელ-ფეხით სიარულზე გადავიდა, კუნთების დაძაბულობა მოეხსნა და წნევაც დაურეგულირდა. ჩინელები ექსპერტების რეკომენდაციებს იყენებენ, რომლებიც ურჩევენ, როგორ უნდა გადაადგილდნენ ხელებითა და ფეხებით, რომ ჯანმრთელობისთვის მაქსიმალურად სასარგებლო იყოს. ექსპერტი დუნის თქმით, უკვე 6 წელია, ასე მოძრაობს და მიუხედავად თავისი 90 წლის ასაკისა, თავს მშვენივრად გრძნობს. ძველ ჩინეთში ექიმები ხერხემლის არეში ტკივილის მოსახსნელად, თავიანთ პაციენტებს სთხოვდნენ, სხვადასხვა ცხოველების იმიტაცია გაეკეთებინათ, ვინაიდან ასეთ დროს მოძრაობაში ის კუნთებიც ერთვება, რომლებიც სიარულისას უმოქმედოდ არიან. თანამედროვე ექიმებს არაფერი აქვთ დაოთხილი სიარულის საწინააღმდეგო, მეტიც, ამბობენ, რომ ეს სისხლის მიმოქცევას, რადიკულიტთან და თავის ტკივილთან ბრძოლას ხელს შეუწყობს.

*mironov.ru*

გვერდი მოამზადა **დარინა ქამადაძემ** 593 19-85-99

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები... საინტერესო

## 3 რამ, რაც უკეთესი ცხოვრების მიზნით სახლიდან სასწრაფოდ უნდა მოვიშოროთ



ძველი ჩინელები ფიქრობდნენ, რომ ყველა ნივთს თავისი ენერგია ჰქონდა, ამ მოსაზრების მართებულობას თანამედროვე მეცნიერების კვლევებიც ადასტურებს. ფიზიკოსები ამტკიცებენ, რომ მატერიალური სამყარო სხვა არაფერია, თუ არა ენერგიის უზარმაზარი ზღვა და ყველაფერი ვიბრირებს.

ჩინელები დამანგრეველ ენერგიას „ში ცი“-ს უწოდებენ, ის პრობლემებს იზიდავს, ნეგატივს, უარყოფითი ენერგიაა „სი ცი“-ც, რომელიც აპათიას იწვევს, ადამიანს ცხოვრების ხალისს უკარგავს და ინდიფერენტულს ხდის. ამ ენერგიას ჩვენს სახლში არსებული ნივთები იზიდავს.

**დაზიანებული ჭურჭელი**

ალბათ, ყველა სახლში მოიძევება გაბზარული ჭურჭელი: ყურმოტეხილი ფინჯანი, ატკეჩილი თეფში, სახელურმომძვრალი ქვაბი, თუ ტაფა, რომელიც ჯერ კიდევ ასრულებს თავის ფუნქციას. მათი გადაყრა გვენანება, რადგან შეჩვეულები ვართ, ან თანხის დაზოგვას ვცდილობთ... არადა ფენ შუის მიხედვით, ასეთი დეფექტის მქონე ნივთები სწორედ ბზარებიდან იზიდავს უარყოფით ენერგიას. ჭურჭელი სიმდიდრისა და შემოსავლის სიმბოლოა. გაბზარული ჭურჭლის სახლში დატოვება გახეულ ჯიბეში ფულის ჩაყრას ჰგავს. მისგან სასწრაფოდ უნდა განთავისუფლდეთ. სახლში მხოლოდ ლამაზი და მთელი ჭურჭელი დაიტოვეთ, რომელიც თქვენს სახლს პოზიტიური ენერგიით აავსებს. ამ ენერგიას „შენ ცი“ ეწოდება.



ძველი ტანსაცმელი და ფეხსაცმელი ყველას გვიყრია სახლში ერთი წყვილი ქუსლებგადალეული ფეხსაცმელი, გაცვეთილი შარვალი, გაქუცული პალტო, ან თვალწასული სვიტერი. „გვიყვარდა და ვერ ველევით“, „რა იცი, რაში დაგვჭირდეს“, ეგებ „ოდესმე კიდევ ჩავიცვათ“, არადა დევს ეს ძველი ტანსაცმელი თუ ფეხსაცმელი და ედება მტვერი. ხანდახან საერთოდ გვავიწყდება მისი არსებობა. ის კი იზიდავს უარყოფით ენერგიას და საშინელ აურას ქმნის, რომელიც გზა-კვალს გვირევს, აპათიურ მდგომარეობაში გვამყოფებს და ცხოვრების მიზანს აბუნდოვნებს. ამგვარი ნივთების სახლში შენახვისას სახლის ბინადრები დეპრესიისკენ მიდრეკილნი ხდებიან, მოქმედების მოტივაცია უქრებათ. დაალაგეთ გარდერობი და მოიშორეთ ძველი ნივთები, რომელსაც არ



ხმარობთ. ნუ ინახავთ ნაგავს სახლში. გამოათავისუფლეთ ადგილი საჭირო რამეებისთვის. ჩაატარეთ ექსპერიმენტი და ნახეთ, ეგებ უახლოეს მომავალში საყვარელ ადამიანს შეხვდეთ, საჭირო შენაძენი გააკეთოთ, ან უბრალოდ უკეთესი სამსახური ნახოთ.

**ხელოვნური ყვავილები**

ფენ-შუი ხელოვნური ყვავილების სახლში შენახვას კატეგორიულად ეწინააღმდეგება. ეს უარყოფითი ენერგიის მაგნიტია. გაგიგიათ გამოთქმა, რომ ცოცხალი ყვავილები ცოცხლებისთვისაა, ხოლო მკვდარი მკვდრებისთვის? ხელოვნური ყვავილები მკვდარია და ის საფრთხეს უქმნის მაცხოვრებლებს. თქვენ წარმოიდგინეთ, ცოცხალი ყვავილი ალოეც კი არ არის სასურველი, რომ საძინებელში, სამზარეულოში ან სასტუმრო ოთახში გვედგას, უკეთესია, თუ აივანზე გავდგამთ.

*mental.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო

## მიკი რურკი ეტლით გადაადგილდება — მსახიობს, სავარაუდოდ, სიმსივნე აქვს



ლოს-ანჯელესის აეროპორტში ჰოლივუდის ვარსკვლავი მიკი რურკი უცნაურ მდგომარეობაში შეამჩნიეს. რურკი დამხმარე ქალის მეშვეობით შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ეტლით გადაადგილდებოდა. თავდაპირველად ეტლში მყოფი მამაკაცი ვერავინ იცნო, თუმცა დაკვირვების შემდეგ მასში „ცოდვების ქალაქის“ ვარსკვლავი ტატუს მეშვეობით ამოიცნეს.

მსახიობის ფანები ეჭვობენ, რომ მიკი რურკის ჯანმრთელობა მკვეთრად გაუარესებულია და მას სიმსივნე აქვს.

*newpost.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო

## ობობისგან შეშინებულმა ავსტრალიელმა პოლიციის ყურადღება მიიქცია



ვერ შემშინებია, ვერ დამიხველებია და ჩემს სახლში „ტრუსიკით“ ვერ გამივლია მეზობლების მეთვალყურეობის გარეშეო. რა არის მართლა და მართლა, ჩემს სახლში მყოფ ობობას მინდა სიკვდილით დავემუქრები და მინდა ბუზის ჩაშუშულს მივართმევო, ამბობდა ახალგაზრდა ავსტრალიელი.

სიდნეის პოლიციაში მზრუნველი მეზობლების ზარი შევიდა, რომ მათ მეზობელ სახლში ოჯახურ ძალადობას ჰქონდა ადგილი. ადგილზე მისულ პოლიციას ახალგაზრდა ყმაწვილმა გაუღო კარი და პოლიციის კითხვაზე, რატომ ძალადობდა მეუღლეზე, გაკვირვებულმა უპასუხა, ცოლი საერთოდ არ მყავს და როგორ უნდა მეძალადაო. პოლიციამ უკან არ დაიხია, აბა, ვის უყვიროდი – „მოგკლავ“, „უკვე მკვდარი ხარ“. ააა, ეგ ობობა იყო, ბავშვობიდან ვერ ვიტან ობობებს, მთელ სახლში დავდევდი და ვცდილობდი, ბუზების საწინააღმდეგო სპრეით შემეშინებინაო.

პოლიციამ მაინც დაათვალიერა სახლი და როცა დარწმუნდა, რომ ობობის მეტი დაზარალებული სახლში არავინ იყო, შემთხვევის ადგილი დატოვა.

*lenta.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...

## ჰელსინკში გაჯეტიანი ადამიანების მაუწყებელი საგზაო ნიშანი დადგეს



ვისაც მართვის მოწმობის აღება სურს, საგზაო ნიშნებს სწავლობს და თან ჰელსინკში აპირებს ცხოვრებას, პროგრამაში ახალი საგზაო ნიშანი დაემატება. ჰელსინკში წითელ ჩარჩოში ჩასმული ყვითელი სამკუთხედი საგზაო ნიშანი დადგეს, რომელზეც მობილურში თავჩარგული ქალი და მამაკაცი არიან გამოსახული, რაც იმის მანიშნებელია, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე მოძრაობენ ადამიანები, რომელთაც დროისა და სივრცის შეგრძნება დაკარგული აქვთ.

კრეატიული საგზაო ნიშნის იდეა იაკობ სემპლერსა და ემილ ტიისმანს ეკუთვნით. იდეა იაკობის ავტოავარიაში მოხვედრით იყო შთაგონებული. სმარტფონში ქექვის გამო ვერ შენიშნა, როგორ გადაწყვიტა ავტომობილის მძღოლმა იაკობის რეალობაში დაბრუნება.

უცნობია, ვინ დადგა საგზაო ნიშანი, მაგრამ ვინაიდან კერძო ტერიტორიაზეა, საქალაქო ხელისუფლებას მისი მოხსნის უფლება არ აქვს.

ცოტა ადრე, სტოკჰოლმში გამოჩნდა ასეთი ნიშანი. ქალაქის ტრანსპორტის დეპარტამენტის პრესსამსახურმა კი დამდგმელებს შეატყობინა, რომ ეს ნიშნები არაოფიციალური იყო და უნდა მოეხსნათ.

*lenta.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...

## თევზებს ცნობიერების ნიშნები აღმოაჩნდათ



„ემოციური ცხელება“ – ეს არის უცნობ გარემოში სხეულის ტემპერატურის მოკლევადიანი, 1-2 გრადუსით მატება. ამ ფენომენს ემოციურ შოკს უწოდებენ. მეცნიერები ამბობენ, რომ ასეთი რეაქცია მხოლოდ ისეთ სულიერებთან გვხვდება, რომელთაც განვითარებული ტვინი აქვთ და ხვდებიან, რა ხდება მათ გარშემო. ამფიბიებისგან განსხვავებით, ჩიტებმა, ძუძუმწოვრებმა და ქვეწარმავლების ერთმა ტიპმა დიდი ხნის წინათ გაიარეს ეს ტესტი.

აღმოჩნდა, რომ თევზების ერთ-ერთ სახეობაშიც გვხვდება „ემოციური ცხელება“.

თევზები დაქსელილი კედლებით შემოზღუდულ აუზში მოათავსეს, რომლის ტემპერატურაც 27 გრადუსი ცელსიუსი იყო (მაშინ, როდესაც თევზისთვის ნორმალური ტემპერატურა 28 გრადუსია). 15 წუთის შემდეგ თევზებმა კედელი გაარღვიეს, რის შემდეგაც შეეძლოთ, ნებისმიერი ტემპერატურა 18-დან 35 გრადუსამდე აერჩიათ.

აღმოჩნდა, რომ თევზები, რომელთაც სტრესი გადაიტანეს, უფრო მეტი ხნით გაჩერდნენ თბილ წყალში. მათი სხეულის ტემპერატურა 2-4 გრადუსით გაიზარდა, რაც მეცნიერების თქმით, „ემოციურ ცხელებასა“ და თევზების ცნობიერებაზე მიუთითებს.

*lenta.ru*

გვერდი მოამზადა **დარინა ქამადაძემ** 593 19-85-99



ავტობუსში მოხუცი მამაკაცი ახალგაზრდას შენიშნავს აძლევს:

– შვილო, როგორ არ გრცხვენია?! ადექი და ახლავე დაუთმე ადგილი აი, იმ ბებიას!

– რა ბებია, სიდედრია ეგ ჩემი!

– მაშინ მიეცი ეგ კარტოფილის ტომარა, ნუ გიდევს მუხლებზე, დაიღლები!..

*****

– დამშორდა შეყვარებული, თან ისე, რომ ფოტოები გადმომიგზავნა, სადაც ჩემს ძმაკაცთან სექსით არის დაკავებული.

– მერე, რამე მოიმოქმედე?

– როგორ არა – ფოტოები მამამისს გავუგზავნე...

*****



ძმაკაცები აბანოში არიან, სვამენ, იცინიან. რეკავს ტელეფონი. ერთ-ერთი პასუხობს:

– ჰო, ძვირფასო, რა გინდა? ქურქი? რა თქმა უნდა, შეიძლება... ფული სადაც დევს, ხომ იცი? ფეხსაცმელებიც გინდა? არ არის პრობლემა. ჩანთაც? კი, ჩემო საყვარელო...

თიშავს ტელეფონს და კითხულობს:

– ბიჭებო, ვისი ტელეფონია ეს?

*****

– ჩვენი ლექციის შემდეგი საკითხია: „ნათესაური კავშირების გავლენა კორუფციაზე“. აბა, კოტე, გისმენთ.

– არ მისწავლია...

– კარგი, დაჯექი, ხუთიანი!

– დიდი მადლობა, მამა...

*****

ცოლი ქმარს:

– საყვარელო, შენთვის ორი ამბავი მაქვს: კარგი და ცუდი... რომლით დავიწყო?

– მოდი, ცუდით დაიწყე.

– შენი „ბეემვე“ დავამტვრიე...

– და კარგი რაღაა?!

– მეტს აღარ ვიზამ...

*****



სასტუმროს მიმღებში ერთ-ერთი დამსვენებელი რეკავს:

– დამეხმარეთ – სიდედრს ვეჩხუბე და ამბობს, ფანჯრიდან გადავხტებიო!

– უკაცრავად, მაგრამ ეს ჩვენ არ გვეხება, პოლიციას დაურეკეთ.

– სწორედაც რომ თქვენ გეხებათ – ამიხსენით, რატომ არ იღება ეს ოხერი ფანჯარა?!

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*
*დავით ახობაძის ნახატი*



ევროკავშირში
შევდივართ
რიმა ბერაძის
რეცეპტით,
აშკარად ტუზი
დაგვეცა,
ჩვენ სწორედ ამ
გზას ვეძებდით.
სტოლტენბერგმაც
კი გაგვიღო
ნატოს დახშული კარები,
თინიკომ დაასახელა
დამნაშავეთა გვარები.
მიშას პასპორტი წავართვით,
თუმც ქართველობა — ვერაო,
ამ თემას მალე გარეპავს
ივანიშვილი ბერაო.
„საქინძეთს“ პანაშვიდია,
მათ ბელადს გასდის ბოლიო,
ხელახლა უნდა დაიპყრონ
ლაგოდეხი და გონიო.



არჩილ ხაბაძემ უმატა
ძროხების დამაკებასა,
აჭარა მალე მიაღწევს
არნახულ წარმატებასა.
გავიგე, ხადურს ჰქონია
თურმე ახალი ვერსია,
დედას კონვერტით გადასცეს
მომატებული პენსია.



პუტინი თურქეთს
უტრაკებს,
წულუკიანი —
მერიას,
მისი თქმით, სოფელ
დიღომში
სულ სხვანაირად
მღერიან.
ევროკავშირში
შევდივართ
რიმა ბერაძის რეცეპტით,
გინდ დაიჯერეთ, გინდ — არა,
ჩვენ მხოლოდ ამ გზას ვეძებდით!

*გელა ზედელაშვილი*

# გიორგი ბრეგვაძეს

## ვულოცავთ დაბადების დღეს!



გისურვებთ, როგორც აქამდე, არასოდეს მოგკლებოდეს ღმერთის მფარველობა და შენი გაკეთებული სიკეთე მუდამ წინ დაგხვედროდეს! ჯანმრთელი და ბედნიერი იყავი! როგორც ჯეფერსონი ამბობდა, ვერავინ შეაჩერებს კაცს, რომელსაც სწორად დასახული მიზანი და საქმისადმი გააზრებული დამოკიდებულება აქვს. ჰოდა, მუდამ მაღალი ტირაჟი გქონდეს! გაიხარე ყველა ამქვეყნიური სიამით და ჩვენც გაგვახარე!

*ალიელები*

## ინტერნეტის ფოტოკოლაჟი



"არცა ნატო ყოფილა, მე მოვიგონე..."

## ინტერნეტის ფოტოკოლაჟი






ჩანაწერი ავტომოპასუხეზე:

– დიდი ალბათობით, სახლში ვარ, მაგრამ არ მსურს ველაპარაკო ერთ ჩემთვის ძალიან უსიამოვნო ადამიანს. დატოვეთ შეტყობინება და თუ არ გადმოგირეკეთ, ესე იგი ეს უსიამოვნო ადამიანი თქვენ ყოფილხართ.

*****

– მეგობრებო, სულ მალე გაჩვენებთ ადგილს, სადაც ვეფხვებზე ნადირობას შევძლებთ, ოღონდ, დაახლოებით 40 წუთი უნდა ველოდოთ.

– უნდა ჩავუსაფრდეთ?

– არა, პირველ განყოფილებაში აკრობატები გამოდიან და...

*****

– რატომ ხარ ასეთი მოწყენილი?

– ვაჟი შემეძინა და...

– ააა, ნერვიულობ, არა? და რა დაარქვი?

– ლუდოვიკო.

– ლუდოვიკო რატომ?

– მეთოთხმეტეა და იმიტომ!

*****

მაღაზია „ხალიჩების სამყარო“:

– თუ შეიძლება, ერთი ხალიჩა მინდა.

– და ასეთი მოღუშული სახე რატომ გაქვთ? გვამი ხომ არ უნდა გადამალოთ?

– ორი ხალიჩა!..

*****

– ბებო, საფუძვლიანად გაგსინჯე და ყველაფერი კარგად გაქვს. ამიხსენი კიდევ, ზუსტად რა გაწუხებს?

– სუნთქვა მიძნელდება, ექიმო.

– მაინც, რა დროს?

– ავტობუსს რომ მივდევ ხოლმე...

*****

– ნებისმიერ დედას იმედი აქვს, რომ მისი ქალიშვილი ქორწინებაში უფრო ბედნიერი იქნება, ვიდრე თავად; მაგრამ არც ერთ დედას არ აქვს იმედი, რომ მისი ვაჟი მამაზე წარმატებით იქორწინებს...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*
*დავით ახობაძის ნახატები*

**ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები**

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

**სარეკლამო სამსახური**

☎ 2-333-170

577-444-442

მიხეილ სახვაძე

21 21 80

(შიდა ნომერი 108)

E-mail: reklama@alia.ge

®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“

»211359457

გამომცემელი
გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: მანანა გიორგაძე
(577-43 55 53) 2212180 პირადი (☎106)

საინფორმაციო განყოფილების რედაქტორი – მიხეილ სახვაძე
599 93 28 03; 2-21-21-80 (108)

ოფისმენეჯერი – თათა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჟაჟვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი

გაზეთ „კვირის ქრონიკაში“ გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“** საქართველოს **კანონის 59-ე მუხლი.**

ISSN 2298-0016

UDC (UAK) 070.4 (479.22) Q-754

რედაქციის მისამართია: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა) ☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: qronika@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 23.45